შოთა ქურიძე

ანტონ ფურცელაძის ლიტერატურულ-კრიტიკული შეხედულებანი



გამომცემლობა
„საბჭოთა აჭარა“
ბათუმი
1976

8 Г
ჭ-907

წინამდებარე წიგნში კონკრეტული ისტორიული პირობების გათვალისწინებით, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შუქზე. შეფასებულია ა. ფურცელაძის ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობა, ახსნილია, თუ რა წვლილი შეიტანა მან ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, რაც გვეხმარება სწორად წარმოვიდგინოთ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ცალკეული ეტაპები და განმთავისუფლებელი მოძრაობის სხვადასხვა ნაკადის ურთიერთმიმართება.

© გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა", 1976.

К 70202-014 / М621(08)76 — 25-76

წინასიტყვაობა

ა. ფურცელაძის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში გაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან და ამ მოძრაობის ისეთ გამორჩენილ მოღვაწეებთან, როგორიც იყვნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვები. მისი მოღვაწეობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ცნობილი მკვლევარი პროფ. ს. ხუნდაძე ასე ახასიათებდა ანტონ ფურცელაძეს: „იგი დრამატურგიც არის და იმავე დროს პრაქტიკული მოღვაწეც, კრიტიკოსიც და ისტორიკოსიც, ბანკირიც და რედაქტორიც".[1]

თავისთავად ცხადია, ამგვარი მრავალფეროვნება ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ კი მას ნიჭის, აზრის ძალაც არ ახლავს. რაც უფრო ღრმად და ყოველმხრივ სწავლობენ ა. ფურცელაძის მემკვიდრეობას, მით უფრო ცხადი ხდება, რომ იგი ამ მხრივაც საკმაოდ ძლიერია. უმართებულოდ უნდა მივიჩნიოთ შეხედულება, რომელიც გ. ლასხიშვილმა გამოთქვა ყველაზე რელიეფურად. აღნიშნავდა რა ა. ფურცელაძის მრავალმხრივ მოღვაწეობას, გ. ლასხიშვილი წერდა: „შეუძლებელია ასეთი მრავალფეროვანი და ამდენი ტალანტის პატრონი იყოს ადამიანი და მართლაც, ანტონ ფურცელაძე უფრო დილეტანტია, არც ერთ დარგში არ გამოუჩენია ნამდვილი შემოქმედების ძალა".[2]

სამწუხაროდ, ასე მარტო გ. ლასხიშვილი როდი მსჯელობდა. შემთხვევითი არ იყო, რომ გამოჩენილმა ქართველმა

---

1 ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. 1, 1927 წ., გვ. 213.

2 გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1934, გვ. 87, (დაყოფა ავტორისაა—შ. ქ.)

კრიტიკოსმა კ. აბაშიძემ, რომელმაც ერთ-ერთ სტატიაში ა. ფურცელაძეს „ქართველი პისარევი“ უწოდა, თავის „ეტიუდებში“ სავსებით აუარა გვერდი მას და შეეცადა ქართული ლიტერატურის ისტორიის გარეთ დაეტოვებინა ეს ფრიად თვალსაჩინო სამოციანელი. რასაკვირველია, აქ თავი იჩინა გარკვეულმა მსოფლმხედველობამ, ერთგვარმა ნიჰილიზმმა, რასაც ა. ფურცელაძისადმი იჩენდა ზოგიერთი მისი თანამედროვე მოღვაწე.

ჩვენი ამოცანაა ობიექტურად, კონკრეტული ისტორიული პირობების გათვალისწინებით შევაფასოთ ა. ფურცელაძის მოღვაწეობა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ რა წვლილი შეიტანა მან ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, რათა სწორად წარმოვიდგინოთ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ცალკეული ეტაპები და განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვადასხვა ნაკადის ურთიერთმიმართება.

ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ა. ფურცელაძის ძებკვიდრეობის დიფერენცირებულ, დარგობრივ შესწავლას, რაც მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაეთმო სათანადო ყურადღება. ქვეყნდება მონოგრაფიები და სტატიები, რომლებიც ეძღვნება ა. ფურცელაძის არა მარტო ლიტერატურულ-ძხატვრულ ნაწარმოებებს, არამედ მის ეკონომიურ, სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ და ესთეტიკურ შეხედულებებს.

ანტონ ფურცელაძის ესთეტიკურ შეხედულებათა შესწავლაში სერიოზული წვლილი შეიტანეს პროფესორებმა ვ. კოტეტიშვილმა, მიხ. ზანდუკელმა, გ. ჯიბლაძემ, შ. რადიანმა, გ. აბზიანიძემ, დ. გამეზარდაშვილმა, ა. ნიკოლაძემ, ს. ჭილაიამ. ცალკე უნდა აღინიშნოს დოც. ვ. ვახანიას საინტერესო მონოგრაფია „ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობა“, რომელშიც მკვლევარი საკმაოდ დაწვრილებით განიხილავს მწერლის ესთეტიკურ შეხედულებებს, ფართოდ იყენებს საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ კრიტიკოსის გამოუქვყნებელ სტატიებს.

აქედან ჩანს, რომ ა. ფურცელაძის ესთეტიკური ნააზრევის შესწავლა ასე თუ ისე მკვიდრ ნიადაგზეა, რასაც, საბჭოთა როდ, ვერ ვიტყვით მისი ლიტერატურულ-კრიტიკული ძოღვაწეობის შესახებ. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიზნად დავისახეთ შეძლებისდაგვარად შეგვევსო ეს ხარვეზი, მოგვეცა ა. ფურცელაძის ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობის მარქსისტულ-ლენინური ანალიზი.

ანტონ ფურცელაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა

XIX საუკუნის სამოციანი წლები ქართული ლიტერატურული კრიტიკის აღორძინების პერიოდი იყო. თავისი ბრწყინვალე სტატიით კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზე ილია ჭავჭავაძემ გადაშალა ახალი ქართული ლიტერატურული კრიტიკის თავფურცელი. აქედან მოკიდებული, იგი დღითიდღე იზრდებოდა, ვაჟკაცდებოდა, ყოველი ღონისძიებით ხელს უწყობდა ხალხის ცხოვრებასთან მწერლობის დაკავშირებას და წარმართავდა მას რეალიზმის გზით.

ილია ჭავჭავაძის კვალდაკვალ ლიტერატურული კრიტიკის ასპარეზზე გამოდიან აკაკი და გიორგი წერეთლები, კ. ლორთქიფანიძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვები. მათ შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია ანტონ ფურცელაძეს, რომელმაც არაერთი შესანიშნავი რევოლუციურ-დემოკრატიული სტატიით გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა და თვალსაჩინო წვლილი შეიტანა მის განვითარებაში.

ქართული, რუსული და ევროპული (მსოფლიო) ლიტერატურა და მეცნიერება[1] დაედო საფუძვლად ა. ფურცელაძის მსოფლმხედველობას, რამაც განსაზღვრა მისი მჭიდრო იდეური კავშირი „თერგდალეულებთან“, რომლებიც აგრეთვე აძაგე წყაროებით საზრდოობდნენ. განსაკუთრებით ძლიერად გაინაცადა ა. ფურცელაძემ რუსი რევოლუციონერი დემოკრატების ბელინსკის, ჩერნიშევსკის, პისარევისა და სხვათა იდეურმა ზეგავლენა. ანტონის ახლო მეგობარი ცნობილი ქართველი მწერალი ს. მგალობლიშვილი ამის თაობაზე წერდა: „ჩერხიშე-

---

1 დაწვრილებით ამის შესახებ იხილეთ — ვ. ვახანია, ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობა, 1958 წ., გვ. 13-29.

ვსკი, დობროლიუბოვი, პისარევი, გერცენი, ლავროვი გატაცებით უყვარდა და აშკარად ქადაგებდა მოსწავლე ახალგაზრდობასა და მუშებში მათ აზრებსა".[2] აქ, როგორც ვხედავთ, მოხსენიებული არ არის ბელინსკი, მაგრამ ეს, ალბათ, გულმავიწყობის შედეგია. თვითონ ა. ფურცელაძე ერთ-ერთ სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავდა ბელინსკის უდიდეს იდეურ ზეგავლენას ქართველი მოწინავე ახალგაზრდობის აზროვნებაზე. „თუ იყო ვისიმე გავლენა ამ მხრივ ჩვენზე — ეს ბელიხსკისა",[3] წერდა იგი და ასეც იყო. ბელინსკი წარმოადგენდა არა მარტო ა. ფურცელაძის, მთელი პროგრესული ახალი თაობის ნამდვილ კუმირს.

ა. ფურცელაძე თავისი ეპოქის განათლების დონეზე იდგა. იგი კარგად იცნობდა არა მარტო ლიტერატურას, არამედ სოციოლოგიასაც, ისტორიასაც, ფილოსოფიასაც, მეცნიერების სხვადასხვა დარგს. სამწუხაროდ, ზოგიერთი თერგდალეული (და სხვაც) ა. ფურცელაძეს ერთგვარ პარვენიუდ სთვლიდა, არ სჯეროდა რა, რომ ადამიანს, რომელსაც უნივერსიტეტში არ უსწავლია, შეეძლო დამოუკიდებლად შეეძინა ცოდნა. სახელდობრ, ამ ურწმენობის გამოძახილად გვეჩვენება ა. ფურცელაძის სიტყვები სტატიაში „ქართული ლიტერატურა": „ჩვენ ჩვენს სტატიებში რამდენსამე მწერალს შევნიშნეთ თავის ხაკლულევანება, იმათ დიდის წყეინებით დაიწყეს ჩემზედ ყვირილი და მორყვნა: ზოგი იძახდა, რომ შურითა სწერსო, თორემ უნივერსიტეტში რომ არა ყოფილა, საიდამ რა ეცოდინებაო!".[4] რომ მართლაც ასე უყურებდნენ ა. ფურცელაძეს, ეს ჩანს თერგდალეულთა ერთ-ერთი ბელადის აკაკი წერეთლის სტატიიდანაც „სახუმარო გასართობი" (1894 წ.). მასში დიდი ქართველი პოეტი ა. ფურცელაძის შესახებ წერდა: „ჯერ კიდევ 19 წლისა იყო, რომ მხოლოდ კორპუსის (იგულისხმება ორიოლის კადეტთა კორპუსი — შ. ქ.) მოსამზადებელ კლასიდან გამოსული, ასპარეზზე გამოვიდა და ქვეყანას შოძღვრება დაუწყო. — ეგება ვინმემ იფიქროს და თქვას: მაშინ იმას რა

2 ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938 წ., გვ. 200-201.

3 „ივერია", № 202, 1894 წ.

4 ქრესტომათია „ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის", ტ. I, 1954, გვ. 353 (შემდგომ ამ კრებულს დავასახელებთ შემოკლებით: „ქრესტომათია, I").

უნდა ცოდნოდაო? და საკვირველებაც ის არის, რომ საღმრთო მადლით გამსჭვალულსა და ცისა მიერ მოვლინებულს, ყოველივე დედის მუცლიდანვე თან დაჰყვა!...“[5] აი ასე სარკასტულად დასცინოდა აკაკი ანტონ ფურცელაძეს იმის გამო, რომ სისტემატური სასკოლო განათლება არ მიუღია („ძხოლოდ კორპუსის მოსამზადებელ კლასიდან“ იყო გამოსული), ქვეყანას კი მოძღვრავდა!

საფიქრებელია, რომ სწორედ ეს გარემოება გახდა იმის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომ ა. ფურცელაძე არ აღმოჩნდა „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელთა შორის, კიდევ მეტი, თვითონ სათავეში ჩაუდგა „ცისკარს“ და 1863 წელს მძაფრი, მეტად მწვავე პოლემიკა გააჩაღა „მოამბესთან“. ჩვენი აზრით, მართალი უნდა იყოს ვ. ვახანია, როცა სატირულ ნაწარმოებზე „წაიდა ის დრო“ დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ა. ფურცელაძეს უცდია „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელი გამხდარიყო, მაგრამ ამაოდ. ამ სატირულ ნაწარმოებში არის ამის დამამტკიცებელი ასეთი საინტერესო ადგილი: ახალგაზრდა მწერალს (ე. ი: ანტონ ფურცელაძეს) „მოამბის“ ერთ-ერთ რედაქტორთან (დავით ყიფიანთან) მიაქვს თავისი ნაწარმოები და გამოთქვამს ჟურნალში თანამშრომლობის სურვილს, მაგრამ რედაქტორი უარით ისტუმრებს მას. „თქვენი რომანი, — ეუბნება იგი ახალგაზრდა მწერალს, — არ იქნება კარგი იმიტომ, რომ მომზადება არა გაქვთ. ჯერ რომ ისინი ვერ ჰსწერენ რიგიანათ ერთ უბრალო ამბავსაც, ვინც უმაღლეს სასწავლებელში არიან გაზრდილები და მოუსმენიათ სხვადასხვა გამოჩენილი პროფესორების ლექციები. თქვენ როგორ დასწერთ რიგიან რომანსა, როდესაც ქალაქს გარეთ ფეხი არ გაგიდგამთო“.[6]

ალბათ, ამითვე აიხსნება, რომ ა. ფურცელაძე თავის სტატიებში, „ქართული ლიტერატურა“, განსაკუთრებული სიმწვავით თავს ესხმის სწორედ დავით ყიფიანს და, სხვათა შორის, მხედველობაში აქვს რა ზემოთ აღწერილი ინციდენტი, წერს: „კარგი! სწორეთ, რომ მე უნივერსიტეტში არ ვი-

---

5 ა. წერეთელი, თხზ., ტ. 13, 1961, გვ. 163.

6 ვ. ვახანია, ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობა, 1958, გვ. 39-40.

ყავ. ეს დავით ყიფიანი ხომ იყო, „ოთხი შეხვედრის“ მთარგმნელი, მ. ჩ. ხომ უნივერსიტეტიდამ არის და ბევრი კიდევ სხვა ამგვარი... თუნდ ავიღოთ მაგალითისათვის „მოამბიდამვე“ „ოთხი შეხვედრა“ უნივერსიტეტში ნამყოფისა და „კონრად კიფერი“, გიმნაზიის მოწაფის ლევან ჯანდიერიშვილისა; თუ რამდენით „კონრად კიფერის“ თარგმანი სჯობიან „ოთხს შეხვედრასა“, ეს ჩვენ ყველას შეგვიძლიან თითონ გავსაჯოთ“.[7] მაშასადამე, საქმე ის კი არ არის, კაცი უნივერსიტეტში იყო თუ არა, არამედ ის, რა ნიჭი აქვს, რის მიცემა შეუძლია საზოგადოებისათვის. ჩანს, ა. ფურცელაძე ძლიერ გახაწყენებული იყო, უცოდინარობა რომ შესწამეს, და „ცისკრის“ ფურცლებიდან შეეცადა დაემტკიცებინა, სხვებზე ცუდად როდი ვერკვევი ლიტერატურის საკითხებში, სხვებზე ცუდად როდი ვიცი ბელინსკისა და სხვათა იდეებიო.

„ცისკარში“ თანამშრომლობა ა. ფურცელაძემ 1858 წელს დაიწყო. პირველად იგი აქვეყნებდა ლექსებსა და თარგმახებს. კერძოდ, მან ქართულად თარგმნა ნეკრასოვის, კრილოვის, ბარბიეს, ბერანჟეს, ბაირონის, ჰაინესა და სხვათა ნაწარმოებები. ლიტერატურულ კრიტიკას კი ხელი მოჰკიდა შედარებით გვიან, მას შემდეგ, რაც სათავეში ჩაუდგა „ცისკრის“ კრიტიკულ განყოფილებას და გახდა ჟურნალის ფაქტიური რედაქტორი. ამ დროს, ე. ი. 1863 წელს, გამოაქვეყნა მან თავისი ცნობილი სტატიები „ქართული ლიტერატურა“ (ერთი მათგანი დაიბეჭდა „ცისკრის“ მარტის, ხოლო მეორე — ივლისის ნომერში) და „სურამის ციხე დ. ჭონქაძისა“.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში დამკვიდრებულია აზრი, რომ ა. ფურცელაძის სტატიები „ქართული ლიტერატურა“ მიმართული იყო ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ წინააღმდეგ და ასეც არის. მაგრამ ზოგჯერ რატომღაც ივიწყებენ, რომ ეს სტატიები შეიცავენ აგრეთვე ძველი „ცისკრის“ მკაცრ კრიტიკასაც, ე. ი. მათში ავტორი ერთდროულად ო რ ფ რ ო ნ ტ ზ ე იბრძვის. ვფიქრობთ, „ქართული ლიტერატურის“ ამ თავისებურების უგულებელყოფით აიხსნება აზრთა საკმაოდ მკვეთრი სხვადასხვაობა, რაც მკვლევართა შორის შე-

7 ჭრესტომათია, 1, გვ. 353.

ინიშნება „ცისკრისა“ და „საქართველოს მოამბის“ პოლემიკის შეფასებაში. ზოგიერთი მკვლევარი ცოდვად უთვლის ა. ფურცელაძეს, რომ იგი ძველ „ცისკარში“ დარჩა და „ძაძების“ ორგანოდან ბრძოლა გაუმართა ახალ ჟურნალს, „შვილების“ ორგანოს. პირველი, ვინც ბრალი დასდო ა. ფურცელაძეს ამ „მომაკვდინებელ ცოდვაში“ ნიკო ნიკოლაძე იყო. სტატიაში „ქართული მწერლობა“, რომელიც 1872 წელს გამოაქვეყნა, ნიკო ნიკოლაძე წერდა, რომ 1863 წელს, როცა დაიწყო „საქართველოს მოამბის“ გამოცემა, ატყდა სასტიკი ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. ამ ბრძოლაში, მისი სიტყვით, „რაც კი რამე იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნეთ ეკავა ილ. ჭავჭავაძეს. ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეაფარა „ცისკარში“ და აძხაირათ ამ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბესა“ და „ცისკარს“ შუა სჩანდა ის ნამდვილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდუღდა ძველსა და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში“.[8]

ეს მოსაზრება შემდეგ თითქმის სიტყვა-სიტყვით გაიმეორა არჩ. ჯორჯაძემ და მას სხვა მიმდევრებიც გაუჩნდნენ. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ნიკო ნიკოლაძე და მისი თვალსაზრისის მომხრენი ნებით თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად ღალატობენ ფაქტებს. „ცისკრისა“ და „საქართველოს მოამბის“ პოლემიკა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ძველისა და ახლის, „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლა. „ცისკარში“ იმ დროს, როცა პოლემიკა წარმრებდა „საქართველოს მოამბესთან“, არ თანამშრომლობდა „მაძების“ არც ერთი წარმომადგენელი, არ დაბეჭდილა „მამების“ იდეების გამომხატველი არც ერთი სტატია. ასე, რომ არ შეიძლება ითქვას, თითქოს „ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეაფარა „ცისკარში“. ვფიქრობთ, სავსებით მართალი იყო ა. ფურცელაძე, როცა არჩილ ჯორჯაძის პასუხად წერდა: „თქვენ ბრძანებდით, რომ ცისკარში იცავდნენ ძველს წაძხდარ-

---

8 ჭრესტომათია „ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის“, ტ. II, 1956, გვ. 178. (შემდგომ ამ კრებულს დავასახელებთ შემოკლებით. „ჭრესტომათია, II“).

აზრებსა, მე გთხოვეთ გეჩვენებინათ, სად რა წერილებში, როდის და რა ნომერში „ცისკრისა“ იმ დროს, როდესაც მე ვმართავდი ამ ჟურნალს, იცავდა ვინმე რამე წამხდარს ძველს აზრებს“.[9] არჩილ ჯორჯაძეს არ დაუსახელებია ასეთი სტატიები და ვერც დაასახელებდა. ასევე მართალი იყო ა. ფურცელაძე, როცა არჩილ ჯორჯაძეს ეკითხებოდა: „ახლა მაჩვენონ, რომელი იყო ჩემს „ცისკარში“ თანამშრომლობის დროს ძველის მქადაგებელი: აკაკი? დ. ბაქრაძე? არდაზიანი? ვასილ მაჩაბელი? მიხეილ (ზაალის ძე) ყიფიანი? ან სხვა ვინმე?“[10] მაშასადამე, სწორი არ არის არც ის დებულება, რომ თითქოს „ძველმა კაცობამ თავი შეაფარა „ცისკარში“.

საგულისხმოა, რომ „ცისკრის“ მოულოდნელი ფერისცვალება თავის დროზე შენიშნა გ. წერეთელმა, მაგრამ საეჭვოდ მიიჩნია იგი, ფიქრობდა რა, რომ „ცისკრის“ საქციელში რაღაც „შინაგანი ეშმაკობა“ იყო, რაღაც ფარსევლობა. გ. წერეთელს არ სჯეროდა, რომ ჟურნალი, რომელიც შვიდი წლის მანძილზე კონსერვატორულ პრინციპებს იცავდა, ერთბაშად შეძლებდა გადახალისებას, გაიზიარებდა ახალ, პროგრესულ იდეებს. „კაცი, რომელიც თან შეზრდია ერთგვარ სმენას და შეხედულობას ცხოვრებაზედ, — წერდა გ. წერეთელი, — რომელსაც გამრუშვია თავისებური სჯა თითოეულ საგანზედ და ფაქტებზედ, თუ კი იმას რამე აზრი აღუზრდია თავში, ერთობ ძნელად შეიძლება გადახდეს თავის გზას, ნამეტურ ასე უცებ“.[11] დასასრულ იგი შენიშნავდა, რომ „საქმე უნდა და არა სიტყვაო“, რითაც ხაზს უსვამდა „ცისკრის“ მოჩვენებით, სიტყვიერ ცვლილებას — ჟურნალი მისი ვარაუდით, კანს იცვლიდა, არსს კი არა. გ. წერეთლის ეს ვარაუდი შემდგომ არჩილ ჯორჯაძემ აიტაცა, როგორც ფაქტი, და განაცხადა: „ცისკრის“ მთელი სახეცვლილება იმით ამოიწურებოდა, რომ ყურთმაჯებიანი კაბა გაიხადა და ევროპული პიჯაკი ჩაიცვაო. განსვენებულმა პროფ. ვ. კოტეტიშვილმა გადაჭრით უარყო ასეთი შეხედულება და იგი ძცდა-

---

9 „ვინ არის მოღალატე? ვინ არის ზიზღის ღირსი?“, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, 5915/6.

10 „არჩილ ჯორჯაძის ფანდები“, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 5914/6.

11 ქრესტომათია, II, გვ. 334-335 (ხაზგასმა ჩემია — შ. ჯ.).

რად, გაუმართლებლად მიიჩნია: „ჩვენ, — წერდა პროფ. ვ. კოტეტიშვილი, — არ ვიზიარებთ არჩ. ჯორჯაძის აზრს, რომ „ცისკარმა“ გარეგნული ტრანსფორმაცია მოახდინა და არსება ძველი დარჩაო. არა, „ცისკარი“ ძველი პოზიციებიდან დაიძრა ახალ ქროლვათა გავლენით, და თუმც ეს ძვრა არ იყო რადიკალური, მაგრამ მნიშვნელოვანი მაინც იყო“.[12]

ერთი სიტყვით, „ცისკარი 1863 წელსის აღარ იყო, რაც წინათ. მან მკვეთრად შეიცვალა პოზიცია და „საქართველოს მოამბის“ პროგრესულ იდეებს აგრეთვე პროგრესული იდეები შეაგება, რომელთაგან ზოგიერთი უკიდურესობამდეც კი მიიყვანა. ასე, მაგალითად, ძველი, დახავსებული თეორიის „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ნაცვლად „ცისკარმა“ ისევე, როგორც „საქართველოს მოამბემ“, უტილიტარიზმის ცნობილი პრინციპი წამოაყენა და გაიზიარა, მაგრამ იგი პისარევისეულ ნიჰილიზმად აქცია. ეს ნიჰილიზმი განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა ა. ფურცელაძის სტატიებში „ქართული ლიტერატურა“, რომლებშიც კრიტიკოსმა ხელაღებით დაიწუნა „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებული ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, გ. ერისთავისა და სხვათა ნაწარმოებები. მაგრამ ა. ფურცელაძემ ესეც არ იკმარა და არათუ ცალკეული თხზულებები, მიმართულებაც არ მოუწონა „საქართველოს მოამბეს“.

რა ამოცანები უნდა შეესრულებინა, ა. ფურცელაძის აზრით, ქართულ მოწინავე ჟურნალს?

„ყოველი კეთილი სინიდისიანი ჟურნალი,— წერდა იგი,— უნდა ცდილობდეს, რომ ხალხს აუხსნას გონება, გამოიყვახოს თავის უშვერის მდგომარეობიდამ და უჩვენოს ჰეშმარიტება და გზა ჰეშმარიტებისა“.[13]

როგორღა ასრულებდა ამ საპატიო და ფრიად პასუხსაგებ მოვალეობას „ცისკარი“?

სავსებით მართალი იყო პროფ. ვ. კოტეტიშვილი, როცა წერდა: „თავისი სალიტერატურო კარიერა (უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, „თავისი კარიერა ლიტერატურული კრიტი-

12 ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.). 1959, გვ. 407-408.

13 ქრესტომათია, 1, გვ. 367.

კოსისა“ — შ. ქ.) ანტონ ფურცელაძემ „ცისკრის“ ფურცლებზე დაიწყო ამავე ჟურნალის წარსულის უარყოფით“.[14] ძართლაც, აი რას წერდა ა. ფურცელაძე პირველსავე სერიოზულ კრიტიკულ სტატიაში „სურამის ციხე დ. ჯონქაძისა“, „დაარსებიდამ „ცისკრისა“, ამ დრომდინ, ეს ჟურნალი არ შეჰხებია არც ერთს იმისთანა საგანსა, რომელსაც მოითხოვდა დროების საჭიროება, და რომელიც აღმოსჩნდებოდა თითონ ხალხის მდგომარეობაში. ბურანი აპატიისა ეხვია ამ ჟურნალს შესახებ ზემოთხსენებულის საგნებისა და ჩუმათ თითქო ამბობდა: „ეგ რა ჩემი ხელობააო!“[15] უფრო გვიან ა. ფურცელაძემ კონკრეტულად მიუთითა, თუ რაში გამოიხატა „ცისკრის“ განდგომა ხალხის ცხოვრებიდან, რით იყო იგი გატაცებული. „ცისკარი“, —წერდა კრიტიკოსი, — თავის დღეში ვერ მორჩენილა ვარდბულბულების ყეფასა. მზისა და მთვარის ქებასა, შავთვალ ქარაბა ქალების შემკობასა. მთელი „ცისკრის“ ნომრები იყვნენ სავსე ქალებისა და წყალობის მომცემელის ქებითა... რა გინდა და რა გვარი ქება და შემკობა რისა და რა ჯურის ხალხისა, „ცისკარში“ არ იყო; და საზოგადო საჭიროებაზედ, საზოგადო სარგებლობაზედ ძვირათ თუ რამე წამოსცდებოდა ხოლმე ამ ჟურნალსა. თითქო ეს ამისი ხელობა არ არისო“.[16] ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ „ცისკრის“ ასეთ შეფასებაში თერგდალეულების ხმა ისმის, „შვილების“ პოზიცია ჩანს.

მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ა. ფურცელაძეს არც „საქართველოს მოამბე“ მოსწონდა, თუმცა პირველ სტატიაში „ქართული ლიტერატურა“ ერთგვარად თავს იკავებდა ჟურნალის მიმართულებისა და ძალღონის საერთო შეფასებისაგან. „საზოგადოდ მოამბის ღირსებასა და ნაკლებობაზედ, — წერდა იგი, — ვერაფერს ვიტყვით მაინც კიდევ ჯერობით, რადგანაც ორი წიგნი ვერ გამოსახავს ღონესა და ძალას ამ ჟურნალისა და ამის მშრომელებისას“.[17] ეს კი არის—თუმცა ა. ფურცელაძეს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ „ჟურნალი არის გამოცე-

14 ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), 1959, გვ. 447.
15 ქრესტომათია, I, გვ. 287.
16 ქრესტომათია, II, გე. 14 (ხაზგასმა ჩემია — შ. ქ.).
17 ქრესტომათია, I, გვ. 303.

მული კეთილის განზრახვით", მაინც საჭიროდ მიიჩნია შეენიშნა: „მიჰყევებათ ამ სურვილთან, ამის მოთავეებს ენერგიაცა თუ არა",[18] ამაზე ვერაფერს ვიტყვიო. მეორე სტატიაში „ქართული ლიტერატურა" ა. ფურცელაძემ უკვე მკვეთრად შეიცვალა ტონი და პოზიცია. იგი აცხადებდა, რომ „თუმცა „სოვრემენნიკის" ფერი კაბა ჩაიცვა", „მოამბეს" დაეკარგა გზა".[19]

მაინც რა უნდა გაეკეთებინა „საქართველოს მოამბეს", რა იმედი არ გაუმართლა მკითხველ საზოგადოებას. ჟურნალმა, ა. ფურცელაძის აზრით?

„გვეგონა შეუდგებოდა ხალხის ნაკლებულების გამოკვლევასა და იმის მიზეზების ჩვენებას, — წერდა ა. ფურცელაძე „საქართველოს მოამბეზე", — გვეგონა, რომ ის გაბედვით გადაღობებოდა ყოველს უგვანებასა, როგორც შეჰფერის ყმაწვილ თაობასა, მაგრამ, ჩემო მკითხველო, ახლა, ჩვენდა სამწუხაროდ, ამას ვეღარ გეტყვით".[20] თავისთავად ეს საყვედური არცთუ უსაფუძვლო იყო, ჟურნალის ამ ნაკლს თვით ილია ჭავჭავაძეც აღიარებდა და სწორედ ამის გამო შეწყვიტა კიდევაც მისი გამოცემა, მაგრამ უნდა განვაცხადოთ, რომ ა. ფურცელაძის საყვედური ანტიისტორიული იყო და მას ვერ გავიზიარებთ. ვერ გავიზიარებთ იმიტომ, რომ მკაცრმა საცენზურო პირობებმა შებოჭა „საქართველოს მოამბე", მას წაართვეს პოლიტიკურ პრობლემებზე მსჯელობის უფლება, არავითარი გასაქანი არ მისცეს და, ბოლოს და ბოლოს, იძულებული გახადეს არსებობაც შეეწყვიტა. „დრონი მეფობენო", სინანულით განაცხადა ილია ჭავჭავაძემ და ამით ახსნა ის ფაქტი, რომ „საქართველოს მოამბის" რედაქციამ ბოლომდე ვერ შეუსრულა მკითხველს დაპირება, ბოლომდე ვერ განახორციელა დასახული ფართო სამოქმედო პროგრამა. ა. ფურცელაძემ კი, თითქოს საქართველოში არ ცხოვრობდა და საგამომცემლო მდგომარეობას არ იცნობდა, „საქართველოს მოამბეს" შეუძლებელი მოსთხოვა.

ა. ფურცელაძის საყვედურის უნიადაგობა კიდევ უფრო ცხადი გახდება, თუ ასეთ კითხვას დავსვამთ: თუ კი იმ დროს

---

18 იქვე.
19 იქვე, გვ. 355.
20 იქვე.

ქართულ ჟურნალს შესაძლებლობა ჰქონდა გამოერკვია ხალხის უბედურების მიზეზი და გაბედვით გადაღობებოდა „ყოველს უგვანებასა“, რატომ „ცისკარში“ არ გააკეთა ეს, რატომ მიანება თავი ა. ფურცელაძემ მის ფაქტიურ რედაქტორობას და უარი თქვა ჟურნალის თანამშრომლობაზე? საქმე ის იყო, რომ „ცისკარსაც“ ისევე ბოჭავდა საცენზურო პირობები, როგორც „საქართველოს მოამბეს“, და, რაც არ შეეძლო ერთს, არ შეეძლო არც მეორეს. სამართლიანად წერდა ამის თაობაზე პროფ. ს. ხუნდაძე: თუმცა „ჟურნალში (ე. ი. „ცისკარში“ — შ. ქ.) საგრძნობლად შეიტანა ახალი იდეები“, დაგმო ძველი და ახალი ცხოვრებისაკენ მოუწოდა საზოგადოებას, „რასაკვირველია, „ცისკრის“ გარდაქმნას ანტონ ფურცელაძე ვერ შესძლებდა და იგი იძულებული შეიქმნა თავი დაენებებია მისთვის“.[21]

„ცისკარ“-„საქართველოს მოამბის“ პოლემიკის თავისებურება, მაშასადამე, ის იყო, რომ ორივე რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს იცავდა, თუმცა არც ერთს არ ჰქონდა საშუალება ბოლომდე შეესრულებინა დასახული პროგრამა. ასეთ ვითარებაში როგორღა აეხსნათ პოლემიკის გენეზისი, სად ვეძიოთ მისი მიზეზი?

პროფ. მიხ. ზანდუკელის აზრით, „ანტ. ფურცელაძე „ცისკრიდან“ თუ ებრძვის თერგდალეულთ, ებრძვის ან პირადი შეურიგებლობის გამო, ან უფრო მარცხენა პოზიციებიდან“.[22] ვფიქრობთ, რომ ეს დებულება ზუსტად გამოხატავს საქმის ვითარებას. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ა. ფურცელაძეს ჰქონდა პირადი განაწყენების საფუძველი, რაც უკუფენილ იქნა კიდევაც მის ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებში. ასევე უდავოა ზოგიერთი პრინციპული ხასიათის სხვაობაც თერგდალეულებსა და ა .ფურცელაძეს შორის. პროფ. ვ. კოტეტიშვილი ცდებოდა, როცა ყველაფერი პირად ბრაზსა და „ტოხის საკითხებამდე“ დაჰყავდა. „უთანხმოება, არსებული ანტონ ფურცელაძესა და იმდროინდელ ჯგუფთა შორის, — წერდა

---

21 გ. წერეთელი, თხზ., ტ. I, 1931, რედაქტორის (პროფ. ს. ხუნდაძის) შენიშვნები, გვ. 421.

22 მ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. III, 1955, გვ. 265.

იგი, — არ იყო პრინციპული ხასიათის, თორემ დღესაც შეგვეძლებოდა მისი დანახვა".[23] არა, ასე არ იყო, თვითონ პროფ. ვ. კოტეტიშვილი მშვენივრად ხედავდა, რომ ა. ფურცელაძის შეხედულებანი ცხოვრების მთელ რიგ მოვლენებზე განსხვავდებოდა თერგდალეულთა და სხვა იმდროინდელი ჯგუფების შეხედულებებისაგან. თუნდაც მისი ლიტერატურული ნიჰილიზმი, მკვლევარის თქმით, იმას მოასწავებდა, რომ ჩვენში „აზროვნების დიფერენციაცია უკვე დაწყებული იყო",[24] რომ „ანტონ ფურცელაძის აზროვნება აძ ძხრივ განირჩევა „საქართველოს მოამბე"-„დროება"-„კრებულის" აზროვნებისაგან",[25] რომ „არის რაღაც ნიუანსები, რომელნიც ცალკე აყენებენ და დისტანციას ქმნიან".[26] როგორც ვხედავთ, ყოფილა „რაღაც ნიუანსები", რომლებიც ა. ფურცელაძეს, როგორც მოაზროვნეს, ცალკე ადგილს ძიუჩენენ და „დისტანციას ქმნიან". ასე რომ არ იყოს, მისი როლი ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიაში სრულიად უმნიშვნელო იქნებოდა და ვერც პროფ. ვ. კოკეტიშვილი იტყოდა, ა. ფურცელაძე „ჩვენში ერთგვარად დაძოუკიდებელი მოაზროვნეა და, ქართული კრიტიკის ისტორიაში, ძას საკუთარი ადგილი აქვსო".[27]

დასასრულ საინტერესოა გაირკვეს საკითხი: ძართლაც „მომაკვდინებელი ცოდვა" ჩაიდინა ა. ფურცელაძემ, როცა „ცისკარი" განაახლა, გადაახალისა და პოლემიკა გაუძართა „საქართველოს მოამბეს", თუ ამ გადახალისებასა და პოლემიკას ჰქონდა რაიმე დადებითი მნიშვნელობა?

როგორც დავინახეთ, ნიკო ნიკოლაძე ა. ფურცელაძის საქციელს სთვლიდა ღალატად, მტრის ხელის შეწყობად. ძისი სიტყვით, ა. ფურცელაძე „მტერს გვერდით ამოუდგა და ხელი გაუწყო, წაეხმარა, გზა აჩვენა"...[28] თანამედროვე მკვლევარ-

---

23 ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1959, გვ. 446.
24 იქვე, გვ. 417.
25 იქვე, (ხაზგასმა ჩემია — შ. ქ.).
26 იქვე.
27 იქვე, გვ. 418.
28 კრესტომათია, II, გვ. 178-179.

თაგან ნიკო ნიკოლაძის ეს შეხედულება მთლიანად გაიზიარა პროფ. ლ. გორგილაძემ. „მიუხედავად იმისა, რომ ან. ფურცელაძე მემარცხენე, დემოკრატიული შეხედულებების მატარებელი იყო, თერგდალეულთა წინააღმდეგ მისი ბრძოლა რეაქციული ბანაკის ლაშქრობას შეუერთდა და ობიექტურად უარყოფითი როლი შეასრულა. ეს გარემოება თავის დროზე სწორად შეამჩნია და აღნიშნა ნ. ნიკოლაძემ და ამის გამო ან. ფურცელაძეს სამართლიანად უსაყვედურა კიდეც".[29] ჩვენ უფრო მისაღებად გვეჩვენება პროფ. ვ. კოტეტიშვილის დებულება. რომ „ცისკრის" ტრანსფორმაცია წარმოადგენდა „ქართული პრესის წინ წაწევას"[30] და, მაშასადამე, მას გარკვეული დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ ანტონ ფურცელაძის მოღვაწეობას „ცისკარში" არ ჰქონდა პროგრესული ხასიათი, მიმართული არ ყოფილა „მამების" იდეურ-მხატერული პლატფორმის წინააღმდეგ და „მისი ბრძოლა რეაქციული ბანაკის ლაშქრობას შეუერთდა", საკითხავია — რატომღა აიძულეს კრიტიკოსი დაეტოვებინა „ცისკარი" როგორც ფაქტიურ რედაქტორსაც და როგორც რიგით თანამშრომელსაც? ჩახს, მის საქმიანობაში იყო რაღაც ისეთი, რაც არ მოსწონდათ „მამებს" და რაც დადებითად უნდა მივიჩნიოთ. გაუგებარია, რატომ უნდა ჩავუთვალოთ ა. ფურცელაძეს ახალი თაობის ღალატად ის, რომ „მამებს" ხელიდან გამოსტაცა, დროებით მაინც, მათი ერთადერთი ორგანო და წარმართა იგი თვით „მამების" წინააღმდეგ, რითაც ხელი შეუწყო „საქართველოს მოამბეს" კონსერვატორული ლიტერატურის სამუდამოდ დასამარებაში? ხომ ფაქტია, რომ 1863 წლის შემდეგ „მამებმა" საბოლოოდ დაკარგეს ყოველგვარი გავლენა ლიტერატურაზე და, „ცისკარმა" თუ კიდევ რამდენიმე წელს იარსება, იარსება მხოლოდ როგორც დავრდომილმა, აგონიით შეპყრობილმა მომაკვდავმა? განა ამ საქმეში არ იყო ა. ფურცელაძის, თუნდაც მცირე, წვლილი?

„საქართველოს მოამბის" გამოცემის შეწყვეტის შემდეგ,

---

29. ლ. გორგილაძე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1961, გვ. 57.

30 ვ. კოტეტიშვილი, ქარფულ ლიტერატურის ისტორია, 1959, გვ. 408.

როგორც ცნობილია, დარჩა მარტო ერთი ქართული ჟურნალი — „ცისკარი“, რომელშიც ა. ფურცელაძეს უკვე აღარ შეეძლო თანამშრომლობა. ამიტომ კრიტიკოსმა ადგილობრივ რუსულ პრესას მიმართა. კერძოდ, „ლიტერატურნი ლისტოკ'ძი“, სხვა წერილებთან ერთად, მან გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი ლიტერატურულ-კრიტიკული სტატია „კაცია, ადამიანი“ — მოთხრობა მ. ჯიმშერიძისა“. ეს სტატია, რომელშიც ა. ფურცელაძემ პირველმა მოგვცა ილია ჭავჭავაძის (მ. ჯიმ'შერიძის) მოთხრობის ღრმა კრიტიკული ანალიზი, ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურული კრიტიკის მხი'შვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ მოკლებული არ არის აშკარა ნიჰილისტურ შეცდომებს.

1866 წელს გ. წერეთლის რედაქტორობით გამოვიდა ყოველკვირეული გაზეთი „დროება“, რომელმაც განაგრძო „საქართველოს მოამბის“ საუკეთესო ტრადიციები. რამდენადაც ა. ფურცელაძე მისი ცნობილი გალაშქრების შემდეგ „საქართველოს მოამბის“ წინააღმდეგ იდიოზურ პიროვნებას წარმოადგენდა გ. წერეთლისათვის, ცხადია, მას გაუჭირდებოდა ამ ორგანოში დამკვიდრება. მაგრამ იგი მაინც თანამ'შრომლობდა „დროებაში“ — ძირითადად აწვდიდა მას კორესპონდენციებს ქართლიდან და სამეგრელოდან. სამეგრელოში იგი აღმოჩნდა იმის შედეგად, რომ იმხანად კერძო ვექილობის უფლება მოიპოვა და სამუშაოდ გადაგიდა ზუგდიდში, სადაც 1869 წლამდე დარჩა. კორესპონდენტის როლი, ცხადია, ა. ფურცელაძეს არ აკმაყოფილებდა, მას უნდოდა აუდიტორია როგორც მწერალს, კრიტიკოსსა და პუბლიცისტს. ამიტომ 1866 წლის მიწურულს მან მიიღო ი. კერესელიძის წინადადება, ხელახლა სათავეში ჩასდგომოდა „ცისკარს“. ეს მოღვაწეობის ფართო ასპარეზს უსახავდა ა. ფურცელაძეს და ისიც ჩვეული ეხერგით შეუდგა ჟურნალის გარდაქმნას, მოიწვია ახალი თანამ'შრომლებიც, მაგრამ მალე იძულებული გახდა მეორედ და საბოლოოდ ჩამოშორებოდა „ცისკარს“. მიუხედავად ამ. ჟურნალში მოღვაწეობის ძლიერ ხანმოკლე პერიოდისა, რაღაც საძიოდე თვის მანძილზე მან მაინც მოასწრო გამოექვეყნებინა რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები, აგრეთვე მეტად საინტერესო სტატია „ჩვენი ლიტერატურისა და ბეჭდვის შესახებ“.

მასში კრიტიკოსმა მიმოიხილა ქართული ლიტერატურის იმდროინდელი მდგომარეობა და განავითარა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები.

მას შემდეგ, რაც „ცისკარს“ ჩამოშორდა, ა. ფურცელაძე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. გ. წერეთელი არ სცნობდა მისი ნაწერების ლიტერატურულ ღირსებას და არ უბეჭდავდა მხატვრულ ნაწარმოებებს. მაშინ ა. ფურცელაძემ ერთგვარ ხერხს მიმართა — ამოეფარა ზურაბ მოენიძის ფსევდონიმს და ამ ფსევდონიმით „დროებაში“ ზედიზედ გამოაქვეყნა ლექსები და სხვა ნაწარმოებები, მათ შორის ვრცელი ლიტერატურულ-კრიტიკული სტატია „შეუსრულებელი სურათი“. თავისთავად ცხადია, „დროების“ რედაქციამ არ იცოდა, თუ ზურაბ მოენიძე იგივე ანტონ ფურცელაძე იყო და, როცა ეს საიდუმლო ა. ფურცელაძემ საჯაროდ გაამხილა, ამას მოჰყვა ლიტერატურული სკანდალი. სტატიაში „კრებულ-დროებას“ ა. ფურცელაძემ აშკარად დასცინა გ. წერეთელს იმისათვის, რომ ვერ მიხვდა, რა მახე დაუგეს, როგორ მოატყუეს. იმ დროს, როდესაც რედაქტორ გ. წერეთელს ეჭვიც კი არ შეპარვია მოენიძის პრიზოვნების რეალობაში და აზრადაც არ მოსვლია მის ნაწერებში ეცნო ა. ფურცელაძე, „უფალმა აკაკი წერეთელმა, — წერდა კრიტიკოსი, — რომელსაც „დროებაც“ და „კრებულიც“ გულში ირონიით ეძახიან „ენა მახვილს“, პირველსავე წაკითხვაზე იცნო, რომ მოენიძის ნაწერები იყო ჩემი, და გამოდგა, რომ ეს „ენა მახვილი“ ყოფილა გონებითაც მახვილი გიორგი წერეთელზე“.[31]

„შეუსრულებელ სურათში“ ა. ფურცელაძემ განიხილა თავისივე მოთხრობა „სამის თავგადასავალი“ და განავითარა ნ. გ. ჩერნიშევსკის „გონივრული ეგოიზმის“ რევოლუციურ-დემოკრატიული იდეა, ხალხის უანგარო სამსახურის, როგორც ადამიანის უმაღლესი დანიშნულების, იდეა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს სტატია წარმოადგენს ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის ძვირფას მონაპოვარს და გ. წერეთელი არ შემცდარა, როცა მას მარცალი შეფასება მისცა (არ იცოდა რა, თუ ის ა. ფურცელაძეს ეკუთვნოდა). იგი საგულისხმოა იმ მხრივაც,

31 ქრესტომათია, II, გვ. 144.

რომ ამთავრებს ა. ფურცელაძის ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობის პირველ და ყველაზე ნაყოფიერ პერიოდს.

მცირე მნიშვნელობა არა აქვს „შეუსრულებელ სურათს“ აგრეთვე იმ მიზეზების გასარკვევად, თუ რატომ შეიცვალა „ცისკარი“ 1863 და 1867 წლებში, რატომ მიანდო ამ ხანებში ჟურნალის რედაქციამ მეთაურობა სახელდობრ ა. ფურცელაძეს. კრიტიკოსის სიტყვით, აქ გადამწყვეტი როლი შეასრულა კონკურენციამ. „აგერ რაც ხანია მე „ცისკარს“ ვკითხულობ და ის თავ შედებული არ მინახავს, მინამ კონკურენტი არ გასჩენია, — წერდა ა. ფურცელაძე. — და როდესაც კი გაიგებს, რომ კონკურენტი გამოჩნდაო, მაშინ, ღვთის წყალობა გაქვს, ის შეუდგება ხოლმე ფაცი-ფუცსა! ვის არ ახსოვს ის წელიწადი, როდესაც გამოვიდა განცხადება, რომ უნდა ახალი ჟურხალი „საქართველოს მოამბე“ გამოვიდესო! შეუდგა შენს „ცისკარს“ თავში ცემა და ვინ გინდა თავის თანამშრომელათ და რედაქტორათ არ გამოაცხადა! ერთის შაგირათ, — რომ ამაოდ გამოაცხადა... თუმცა რაღაც ღვთის მადლით, „ცისკარი“ ერთს ორს თვეს ცოტა არ იყო წელში გაიმართა, მაგრამ მაინც „ცისკრის“ გამბედაობამ დიდ ხანს არ გასტანა. მოკლეს ხანებში, არ ვიცით ინსტიქტით იგრძნა იმანა, თუ სხვარამე სასწაულით გაიგო, რომ მერმის კონკურენტი აღარ მეყოლებაო, თუ როგორი იყო იმისი საქმე, იმან თავისებურათ გაიქნია ხელი, შემოსძახა ძილის პირები და მიეცა ტკბილს ბურანს კნეინა ბარბარე ჯორჯაძის დრამებისა და კომედიებისა და რჩეულოვის ორიგინალურის და თარგმანი რომანების ხმებზედ. მოისპო „საქართველოს მოამბე“ და მიმკვიდა თავისებურათ „ცისკარიცა“; ბოლოს იქამდინ მიაღწია იმ ჟურნალმა, რომ აუშვა სიმძორის სუნი და ყველას ეგონა: ან ეხლა დალევს სულსა ან ეხლაო; მაგრამ აკი გატყვრა საიდამღაცა გაზეთი „დროება“ (ეტყობა, „ცისკრის“ გაუგებრივ, რომ „ცისკარი“ მხოლოთ მეორე წელიწადს შეუდგა თავდარიგსა). აქ შეუდგა კიდევ „ცისკარს“ ფაცა-ფუცი და 1863 წელივით ახლაც „ცისკარში“ გამოვიდა ისევ მ რ ა ვ ა ლ გ ვ ა რ ო ვ ა ნ ი ფურცელაძე, თავისის მრავალ სტატიებით (თარგმანი გინდა ის არის, მოთხრობა — ის არის, პუბლიცისტური სტატია — კიდევ

ისაა), მხოლოდ გვარს აღარ იცვლის ჯერობითა. ვნახოთ ახლა, როგორ ინამუსებს „ცისკარი“: გაიტანს ბოლომდინ თავსა, თუ პატარას ხანს უკან ისევ შემოსძახებს თავის ნანასა!“.[32] ჩვენ უკვე ვიცით, რომ „ცისკარმა“ ამჯობინა გამოთხოვებოდა ა. ფურცელაძეს, პროგრესულ მიმართულებას, „კვლავ თავისებურათ გაიქნია ხელი“ და „შემოსძახა ძილის პირები“. ამას მოჰყვა კიდევაც ლოგიკური შედეგი — ბოლოს და ბოლოს, „ცისკარმა“ ვერ გაუძლო ახალი თაობის ბეჭდვითი ორგანოების შეტევას და არსებობა შეწყვიტა.

ერთი შეხედვით, ა. ფურცელაძე მარტო მოვლენის ზედაპირს ხედავს, მხოლოდ კონკურენციით, მეტოქეთა გამოჩენით ხსნის „ცისკრის“ მეტამორფოზებს, მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით კრიტიკოსის მსჯელობას, მასში უფრო ღრმა აზრი გამოჩნდება. ხომ ძლიერ სიმპტომატურია ის ფაქტი, რომ ყოველთვის, როცა კონკურენტი გამოუჩნდებოდა, იგი იძულებული იყო უკუეგდო არა მარტო ძველი სამოსელი, არამედ დახავსებული იდეებიც, რომლებსაც წლების მანძილზე იცავდა. რატომ ხდებოდა ასე? ჩანს, საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ძვრა მომხდარა და ძველი, თარგამოსის დროინდელი იდეებით უკვე აღარ შეიძლებოდა ცხოვრება. ამდენად, მართებულია ის აზრი, რომ „ცისკრის“ ტრანსფორმაციები იყო ახალ დროებათა ქროლვის შედეგი, მათში გამოხატულება პოვა ახლის, პროგრესულის გამარჯვებამ ძველსა და დრომოჭმულზე.

1869 წელს ა. ფურცელაძე კვლავ თბილისშია და ხდება სამეცნიერო-სალიტერატურო ჟურნალის „მნათობი“ აქტიური თანამშრომელი, მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი (ოფიციალური რედაქტორი იყო ნ. ავალიშვილი, რომელთანაც ა. ფურცელაძეს მცირე პოლემიკა ჰქონდა 1867 წელს). „მნათობის“ გამოსვლა, როგორც ცნობილია, დაემთხვა საქართველოში ნაროდნიკული მოძრაობის აღმავლობას და ფრიად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში როგორც ნაროდნიკობის რუპორმა. განიცადა რა ამ პერიოდში რუსული ნაროდნიკული აზროვნებისა და ევროპული უტოპიური სოციალიზმის ძლიერი გავლენა, ა. ფურცელაძემ ჟურნალის ფურცლებზე, გარდა მხატვრული ნაწარმოებებისა, გამოაქვეყნა რამდენიმე მეტად საინ-

32 ქრესტომათია, II, გვ. 24-25.

ტერესო და საგულისხმო პუბლიცისტური სტატია, რომელთაგან განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია „ჩვენი სალტოლველო“. სამწუხაროდ, ასეთი დიდი მნიშვნელობისა არ ყოფილან „მნათობში“ გამოქვეყნებული ა. ფურცელაძის ლიტერატურულ-კრიტიკული, უმთავრესად პოლემიკური სტატიები: „საწყალი კუდაბზიკა“, „კრებულ-დროებას“, „ათი მტერს, ერთი მოყვარეს“ და სხვ. მართალია, მათში კრიტიკოსი კვლავ იცავს რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს და ზოგიერთ ძლიერ საინტერესო მოსაზრებასაც გამოთქვამს, მაგრამ მის პოლემიკას ნიკო ნიკოლაძესთან, გიორგი წერეთელთან, სერგეი მესხთან უფრო პირადული ხასიათი ჰქონდა, ვიდრე ღრმად პრინციპული. ამაში ბრალს, რა თქმა უნდა, მარტო ა. ფურცელაძეს ვერ დავდებთ. იგი თანაბრად უნდა გაინაწილონ მისმა პოლემისტებმაც, რომლებმაც აგრეთვე ვერ დაითრგუნეს პირადი ანტიპათია და ხელაღებით უარყვეს ა. ფურცელაძის ყოველგვარი ღვაწლი ქართული ლიტერატურის, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების წინაშე. ასე, მაგალითად, ნიკო ხიკოლაძე წერდა, თითქოს ანტონ ფურცელაძე „მკითხველ საზოგადოებას მწერალთ არ მიაჩნია.“[33] თითქოს მის „სიტყვას და ნაწერს იმდენი გავლენაც არა აქვს საზოგადოებაზედ, რამდენიც აქვს გუშინდელ ან გუშინწინდელ მწერალს“[34] და, საერთოდ, ლიტერატურაში „ეს ცოდვილობა იმას ფუჭათ ჩაუვლის“.[35] ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ეს იყო უნიადაგო და უსაფუძვლო მტკიცება.

„მნათობის“ დახურვის შემდეგ (1872 წელს) ა. ფურცელაძე სათავეში ჩაუდგა „გუთნის დედას“, რომელსაც 1873 წლიდან დახურვამდე (1876 წ.) რედაქტორობდა. აქ გამოაქვეყნა მან თავისი ერთ-ერთი შესანიშნავი პუბლიცისტური სტატია „შიწის საერთო მფლობელობის შესახებ“, რომელიც, პროფ. ს. ხუნდაძის სიტყვით, „პირდაპირ საპროგრამო წერილი იყო ნაროდნიკული მიმდინარეობისათვის“.[36] აქვე ხაზგას-

---

33 იქვე, გვ. 177
34 იქვე.
35 იქვე.
36 ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, ტ. II, 1927, გვ. 11.

მით უნდა აღინიშნოს, რომ ა. ფურცელაძე არ დაკმაყოფილდა ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი თეორეტიკოსის როლით და უაღრესად მხურვალე მონაწილეობა მიიღო ნაროდნიკული ორგანიზაციის შექმნასა და მის პრაქტიკულ საქმიანობაში. ეს იყო მისი კიდევ ერთი თვალსაჩინო დამსახურება — მან მოგვცა თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის შერწყმის საუცხოო მაგალითი. „ანტ. ფურცელაძის პოლიტიკური მოღვაწეობის სწორედ დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ სამოციანი წლების ჩვენ მოღვაწეთა რიგებიდან მან პირველმა, და შეიძლება ერთადერთმა, მიიღო მონაწილეობა საქართველოში გარკვეული მრწამსის მატარებელი რევოლუციონური პარტიის ჩამოყალიბების საქმეში“.[37]

ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიებიდან, უკვე დასახელებულთა გარდა, რომლებიც სამოცდაათიან წლებში გამოქვეყნდა, აღსანიშნავია აგრეთვე მისი პოლემიკური წერილები აკაკი წერეთელთან 1874 და 1879 წლებში. უნდა პირდაპირ განვაცხადოთ, რომ ამ პოლემიკას მეტად ვიწრო-პირადული ხასიათი ჰქონდა და რაიმე განძს არ წარმოადგენდა ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში. საერთოდ, სამოცდაათიან წლებში ა. ფურცელაძე ძირითადად გატაცებული იყო პუბლიცისტიკით, პრაქტიკული პოლიტიკურ-საზოგადოებრივი საქმიანობით და შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობდა ლიტერატურულ კრიტიკას, ფაქტიურად იგი ამოიწურებოდა პოლემიკური სტატიებით. ამის შედეგად სამოცდაათიანი წლები არ ყოფილა ისე ნაყოფიერი ა. ფურცელაძის ლიტერატურულ-კრიტიკულ მოღვაწეობაში, როგორც სამოციანი წლები.

ოთხმოციანი წლებიდან ა. ფურცელაძე სამსახურს იწყებს საადგილმამულო ბანკში — იყო დამფასებელი, დირექტორის მოადგილე, ხოლო ილია ჭავჭავაძის წასვლის შემდეგ რამდენიმე წლის მანძილზე განაგებდა ბანკს როგორც მისი დირექტორი. პარალელურად იგი კვლავ ეწეოდა ნაყოფიერ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ამ პერიოდში უახლოვდება ილია ჭავჭავაძის „ივერიას“ და ხდება მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო თანამშრომელი. ცნობილი ქართველი

37 ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. I, 1927, გვ. 215.

საზოგადო მოღვაწე გ. ლასხიშვილი თავის „მემუარებში“ ანტონ ფურცელაძეს იხსენიებს, როგორც ილია ჭავჭავაძის ახლო მეგობარს და „ივერიის“ თვალსაჩინო მოღვაწეს. როგორც იგი გადმოგვცემს, მოწინავე ქართველი მოღვაწეები იკრიბებოდნენ არა მარტო ილიას, არამედ მისი მეგობრების სახლშიც. „ილიას გარდა, — იგონებს გ. ლასხიშვილი, — ხახდახან იმის მეგობრებთანაც ვიკრიბებოდით, უფრო ხშირად ანტონ ფურცელაძესთან“. ანტონს თურმე უყვარდა ამ წრეში თავისი ახალი ნაწერების წაკითხვა. კითხვის შემდეგ „დაიწყებოდა კამათი, საუბარი, ილიასი და ნიკო ხიზანაშვილის ოხუნჯობა, მერე ამას მოჰყვებოდა ვახშამი“.[38]

ა. ფურცელაძეს ჩვეულებრივ წარმოგვიდგენენ როგორც უხეშ, მეტისმეტად ჰირველულ ადამიანს და განდიდების ძახილით შეპყრობილ მოღვაწესაც კი. სამწუხაროდ, ხასიათის აძგვარი ნაკლოვანებანი, ასე თუ ისე, მართლაც ჰქონდა მას. იგი ზედმეტად პირდაპირი, უტაქტო იყო და ნიკო დიასამიძეს ერთხელ ხანჯლითაც კი დაუკრია, მაგრამ მან იცოდა მეგობრობაც, მზრუნველობაც. განსაკუთრებულ გულითადობას იჩენდა იგი გლეხებისადმი, მუშა-ხელოსნებისა და სემინარიელებისადმი, რომლებსაც ხშირად ფულითაც ეხმარებოდა თურმე. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია ქართველ გლეხთა მოგონებანი, რომლებიც ცხადყოფენ, თუ როგორი მზრუნველობით ეკიდებოდა ა. ფურცელაძე მშრომელებს, ხოლო ცნობილი მუშა რევოლუციონერი მიხა ჩოდრიშვილი წერდა: „ბევრი მუშა ხელოსანი პირადად კარგად იცნობდა ანტონს და ახსომთ კიდეც მისი მამაშვილური, როგორც სიტყვით, ისე საქმით დარიგება, დახმარება“.[39]

ა. ფურცელაძეს პირადი მეგობრობა აკავშირებდა ბევრ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწესთან, მათ შორის იმათთანაც, რომლებსაც წინათ რაიმე მიზეზით კარგი თვალით არ უყურებდა. ამ მხრივ დამახასიათებელია ალ. ყაზბეგთან მისი დამოკიდებულება. საკმარისი იყო გასცნობოდა „ძოძღუარს“, რომ ა. ფურცელაძეს ერთბაშად შეეცვალა შეხედუ-

38 გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1934, გვ. 91.
39 კრ. ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე, 1914, გვ. 63.

ლება ყაზბეგზე და გამხდარიყო მისი გულითადი მეგობარი. 1886 წელს, იწვევდა რა ჟურნალ „თეატრის“ თანამშრომლად, იგი ალ. ყაზბეგს წერდა: „ხომ იცი როდენათ ვაფასებ შენს ნაწერებს, ამის გამო შენ უფრო ვიდრემ სხვებს გთხოვ, რომ ჩემთან ერთათ იმუშაო, ერთათ გავწიოთ საზოგადო საქმისათვის ღვაწლი. თუ გაქვს რამე მოთხრობა ამ პირველი ნომრისთვის გამოგზავნე. გამოგზავნე აგრეთვე შენი რომელიც უფრო კარგი ლექსები გეგულებოდეს. იმედი მაქვს, რომ მალე მივიღებ შენს პასუხს, შენი ერთგული ძმა ანტონ ფურცელაძე“. ამ სიყვარულს გამოჩენილი ქართველი მწერალიც მხურვალე სიყვარულით უპასუხებდა. შეუძლებელია გულგრილად გადაიკითხოთ უკვე სულით ავადმყოფ ალ. ყაზბეგის წერილი, საავადმყოფოდან რომ გაუგზავნია მწერალს ანტონ ფურცელაძისათვის. სნეულსაც კი არ დავიწყნია თავისი უანგარო მეგობარი. 1898 წელს, როგორც ცნობილია, ა. ფურცელაძემ ალ. ყაზბეგს მიუძღვნა ძლიერ გულთბილად დაწერილი „ძცირე შოგონება ალექსანდრე ყაზბეგზედ“, რომელშიც საფუძვლიანად გაარჩია მწერლის ერთ-ერთი შესანიშნავი მოთხრობა „ძოძღვარი“.

დიდი ამაგი მიუძღვის ა. ფურცელაძეს ლიტერატურისა და ხელოვნების ახალგაზრდა თაობის წახალისებასა და დაწინაურებაშიც. ერთ პირად წერილში (1887 წლის 2 ივლისი) ს. მგალობლიშვილი ა. ფურცელაძეს უწოდებს „ძვირფას კაცს“, „ამდენის ხნის დაუცხრომელ მოღვაწეს“, „მუდამ თავდადებულს“ და ხაზგასმით აღნიშნავს მის გავლენას ახალგაზრდა ლიტერატორებზე, რომლებსაც თვითონაც ეკუთვნოდა. იგი პირდაპირ წერს, რომ ა. ფურცელაძეს „თავისი კაცური კაცობითა, თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით ჩემზედ და ყველა ჩვენს ლიტერატორებსა და „კაცებზე“ უძლიერესი გავლენა“ ჰქონდაო.[40] ამას მგალობლიშვილი საჯაროდაც ხაზს უსვამდა. ახალგაზრდობის მზრუნველად გვისახავს ა. ფურცელაძეს მეორე ცნობილი ქართველი მწერალი ეკატერინე გაბაშვილიც. „ყოველთვის სადა, მარტივი და მგრძნობიარე ანტონი ანდამატივით იზიდავდა ახალ თაობას. იმისი სახლი, ჯიბე და

40 ა. ბახარაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1955, გვ. 70-71.

მეგობრულად დროზედ გაწვდილი ხელი გზას აძლევდა ძრავალ უილაჯობით გზადაბნეულ ადამიანს. იმის ოჯახში, იმის კერაზედ არაერთი წრე ქართველის ახალგაზრდობისა გამოიქნა და შეემზადა საზოგადო საქმეების მომუშავედ".[41]

ა. ფურცელაძე იყო ერთ-ერთი ინიციატორი სათეატრო ცხოვრების აღორძინებისა და ქართული დრამატული დასის ჩამოყალიბებისა, ჩვენი ჟურნალისტიკის დაუღალავი მოღვაწე, ბევრი სხვა სასარგებლო ეროვნული საქმის თაოსახი და მონაწილე.

ოთხმოც-ოთხმოცდაათიან წლებში გამოქვეყნებული ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიებიდან უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ა. ფურცელაძის წერილი „რამდენიმე სიტყვა „ივერიის" მაისის „შინაურს მიმოხილვაზედ", რომელიც „იმედში" გამოქვეყნდა 1882 წელს, დაწერიდან ერთი წლის შემდეგ. ამ სტატიით ა. ფურცელაძე გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძის ცნობილ „შინაურ მიმოხილვას", რომელშიც დიდი ქართველი მწერალი, სხვა საკითხებთან ერთად, შეეხო „უარმყოფელობასა" და პისარევის ნიჰილიზმსაც. ა. ფურცელაძემ საჭიროდ ჩასთვალა დაეცვა პისარევი, მისი უარმყოფელობა და განავითარა აშკარად ნიჰილისტური შეხედულებანი, კერძოდ, დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის პოეზიაზე. სტატიის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის, რომ კრიტიკოსმა პისარევის ლიტერატურული ნიჰილიზმიდან ყურადღება გადაიტანა მის რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე, მის პოლიტიკურ უარმყოფელობაზე. უფრო მართებული, ამასთან ნიჰილისტური გამოხდომებისაგან თავისუფალია ა. ფურცელაძის სტატია „მე, პისარევი, სანდალა და კიტა". იგი კრიტიკოსმა დაწერა 1894 წელს კიტა აბაშიძის წერილის, „მოამბის" მორალისტები", პასუხად, რომელშიც, სხვათა შორის, კიტა, აბაშიძემ ა. ფურცელაძეს „ქართველი პისარევი" უწოდა. ა. ფურცელაძის სტატიის უპირველესი ღირსება ისაა, რომ მასში კრიტიკოსი გაბედულად იცავს პისარევის რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს, ხაზს უსვამს დიდი რუსი მოაზროვნის თავდადებას ხალხის საქმისათვის, მის რევოლუციურ შემარ-

41 კრ. ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე, 1914, გვ. 3.

თებას. პისარევი, წერდა იგი, „თვით ტყვეობაში, კაზამატის კედლებიდამაც-კი უძღვებოდა მთელს თავისი ქვეყნის ცხოვრებისა და წარმატების მსურველს ხალხს წინ, გაშლილი ბაირახით და შესძახოდა ბრძოლას სიმართლისა და პროგრესისათვის“.[42] რევოლუციონერი და მატერიალისტი პისარევის დაცვა იდეალისტ კიტა აბაშიძის თავდასხმისაგან უთუოდ დადებითი მოვლენა იყო ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ამავე-პერიოდში დაწერა ა. ფურცელაძემ რამდენიმე ლიტერატურულ-კრიტიკული სტატია, რომლებიც დღემდე, სამწუხაროდ. არსად არ დაბეჭდილა. მხედველობაში გვაქვს ორი შესანიშნავი წერილი გიორგი ერისთავის დრამატურგიაზე — „წინასიტყვაობა“ და „გიორგი ერისთავი და ზურაბ ანტოხოვი ჩვენი სცენისათვის“, აგრეთვე ვრცელი ტრაქტატი ლიტერატურისა და ხელოვნების პრობლემებზე „შექსპირი ჰამლეტ“ში“.. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ა. ფურცელაძეს, არ ჰქონდა რა კარგი დამოკიდებულება ქართული პრესის მესვეურებთან (გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, ი. ჭავჭავაძე და სხვ.), ძლიერ უჭირდა თავისი ნაწერების გამოქვეყნება და, ზაქარია ჭიჭინაძე რომ არა, მისი ბევრი ნაწარმოები ,ალბათ, გაძოუქვეყნებელი დარჩებოდა. ამ მხრივ საინტერესოა „ავტორის შენიშვნა“, რომელიც ა. ფურცელაძემ თავის ცალკე წიგნად გამოცემულ სტატიას „კაცობრიობა და ხალხოსნობა“ დაურთო. „ეს წერილი, — წერდა იგი, — იყო დამზადებული დასაბეჭდათ სამოცდა ათს წლებში. მაგრამ ქართველმა რედაქციებმა, როგორც მეტი წილი ჩემი ნაწერებისა, არა ჰპოვეს ღირსად დაბეჭდვისა. დაბეჭდვა ეღირსა „ივერიის“ ფურცლებზედ მხოლოდ 1895 წ., როდესაც ამ გაზეთის თანა-მერედაქტორედ იყო მოწვეული დავით მიქელაძეს“.[43] ა. ფურცელაძის ამ შენიშვნის სამართლიანობას „გამომცემლის ცნობაში“, რომელიც უშუალოდ მისდევს „ავტორის შენიშვნას“, მთლიანად ადასტურებს ზაქარია ჭიჭინაძე. „პატივცემულის ანტონ ფურცელაძის შენიშვნა მართალი გახლავს“,[44] წერს ზ. ჭიჭინაძე და. დასძენს: „თვით ბ. ანტონ ფურცელაძეც უნდა დამეთანხმოს, რომ მისი

42 „ივერია“, № 202, 1894.
43 ა. ფურცელაძე, კაცობრიობა და ხალხოსნობა, 1906, გვ. 801.
44 იქვე.

მარტოდ ეს ერთი წერილი კი არ გდებულა დაუბეჭდავი და უყურადღებოთ დატოვებული, არამედ ასევე მოეკცნენ ბევრს მის სხვა ნაწერებს და თვით XVII საუკ. გამოკვლევას „ბრძოლას საქართველოს მოსპობაზედ“.[45]

დიდი აღფრთოვანებით შეხვდა უკვე ხანდაზმული და ავადმყოფი ა. ფურცელაძე 1905 წლის რევოლუციას. „ჩემს ცხოვრებაში, — უთქვამს მას თავისი მეგობრებისათვის, — ორ სანეტარო მომენტს მოვესწარი: ერთი იყო ბატონყმობის უღლიდან გლეხების განთავისუფლება, ხოლო მეორე — 1905 წლის რევოლუცია“. ეს ბუნებრივიცაა. მთელი თავისი ძრავალი წლის ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობით და პრაქტიკული საქმიანობით იგი ხელს უწყობდა, ამზადებდა ხალხის რევოლუციურ გამოსვლებს თვითმპყრობელობისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

1911 წელს ა. ფურცელაძემ თავი დაანება ბანკში სამსახურს და გარდაცვალებამდე სოფელ არბოში ცხოვრობდა. ამავე წელს მან გაზეთში — „კავკაზსკაია რეჩ“ — გამოაქვეყნა მემუარული ჩანაწერები — „ჩვენი საზოგადოებრივი საქმეები“, ხოლო 1912 წელს პოლემიკა ჰქონდა არჩ. ჯორჯაძესთან. პოლემიკა გამოიწვია არჩ. ჯორჯაძის ნაშრომმა — „ძასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის“, რომელშიც ავტორმა ტენდენციურად გააშუქა ა. ფურცელაძის მოღვაწეობა სამოციანი წლების მანძილზე. როგორც სამართლიანად წერდა პროფ. ს. ხუნდაძე, „არ. ჯორჯაძემ თავის ინტელიგენციის მასალებში ვერ გამოიჩინა მიუდგომლობა და არსებითად დაემორჩილა იმ მოწინააღმდეგეთა დებულებებს, რომლებთანაც კამათი უხდებოდა ან. ფურცელაძეს“.[46] ამდენად, ა. ფურცელაძის საპასუხო წერილი, რომელიც „ბათუმის გაზეთში“ გამოქვეყნდა (თბილისის პრესამ არ ისურვა მისი დაბეჭდვა), როდია მოკლებული საფუძველს. ა. ფურცელაძის სტატიას — „რამდენიმე სიტყვა არჩილ ჯორჯაძეს“[47] — არჩილ ჯორჯაძემ უპასუხა სტატიით „ბ. ანტონ ფურცელაძის საპასუ-

45 იქვე, გვ. 802.

46 ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. I, 1927, გვ. 213 (შენიშვნა).

47 „ბათუმის გაზეთი“, № 141-142, 1912.

ხოდ", რომელშიც შეეცადა დაეცვა სისწორე თავისი ძთელი რიგი უსაფუძვლო დებულებებისა. ა. ფურცელაძეს დაუწერია პასუხის პასუხი — „ვინ არის მოღალატე? ვინ არის ზიზღვის ღირსი?" და „არჩილ ჯორჯაძის ფანდები". ისინი წარმოადგენენ ერთი და იგივე სტატიის ვარიანტულ სახესხვაობას. ძაგრამ დაბეჭდვა ვეღარ მოუხერხებია და დღემდე გამოუქვეყნებელია.[48]

ერთ-ერთ დაუბეჭდავ სტატიაში ა. ფურცელაძე წერდა, რომ მისმა მეგობარმა სატუსაღოდან მიიღო წერილი, რომლითაც ატყობინებდნენ, რომ პოლიტიკურ პატიმართა შორის ბევრი იყო ა. ფურცელაძის პატივისმცემელი. „სატუსაღოში, — ნათქვამი ყოფილა ამ წერილში, — მრავალნი არიან ძაგისი (ე. ი. ანტონ ფურცელაძის — შ. ქ.) ნიჭის და ნაწერების თაყვანის მცემელნი. აქ ერთმა ტუსაღმა ლექციაც კი წაგვიკითხა ტუსაღებს მაგისი ნაწერებიდან, რომელთა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს ყველაზედ". მოჰყავს რა ეს ამონაწერი, ა. ფურცელაძე დაასკვნის: „აი ვისთვის ვიღვწოდი ცხოვრებაში, ვისთვის ვიბრძოდი, ვისა ვსწირავდი ჩემს ცოდნას, ჩემს ღოხეს, ჩემს კალამს. აქ ბევრად იყო თუ ცოტად არ დარჩა უხაყოფოთ ჩემი ღვაწლი. ჩემი ცხოვრების მიზანიც ეს იყო და სხვა გვარს დიდებას... ჩემთვის ფასი არცა ჰქონია და არც ექნება"...[49]

ამ, თითქმის სიკვდილისწინა, სიტყვებით ა. ფურცელაძე სწორად გადმოცემს თავისი ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის მიზანსაც და შედეგსაც. იგი მართლაც ხალხისათვის იღვწოდა, ხალხის ბედნიერებისათვის იბრძოდა და, აი ამიტომ, როგორც სამართლიანად თქვა ქართული კულტურის ერთ-ერთმა მოამაგემ გ. ყიფშიძემ, „ჩვენი მწერლობა, ჩვენი ახლად ფეხადგმული კულტურა, სხვა მოღვაწეებთან ერთად, ვერ დაივიწყებს ანტონ ფურცელაძესაც, რომელიც თავის შესაფერ ადგილს დაიჭერს ჩვენის ლიტერატურისა და საზოგადოებრივობის ისტორიაში".

---

48 არჩ. ჯორჯაძე, თხზ., ტ. V, 1914, გვ. 203.

49 ა. ფურცელაძე, „ვინ არის მოღალატე? ვინ არის ზიზღის ღირსი?". საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 5915/წ.

ხელოვნების არსი და დანიშნულება

გასული საუკუნის სამოციანი წლების ქართულ ლიტერატურაში ხელოვნების არსისა და დანიშნულების პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და საჭირბოროტო იყო. იგი წარმოადგენდა „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლის უპირველეს, უმთავრეს საგანს, რადგან მის გადაწყვეტაზე დიდად იყო დამოკიდებული ქართული მწერლობის მომავალი—კვლავ ძველს, სენტიმენტალურ-რომანტიკულ პოზიციებს შერჩებოდა იგი, თუ დაადგებოდა კრიტიკული რეალიზმის, ხალხის სამსახურის გზას.

ცნობილია, რომ წინააღმდეგ „მამების“ იდეალისტური თეორიისა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, „შვილებმა“ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით წამოაყენეს და დაასაბუთეს სრულიად საწინააღმდეგო მატერიალისტური თეორია — ხელოვნება არა ხელოვნებისათვის, არამედ ცხოვრებისათვის. ჯერ კიდევ „საქართველოს მოამბის“ საპროგრამო მოწინავე სტატიაში (1863 წ.) ილია ჭავჭავაძემ ბრწყინვალედ დაასაბუთა „ძაძეების“ პოზიციის უნიადაგობა და მოგვცა ხელოვნების არსის, მისი დანიშნულების პროგრესულ-მატერიალისტური ახსნა. იგი ამტკიცებდა, რომ ხელოვნება სინამდვილის, ცხოვრების პირმშოა და ემსახურება საზოგადოების წინსვლას.

ამავე შეხედულებას იზიარებდა და ავითარებდა ა. ფურცელაძეც. მსგავსად თერგდალეულებისა, ისიც თვლიდა, რომ ხელოვნება ცოცხალ სინამდვილეს უნდა ასახავდეს და საზოგადოებრივ ფუნქციებს ასრულებდეს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მათი — თერგდალეულებისა და ახტონ ფურცელაძის შეხედულებანი ხელოვნების არსისა და დანიშნულების პრობლემებზე იდენტური იყო. ისინი არათუ იდენტური არ არიან, პირიქით, ზოგჯერ მკვეთრადაც განსხვავედე-

ბიან ერომანეთისაგან, უპირველეს ყოვლისა ხელოვნების არსის საკითხში.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ა. ფურცელაძის გამოუქვეყნებელ სტატიას „შექსპირი ჰამლეტში“, რომელშიც კრიტიკოსი საგანგებოდ შეეხო ხელოვნების არსის პრობლემას და გამოთქვა მეტად თავისებური, ქართული ლიტერატურული კრიტიკისათვის სრულიად უცხო მოსაზრებახი. ძალიან საინტერესოა თვით ამ სტატიის დაწერის ისტორია. „წინასიტყვაობაში“ ანტონ ფურცელაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ოთხმოციანი წლების დამდეგს მას არაერთხელ ჰქონია სიტყვიერი კამათი ილია ჭავჭავაძესთან ხელოვნების არსის საკითხზე და, ბოლოს, შეთანხმებულან, რომ ა. ფურცელაძე თავის შეხედულებებს ჩამოაყალიბებდა ცალკე სტატიაში, რომელსაც პასუხს გასცემდა, ე. ი. პრესაშივე განიხილავდა ილია ჭავჭავაძე. აი ამ მიზნით დაუწერია ა. ფურცელაძეს თავისი „შექსპირი ჰამლეტში“, მაგრამ ილია ჭავჭავაძეს უარი უთქვამს მის გამოქვეყნებაზე და, მაშასადამე, პასუხზეც.

სტატიაში, — „შექსპირი ჰამლეტში“, — ა. ფურცელაძე ხელოვნების არსის გარკვევას იწყებს არისტოტელეს ცნობილი მიბაძვის თეორიის კრიტიკით და წერს: „ამ ორი ათასის წლის წინად ჯერ ისევ დიდებულმა ფილოსოფოსმა, არისტოტელმა ახსნა, რომ ხელოვნება არის ბაძი ბუნებისაო“.[1] აქ საგულისხმოა ერთი მომენტი. ა. ფურცელაძე იზიარებს საერთოდ გავრცელებულ უსაფუძვლო აზრს, რომ ანტიკური სამყაროს უდიდესმა მოაზროვნემ თითქოს ხელოვნების არსად, მის შინაარსად მიიჩნია ბ უ ნ ე ბ ი ს მიბაძვა. ეს ყალბი შეხედულებაა და არ შეესაბამება სინამდვილეს. მართალია, არისტოტელე ხელოვნებას მართლაც მიიჩნევს მ ი ბ ა ძ ვ ა დ, მაგრამ არა ბ უ ნ ე ბ ი ს მიბაძვად. ასახელებს რა ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრს, იგი თავის „პოეტიკაში“ წერს: „ყველა ესენი, საზოგადოდ, მიბაძვები არიან. განირჩევიან კი ისინი ერთმანეთისაგან სამს რამეში: ან იმით, რომ სხვადასხვა საშუალებით ბაძავენ,

1 ა. ფურცელაძე, „შექსპირი ჰამლეტში“, საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 5903/6.

ან იმით, რომ სხვადასხვა საგანს ბაძავენ, ან იმით, რომ სხვა-დასხვანაირად ბაძავენ და არა ერთ და იმავენაირად".[2]

დიდმა რუსმა კრიტიკოსმა ნ. გ. ჩერნიშევსკიმ რეცენზია-ში, რომელიც არისტოტელეს „პოეტიკის" რუსულ თარგმანს მიუძღვნა, პირველმა მიუთითა ამ გარემოებაზე და შესანიშნა-ვად დაასაბუთა, რომ არისტოტელეს მიბაძვის თეორია გული-სხმობდა არა ბუნების ვულგარულ-მექანისტურ მიბაძვას, არა-მედ სინამდვილის მიბაძვას, ე. ი. მის წარმოქმნას ხელოვნებაში, ასახვას. „არისტოტელეს თავის „პიიტიკაში", — წერდა ნ. გ. ჩერნიშევსკი, — ერთი სიტყვაც არა აქვს ნათქვა-მი ბუნების შესახებ: ის ლაპარაკობს ადამიანებზე, მათს მოქ-მედებებზე, იმაზე, თუ რა გადახდათ ადამიანებს, როგორც ისეთ საგნებზე, რომლებსაც პოეზია ჰბაძავს. „ბუნების" დაბა-ტება შეიძლებოდა მიღებული ყოფილიყო პიიტიკებში ძხო-ლოდ მაშინ, როდესაც გაიფურჩქნა უსიცოცხლო და ყალბი აღწერითი პოეზია... ბუნებისადმი მიბაძვა უცხოა ჭეშმარიტი პოეტისათვის".[3]

როგორც ვხედავთ, ა. ფურცელაძეს სწორად არ ესმოდა არისტოტელეს მიბაძვის თეორიის არსი და ვერ ჩასწვდა მის შემოქმედებითს ხასიათს. მას ეგონა, რომ არისტოტელე მიბაძვაში გულისხმობდა ბუნების მიბაძვას, მექანიკურ ასლგადა-ღებას, ე. ი. შემოქმედებითი პროცესის უარყოფას და, ცხა-დია, უსაფუძვლოდ მიიჩნევდა ასეთ შეხედულებას. ამდენად, მიბაძვის თეორიის ფურცელაძისეული კრიტიკა, ზოგჯერ სავ-სებით სამართლიანი, ფაქტიურად არის არა არისტოტელეს თეორიის, არამედ ამ თეორიის ვულგარულ-მექანისტური ინ-ტერპრეტაციის კრიტიკა.

მაინც რა არ მოსწონდა ანტონ ფურცელაძეს მიბაძვის თე-ორიაში, რის გამო აკრიტიკებდა მას?

1. ხელოვნების გამოცხადება ბუნების მიბაძვად, ა. ფურ-ცელაძის აზრით, ერთი მხრივ, უსაფუძვლოდ აფართობს ხე-

---

2 არისტოტელე, პოეტიკა, წინასიტყვაობა, თარგმანი და კომენტარე-ბი პროფ. ს. დანელიასი, 1944, გვ. 3.

3 ნ. გ. ჩერნიშევსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი ალ. ქუ-თელიას რედაქციითა და წინასიტყვაობით, 1945, გვ. 495. (დაყოფა ავტო-რისაა — შ. ქ.) დაწვრილებით ამის შესახებ იხილეთ კრ. „ტეორია ლი-ტერატური", 1962, გვ. 31.

ლოვნების სფეროს, ხოლო მეორე მხრივ, ასევე უსაფუძვლოდ ზღუდავს მას, ე. ი. საშუალებას არ გვაძლევს ზუსტად გახვსაზღვროთ მისი ასპარეზი. თუ ხელოვნება ბუნების მიბაძვაა, მაშინ რატომ ვთვლით ხელოვნებად, ვთქვათ, მუსიკას, ლექსს და სხვ.? „ცხადია, — წერდა ა. ფურცელაძე, — რაკი ამ აზრზედ დასდგნენ, რომ ხელოვნება არის ის, რაც ჰბაძავს ბუნებასო, არ უნდა ჩაეთვალათ ხელოვნების სიაში სიმღერა, მუსიკა, ლექსი, დრამა, საზოგადოდ ბელეტრისტიკა, რადგან ბუნებაში არც ლექსებს, არც დრამებს, არც სიმღერას, არც მუსიკას არ ვხედავთ".[4] მაშასადამე, კრიტიკოსი აქ იმ აზრს ავითარებს, რომ მიბაძვის თეორია შეიცავს წინააღმდეგობას, რადგან „ხელოვნების სიაში" შეაქვს ისეთი მოვლენები, რომლებიც ამავე თეორიის მიხედვით არ უნდა შედიოდეს მასში.

მეორე მხრივ, ა. ფურცელაძეს შეცდომად, გაუმართლებლად მიაჩნდა ხელოვნების სფეროდან მეცნიერების გამოყოფა-გამორიცხვა. იგი წერდა: „მათის აზრით ხელოვნება ის იყო, რაც ბუნების ბაძით კეთდებოდა, რაც არა და არა ჰრაცხავდნენ ხელოვნებათ. მაგალითად, მეცნიერება მათის აზრით არ იყო ხელოვნება, თვით არხიტექტურა, ანუ ხუროთმოძღვრება არ იყო მიღებული ხელოვნებათ ბევრისაგან... მოახდინეს ასეთი დანაწილება: ხელოვნება და მეცნიერება, ვითომ ხელოვნება სხვა იყო და მეცნიერება სხვა, ესე იგი მეცნიერება არ იყო ხელოვნება და ხელოვნებას არ ჰქონდა საქმე მეცნიერებასთან".[5]

რა შეიძლება ითქვას ა. ფურცელაძის ამ შენიშვნების შესახებ?

პირველი შენიშვნა არ მოგვეჩვენებოდა უსაფუძვლოდ, რომ არისტოტელეს მხედველობაში მართლაც ბუნების მიბაძვა ჰქონოდა, მაგრამ, როგორც უკვე დავინახეთ, ეს ასე არ არის და ა. ფურცელაძე ცდებოდა, როცა გენიალურ ფილოსოფოსს ასეთ აზრს მიაწერდა. რაც შეეხება მეორე შენიშვნას, იგი აშკარად მიუღებელია. რა თქმა უნდა, შეუძლებელია სადავოდ მივიჩნიოთ, რომ ხელოვნებას საქმე აქვს მეცნიერებასთან (და არა მარტო მეცნიერებასთან). მხოლოდ იდეალისტებს, მხოლოდ

---

4 ა. ფურცელაძე, შექსპირი ჰამლეტში.
5 იქვე, (ხაზგასმა ავტორისაა — შ. ჭ.).

ყალბი თეორიის „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ შიძდევრებს შეუძლიათ ამტკიცონ, თითქოს ხელოვნებას არაფერი აქვს საერთო მეცნიერებასთან ან საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმებთან (პოლიტიკა, მორალი, რელიგია და ა. შ.). მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ მეცნიერება და ხელოვნება ერთი და იგივეა და მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის? რა თქმა უნდა, არა. მსგავსება არ გამორიცხავს განსხვავებას, პირიქით, განსხვავება რომ არ იყოს, არც მსგავსება იქნებოდა.

სამოციანი წლების დამდეგისათვის, როცა საჭირო იყო „მამების“ იდეალისტური ესთეტიკის, თეორიის „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ დამსხვრევა, თერგდალეულები შეგნებულად ხაზს უსვამდნენ მეცნიერებისა და ხელოვნების მსგავსებას, მათ მჭიდრო კავშირს და ზოგჯერ აჭარბებდნენ კიდევაც, თითქმის ივიწყებდნენ განსხვავებას, ხელოვნების სპეციფიკას, ყოველ შემთხვევაში წინა პლანზე არ გამოჰქონდათ იგი. ძაგრამ მომდევნო პერიოდში, როდესაც მატერიალისტურმა ესთეტიკურმა თეორიამ და კრიტიკულმა რეალიზმმა საბოლოოდ გაიმარჯვა, ილია ჭავჭავაძემ და სხვა თერგდალეულებმა ყურადღება გადაიტანეს ხელოვნების სპეციფიკაზე, მეცნიერებისაგან მის განმასხვავებელ მომენტებზე, დაძლიეს მეცნიერების ერთგვარი ფეტიშიზმი და ხელოვნებას თავისი კუთვნილი ადგილი მიუჩინეს საზოგადოების ცხოვრებაში.[6]

ანტონ ფურცელაძემ კი, თერგდალეულებისაგან განსხვავებით და წინააღმდეგ მოლოდინისა, არათუ ყურადღება არ გადაიტანა ხელოვნების სპეციფიკაზე, პირიქით, ოთხმოციანი წლების მიწურულს[7] უკიდურესობამდე მიიყვანა მეცნიერებისა და ხელოვნების მსგავსების იდეა, თუმცა ეს გაპირობებული არ იყო არავითარი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ვითარებით, და თითქმის მთლი-

---

6 სტატიაში „საქართველოს მოამბეზედ“, მაგალითად, ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ ლიტერატურას ეკისრება „შეიქმნას შუამავლად მეცნიერებისა ერთის მხრით და ხალხისა და ცხოვრებისა მეორის მხრით“ (თხზ., ტ. III, 1953, გვ. 64). ცხადია, ლიტერატურის ფუნქციის ასეთი შემოფარგლა სწორი არ იყო.

7 სტატია „შექსპირი ჰამლეტში“ დაიწერა 1887 წელს — შ. ჭ.).

ანად წაშალა ზღვარი მათ შორის. თითქმის მთლიანად იმიტომ, რომ ა. ფურცელაძის აზრით, მეცნიერება კი არის ხელოვნება, მაგრამ ხელოვნებას მხოლოდ „საქმე აქვს მეცნიერებასთან“.

2. ასეთი დასკვნა ბუნებრივად გამომდინარეობდა ხელოვნების ცნების, მისი სპეციფიკის თავისებური გაგებიდან. ა. ფურცელაძეს ცნება „ხელოვნება“ არ ესმოდა ისე, როგორც საერთოდ მიღებული იყო იმ დროს და მიღებულია დღეს. მისი შეხედულებით, ხელოვნება არის ყველაფერი ის, რასაც ადამიანის ხელი ქმნის,[8] ე. ი. ყველაფერი ის, რაც არ არის ბუნების ნამოქმედარი, ბუნების მოქმედების შედეგი. „ორ რიგი შემოქმედებაა ბუნებაში: ბუნებრივი და ხელოვხური, რომელთაც სათავე უდევთ ბუნების მეხანიკურს ძალაში“,[9] — წერდა ა. ფურცელაძე და, ამრიგად, ერთმანეთს უპირისპირებდა ბუნებასა და ხელოვნებას. ხელოვნების ნაწარმოები არის ის, რასაც ადამიანი ქმნის ბუნების ჩაურევლად, ხოლო ბუნებისა ის, რასაც თვითონ ბუნება ქმნის დამოუკიდებლად. ერთი ცნობიერი აქტია, მეორე კი არაცნობიერი. აქედან კრიტიკოსს გამოჰქონდა ორი დასკვნა: ჯერ ერთი, ხელოვნება არ შეიძლება იყოს ბუნების მიბაძვა, ხოლო მეორე, ხელოვნება არ შეიძლება არსებობდეს ბუნებაში.

ხელოვნება არ არის და არც შეიძლება იყოს ბუნების მიბაძვა, რადგან „აზრი, რომ ხელოვნება არის ბაძი ბუნებისა, და რაც არა ჰბაძავს ბუნებას, არ არის ხელოვნებაო, უხდა გვაფიქრებინებდეს, რომ არის მოქმედება კაცისა, რომელიც სდგას ბუნების გარეთ. ამგვარი აზრი უნდა ჩაითვალოს სრულს შეცდომად, რათგან კაცს არ შეუძლიან შექმნა რისამე, რომელიც იდგეს ბუნების გარე“.[10] ერთი შეხედვით, აქ წინააღმდეგობაა: ანტონ ფურცელაძემ ჯერ ხელოვნება დაუ-

---

8 სწორედ ასე განმარტავს სიტყვა „ხელოვნებას“ ცნობილი რუსი ლექსიკოგრაფი ვ. დალი. ასევე ესმის ეს ცნობა თანამედროვე რუს ესთეტიკოს პროფ. ი. ასტახოვს, მხოლოდ ასეთი განმარტება მიაჩნია ხელოვნების ფართო გაგებად: „Прежде всего следует заметить, что термин «Искусство» имеет не одно, а несколько значений... «Искусство» — это умение достигать высокого качества, совершенства в той или иной области трудовой деятельности.»

9 ა. ფურცელაძე, შექსპირი ჰამლეტში.

10 იქვე.

პირისპირა ბუნებას და განაცხადა, რომ ხელოვნება არის ის, რაც ბუნებას არ შეუქმნია, რაც ბუნებისეული არ არისო, შემდეგ კი თითქოს უარყო ეს აზრი და შეუძლებლად ჰიიჩნია ადამიანმა შექმნას ისეთი რამ, რომელიც „იდგეს ბუნების გარეˮ. მაგრამ ამ წინააღმდეგობას კრიტიკოსი ძლევს იმაზე მითითებით, რომ თუმცა ხელოვნება არარის ბუნების მიბაძვა, მაგრამ არის მისი ნაყოფი, რომ ხელოვნებას შეუძლიააღმოცენდეს მხოლოდ ბუნებიდან და თვით გონებაც, რომლითაც ქმნისადამიანი, ბუნებით არის მინიჭებული: ხელოვნება, წერდა ა. ფურცელაძე, „შეიძლება არ იყვეს ბაძი ბუნებისა, მაგრამ მაინცა და მაინც არის ნაყოფი ბუნებისა, რომელიც აღმოუცენია კაცს ბუნებიდამ, ბუნების ძალიდამ და თავისი შემოქმედებით, ხელოვნებით, რომელიც აქვს ამას იმავე ბუნებიდამ შეძენილი, მონიჭებული“.[11] გნოსეოლოგიური თვალსაზრისით, ეს სწორი მატერიალისტური დებულებაა, მაგრამ მასში უგულებელყოფილია საზოგადოება, საზოგადოებრივი ცხოვრება და ხელოვნება მიჩნეულია მხოლოდ ბუნებიდან აღმოცენებულ მოვლენად.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს იყო კალმის ლაფსუსი, რადგან ა. ფურცელაძე პირველივე ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიებიდან იმ აზრს იცავდა, რომ ლიტერატურამ ხალხის ცხოვრება, საზოგადოებრივი სინამდვილე უნდა ასახოსო და შექსპირის „ჰამლეტსაც“ ამავე თვალსაზრისით განიხილავდა, მაგრამ ამ დებულებას იგი არაერთგზის იმეორებს და ავითარებს. „ხელოვნება, — წერს ა. ფურცელაძე, — არის ხაყოფი მხოლოდ სულდგმულის მოქმედებისა, რომელსაც ის ახმარებს ბუნების მეხანიკურს ძალას და ამ ძალას აძლევს თვითონ გზას... ხელოვნება არის ძალა, რომელიც აძლევს ზოსაზრებულს გზას ბუნების მოვლენათა და ძალათა...“[12] ამასვე აკეთებს მეცნიერებაც, რომელიც ხელოვნების ნაყოფია. „მეცნიერება.... — ამტკიცებს კრიტიკოსი, — ეს არის ნაყოფი კაცის გონებისა, ხელოვნებისა, რომელიც იკვლევს ბუ-

11 იქვე.
12 იქვე.

ნ ე ბ ი ს ძალას და მოვლენათა“.[13] როგორც ვხედავთ, ა. ფურცელაძე არსად, არც ერთი სიტყვითაც არ ასახელებს არც ადამიანს, ხელოვნების ამ ნამდვილ ობიექტს, და არც საზოგადოებრივ ცხოვრებას. ხელოვნებას იგი ტოვებს მხოლოდ ბუნების სფეროში და მიაჩნია, რომ მან უნდა შეიცნოს ბუნების მოვლენები, ბუნების ძალები და წარმართოს ისინი მოსაზრებულად. ეს იყო უკანდახევა ჩერნიშევსკისა და სხვა რუსი რევოლუციონერი დემოკრატების ესთეტიკური პოზიციებიდან. ცნობილია, რომ ჩერნიშევსკი ხელოვნების საგნად, მის შინაარსად თვლიდა ადამიანს, „ა დ ა მ ი ა ნ ი ს ცხოვრებას, სიცოცხლეს“[14] და არა ბუნებას.

მეორე მხრივ, სავსებით მართალია ა. ფურცელაძე, როდესაც უარყოფს ხელოვნების არსებობას თვით ბუნებაში. „ბუნებაში არ არის ხელოვნება“, წერს იგი, მაგრამ რატომ? იმიტომ, რომ „სადაც არის ბრმა მეხანიზმი, ბრმა ინერციული მოქმედება, იქ არ არის ხელოვნება, იქ ხდება ყველა ბრძა აუწონველი კანონით“.[15] მართლაც, ხელოვნება არ შეიძლება არსებობდეს ბუნებაში, რადგან იგი, ხელოვნება, არის საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა, ადამიანის შემოქმედების შედეგი, ანუ როგორც ა. ფურცელაძე წერს, „ხელოვნება... არის ნაყოფი სულდგმულისა, რომელსაცა აქვს საკუთარი ძნებელობა, მოსაზრება, გონება, ცნობიერება... ხელოვნება არის ნაყოფი მხოლოდ სულდგმულის მოქმედებისა“.[16]

თავისთავად, ცალკე აღებული, ეს დებულება თითქოს სწორია. ხელოვნება მართლაც არ შეიძლება იყოს იქ, სადაც არ არის ცნობიერება, აზროვნება და ა. შ., იგი მართლაც შემოქმედების პროდუქტია და მას ბუნება არ იძლევა მზამზარეულად, მაგრამ საქმე ის არის, რომ ა. ფურცელაძეს ხელოვნება **მარტო ადამიანის** კი არა, **საერთოდ ყველა სულდგმულის**, ე. ი. ყველა ცოცხალი არსების მოქმედების ნაყოფად მიაჩნია. მისი აზრით, სადაც კი შესაძლებელია „ბუნების ბრმა ძალას მიაშველონ სულდგმულთა თავისი მცირეოდენი მოაზრებული

---

13 იქვე, (ხაზგასმა ჩემია — შ. ჯ.).

14 ნ. გ. ჩერნიშევსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, 1945, გვ. 495 (დაყოფა ავტორისაა — შ. ჯ.).

15. ა. ფურცელაძე, შექსპირი ჰამლეტში.

16 ი ქ ვ ე.

ძალა, იქ ყველა მოქმედებას ეძლევა აზრი, მნიშვნელობა, იდეია, ტენდენცია".[17] რასაკვირველია, ა. ფურცელაძე ცდება, როცა საერთოდ ყველა სულდგმულს მიაწერს ფიქრის, აზროვნების უნარს. აზროვნება, შემოქმედება მხოლოდ ადამიანს ახასიათებს და არა ყველა სულდგმულს, არა ყველა ცოცხალ არსებას. მაშასადამე, ამაოდ ამტკიცებდა ანტონ ფურცელაძე, თითქოს ხელოვნება არსებობდეს ადამიანთან შედარებით „უფრო დაბალს გონებას, დაბალს ფიზიოლოგიურსა და ახატომიურს აგებულებაშიც".[18]

ამრიგად, ა. ფურცელაძემ ხელოვნების არსის გარკვევისას გამოთქვა ზოგიერთი საყურადღებო, მატერიალისტური აზრი, მაგრამ ამავე დროს დაუშვა უხეში ვულგარიზატორულ-მექანისტური შეცდომები. მან, ერთი მხრივ, შემოქმედების, შექმნის, ხელოვნების უნარი მიაწერა ყველა ცოცხალ არსებას, ყველა სულდგმულს, ხოლო მეორე მხრივ, უსაზღვროდ გააფართოვა თვით ხელოვნების სფერო და ხელოვნებად აღიარა ყველაფერი, რაც კი ცნობიერების აქტს უკავშირებდა. „პოეზია, მხატვრობა და სხვა ამგვარები, — წერდა იგი, — შეადგენენ მხოლოდ ნ ა წ ი ლ ს ხელოვნებისას, და არა განსაკუთრებით ხელოვნებას".[19] თავისთავად ცხადია, ასეთ ვულგარიზატორულ-მექანისტურ შეხედულებას, რომელიც აიგივებს ცნობიერების ყველა ფორმას და ყველა მათგანს ხელოვნებად მიიჩნევს, ილია ყავჭავაძე ვერ გაიზიარებდა და ვერ გავიზიარებთ ვერც ჩვენ. ხელოვნება, მართალია, შემეცნებაა ისევე, როგორც, ვთქვათ, მეცნიერება, მაგრამ მას აქვს თავისი ს პ ე ც ი ფ ი კ ა, თავისი ს ა გ ა ნ ი, მოქმედების თავისი ასპარეზი. იგი არის არა ყოველგვარი შემეცნება, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი შემეცნება, ესთეტიკური აღქმა ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

გვგონია, რომ ა. ფურცელაძე ასეთ უკიდურესობამდე, ასეთ ცალმხრიობამდე მიიყვანა ლიტერატურის მაღალი იდეურობისაკენ მისწრაფებამ. მას გულწრფელად სწამდა, რომ ხელოვნება არ არსებობს აზრის გარეშე, დიდი ეროვნულ-საკა-

17 იქვე.
18 იქვე.
19 იქვე (ხაზგასმა ჩემია — შ. ქ.).

ცობრიო იდეების გარეშე და ამ სწორი, საჭირო, აუცილებელი დებულების მტკიცებით გატაცებულმა მთელი ყურადღება გადაიტანა ხელოვნებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმების მსგავსებაზე, რითაც უგულებელყო მათ შორის არსებული განსხვავებანი, ხელოვნების სპეციფიკა. მწერებს, ფრინველებსა თუ სხვა სულდგმულთ ანტონ ფურცელაძემ აგრეთვე იმიტომ მიაწერა შემოქმედების, „მოაზრებული“ მოქმედების უნარი, რათა ცხადეყო, რომ წინასწარ შემუშავებული იდეა ანუ ტენდენცია აუცილებლად ახასიათებს ხელოვნების ყველა ნაწარმოებს, რომ არ არის „ქვეყნად ისეთი ხელოვნება“, რომელიც „რამე წინად აღებულს აზრს არ ემსახურებოდეს“.[20] ამის ნათელსაყოფად საკმარისია გავიხსენოთ კრიტიკოსის ერთი დებულება: „თუ კი, — წერდა იგი, — უფრო დაბალს გონებას, დაბალს ფიზიოლოგიურსა და ანატომიურს აგებულებაში არსებობს ხელოვნება მხოლოდ წინადვე გადაწყვეტილი აზრით, ნუთუ კაცი, რომელიც ყველა თავის მოქმედებას ახმარებს წინადვე აწონილს გადაწყვეტილს აზრს და წყობილებას, შეუდგება იმ გვარს საქმეს, რომელსაც ჰხრობს, და არ იცის, რა აქვს სახეში?!“[21] ამავე მიზნით გააფართოვა მან ხელოვნების სფერო და გააიგივა მეცნიერება და ხელოვნება, წაშალა რა მათ შორის ყოველგვარი ზღვარი. „თუნდა დავეთანხმოთ მაზედ, რომ ხელოვნება არის მარტო პოეზია, მხატვრობა, ბელეტრისტიკა და ამგვარები, განა ისინი ემსახურებიან თავის თავს, და არა საქმეს, არა იდეიას, არა ტენდენციას?!“,[22] წერდა ა. ფურცელაძე და მისი ეს განცხადება ყველაზე მკაფიოდ ცხადყოფს, თუ რა ამოცანას ისახავდა იგი, როცა ხელოვნების არსს არკვევდა.

ასე მიიყვანა ა. ფურცელაძე ვულგარიზატორულ-მექანისტურ შეცდომებამდე თავისთავად კეთილშობილურმა ძისწრაფებამ — ცხადეყო, რომ თეორია „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ უნიადაგო და მცდარია, რომ აზრის, იდეის ყოველგვარი უგულებელყოფა მიუტევებელია ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სწორედ ამ კეთილშო-

20 იქვე.
21 იქვე.
22 იქვე.

ბილური მისწრაფების გამო კრიტიკოსი, მიუხედავად ხელოვნების არსის მცდარი განმარტებისა, სავსებით სწორად, რევოლუციონერ დემოკრატთა ესთეტიკური თვალსაზრისით გახიხილავდა ხელოვნების დანიშნულების, მისი ტენდენციურობის, შინაარსისა და ფორმის პრობლემებს. კერძოდ, მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ლიტერატურის ტენდენციურობას და ეს რთული პრობლემა შესანიშნავად დაამუშავა.

შეიძლება თუ არა ხელოვნება იყოს უიდეო, უტენდენციო? მართალი არიან თუ არა თეორიის „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ მიმდევრები, როცა აცხადებენ, რომ ხელოვნება არსებობს თავისთვის და არაფერი ესაქმება ცხოვრებასთან, საზოგადოებასთან?

არა, არ არიან მართალი. „უსაქმოთ, უაზროთ, უტენდენციოთ არ არის ხელოვნება“,[23] — გადაჭრით აცხადებდა ა. ფურცელაძე. „ნუთუ, — ამბობდა იგი, — როცა ვხატავთ, თუხდა უბრალო რამე პეიზაჟს, აქ არაფერი არა გვაქვს რა აზრთანა? ნუთუ, როცა ვაწყობთ ნოტებზედ რამე სიმღერას, სიმფონიას, გალობას, არაფერი აზრი, არაფერი იდეია არა გვაქვს სახეში?! როცა ვწერთ ლექსს, დრამას, კომედიას, რომანს მარტო იმისათვისა ვწერთ, რომ დავწეროთ, და სხვა არაფერი აზრი არ გვიდევს თავში?! ნუთუ შესაძლებელია გონებაში მყოფი კაცისაგან რამე საქმე დაიწყოს უაზროთ, უიდეოთ, უტენდენციოთ?“.[24] რასაკვირველია, არა. კიდევ მეტი, არა თუ არ არსებობს უიდეო ხელოვნება, არამედ არც შეიძლება არსებობდეს. არ შეიძლება იმიტომ, რომ როგორც ყველა ადამიანი, ხელოვანიც საზოგადოებაში ცხოვრობს და შეუძლებელია გაექცეს მის გავლენას, არ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისადმი — სასურველის დასანერგავად ან უკუსაგდების მოსასპობად არ გამოიყენოს ისეთი მძლავრი იარაღი, რომელიც მას გააჩნია, — კალამი.

„ყველა, — წერდა ა. ფურცელაძე, — ვინც კი სცხოვრობს საზოგადოებაში, აქვს გრძნობა და შეგნება, ჰხედავს საზოგადო მოვლინებათა ავსა და კარგს მხარეს, რომელიც, უეჭველია, ამაზედ ავათ ან კარგათ ჰმოქმედებს. თუ ეს ჰე'შმა-

23 იქვე.
24 ა. ფურცელაძე, შექსპირი ჰამლეტში.

რიტია, მაშინ არ შეგვიძლიან, რომ არ გრძნობიერთა და შეგნებულს პირებში არ ვიცნოთ ის გრძნობაცა, რომ ისინი უთუოთ ინდომებენ ბრძოლას ან საზარალოთ ან სასარგებლოთ ამ მოვლინებათა. და უთუოთ ასეც უნდა იყვეს და არის კიდეცა. ამასთან ვერცავინ იმას აღვიარებს, რომ ერთი საუკეთესო იარაღთაგანი ამგვარი ბრძოლისათვის არ იყვეს კალამი".[25]

მაგრამ ა. ფურცელაძე ცდებოდა, როცა ფიქრობდა, თითქოს ოდესღაც არსებობდა უიდეო ხელოვნება და მხოლოდ დროთა განმავლობაში მიიჩნიეს საჭიროდ, რომ მას გარკვეული იდეა გამოეხატა და გარკვეული სამსახური გაეწია საზოგადოებისათვის, ე. ი. იდეური და ტენდენციური ხელოვნების წარმოშობას მიიჩნევდა საზოგადოების განვითარების ნაყოფად. „წინასიტყვაობაში", რომელიც უნდა დართოდა გ. ერისთავის თხზულებათა კრებულს, ამის თაობაზე იგი წერდა: „იმგვარი წერა, როდესაც ავტორი არა ჰსახავს არავითარ იდეას, ნაწერი არა სდევნის არავითარ ტენდენციას... არის პირველ დროთა სახე მწერლობისა, ესე იგი მწერლობის ბავშური მდგომარეობა... პირველად იწყებენ წერას ზღაპრულ რასმე გასართობათ, დროს მოსაკლავათ, მემრე იმგვარს რასმე უბრალო ამბებს. შემდეგ, თან და თან ჰხედამენ ძალას მწერლობაში და ცდილობენ ამაში რამე აზრი შეიტანონ, სახმარისათ რათმე გაჰხადონ. შემდეგ მწერლობა ხდება იარაღათ აზრთა გაყვანისა".[26]

მართალია, უძველესი, პირველყოფილი ხელოვნება არ ყოფილა კლასობრივი, კლასობრივად ტენდენციური, ამავე დროს მასში ლოგიკურსა და ანალიტიკურს ჭარბობდა გრძნობიერი, მაგრამ ეს მაინც არ გვაძლევს უფლებას იმდროინდელი ხელოვნება უიდეოდ, იდეისაგან დაცლილად მივიჩნიოთ. პირველყოფილ ადამიანთა სადგომებში ცხოველთა ბევრი სურათი გვხვდება და ნუთუ ადამიანი მათ მხოლოდ და მხოლოდ დროის მოსაკლავად, მხოლოდ გასართობად ხატავდა? რა თქმა უნდა, არა. მას ეგონა, რომ „ბიზონის დახატვით ნამდვილ ბი-

---

25 ა. ფურცელაძე, წინასიტყვაობა გ. ერისთავის თხზულებათა კრებულისათვის, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 5918/6.

26 იქვე.

ზონს დაიმორჩილებდა".[27] ეს იყო მიამიტური აზრი, ანიმიზმთან მჭიდროდ დაკავშირებული, მაგრამ თვითონ ხატვას ადამიანისათვის უდიდესი სარგებლობა მოჰქონდა — იგი უკეთ, ყოველმხრივ სწავლობდა ცხოველს, ცხოველთა სამყაროს, პუნებას, რაც ეხმარებოდა მას უფრო ღრმად შეემეცნებინა ობიექტური სამყარო, გარემო, სადაც არსებობისათვის ბრძოლა უხდებოდა.

რამდენიმე წლის შემდეგ სტატიაში „შექსპირი ჰამლეტში" ანტონ ფურცელაძემ უკვე საპირისპირო აზრი განავითარა და ამტკიცებდა, რომ ხელოვნება მუდამ იყო იდეური, რომ ღრმად იდეურია უძველესი თქმულებანი, ბერძნული მითოლოგია, ძველი ებრაული პოეზია და ა. შ. „ავიღოთ თვით უძველესი, ისტორიულ წინა დროთა თქმული ზღაპრები, — წერდა კრიტიკოსი, — ან ეხლანდელთა ჭელურთა ხალხთა თქმულებანი. აქ ყველა ზღაპარში, ყველა თქმულებაში ისახება რამე სასარგებლო აზრი: ან იდევნება ავი, იქება კარგი, ან არის აწერილი ბრძოლა კეთილისა და მავნე სულისა, ან სიავე ძეფეთა და დიდებულთა, ან სიავე დედის ნაცვლისა, ან გაუმაძღრობა მტრისა; ან ჩაგვრა ქვრივ-ობოლთა; ან შებრალება და მწუხარება მიცვალებულის წინაპრებისა და სხვა ამგვარი აბები. სულ ამათი გონებით არის სახმარი და სასარგებლო გასაგებათ და მისახვედრათ".[28] განა შესანიშნავი ებრაული პოეტური თქმულება იერემიას გოდებანი უიდეო, აზრს მოკლებული ნაწარმოებებია? ან ტროადის ამბები, ან ძველი ბერძნული მითოლოგია?

ამრიგად, ხელოვნება მუდამ შეიცავდა იდეას, აზრს, მუდამ იყო საზოგადოებრივი შემეცნების ერთ-ერთი ფორმა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, რაც უფრო ცივილიზებული ხდებოდა საზოგადოება, მით უფრო იზრდებოდა ხელოვნების აღმზრდელობით-შემეცნებითი მნიშვნელობა და ამასთან დაკავშირებით იგი ხდებოდა სულ უფრო მეტად იდეური და ტენდენციური. „რაც ხანი გადის, რავდენიც უფრო ივსება კაცობრიობა მეცნიერებით, სწავლით, ცოდნით, იმდენად იზრდება თხზულებაებში სასარგებლო აზრები, — შენიშნავდა ანტონ

27. Основы марксистско-ленинской эстетики, 1960, стр. 236.
28 ა. ფურცელაძე, შექსპირი ჰამლეტში.

ფურცელაძე, — და რაც უფრო დიდებული აზრი შეიქვეთ მწერალთ თავის ღვაწლში, იმდენი უფრო საქებარნი ხდებიან ყველა გონიერთაგან".[29]

ამავე აზრს ავითარებდა ა. ფურცელაძე სხვა სტატიებშიც. კერძოდ, გ. ერისთავის თხზულებათა კრებულისათვის გახკუთვნილ „წინასიტყვაობაში" იგი წერდა: „რამდენიც უფრო ძაღლი აზრი... ისახება ნაწერში, იმდენი ნაწერებს უფრო ძაღლა აყენებენ. რამდენიც მწერალი უფრო აზრიანია და დიდ და მაღალ იდეებს სდევნის, ძლიერათ აქვს გამოსახული საზოგადო სასარგებლო აზრები, იმდენი ამ მწერალსა და თხზულებათ უფრო მაღლა აყენებენ".[30] სავსებით სწორი დებულებაა. ასევე სავსებით მართალია ა. ფურცელაძე, როცა განმარტავს, თუ რატომ ვცემთ განსაკუთრებულ პატივს ისეთ მწერლებს, როგორიც არიან მილტონი, დანტე, სერვანტესი, ნეკრასოვი, ბარათაშვილი. იმიტომ, რომ ისინი „თან და თან უფრო ღრმასა და სასარგებლო აზრებს ახმარებენ ხელოვნებას, რომლითაც ამშვენებენ თვით ხელოვნებათაც და სწევენ კაცთ გონებას მაღლა, სწრთვნიან კაცთ ზნეობას, კაცთ მოყვარეობას, მოქალაქეობრივს ქვეყნის სიყვარულს, ავრცელებენ თანასწორობისა და ძმობის სწავლას, კაცობრიობის სიყვარულს, კაცობრიობის ერთობას და სხვა და სხვა და სხვა".[31]

რასაკვირველია, მწერლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივ ნიჭს, მაგრამ ვერავითარი ნიჭი ვერ უშველის მას და ვერ მოუპოვებს მკვიდრ თვალსაჩინო ადგილს ლიტერატურის ისტორიაში, თუ იგი თავის ნიჭს არ ახმარს სასარგებლო და ამაღლებულ იდეებს, თუ არ არის უაღრესად ტენდენციური და თავისი კალმით არ ეხმარება საზოგადოებას ცხოვრების ძირფესვიანად გარდაქმნაში. დიდი მწერლები იმიტომ არიან დიდი მწერლები, რომ ისინი „წერას პირდაპირ ხმარობენ იდეების გასაყვანათ, დასცინიან სხვა და სხვა წყობილებათა, ჩვეულებათა, წესთა, ქცევათა და სხვა".[32] ეს სრულიად უეჭვე-

---

29 იქვე.

30 ა. ფურცელაძე, წინასიტყვაობა (გ. ერისთავის თხზულებათა კრებულისათვის).

31 ა. ფურცელაძე, შექსპირი ჰამლეტში.

32 ა. ფურცელაძე, წინასიტყვაობა (გ. ერისთავის თხზულებათა კრებულისათვის).

ლია. აბა „გამოაცალეთ ამათ თხზულებათ.[33] იმათი იდეები, ტენდენციები და ისინიც ისე მსწრაფლ იქნებიან დავიწყებულნი, როგორც გაჰქრნენ პირისაგან ყოვლის ქვეყნისა პოლდეკოკები, ფელიები, დუმები".[34] რა თქმა უნდა, ა. ფურცელაძე აქ აქარბებს, განსაკუთრებით ალ. დიუმას მიმართ, მაგრამ პრინციპულად სწორ აზრს ავითარებს.

მკაცრად გაილაშქრა ანტონ ფურცელაძემ იდეალისტ ესთეტიკოსთა იმ დებულების წინააღმდეგაც, რომ ხელოვნებას თითქოს „თავის თავათა აქვს აზრი" და რომ მწერალი თვითონ არ უნდა ცდილობდეს შეიტანოს ნაწარმოებში ესა თუ ის იდეა, ესა თუ ის „წინად აღებული რამ აზრი". ეს იყო ხელოვნების იდეურობის მორცხვი აღიარება, მაგრამ მისი ტენდენციურობისა და უტილიტარული პრინციპის უარყოფა. ამით თეორიის „ხელოვნება ხელოვნებისათვის" მიმდევრებს სურდათ გაექარწყლებინათ ან შეენელებინათ უკვე დამკვიდრებული კრიტიკული რეალიზმის გავლენა საზოგადოებაზე და ლიტერატურა არსებითად ჩამოეშორებინათ აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებისაგან, ჩაეკეტათ იგი თავის თავში, ხალხისაგან შორს მდგომ კოშკში, სადაც ვერ მიაღწევდა „კაცთ ჟრიამული". სწორედ ასეთი ესთეტიკოსები ჰყავდა მხედველობაში ანტონ ფურცელაძეს, როცა წერდა: „ზოგჯერ ეს მქადაგებელნი ხელოვნება ხელოვნებისათვის უმატებენ თავის სწავლას შემდეგს: ხელოვნებას არ უნდა ჰქონდეს წინად აღებული რამ აზრი სახეში. კაცი უნდა შეუდგეს ხელოვნებას, შეასრულოს ხელოვნება და, რაც აზრი გამოვა — გამოვაო. მხოლოდ ამგვარად გამოსულს აზრს აქვს ძალა, ნამდვილი მნიშვნელობა, და ხელოვნება მარტო მაშინ ასრულებს თავის ნანდვილს დანიშნულებასაო. ასრე როგორ ხელოვნებას თავის თავათა აქვს აზრიო. წინად არ უნდა აიღო აზრი და არ უნდა ამას ხელოვნებაო".[35]

---

33 ა. ფურცელაძეს მხედველობაში ჰყავს ჰაინე, ჰიუგო, სიუ, ალფიერი, ლეოპარდი, გოგოლი, ნეკრასოვი, ჟორჟ სანდი, შჩედრინი, მიცკევიჩი, პეტეფი, ლონგფელო, შატრიანი, შპილგაგენი და სხვანი, როგორც „ამ მიმართულების გამავრცელებელნი და გამაცხოველებელნი".

34 ა. ფურცელაძე, წინასიტყვაობა (გ. ერისთავის თხზულებათა კრებულისათვის).

35 ა. ფურცელაძე, შექსპირი ჰამლეტში.

იდეალისტთ ესთეტიკოსთა ამ დებულებაში ანტონ ფურცელაძემ სწორად შენიშნა ერთი მეტად საყურადღებო ძოძენტი — ცნობიერი აქტის შეგნებული უარყოფა, „შთაგონების“ პრიმატი, რაც თავისი მახვილით მიმართული იყო ხელოვნების ტენდენციურობის წინააღმდეგ. „აქაც ერთი რამ არის საკითხავი. წარმოვიდგინოთ ამგვარი მდგომარეობა კაცისა, როდესაც იმას არავითარი აზრი არ უდევს თავში, უაზროდ აღგება რაღაცა საქმესა, არ იცის რისთვის აფათურებს ხელებს, აცოდვილებს გონებას, — ნუთუ აქედამ შერდგება რამე აზროვნება, გონივრული მოსახმარი და გამოსაყენებელი საქმე, სწავლა და სხვა?!“[36] თვითონ წერის, შექმნის პროცესში ხელოვანი შეიძლება არ იყოს მოკლებული ნაძღვილ შთაგონებას, თუმცა ბევრი მწერალი ამას უარყოფს,[37] მაგრამ შემოქმედება მაინც ცნობიერი აქტია. ეს იმიტომ, რომ ვიდრე დაწერდეს, მწერალს უკვე თავში აქვს მომავალი ნაწარმოების იდეა, ტენდენცია, როგორც ცოცხალს, ხედავს ხასიათებს, იმ გარემოს, სადაც მისი პერსონაჟები მოქმედებენ, „რომელს გამოჩეხილს მწერალს, გონების ნაღვაწს გვიჩვენებენ, — კითხულობდა ა. ფურცელაძე, — რომ ბევრის ხნის წინად, მინამ ამ ღვაწლს შეასრულებენ, ან შეუდგებიან მის შრომას, ჯერ თავში არ ჰქონდეთ ეს ღვაწლის აზრი გამოსახული. ბევრს ხანს არა ტრიალებულიყვეს მათს გონებაში, არ ძეძოსილიყვეს იქ საჭირო სამოსელით, მემრე, აღსრულებამდის, არ შეერდგინოს კონსპექტი, პლანი და შემდგომ დიდის ჩაფიქრებისა, აზრების აწონ-დაწონვისა, შემოწმებისა და გამზადებისა, არ შესდგომიან იმ ღვაწლს, რომელსაც მას უკან გვაძლევენ მზად, ისტუმრებენ ქვეყნად ქვეყნის სახმარისად, დასაფასებლად?!“.[38]

ნათქვამის დასადასტურებლად ა. ფურცელაძეს არაერთი. მაგალითი მოაქვს მსოფლიო ლიტერატურიდან. „აიღეთ გოხე-

---

36 იქვე.

37 აკაკი წერეთელი, მაგალითად, აკრიტიკებდა რა იმ პოეტებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, თითქოს „ზეგარდმო ჩაგონებით არიან განმსჭვალულნი და ღმერთი ელაპარაკება მათ!“, წერდა: „საკვირველია! ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც მე ლექსებს ვსწერ, სხვა ხელოვნება არა მაქვს რა და ერთხელაც არ მახსოვს, რომ ღმერთი დამლაპარაკებოდეს!“... (თხზ., ტ. 6, 1957, გვ. 205).

38 ა. ფურცელაძე, შექსპირი ჰამლეტში (ხაზგასმა ჩემია — შ. ჭ.).

ბით უძლიერესი გოეტე, — წერდა იგი, — რომელი ნაღვაწლი აქვს, რომ წინად ჯერ თავსა და გულში არ შეემუშავებინოს, მემრე კონსპექტები არ შეერდგინოს და მხოლოდ ამის შემდგომ არ ჩაესვას ხელოვნების ყალიბში?! ეს დიდებული გოხების კაცი ამბობს, ფაუსტის მეორე ნაწილი ორმოც და ათი წელიწადი მქონდა თავში და იქ გამზადებული დასაწერათო. აიღეთ შილლერი, მართლაცა და შეუდარებელი ბაირონი, აიღეთ გიუგო, მოლიერი, პუშკინი, ნეკრასოვი, გოგოლი, ვიხც გინდა — ყველანი ჯერ წინად საზრამენ, არდგენენ პლანს, სწერენ კონსპექტს, და ბოლოს აზრს, იდეიას, ტენდენციას აძლევდნენ ხელოვნებას მათს გამოსასახავად, გამოჰყავდათ ხელოვნების ყალიბში".[39]

ამრიგად, შემოქმედება ცნობიერი აქტია და ყველა მწერალს, ამა თუ იმ ნაწარმოებს რომ ქმნის, აუცილებლად აქვს „წინად აღებული რამ აზრი", რომლის „გაყვანასაც" იგი ცდილობს თხზულებაში. და სწორედ ეს „წინად აღებული რამ აზრია" ტენდენცია. მაგრამ იქნებ მართალი არიან ის ესთეტიკოსები, რომლებიც ფიქრობენ, რომ თუ მწერალი შეეცდება მხატვრულ ნაწარმოებში „გაიყვანოს" „წინად აღებული რამ აზრი", ე. ი. თავისი პოლიტიკური, სოციალური და ა. შ. შეხედულებანი, ანუ ტენდენციები, იგი თავს ვერ დააღწევს სუბიექტივიზმს და, მაშასადამე, ვერ მოგვცემს სინამდვილის ობიექტურ სურათს, ეს კი იქნება ხელოვნების არა აძაღლება, არამედ, პირიქით, მისი დამცირებაო.

„არის ხელოვნებაზედ კიდევ ერთი სწავლა,—წერდა ა. ფურცელაძე ამის თაობაზე, — რომელიც ამგვარსავე შეუძლებელს საქმეს ჰქადაგებს, როგორც მქადაგებელნი ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. ესენი იძახიან, რომ ხელოვნებაში სუბიექტური შეხედულობა ამცირებს ხელოვნებასო. შეხედულობა ავტორისა უნდა იყვეს ობიექტურიო. ესე იგი მოღვაწე ხელოვნებაში თავის თვალით და გონების მოსაზრებით კი არ უნდა უყურებდეს საქმესა, უნდა ისრე გვაცნობებდეს, როგორც თვით ბუნებაში არისო".[40]

ამ მოთხრობაში ანტონ ფურცელაძემ უსაფუძვლოდ რო-

39 იქვე.
40 იქვე (ხაზგასმა ავტორისაა — შ. ქ).

დი დაინახა გალაშქრება ლიტერატურის ტენდენციურობის წინააღმდეგ და შესანიშნავად დაასაბუთა, რომ არავითარი ხელოვნება არ არსებობს სუბიექტირების გარეშე, რომ „ხელოვნება შეიძლება მხოლოდ სუბიექტური“.[41] რა თქმა უნდა, როგორც მატერიალისტმა, მან კარგად იცოდა, რომ სინამდვილე ობიექტურად, სუბიექტისაგან დამოუკიდებლად არსებობს და არ თანაუგრძნობდა იდეალისტ ფილოსოფოსებს — ფიხტეს, შელინგსა და სხვებს, რომლებიც საწინააღმდეგო დებულებას ავითარებდნენ და ამტკიცებდნენ, თითქოს ობიექტური სინამდვილე, კერძოდ, ბუნება იმდენად არსებობს, რამდენადაც არის სუბიექტი — ადამიანი. აკრიტიკებდა რა შელინგის იდეალისტურ ფილოსოფიას, ა. ფურცელაძე დაუფარავი ირონიით წერდა: „ბუნება არ არისო, ბუნება ჩვენი გონების ქმნილებააო. ასრე რომ შელინგი კი არ არის ბუნების ქმნილება, ბუნებაა შელინგის ქმნილება და ისიც რა ქმნილება! — ოცხების ქმნილება, სიზმარი“.[42] მაშასადამე, როცა იგი წერდა „ხელოვნება შეიძლება მხოლოდ სუბიექტური“, ეს უნდა გავიგოთ მატერიალისტურად. სინამდვილე, რომელიც ხელოვნებაში აისახება, ობიექტურად არსებობს, სუბიექტისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ ხელოვნებაში იგი შედის სუბიექტის მეშვეობით სუბიექტის აღქმის, შემეცნების, შემოქმედების შედეგად და ამიტომ „თვით ობიექტი გამოისახება ისრეთი, როგორათაც შეეთვისება ჩვენს სუბიექტს, როგორც ეჩვენება ეს იმას“,[43] ე. ი. სუბიექტურად.

ავითარებდა რა ამ აზრს, ა. ფურცელაძე წერდა: „მე ბუნებას, ყველა ბუნების მოვლინებას ისრე ვიცნობ, როგორც ჩემს სუბიექტს, ესე იგი ჩემს გონებას, ჩემს ცნობიერებას ძიუღია. მე ის შემიძლიან ვთქვა და გამოვსახო, რაცა და როგორც მე მიცვნია, რაცა და რა სახითაც ჩემს თავსა და გონებაში შესულა. რაც ჩემს გონების გარეთა სდგას, რაც ჩემს შთაბეჭდილებას, ცნობიერებას არ შეჰხებია, არ მიუღია, რო-

---

41 იქვე.

42 ა. ფურცელაძე, წერილები ყასაბ-აღოსი აბრაგუნესთან, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 5909/49.

43 ა. ფურცელაძე, შექსპირი ჰამლეტში.

გორ უნდა ავწერო და ვთქვა ისა?".[44] და რაკი ასეა, რაკი ობიექტი ხელოვნებაში შედის სუბიექტის მეშვეობით, "შეუძლებელია ასახულში თავი არ იჩინოს სუბიექტურმა. სხვანაირად რომ ვთქვათ, შემოქმედების პროცესი არის ობიექტის სუბიექტირების პროცესი და ამის გამო ხელოვნებაში ობიექტი გვეძლევა გასუბიექტირებული სახით და არა პირდაპირ. ეს, ა. ფურცელაძის აზრით, თანაბრად ეხება მსჯელობას, აზროვნებასაც. „ამის გამო, — წერდა იგი, — აქაც მსჯელობა "შეიძლება მხოლოდ სუბიექტურად, რათგან, როგორც ითქვა, რაც ვიცით, სუბიექტურად ვიცით, და რაც უნდა გავაკეთოთ, რაც უნდა ჩავიდინოთ, ყველგან ჩვენს სუბიექტურს შეხედულობას, მოქმედებას, მსჯელობას შევიტანთ".[45]

თავისი აზრის ნათელსაყოფად ა. ფურცელაძე იშველიებს საილუსტრაციო მასალას, კერძოდ, ახასიათებს შემოქმედების პროცესს, მხატვრული ნაწარმოების შექმნის, მისი გაჩენის პროცესს. იგი, ეს პროცესი, როგორც წესი, იმით იწყება, რომ მწერალი სწავლობს სინამდვილეს, ობიექტს, რათა რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდეს და ყოველმხრივ გაიცნოს მისი „მეს" „გარემყოფი". „რავდენიც უფრო გაიხსნება კაცის გონება და შეიმოსება სწავლით, იმდენი უფრო გადაიშლება მის წინ ო ბ ი ე კ ტ ი და გაიცნობს მას სუბიექტი, — წერდა ა. ფურცელაძე, — ესე იგი, როგორც ფილოსოფოსნი ამბობენ: ჩ ე მ ი მ ე გაიცნობს არა მ ე ს. მე გავიცნობ ჩემს გარემყოფს".[46] ამრიგად, ობიექტის ღრმად და ყოველმხრივ შესწავლა "შემოქმედების უპირველესი პირობა და საფუძველია. რაც მეტი ვიცით ობიექტზე, მით უფრო უკეთ და მართლად გამოვსახავთ მას. როცა ობიექტი შესწავლილია, იწყება მისი ასახვა, გადატანა ხელოვნებაში, რომლის დროსაც განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება მწერლის დამოკიდებულება შესწავლილი ობიექტისადმი, მისი ტენდენცია, ვთქვათ, A მოვლენა მწერალს მიაჩნია დადებითად, ხოლო B მოვლენა — უარყოფითად. ძაშინ იგი A მოვლენის გამოსახატავად შეარჩევს დადებითს ტიპს, ხასიათს, ხოლო B მოვლენის გამოსახატავად — უარ-

44 იქვე.
45 იქვე.
46 იქვე (ხაზგასმა ავტორისაა — შ. ჯ.).

ყოფითს და მათი ურთიერთობის, მოქმედების, ქცევის, მსჯელობის მეოხებით გადმოგვცემს თავის შეხედულებას ანუ ტენდენციას. ამის გამო ნაწარმოებში აუცილებლად ჩახს, თუ ვის თანაუგრძნობს ავტორი, ვის საქციელს გმობს, „რაკი ამგვარად ყოველს სიტყვაში, ყოველს სიტყვის კილოში გამოსჭვივის თვით ავტორი, ავტორის აზრი, შეხედულობა, ცხობა. გონება, სად არის აქ ობიექტური შეხედულობა საგანზედ? დაასკვნის ა. ფურცელაძე, — რომელს ადგილს, რომელს კილოს იჩვენებიან გინდა შექსპირის და გინდა სხვა ავტორების ნაწერებში, რომ არ იყოს სუბიექტური და ეთქმოდეს ობიექტურობა?“ [47]

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ა. ფურცელაძე სრულ თავისუფლებას აძლევს სუბიექტს — მწერალს, რომ მან ისე გაამხატოს ობიექტი, როგორადაც სურს და ანგარიში არ გაუწიოს მის ბუნებასა და კანონზომიერებას? თავისთავად ცხადია, ჯერ ერთი, იგი მოითხოვს ობიექტის რაც შეიძლება სრულად და ღრმად შესწავლას, შემდეგ, აუცილებლად მიიჩნევს, რომ მწერალი მსჯელობდეს სწორად, გონივრულად, იჩენდეს მიუკერძოებლობას, იყოს ჭეშმარიტების ერთგული. „ჩემგან, — წერდა ა. ფურცელაძე,—შეუძლიანთ მოითხოვონ მხოლოდ სწორე მსჯელობა, ცნობიერათ და გონივრულათ აღწერა, მიუფერებლობა, ჭეშმარიტება, დამყარებული აწონვილს გამოკვლევასა და მოსაზრებაზედ, მაგრამ რომ მომთხოვონ ო ბ ი ე კ ტ უ რ ა დ საქმის შეხედვა, საქმის გამოსახვა, — ეს წმინდა აბსურდია“.[48]

სხვა სტატიებშიც კრიტიკოსი მოითხოვდა სრულ სიმართლეს, ობიექტის მართლად გამოსახვას და მკაცრად აკრიტიკებდა იმ მწერლებს, რომლებიც, მისი აზრით, მეტისმეტად ფართო სარბიელს აძლევდნენ სუბიექტივისტურ მისწრაფებებს და უგულებელყოფდნენ ობიექტის კანონზომიერებას, ღალატობდნენ სიმართლეს. „ცხოვრება უნდა გამოისახოს იმით, — მიუთითებდა ა. ფურცელაძე, — რაც მისგან გამომდინარეობს და რაც მასში არსებობს“.[49] მაშასადამე, არავის არა აქვს უფლება სინამდვილეს თავზე მოახვიოს თავისი ვიწრო-სუბიე-

47 ა. ფურცელაძე, შექსპირი ჰამლეტში.
48 იქვე.
49 ქრესტომათია, I, გვ. 390.

ქტივისტური შეხედულებები და ცხოვრებაში დაინახოს არარსებული მოვლენები. სწორად არ იქცევიან არც ის მწერლები, რომლებიც შეიძლება ცხოვრების მოვლენებს მართლად გადმოგვცემენ, მაგრამ პერსონაჟებს ამოქმედებენ ნებისმიერად, საკუთარი სურვილების შესაბამისად და არა მათი ბუნების მიხედვით. ეხება რა ხასიათების გამოკვეთის პრობლემას, იგი პირდაპირ წერს, რომ ისინი, ეს ხასიათები, პერსონაჟები, ჯერ ერთი, „უნდა ეთანხმებოდნენ თავის მოვლინებაებს და თავის საფუძველს“, ე. ი. ცხოვრებას, სინამდვილეს, ხოლო მეორე მხრივ, ყველა მათგანი „უნდა წარმოსთქვამდეს საზოგადოებისა, გინა საზოგადოების პირთ, რომელსამე მხარესა“[50] და, ბოლოს, ისინი „უნდა იყვნენ ცოცხალნი, რომელნიც თავისი სინანდვილით შესაძლებელნი იყვნენ და არსაიდამ ჩამოტაცებულნი, ან ავტორის ოცნებით განსპეტაკებულნი“.[51]

ამ ამონაწერებიდან ცხადად ჩანს, რომ ა. ფურცელაძე არ იზიარებდა არც სუბიექტივიზმს, რომელიც უგულებელყოფდა ობიექტის ნამდვილ ბუნებასა და კანონზომიერებას, და არც ობიექტივიზმს, რომელიც ფაქტიურად გულისხმობდა უტენდენციობას, ტენდენციაზე უარის თქმას. სიმართლე, სინამდვილის ერთგულება, ამტკიცებდა იგი, აუცილებელია ყოველი მხატვრული ნაწარმოებისათვის, მაგრამ ობექტურობა შეუძლებელია, რადგან ყოველგვარ თხზულებაში „ავტორი თავის მომქმედ პირთ, მათს ქცევას, მათს ლაპარაკს ან თანაუგრძნობს ან არა. ერთშიაც და მეორეშიაც თქვენ ჰხედავთ ავტორის შეხედულობას, ავტორის აზრს, სადაც ისა ჰზის სუბიექტურ წრეში“.[52] მხოლოდ მაშინ შეიძლება ნაწარმოები იყოს ობიექტური, თუ კი ცნებას „ობიექტური“ გავაიგივებთ ცხებასთან „სიმართლე“, მაგრამ ისინი ხომ სინონიმები არ არიან და ამიტომ მათ შორის ვერ დავსვამთ ტოლობის ნიშანს, ეს იქნებოდა ტერმინების არევა. „თუ დავარქვით სიმართლეს ობიექტურობა, — წერდა ა. ფურცელაძე, — განა ეს სიტყვების არევა არ იქნება, ტერმინების შეშლა? განა ეს სიმართლე არ შეადგენს სუბიექტურს ნაყოფს ავტორისას, ავტორის სუბიე-

50 იქვე, გვ. 313.
51 იქვე.
52 ა. ფურცელაძე, შექსპირი ჰამლეტში.

კტური გონებისას? ან ეშლებათ ობიექტივიზმის მქადაგებელთ ერთმანეთში ტერმინები: სიმართლე და ობიექტივიზმი ან შეხედულობა ობიექტური, როგორც ეს სიტყვა ესმის ფილოსოფიას, შეუძლებელია".[53]

ამრიგად, ა. ფურცელაძემ სწორად გაარკვია ობიექტისა და სუბიექტის ურთიერთობა ხელოვნებაში და ცხადყო, რომ ობიექტივიზმი არსებითად უდრის ტენდენციურობის უარყოფას და ამიტომ გადაჭრით უარყო იგი. მან მტკიცედ მოითხოვა, რომ ხელოვნება ემსახურებოდეს გარკვეულ აზრს, იდეას, ტენდენციას.

მაგრამ როგორი უნდა იყოს ეს ტენდენცია, პირადული თუ საზოგადოებრივი?

ანტონ ფურცელაძე ამ პრობლემასაც შეეხო და რუსი რევოლუციონერი დემოკრატების, აგრეთვე თერგდალეულთა კვალ და კვალ წამოაყენა ლიტერატურის, ხელოვნების ხ ა ლ ხ უ რ ო ბ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი. მისი აზრით, მწერლის სუბიექტურ შეხედულებას ანუ ტენდენციას მაშინ ექნება გამართლება, მაშინ მოიტანს სარგებლობას, როცა იგი გამოხატავს მწერლის არა ვიწრო-პირადულ, სუბიექტივისტურ თვალსაზრისს, არამედ სრულად და ყოველმხრივ დაემთხვევა მოწინავე, რევოლუციური კლასების, ხალხის თვალსაზრისს და მათს მისწრაფებებს, მიმართულია ცხოვრების გარდაქმნისაკენ და მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, უარყოფითის, ძველისა და დრომოჭმულის ლიკვიდაციას, ხოლო მეორე მხრივ, ახლის, პროგრესულისა და განვითარებადის მხარდაჭერას, დამკვიდრებას.

დიდი რუსი პოეტის ნ. ა. ნეკრასოვის ფასდაუდებელ დამსახურებად ა. ფურცელაძეს ის გარემოება მიაჩნდა, რომ მისი პოეზია ხალხის გულისთქმას გამოხატავდა. „რუსების მელექსეებში, — წერდა იგი, — თითქმის პირველი ნეკრასოვი იყო, რომელმაც მიაპყრა გონება თავის აღმზრდელ მსაზრდოებელ დაჩაგრულს ხალხს, შეუდგა ამ ხალხის ცხოვრების შესწავლასა, დაიწყო ლექსებში წარმოთქმა ხალხის გრძნობისა, იმის მდგომარეობისა, იმის მწუხარებისა და სხვა ვითარებაებისა".[54]

---

53 იქვე.

54 ქრესტომათია, II გვ. 25.

კრიტიკოსის აზრით, ეს იყო მისაბაძი საქციელი, ყოველი პოეტის, ყოველი ხელოვანის პირდაპირი მოვალეობა და გულმხურვალედ მოუწოდებდა ქართველ ლიტერატორებს ხალხის სამსახურისაკენ.

ხალხურობის პრინციპი ქართულ ლიტერატურაში პირველად თერგდალეულებმა წამოაყენეს, როცა მათ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით გადამწყვეტი იერიში მიიტანეს „მაძების“ უაზრო, უიდეო ლიტერატურაზე და მოითხოვეს, რომ ხელოვნებას, კერძოდ, ლიტერატურას გამოესახა ცოცხალი სიხამდვილე, ხალხის ინტერესები, აღეძრა და გადაეწყვიტა ერის საჭირბოროტო საკითხები. ხელოვნება, ამტკიცებდნენ ისინი, არ არის ცალკეულ პირთა კერძო საქმე, იგი არც გასართობია, არამედ მძლავრი იდეური იარაღი, რომელიც ხალხს უნდა ემსახურებოდეს. ეს გახდა წყალგამყოფი ქედი, რომლის ერთ მხარეზე დარჩა „მამების“ დრომოჭმული სენტიმენტალურ-რომანტიკული, კონსერვატორული ლიტერატურა, ხოლო მეორე მხარეზე წარმოიშვა და სწრაფად იწყო განვითარება რეალისტურ-პროგრესულმა მწერლობამ. დაე, წერდა ილია ჭავჭავაძე, „ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული თვალები და ბულბულსავით უაზრო შტვენა დაიწყოს და აღარ გაათავოს. ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს“.[55]

თერგდალეულებთან ერთად „მამების“ ლიტერატურის წინააღმდეგ გაილაშქრა აგრეთვე ა. ფურცელაძემ, რომელიც სიკვდილამდე მტკიცედ იცავდა დებულებას, რომ ლიტერატურა და ხელოვნება ცხოვრებას, სინამდვილეს უნდა ასახავდნენ და ხალხს ემსახურებოდნენ. უკვე 1863 წელს სტატიაში „ქართული ლიტერატურა“ მან მწვავედ დასცინა იმ ლიტერატორებსა და ლიტერატურის „მოყვარულთ“, რომლებსაც საზოგადოების, ხალხის სამსახური კი არ აინტერესებდათ, არამედ საკუთარი განდიდება, თავის გამოჩენა და, ამრიგად, მწერლობას მიიჩნევდნენ ცალკეულ პირთა კერძო და არა საზოგადოებრივ საქმედ.

---

55 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, 1953, გვ. 68.

ვინ იცის, წერდა ა. ფურცელაძე, საიდან და რამდენნაირი თხზულება არ მოსდის „ცისკრის“ რედაქციას, რომლებზეც მათს ავტორებს „გაუბრტყელებიათ სხვილის ასოებით ჩინი, ტიტული, თავისა და მამის სახელი და გვარი“.[56] ბევრი მათგანი, ვანაგრძობდა კრიტიკოსი, „ფულსაცა გზავნის, ოღონდ დაგვიბეჭდეო; ერთს ამგვარ მწერალთაგანს ყველი და ერბო გამოეგზავნა ერთ ლექსის დასაბეჭდათ... ბოლოს გამოდის, რომ ამათი აზრი ყოფილა, რომ თავის სახელი და გვარი დაბეჭდილი ნახონ. ეს ცოდვის კითხვა მარტო იმათს თავს არ არის, ეს ცოდვის კითხვა ბევრ ჩვენს ლიტერატორებსა სჭირს, რომელნიც სხვა საჭიროებასა არა ხედამენ, გარდა თავის სახელის გამოჩენისა“.[57] რაკი მწერლობას ამ საზომით უცქერდნენ და სურდათ იგი პირადი სარგებლობისათვის გამოეყენებინათ, ა. ფურცელაძის სიტყვით, გასაკვირი როდი იყო, რომ „ლიტერატორები და ლიტერატურა სრულებით არ მისდევს ხალხის საჭიროებას და ჰბლაჭნიან, ვითამ და შეიტყუეთ, რომ მეც კაცი ვარ და ქვეყანაში ურევივარო“.[58]

ეს მით უფრო მიუტევებელი იყო, რომ გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური პირობების გამო ქართულ ლიტერატურას განსაკუთრებული როლი უნდა შეესრულებინა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. *სწორედ მას უნდა ეკისრა იდეოლოგიური ბელადისა და წინამძღოლის მისია.* და არა საზოგადოებრივი ცნობიერების რომელიმე სხვა ფორმას. აი ამიტომ წერდა ა. ფურცელაძე: „პირველი ღონისძიება, რომ სწორე გზაზედ დაეყენებინა ჩვენი საზოგადოება და აეხსნა იმისთვის სიმართლისა და სიმრუდის ვითარება და კანონები, იყო ლიტერატურა. ლიტერატურა უეჭველად უნდა მიშველებოდა ამ მდგომარეობაში საზოგადოებას“.[59] მაგრამ „მამები“ არ დაგიდევდნენ ლიტერატურის ამ განსაკუთრებულ როლს, მის საზოგადოებრივ დანიშნულებას და კვლავ და კვლავ თხზავდნენ უაზრო და ცრუ ოცნებებით სავსე ნაწარმოებებს, ისიც თარგმოსის ენით. „ლიტერატურის ვალია ეხლა, — წერდა ა. ფურცელაძე, — რომ სხვა და

56 ქრესტომათია, I, გვ. 352.
57 იქვე, გვ. 353.
58 იქვე, გვ. 352.
59 ქრესტომათია, II, გვ. 13.

სხვა ჰეშმარიტის და ძლიერის საბუთებით უმტკიცებდეს ხალხსა და საზოგადოებასა საზოგადო სასარგებლო საქმეებზე დადგომასა და უნდა უხსნიდეს რაში მდგომარეობს ის საზოგადო სასარგებლო საქმეები, შეეხოს ყოველ რიგს საზოგადო საჭიროებასა და აცნობოს მკითხველს იმისი ვითარება, შეეხოს ხალხის ცხოვრებასა და უჩვენოს ყოველი მხარე ამ ცხოვრებისა. ხოლოდ მაშინ ექნება ლიტერატურას ჰეშმარიტი სასარგებლო მნიშვნელობა".[60]

იმის მისაბაძ მაგალითად, თუ რას და როგორ უნდა ემსახურებოდეს ლიტერატურა, როგორ უნდა ასრულებდეს დაკისრებულ მოვალეობას, ა. ფურცელაძე ასახელებდა რუსულ რევოლუციურ-დემოკრატიულ და რეალისტურ ლიტერატურას, კერძოდ, ნეკრასოვის, გოგოლის, გრიბოედოვისა და სხვათა შემოქმედებას. ნეკრასოვის უდიდესი დამსახურება ის იყო, წერდა ანტონ ფურცელაძე, რომ „პირველი თითქმის იმან დაიწყო ლექსებში სასარგებლო აზრების გაყვანა და დაიწყო ცდა, რომ ლექსები არ ყოფილიყო ცარიელი ლ ე ქ ს ე ბ ი — უაზრო და უსაგნო, როგორც მანამდინა სწერდნენ ხოლმე; იმან თითქმის ყოველს თავისს ლექსს ჩაუდგა სული, სახავდა ამ ლექსებში სხვა და სხვა სურათებსა, სხვა და სხვა დარდსა და ვარამს დაჩაგრულებისას და ცდილობდა ლექსების ისე ცხოვლათ დაწერასა და იმათის აზრების ისე ცხოვლათ გამოსახვასა, რომ მოეყვანა მკითხველი გრძნობაზედ და ჩაეფიქრებინა ის ამ ლექსში გამოყვანილს აზრზედ".[61] მისივე სიტყვებით, ნეკრასოვზე ადრე ამ საქმეს — „საზოგადო მდგომარეობის" ასახვასა და „სასარგებლო აზრების გაყვანას", ოღონდ არა პოეზიაში, ხელი მოჰკიდეს გრიბოედოვმა და გოგოლმა. მალე მათ უამრავი მიმდევარი გაუჩნდათ, უპირველეს ყოვლისა კი ახალგაზრდობას შორის. „ყმაწვილმა თაობამ, — შენიშნავდა ა. ფურცელაძე, — მაშინვე ცხოვლათ იგრძნო სარგებლობა ამ გვარის წერისა და, თითქმის, ყოველმა ახალმა მწერალმა იწყო ბაძვა ამ ორის მწერლისა. ბოლოს მარტო ცარიელი სურათების სახვასაც არ დასჯერდნენ და დაუწყეს ამ გვარს თხზულე-

60 იქვე, გვ. 15.

61 იქვე, გვ. 25-26. (ბაყოფა ავტორისაა — შ. ჯ.).

ბაებში სხვა და სხვა სასარგებლო აზრების ჩასახვაცა... ასე რომ თითქმის მთელი რუსული ლიტერატურა დაადგა ამ ზემოთ მოყვანილს სასარგებლო გზასა და ნამეტნავათ დაწინაურებული უმაწვილი თაობის წარმომადგენელნი მწერალნი".[62]

ანტონ ფურცელაძე დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ რუსულ ლიტერატურაში გაბატონებულმა ამ ახალმა მიმართულებამ კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ქართულ მწერლობაზეც და საქართველოშიც დაიწყო მძლავრი მოძრაობა ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურის დაახლოებისა და მაღალი იდეურობისათვის. სხვანაირად არც შეიძლება მომხდარიყო. „რათგან ჩვენი უმაწვილი თაობა არის აღზრდილი, ამ უკანასკნელს რუსის მწერლების შკოლაში, — წერდა ა. ფურცელაძე, — ამისთვის საკვირველი არ არის, რომ ესევე სასარგებლო მიმართულება მიიღო ჩვენმა ლიტერატურამაც. ავათ არის, თუ კარგათ, ჩვენი უმაწვილი მწერალნი ცდილობენ, რომ იმათი თხზულებაები არ იყვნენ მკითხველის ტყუილათ დროს წამრთმეველნი".[63]

ამრიგად, ა. ფურცელაძე ლიტერატურისაგან მოითხოვდა აესახა ცხოვრება და გაევრცელებინა პროგრესული იდეები, ე. ი. ყოფილიყო ხალხისათვის სასარგებლო. ხალხურობისა და უტილიტარიზმის ეს პრინციპი, რომელიც სათავეს იღებს რუსულ რევოლუციურ-დემოკრატიულ ესთეტიკაში, გახდა ქართველი კრიტიკოსის ერთ-ერთი წამყვანი, სახელმძღვანელო პრინციპთაგანი. მას მტკიცედ სწამდა, რომ ის, რაც სასარგებლო არ არის, არც საჭიროა. თუ კი მხატვრული ნაწარმოები არაფერს არ ეუბნება მკითხველის სულსა და გულს, არ განუმარტავს სიცოცხლის აზრს და ადამიანის მოვალეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ე. ი. თუ არაფერს არ ასწავლის, ანუ ნ. გ. ჩერნიშევსკის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, არ არის „ცხოვრების სახელმძღვანელო" და შეთხზულია მხოლოდ დროის მოსაკლავად, თავის შესაქცევად, ასეთი თხზულება ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს საზოგადოებას და, მაშასადამე, არც საჭიროა. „ჩვენ ამ აზრთანა ვართ, — წერდა ა. ფურცელაძე, —

62 იქვე, გვ. 26.
63 იქვე.

რომ ამ გვარი უნაყოფო თხზულებაების კითხვასა, ისევე კაცმა თამაშობაში დრო გაატაროს — ისა სჯობიან“.[64]

რაკი ხელოვნება სასარგებლო უნდა იყოს, პროგრესულ იდეებზე ზრდიდეს მკითხველებს და აწვდიდეს მათ „ცხოვრების სახელმძღვანელოს“, მწერალი, ხელოვანი შეუძლებელია იყოს გულგრილი მოქალაქე თავისი ქვეყნისა, ინდიფერენტულად განწყობილი ხალხის ბედისადმი და გულცივად ჰვრეტდეს ცხოვრების მოვლენებს, სარკესავით უსულგულოდ ასახავდეს სინამდვილეს. „მ წ ე რ ა ლ ი, — ამბობდა ა. ფურცელაძე, — ა რ ი ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი და წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ა ზ რ ი ს ა, მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ე ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ს ა ვ ა ლ ი გ ზ ი ს ა“[65]. ამის გამო, თავისთავად ცხადია, არ კმარა ხელოვანმა მოგვცეს ცხოვრების „უმი სურათი“. ამავე დროს იგი მოვალეა მკითხველს, საზოგადოებას უჩვენოს მომავლის გზაც, ასწავლოს, თუ რა უნდა გააკეთოს ცხოვრების გარდასაქმნელად, რადგან სწორედ ცხოვრების გარდაქმნა, მისი სამართლიან სოციალურ საწყისებზე აშენებაა ყველა ხალხისა და მთელი კაცობრიობის უმთავრესი ამოცანა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელოვნება უპირველეს ყოვლისა და უპირატესად უნდა იყოს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ ტ ე ნ დ ე ნ ც ი უ რ ი. აღნიშნავდა რა იმ უცილობელ ფაქტს, რომ „კაცობრიობას ყ ვ ე ლ ა ზ ე დ უ ფ რ ო უ ჭ ი რ ს თავისი დღევანდელი ცხოვრებისა და მომავლის გაუმჯობესება, რომ კაცი გამოვიდეს დღევანდელი ეკონომიური, სოციალური, ზნეობრივი და გონებრივი ტყეობიდამ“, ა. ფურცელაძე დაასკვნიდა: „დ ღ ე ვ ა ნ დ ე ლ ს მ წ ე რ ლ ო ბ რ ი ვ ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ს უ ნ დ ა ჰ ქ ო ნ დ ე ს ს ა ხ ე ში უ ფ რ ო პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ა ზ რ ი, უნდა ჰქონდეს სახეში დავრდომილი და დაცემული კაცობრიობა ჩააგდოს გონებაში, გააცნოს იმათ თავისი თავი, თავისი გარემოება, თავისი ღირსება, თავისი უფლებანი კაცთა შორის“.[66]

64 ქრესტომათია, I, გვ. 313.

65. ა. ფურცელაძე, ქართული ენის მცოდნენი, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 5913/49 (ხაზგასმა ჩემია — შ. ჭ.).

66 ა. ფურცელაძე, „მაცი ხვიტიას“ წინასიტყვაობა, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, 5906/49 (ხაზგასმა ჩემია — შ. ჭ.).

ამით აიხსნება, რომ ა. ფურცელაძეს, როგორც წესი, ის მხატვრული ნაწარმოებები მოსწონდა, რომელშიც მკაფიოდ და მკვეთრად იყო გამოხატული მწერლის პოლიტიკური ტენდენცია, რომელშიც მ წ ე რ ა ლ ი ა რ ა მ ა რ ტ ო ა ს ა ხ ა ვ დ ა უ ა რ ყ ო ფ ი თ ს მ ო ვ ლ ე ნ ა ს და გ ა მ ო თ ქ ვ ა მ დ ა პ რ ო ტ ე ს ტ ს, არამედ ამასთან ერთად უ ჩ ვ ე ნ ე ბ დ ა მ კ ი თ ხ ვ ე ლ ს ბ ო რ ო ტ ე ბ ი ს დ ა ძ ლ ე ვ ი ს ა და ს ი კ ე თ ი ს გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს გ ზ ა ს. „შილერის საუკეთესო თხზულებათ ითვლება ვილჰელმ-ტელლი, — წერდა იგი, — რომელშიც ჰყავს გამოყვანილი მტარვალობა, დამონავებული ხალხისა და ი ჩ ვ ე ნ ე ბ ა წ ა მ ა ლ ს ა მ ი ს ა ს. ის ვილჰელმ ტელლისა და სხვა შვეიცარიის გმირის პირების გამოყვანით ე ძ ა ხ ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა ს, რ ო მ მ ტ ა რ ვ ა ლ თ ძ ა ლ ი ს ძ ლ ე ვ ა მ ხ ო ლ ო დ ძ ა ლ ი თ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ო... და ამ პიესით, რომელიც სავსეა ტენდენციებით და იდეებით, შეიძინა შილერმა თანასწორი სახელი საუკეთესო მწერალთა ქვეყანაზედ. ბაირონის გენი ხომ მხოლოდ თავისი მაღალი იდეებითა და ტენდენციებით გაითქვა ქვეყანაზედ, რომელსაც იმის თხზულებას არა აქვს ამგვარი აზრი, არცა ვინ კი კითხულობს, და ცოტაცა აქვს იმას ამგვარი ნაწერები. თითქმის მთელს იმის ნაწერებში ცხადათ და ნათლათ, რომ ბრმა გონებისთვისაც კი გასაგებია, არის გაყვანილი ტენდენციები: დ ა ა მ ხ ე თ ძ ვ ე ლ ი კ ე რ პ ე ბ ი, ძ ვ ე ლ ი წ ე ს ე ბ ი, ძ ვ ე ლ ი წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა ნ ი; ყოველივე ესენი არიან ჩვენი შემცდარი გონების აშენებულნიო. აიღეთ მისი „კაინი“, „მანფრედი“, „ჩაილდ ჰაროლდი“, „დონ ჟუანი“, „მაზეპა“, და გადით „შილონის პატიმრებამდის“, „ებრაულ მელოდიებამდის“ და ნახავთ, რომ ის ამ თხზულებათ იმიტომ კი არა სწერს, რომ მარტო სურათი გიჩვენოთ, სწერს იმიტომ, რომ გაიყვანოს თავის წინათ აღებული აზრი, რომელიც იმას ამ დაწერამდის კარგი აწონდაწონვით უცვნია ან სავნებელ ან სასარგებლო აზრათ და უნდა თავისი ნაწერებით ან შეაძაგოს ეს ან შეაყვაროს მკითხველებს, რომ მით ისინი დააყენოს კეთილ საქმესა და გზაზედ. და აქ ის აშკარათ, ცხადათ როგორც პირათ აგიტატორი, როგორც გატაცებული თავისი აზრებით პუბლიცისტი

პირ და პირ გეძახით: აი ეს არის ქვეყნის დამღუპველი, აღიმართენით ამაზედ ყოველი თქვენი ძალით და დაამხეთ ძირიანათაო".[67]

აი ასეთი აშკარა და ცხადი ტენდენციურობისათვის იბრძოდა ა. ფურცელაძე, როცა მწერალი არ კმაყოფილდებოდა სურათის „ნეიტრალური" ჩვენებით და გამოდიოდა ბედნიერი მომავლისათვის აქტიურ მებრძოლად, ახლისა და პროგრესულის გაბედულ აგიტატორად და პროპაგანდისტად. მისი უმაღლესი მიზანი, უპირველესი სურვილი იყო ლიტერატურას ხალხის ინტერესების, ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად გადაეხალისებინა თავისი შინაარსი; შეეცნო თავისი მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულება, დიდი სახალხო ამოცანები, რომლებიც მის წინაშე იდგნენ. ჩვენი ძველი მწერლობა, ამტკიცებდა ა. ფურცელაძე, იმით იყო კარგი, იმით ღირებული ხალხის სიყვარული, რომ დროს, ეპოქას მისდევდა, გამოხატავდა საზოგადოების ინტერესებს და აკმაყოფილებდა მის მოთხოვნილებებს. „ჩვენი მწერლების ნაწერი და ნათარგმნები, — წერდა იგი, — ეთანხმებოდნენ და იყვნენ ზედ გამოჭრილნი ხალხის აზრსა და მის ცხოვრებაზედა".[68]

მაგრამ ლიტერატურა, ისევე როგორც ხალხი, საზოგადოება ერთ ადგილზე ხომ არ დგას, წინ მიდის, ვითარდება და ამის კვალობაზე შინაარსსაც იცვლის. „მამების" სენტიმენტალურ-რომანტიკული ლიტერატურა სწორედ იმით იყო ცუდი, რომ არ ითვალისწინებდა ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს, არ სდევდა ჟამთა სვლას და შორს იდგა საზოგადოების საჭიროებისაგან. როგორც სინდიყგამოცლილი თერმომეტრი ვერ გრძნობს ტემპერატურის ცვალებადობას, ისე ვერ გრძნობდა იგი ხალხის სატკივარს და არ ზრუნავდა მისი ნათელი მომავლისათვის. საჭირო იყო ძველი გზის დაგდება და ა. ფურცელაძეც აქეთკენ მოუწოდებდა როგორც ლიტერატურას, ისე საზოგადოებას. „ზღაპრებისა და ტკბილი ლექსების წერის დრო წარვიდა, ახლა დრო არის ჩვენც (ე. ი. საზოგადოება — შ. ქ.)

---

67 ა. ფურცელაძე, წინასიტყვაობა (გ. ერისთავის თხზულებათა კრებულისათვის (ხაზგასმა ჩვენია — შ. ქ.).

68 ქრესტომათია, II, გვ. 12 (ხაზგასმა ჩემია — შ. ქ.).

ბავშობას და ცელქობას თავი დავანებოთ, შეუდგეთ გონების მოძრაობის ფიქრსა, გამოვიდეთ ჩვენი ტკბილი გარინდებულის განცხრომიდამა და ვცნათ, რომ ჩვენც წუთისოფლის შვილები ვართ და მინამ წუთისოფელში ვართ და კაცნი გვქვიან, ვიზრუნოთ წუთისოფლისათვის და ვიცხოვროთ კაცურათა".[69]

ეს გზა, რომელსაც ა. ფურცელაძის აზრით, უნდა დასდგომოდა ქართული ლიტერატურა, იყო ერთადერთი სწორი გზა. იგი მოასწავებდა ახალი, რეალისტური მიმართულების დამკვიდრებას ქართულ მწერლობაში, რასაც გააფთრებით ეწინააღმდეგებოდნენ „მამები", რომლებიც ებღაუჭებოდნენ თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის", ქადაგებდნენ უიდეობას ლიტერატურაში და გადაჭრით უარყოფდნენ ხალხურობისა და უტილიტარიზმის პრინციპებს. ამიტომ თეორიის „ხელოვნება ხელოვნებისათვის" დაძლევას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის, კრიტიკული რეალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ დიდ საქმეში ა. ფურცელაძემ მეტად თვალსაჩინო წვლილი შეიტანა, ამასთან მან წინა პლანზე წამოსწია და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მკვეთრად გამოხატულ კლასობრივ-პოლიტიკურ ტენდენციურობას, ხალხურობის პრინციპს და მიიჩნია ისინი წამყვან ელემენტებად ლიტერატურის განვითარებაში.

მაღალი იდეურობა და ტენდენციურობა, როგორც დავინახეთ, ა. ფურცელაძეს მიაჩნია მებრძოლი ხალხური ხელოვნების არსებით ნიშნად, განუყრელ თვისებად — უმისოდ იგი კარგავს საზოგადოებრივ ძალას და უბრალო თავშესაქცევად იქცევა. ხელოვნება მხოლოდ მაშინ არის საქები, მხოლოდ მაშინ ასრულებს პირნათლად თავის დანიშნულებას, როცა გამსჭვალულია ეპოქის მოწინავე, პროგრესულ-რევოლუციური იდეებით. ხელოვნება, ამტკიცებდა ა. ფურცელაძე, „ემსახურება თავის. თავს კი არა, უთუოთ რამე საქმეს და, რაც უფრო დიდს და სასარგებლო საქმეს ემსახურება, იმდენი უფრო დიდი ღირსება ექნება, უფრო საქებური და სადიდებელი შეიქნება".[70]

---

69 იქვე, გვ. 15.

70 ა. ფურცელაძე, შექსპირი ჰამლეტში, (ხაზგასმა ჩემია — შ. ჭ.).

და მაინც, მარტო იდეურობა საკმარისი არ არის, რომ ხელოვნებამ შეასრულოს მის წინაშე მდგომი ამოცანები. შეიძლება ამა თუ იმ ნაწარმოებს ძლიერ კარგი, ამაღლებული იდეა ჰქონდეს, მაგრამ ამის მიუხედავად მიზანს ვერ მიაღწიოს, ვერ გახდეს მასების საყვარელ „ცხოვრების სახელმძღვანელოდ“. საქმე ის არის, რომ იდეა, რომელსაც მწერალი გამოსახავს, უნდა გასცდეს ნაწარმოებს, იქცეს მკითხველთა კუთვნილებად, გადავიდეს ხალხში. მას უნდა დაეუფლონ მასები, რათა პრაქტიკულად გამოიყენონ განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ამისათვის კი აუცილებელია მწერალმა არა მარტო მიაგნოს ცხოვრების სიმართლეს და შეიმუშაოს კარგი აზრი, რევოლუციური იდეა, არამედ ამასთან ერთად მოუძებნოს მას სათანადო მხატვრული ფორმა, შემოსოს „ხელოვნების სამოსლით“. ეს იმიტომ, რომ ნაწარმოებმა უნდა მიიზიდოს მკითხველი, დააინტერესოს იგი და „წააკითხოს თავი“. თუ ხელოვანმა ვერ შეძლო ეს, იდეა ვერ მოაქცია „ხელოვნების ყალიბში“ და ვერ გადმოგვცა მკაფიოდ, მასებისათვის გასაგებად, მაშინ იგი ამაოდ დაშვრება და მიზანს ვერ მიაღწევს — ნაწარმოები ვერ მოახდენს საჭირო ზეგავლენას საზოგადოებაზე, ვერ წარმართავს ხალხის გონებას გარკვეული მიზნისაკენ, ე. ი. იქნება უსარგებლო.

მაშასადამე, ა. ფურცელაძის აზრით, ორ შემთხვევაში კარგავს ხელოვნება „თავის ძალასა და მნიშვნელობას“: 1. როცა იგი არ გამოსახავს ამაღლებულ, დიდ სახალხო იდეას, არის უიდეო და 2. როცა იდეა გადმოცემული არ არის მხატვრულად, მასებისათვის მისაწვდომი ფორმით. სხვანაირად რომ ვთქვათ, კრიტიკოსი მაღალ იდეურობასთან ერთად მოითხოვს მაღალმხატვრულობასაც, ანუ შინაარსისა და ფორმის ერთიანობას. მათს ადეკვატურობას. „პირველი ღირსება ნაღვაწლისა, — წერდა ა. ფურცელაძე, — არის ისა, რომ საქმე და ხელოვნება იყვნენ შეხამებულნი. დიდებული საქმე და ნიჭიერათ, მარჯვედ მოხმარებული ხელოვნება შეარდგენენ ნანდვილს წადილს კაცისას, უმაღლეს ძალას კაცის გონებისას“.[71] მაშასადამე, არც მარტო საქმე (აზრი, იდეა,

71 იქვე.

ტენდენცია) და არც მარტო ხელოვნება. აი რა პრინციპით ხელძღვანელობდა ა. ფურცელაძე შინაარსისა და ფორმის ურთიერთობათა პრობლემის დამუშავებისას და ყოველ კრიტიკულ სტატიაში დაწვრილებით განისილავდა როგორც ხაწარმოების იდეის საზოგადოებრივ ბნიშვნელობას, ისე მისი ბსტეტიკური გაძოსახვის ღირსება-ნაკლოვანებას.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ა. ფურცელაძე შინაარსსა და ფორმას თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებდა, თანაბარი ღირსების კომპონენტებად მიაჩნდა ნაწარმოების საერთო სტრუქტურაში. ამ შემთხვევაშიც იგი მტკიცედ იდგა რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის პოზიციაზე და ქადაგებდა აზრის, შინაარსის პრევალირების იდეას. უდავოა, რომ უშინაარსოდ არ არსებობს ხელოვნება. არ არსებობს იგი არც უფორმოდ. მიუხედავად ამისა, ასტკიცებდა ა. ფურცელაძე, შინაარსს გარკვეული უპირატესობა ეძლევა. „რაკი ეს ასრეა, — წერდა კრიტიკოსი, — რომ ყველა დიდებული ღვაწლი ხელოვნებისა არის წინად შემდგარს აზრზედ აღებული, მაშინ ჩვენ უნდა დავთანხმდეთ მაზედაც, რომ, რაც უფრო წინად შემდგარი, წინად შემუშავებული და გამზადებული აზრი მიეცემა ხელოვნებას, იმდენად უკეთესია საქმისათვის: ერთი და იგივე ხელოვანი კარგათ გამზადებულს, წინადვე გამოკვლეულს აზრს უფრო კარგათ და მკვიდრათ შეიმუშავებს, უფრო მეახამებს ხელოვნებით, ვიდრემ აზრს, რომელიც წინადვე არა აქვს კარგათ გამოკვლეული და წინადვე გამზადებული გონებაში".[72]

აზრს, იდეას, შინაარსს თავისთავად აქვს ღირსებულება, „სახმარისობა", ფორმას კი არა. მხატვრული ოსტატობა საჭიროა იმდენად, რამდენადაც ხელი უნდა შეუწყოს აზრის, ნაწარმოების იდეის ცხადად, გასაგებად გამოკვეთას და მკითხველამდე მიტანას. ერთი იტყვით, ჯერ აზრი, მერე ხელოვნება, მხატვრული ოსტატობა — ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ა. ფურცელაძის პოზიცია შინაარსისა და ფორმის ურთიერთობის საკითხში. თუ ავიღებთ თანაბარი მხატვრული ოსტატობით შესრულებულ ორ ნაწარმოებს, ამბობდა ა. ფურცელაძე, რო-

72 იქვე.

მელთაგან ერთი დიდ საქმეს (იდეას) გამოსახავს, ხოლო მეორე — მცირეს, მაშინ, ცხადია, პირველ ნაწარმოებს გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, გაცილებით მეტ საგებლობას მოუტანს საზოგადოებას, ვიდრე მეორე. „თქმა არ უნდა, — წერდა ა. ფურცელაძე, — შეიძლება თვით დიდებული საქმე ისრე უხეიროდ შეიმუშავო, ისრე უხეიროდ შემოსო ხელოვნების სამოსელით, რომ დაჰკარგოს თავისი ძალა და მნიშვნელობა. აქ ხელოვნება ჰკარგავს თავის ძალას და სახმარისობას. აგრეთვე შეიძლება თვით უბრალო, უმნიშვნელო საქმე შეიმოსოს მაღალი ხელოვნებით, მაგრამ, რაც უნდა იყვეს ერთრიგის ძალის ხელოვნება, მოხმარებული დიდსა და პატარა საქმეზედ, დიდი საქმით იმდენად მაღლა იდგება, რამდენადაც ეს დიდი საქმე სდგას პატარაზედ“.[73]

კიდევ მეტი. ა. ფურცელაძის აზრით, ორი თხზულებიდან, რომელთაგან ერთი შესრულებულია მაღალი ოსტატობით, მაგრამ შეიცავს უმნიშვნელო იდეას, ხოლო მეორე, პირიქით, დიდ იდეას შეიცავს, მაგრამ მხატვრული ოსტატობით ჩამორჩება პირველს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ ნაწარმოებს, რომელიც იდეურად უფრო მაღლა დგას. „არჩევანზედ რომ მივარდეს საქმე, — წერდა კრიტიკოსი, — რა სჯობიანო, ისა, რომ მცირე საქმეზედ დიდი ხელოვნება იყვეს მოხმარებული, თუ დიდ საქმეზედ მცირე ხელოვნება, — ყველა გონიერი კაცი არჩევს ისევ დიდ საქმეს, რომელზედაც მდარე ხელოვნებაა მოხმარებული, რათგან მცირე საქმე, რაც გინდა დიდი ხელოვნება მოახმარო, მაინც კიდევ მცირე საქმედ დარჩება... მაგრამ დიდი საქმე, რაც გინდა უხეიროდ იყვეს შემუშავებული, მაინც დიდ საქმედ დარჩება, და დღეს თუ არა ხვალა, გამოუჩნდება შესაფერისი ხელოვანი, რომელიც ამას შემოსავს ღირსეულის ხელოვნებითა“.[74]

ა. ფურცელაძის ეს დებულება შეიძლება სადავოდ მივიჩნიოთ (და მასში დავინახოთ თვით კრიტიკოსის მხატვრულად

73 იქვე. (ხაზგასმა ჩემია — შ. ჭ.).

74 კრებული „Теория литературы“, 1962, გვ. 123-124.

შედარებით სუსტ ბელეტრისტულ ნაწარმოებთა გამართლების ცდად კი), მით უმეტეს, რომ ამ ბოლო დროს ჩვენი ლიტერატურის თეორეტიკოსები, სრულყოფილი ხელოვნების სახელით, უარყოფენ ორი კრიტერიუმის (იდეურობა და მხატვრულობა). გონივრულობას. მაგრამ, ეფიქრობთ, იგი სწორია და მარქსისტ-ლენინელისათვის სავსებით მისაღები. მართალია, შინაარსი და ფორმა ცალ-ცალკე არ არსებობს, მაგრამ ეს არ გამორიცხავს მათ შორის არსებულ წინააღმდეგობას საერთოდ და ხელოვნებაში კერძოდ. შინაარსისა და ფორმის წინააღმდეგობა განსაკუთრებით შესამჩნევია საზოგადოებრივი ცხოვრების გარდატეხის, მკვეთრ შემოტრიალებათა პერიოდში, როცა შინაარსი აშკარად წინ უსწრებს ფორმას, ფორმა აშკარად ჩამორჩება შინაარსს. ასეთ დროს შინაარსისა და ფორმის წინააღმდეგობა (შინაარსის პრიმატით) თვალსაჩინოა თვით დიდად ნიჭიერ მწერალთა ნაწარმოებებშიც კი, რომ არაფერი ვთქვათ უნიჭო ან ნაკლებტალანტიან მწერლებზე, რომელთა შემოქმედებაში შინაარსი და ფორმა არასოდეს არ არიან ადეკვატურნი. მეორე მხრივ, შინაარსისა და ფორმის წინააღმდეგობა (ფორმის პრიმატით) უდავოა დაცემულობის ხანაში, როცა ესა თუ ის გაბატონებული კლასი განიცდის კრიზისს.

იმ დროს, როცა ა. ფურცელაძე მოღვაწეობდა, განსაკუთრებით სამოციან წლებში, შესამჩნევი იყო ფორმით გატაცება, შინაარსის უგულებელყოფა, რაც წარმოადგენდა ფეოდალური კლასის დეკადანსის უშუალო შედეგს. „მამები“ — ფეოდალური კლასის კონსერვატორული ფენების იდეური მედროშენი — შემთხვევით როდი იცავდნენ თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. მეორე მხრივ იბადებოდა და ფეხს იკიდებდა მებრძოლი, შემტევი იდეებით გამსჭვალული რეალისტური ლიტერატურა, რომელიც ყოველთვის როდი იყო მხატვრულად სრულყოფილი. დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“, მაგალითად, არ არის მხატვრული ოსტატობის მხრივ უნაკლო, სრულფასოვანი ნაწარმოები, მაგრამ თავისი ანტიბატონყმური იდეებით განუზომელი გამარევოლუციონერებელი მნიშვნელობა ჰქონდა და, ეფიქრობთ, ა. ფურცელაძე სწორად მოიქცა. როდესაც მას აღფრთოვანებული რეცენზია მიუძღვნა.

სხვანაირად ვერ მოიქცეოდა ვერც ერთი კრიტიკოსი, ვისთვისაც ძვირფასია ხალხის ინტერესები და ვინც ლიტერატურაში ხედავს მძლავრ იდეურ იარაღს.

ამრიგად, მაღალი მხატვრული ოსტატობა (ფორმა) აუცილებელია, თუმცა იგი არ არის წამყვანი ელემენტი ნაწარმოების საერთო სტრუქტურაში და უნდა დაექვემდებაროს შინაარსს, უნდა განისაზღვროს შინაარსით. მაგრამ ამის გამო მისი უგულებელყოფა არ შეიძლება. რაც უფრო მაღალია ნაწარმოების მხატვრული დონე, მით უფრო მკაფიოდ და ცხადად გამოსახავს იგი იდეას და მით უფრო სწრაფად, ადვილად იკვლევს გზას მკითხველისაკენ. ამიტომ ა. ფურცელაძე, როგორც კრიტიკოსი, არასოდეს არ კმაყოფილდებოდა მარტო იდეების მშრალი პროპაგანდით. პირიქით, ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „მდარე ხელოვნება“, ე. ი. მდარე მხატვრული ოსტატობა, ასე თუ ისე, მეტ-ნაკლებად მკითხველზე ზემოქმედების ძალას უკარგავდა ნაწარმოებს, ხელს უშლიდა თვით შინაარსის გადმოცემას და მწერლის სასარგებლო, პროგრესული იდეების გადასვლას ხალხში. ხელოვანი მუდამ იმას უნდა ცდილობდეს, რომ მიაღწიოს შინაარსისა და ფორმის სრულ ადეკვატურობას. მართალია, ასეთი ადეკვატურობა იდეალია, ძნელად მისაღწევი და მხოლოდ რჩეულთა ხვედრი, მაგრამ ამის მიუხედავად ყველა ხელოვანი მისკენ უნდა ისწრაფოდეს, ახსოვდეს, რომ ხელოვნების თვითეული ნაწარმოების ღირსება განიზომება არა მარტო იდეების მნიშვნელობით, არამედ მათი გამოსახვის მხატვრული ოსტატობითაც. „რავდენიც უფრო მაღალი აზრი,—წერდა ანტონ ფურცელაძე,—რა თქმა უნდა შესაფერი ხელოვნებით შემუშავებული ისახება ნაწერში, იმდენი ნაწერებს უფრო მაღლა აყენებენ... რავდენიც უფრო ცხოველი და სასარგებლო აზრი და ტენდენციებია თხზულებაში — ვიმეორებთ კიდევ — შესაფერი ხელოვნებით შემუშავებული,— იმდენი უფრო უკვდავი და შენიშნული ხდება ქვეყანაში“.[75]

---

75 ა. ფურცელაძე, წინასიტყვაობა გ. ერისთავის თხზულებათა კრებულისათვის (ხაზგასმა ჩემია — შ. ქ.).

ხელოვნების რეალისტური თეორია

ანტონ ფურცელაძის ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობის უპირველესი და უმთავრესი ამოცანა იყო კრიტიკული რეალიზმის, როგორც სინამდვილის მხატვრული ასახვის შეთოდის დამკვიდრება, მისი სრული და განუყოფელი გაბატონება ქართულ მწერლობაში. მოკიდებული პირველივე სტატიებიდან, იგი შეძლებისდაგვარად იბრძოდა ამ ამოცანის განხორციელებისათვის და თავიდანვე მხარში ამოუდგა თერგდალეულთა თაობას, რომელსაც აგრეთვე ეს მიზანი ამოძრავებდა. მართალია, რეალისტური ლიტერატურის დამკვიდრება-განმტკიცებისათვის ბრძოლის პროცესში თერგდალეულებსა და ა. ფურცელაძეს შორის თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამაც, მაგრამ ეს უთანხმოება უმრავლეს შემთხვევაში არ გასცილებია ცალკეულ დეტალებს, რომლებსაც არ ჰქონდათ არსებითი და განმსაზღვრელი მნიშვნელობა.

ლიტერატურა უნდა ასახავდეს ცოცხალ სინამდვილეს, ხალხის მიმდინარე ცხოვრებას, გამოხატავდეს და აქტივიზებდეს საზოგადოების მოთხოვნილებას. იგი საზოგადოებრივი ყოფის პროდუქტია და ამდენად მისი შინაარსი განუწყვეტლივ უნდა იცვლებოდეს დროის, ეპოქის შესაბამისად. თუ მწერალმა ვერ შენიშნა ახალი, ვერ შენიშნა ცხოვრებაში ჩამომხდარი ძვრები, ვერც საზოგადოების საჭიროებას ჩასწვდება და იმის ნაცვლად, რომ ხელი შეუწყოს მის წინსვლა-განვითარებას, არსებითად დააბრკოლებს და უკან დასწევს მას.

ამიტომაც მიიტანეს ესოდენ მკაცრი იერიში თერგდალეულებმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით „ცისკარზე“ და გადაჭრით განაცხადეს, რომ „ცისკრის“ მწერლები ჩამორჩნენ ცხოვრებას, რამდენადაც კვლავ და კვლავ ებღაუჭებოდნენ სენტიმენტალურ მიმართულებას, რომელმაც კარგა ხანია ამოსწურა

თავისი თავი და სრულებით არ ესაჭიროებოდა საზოგადოებას. ასევე მკაცრად გაილაშქრა „ცისკრის“ მწერლების წინააღმდეგ ა. ფურცელაძემ. ჯერ კიდევ 1862 წელს თავის მეტად მახვილ სატირულ ფელეტონში „წავიდა ის დრო“[1] მან ძლიერ მწვავედ დასცინა „მამებს“ იმის გამო, რომ რეალური, ცოცხალი სინამდვილის ასახვის მაგივრად ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ზღაპრულზე ზღაპრული, ფანტასტიკურ საგმირო-საფალავნო თხზულებათა შექმნაში და იმას კი ივიწყებდნენ, რომ საზოგადოებას სრულიადაც არ ესაჭიროებოდა ამგვარი ნაწარმოებები. მართალია, წერდა ა. ფურცელაძე სტატიაში „ჩვენი ლიტერატურისა და ბეჭდვის შესახებ“ (1867 წ.) ქართველი მწერლები ოდესღაც ქმნიდნენ თუ თარგმნიდნენ ზღაპრულ ნაწარმოებებს, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო. ასეთი ხასიათის თხზულებებს მოითხოვდა ეპოქა, საზოგადოება, ხალხი, რომელიც სულ ომსა და ბრძოლაში ცხოვრობდა და საჭიროებდა გმირობა-ვაჟკაცობის კულტს. ერთი სიტყვით, „რაც მოთხოვნილება საზოგადოებაში იყო, იმის აღმასრულებელნიც მაშინდელი მწერალნი იყვნენ“.[2] აი ამიტომ მათს ზღაპრულ თხზულებებს სრული გამართლება ჰქონდათ და გარკვეული სარგებლობაც მოიტანეს: ერთი მხრივ, ისინი ხალხს აჩვენებდნენ კითხვას, აძლევდნენ მტერთან ბრძოლისა და ჭირში გაუტეხლობის მისაბაძ მაგალითს.

„ჩვენი მწერლების ნაწერი და ნათარგმნები, — წერდა ა. ფურცელაძე იმავე სტატიაში, — ეთანხმებოდნენ და იყვნენ ზედ გამოჭრილნი ხალხის აზრსა და იმის ცხოვრებაზედა,.. თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ თხზულებაში, სადაც თავი მოქმედი პირი არ ადგეს მტკიცედ სიკვდილამდინ ერთხელ არჩეულს თავის საქმესა და დაწყობილს აზრსა: ის იბრძვის და ცდილობს მანამ შეუძლიან და ან გაიმარჯვებს თავის საქმეზედ, ან თან გადაჰყვება ამ საქმესა. არსაკვირველია იმ მაგალითებს უნდა ემოქმედათ მკითხველებზედაც, და წაკითხვა ამ თხზულებაებისა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა მაშინდელის საზოგადოებისაგან, როდესაც ის იქნებოდა ამ გვარათ დაწერილი.

---

1. „ცისკარი“, № 12, 1862.
2. ქრესტომათია, ტ. II, გვ. 12.

როგორც იწერებოდნენ მაშინდელის მწერლებისაგან, ესე იგი ზღაპრულათ".[3]

მაგრამ ის, რაც ერთ დროს ახალი და სასარგებლო იყო, ა. ფურცელაძის სწორი შენიშვნით, განვითარების მომდევნო ეტაპზე შეიძლება გახდეს დრომოჭმული და მავნებელიც კი. სწორედ ეს უბრალო ჭეშმარიტება არ ესმოდათ „მამებს", რომლებიც ახალ, შეცვლილ ვითარებაშიც ძველს ებღაუჭებოდნენ და ზღაპრულ-ფანტასტიკურ ან უაზრო-სენტიმენტალურ თხზულებებს ქმნიდნენ მაშინ, როცა საზოგადოება სულ სხვა ხასიათის ნაწარმოებებს მოითხოვდა.

ა. ფურცელაძეს მხედველობიდან არ გამორჩენია არც ის ფაქტი, რომ „ცისკრის" მწერლები როდი კმაყოფილდებოდნენ ორიგინალური სენტიმენტალურ-რომანტიკული თუ კლასიცისტური ნაწარმოებების შეთხზვით და უცხოურ ლიტერატურაშიც მსგავსი ხასიათის თხზულებებს ეძებდნენ და თარგმნიდნენ, ე. ი. კვლავ არ ითვალისწინებდნენ დროის, ეპოქის მოთხოვნებს და საზოგადოების საჭიროებას. ამას მოწმობს მისი მოკლე, მაგრამ ძლიერ მწვავე სტატია „მიმოგზაური ურია", რომელიც „ცისკარში" გამოქვეყნდა 1862 წელს. მასში კრიტიკოსი ზუსტად იმავე შეხედულებას ავითარებს, რომელიც დაახლოებით ერთი წლით ადრე ილია ჭავჭავაძემ ჩამოაყალიბა თავის გახმაურებულ სტატიაში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ „შეშლილი"-ს თარგმნაზედა".

ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძე, ანტონ ფურცელაძე არ უარყოფს მშობლიური მწერლობის საგანძურის გამდიდრების აუცილებლობას საზღვარგარეთული ლიტერატურის ცალკეული ნიმუშებით, მაგრამ მისი აზრითაც, თუ კაცი ამ მძიმე საქმეს ხელს მოჰკიდებს, სათარგმნად უნდა შეარჩიოს მხოლოდ ისეთი ნაწარმოები, რომელიც უნდა „ან სულს მიეკვრას, ან ხორცსა",[4] ე. ი. რომელიც მას აკლია და მკითხველს გონების საზრდოს მისცემს, ჩააგონებს დროის შესაფერის საჭირო და სასარგებლო იდეებს. „კაცმა რომ ამ გვარს საგანზედ მიიღოს

3 იქვე.

4 ქრესტომათია, I, გვ. 274.

შრომა და გადმოთარგმნოს ეს ამოდენა წიგნი.—წერდა ა. ფურცელაძე, — უნდა კიდეც მხედველობაში ჰქონდეს: ერთი, ხალხის მდგომარეობა და, მეორე, ხალხისა და ლიტერატურის საჭიროება"...[5]

ითვალისწინებდა თუ არა ყოველივე ამას სარდიონ ალექსი-მესხიევი, როცა ფრანგი მწერლის ეჟენ სუს „მიმოგზაურ ურიას" თარგმნიდა? ა. ფურცელაძის მტკიცებით, „უფ. მთარგმნელს არც ერთი ამ ზემოთ თქმულთაგანი არა ჰქონია მხედველობაში". არ ჰქონია, თორემ, კრიტიკოსის აზრით, „მიმოგზაურ ურიას", ამ „ცრუ რომანიზმულს თხზულებას" როგორ თარგმნიდა კაცი, როცა იგი, ეს თხზულება, „ჯერ თვითონ ფრანცუზებისათვისაც აღარ არის გამოსაყენებელი და აქვთ ხოლოდ ხრონიკათ, როგორც იეზუიტების ბორტების გამმოაშკარებელი თხზულება"[7]. მით უმეტეს უქმი იყო იგი ქართველი მკითხველისათვის, რომელსაც „არც ვინ არის, ან რა არის იეზუიტი, სასმელია თუ საშველი, არცკი გაუგონია".[8]

სამაგიეროდ, ა. ფურცელაძე დიდი კმაყოფილებით შეხვდა ნ. დობროლუბოვის „მამა ალექსნდრე გავაცის" გამოქვეყნებას „საქართველოს მოამბეში" და მოიწონა იგი, როგორც ხალხის საჭიროების, მისი ფიქრისა და გრძნობის გამომხატველი. მართალია, დობროლუბოვის ეს წერილი იტალიას ეხებოდა, მაგრამ თავისი შინაარსითა და სულისკვეთებით სავსებით შეეფერებოდა საქართველოს, მის მდგომარეობას, ქართველი ხალხის განწყობილებას. „სწორეთ რომ კარგათ ამოურჩევია ეს ამის მთარგმნელსა, — წერდა კრიტიკოსი, — ამ გამოჩენილი მქადაგებლის მართალი სიტყვები, ამის მტკიცე ქადაგებაები, ამის ჭეშმარიტი სიმართლისა და ქვეყნის კეთილობისათვის თავდადება არის სწორეთ ყოველი პატიოსანი კაცისაგან პატივსაცემი და მისაღები. ბევრს უშვერსა და უგვარს პირს, რ ო გ ო რ ც ი ტ ა ლ ი ა შ ი, ე გ რ ე თ ვ ე ს ხ ვ ა გ ა ნ ა ც ბ ე ვ რ გ ა ნ ა, დასთხრიდა ძვალებს თავის სიმართლით ეს ქადა-

5 იქვე.
6 იქვე.
7 იქვე, გვ. 274.
8 იქვე, გვ. 275.

გებაები და ეს ქცევა გავაცისა".[9] თვითონ ა. ფურცელაძე ასე იქცეოდა — ცდილობდა ეთარგმნა მხოლოდ ხალხისათვის საჭირო ნაწარმოებები.

სარდიონ ალექსი-მესხიევისა და „მამათა" ბანაკის სხვა წარმომადგენელთა უმთავრესი შეცდომა, მაშასადამე, ის იყო, რომ ისინი უკან მიჩანჩალებდნენ ცხოვრებას, არ ითვალისწინებდნენ საზოგადოების, ხალხის საჭიროებას და არ ცხოვრობდნენ ეპოქის მოწინავე პროგრესული იდეებით, მწერალი თავისი ხალხის შვილია, მისი ბედნიერებისათვის მებრძოლი და ამდენად მას უფლება არა აქვს ჩამორჩეს, მოწყდეს მშობელ ხალხს. იგი მასთან უნდა იყოს ჭირშიც და ლხინშიც, სტკიოდეს ერის სატკივარი და ხარობდეს ერის სიხარულით. რაკი ასეა, თავისთავად ცხადია, მწერალი უპირველეს ყოვლისა უნდა ასახავდეს თანამედროვე ცხოვრებას, აღძრავდეს იმ საკითხებს, რომლებიც აღელვებენ საზოგადოებას და დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვენ. სწორედ აქ გამოჩნდება ყველაზე სათლად მწერლის იდეური ტენდენცია, მისი მისწრაფებანი, ის, რისთვისაც იგი იბრძვის და იღვწის

თანამედროვეობას რომ ასახავს, მწერალმა გაბედულად უნდა ამხილოს საზოგადოების ნაკლოვანებანი. მაგრამ ამასთან ერთად გვერდი არ უნდა აუაროს ცხოვრების დადებით მომენტებს. სინამდვილე უნდა აისახოს მთელი მისი მრავალფეროვნებით, ავითა და კარგით, რათა მკითხველს გარკვეული წარმოდგენა მისცეს ავზეც და კარგზეც, შთააგონოს იგი ავის წინააღმდეგ, კარგის დასამკვიდრებლად თუ განმტკიცებისათვის.

ლაპარაკობდა რა სამოციანი წლების დამდეგის ქართულ მწერლობაზე, როცა მასი სადავეები ხელთ ეპყრათ „მამებს", ა. ფურცელაძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „უნდა ლიტერატურას ნათლად ეჩვენებინა ამ ცხოვრების ცუდი და კარგი მხარე, რომ ცუდით არ მოვსტყუებულიყავით და კარგი ცუდათ არ მიგვეღო".[10] ამ შემთხვევაში კრიტიკოსი მთლიანად იზიარებდა „თერგდალეულთა" შეხედულებას, რომლებიც აგ-

9 იქვე, გვ. 307 (ხაზგასმა ჩემია — შ. ქ.).
10 ქრესტომათია, II, გვ. 13-14.

რეთვე მოითხოვდნენ, რომ ლიტერატურას, ხელოვნებას აესახა ცხოვრების უარყოფითი და დადებითი მოვლენები, ავიც და კარგიც. კერძოდ, ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ „საქართველოს მოამბის“ მოწინავე სტატიაში წერდა, რომ ხელოვნება უნდა „ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია“, სადაც „იპოვის ბევრ მარჯალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა“.[11] ხელოვნებამ ვრთიც უნდა გამოსახოს და მეორეც, იგი არ უნდა მოერიდოს „ცხოვრების ჭუჭყის“ გამოფენას — ამაში ცუდი არაფერია — „ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენი ცხოვრების სასახელოდ“.[12]

ამრიგად, ა. ფურცელაძის აზრით, ლიტერატურამ უპირველეს ყოვლისა მთელი მისი მრავალფეროვნებით უნდა ასახოს თანამედროვეობა, აწმყო, მაგრამ ეს სრულებითაც არ ავალებს მწერალს შემოიფარგლოს მარტო აწმყოთი, აწმყოს ინტერესებით. პირიქით, ნამდვილი სახალხო მწერალი ის არის, ვინც აწმყოში, თანამედროვეობაში ჭვრეტს მომავალს, ხედავს მომავლის ყლორტებს და ზრუნავს მათი განვითარებისათვის, ხელს უწყობს ახლის, მოწინავის გამარჯვებას, აწმყოს გარდაქმნას და შეუწყვეტელ სოციალურ პროგრესს. როგორც ერის მოძღვარი და მასწავლებელი, იგი შორს უნდა იხედებოდეს, ავანგარდში იდგეს და წინ ეწეოდეს საზოგადოებას ცხოვრების განახლების გზაზე. ეს სრულიად უეჭველია. მაგრამ აქ მოსალოდნელია ერთგვარი საშიშროებაც. შეიძლება მწერალს უღალატოს ზომიერების გრძნობამ, გადააჭარბოს და მკტისმეტად გაუსწროს მშობელ ხალხს, მოწყდეს მას. მაშინ იგი თითქმის ისევე უსარგებლო გახდება თავისი დროის საზოგადოებისათვის, როგორც ცხოვრებას ჩამორჩენილი და ხალხის უკან მოჩანჩალე მწერალი. „თითქმის ყოველი მწერალი, — წერდა ამის თაობაზე ა. ფურცელაძე, — არის დროების შვილი. „ჟამნი მეფობენო“, სთქვა ვიღაცამა და ჭეშმარიტიც უთქვამს. ძვირად მოხდება, რომ მწერალი ბევრით მაღლა იდგეს დროებაზედა. უკეთუ მწერალი თავისის აზრებით შორს მიდის თავის

11 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, 1952, გვ. 69.

12 იქვე, გვ. 70

დროების ხალხზედა, მაშინ ეს მწერალი არის თითქმის უსარგებლო იმ დროების ხალხისათვის, რომელშიაც თვითონა სცხოვრობს".[13]

იმის მკაფიო მაგალითს, თუ როგორ უნდა „გადაახედოს" მწერალმა მკითხველი, მთელი საზოგადოება მომავალში, როგორ უნდა დაინახოს მომავლის ყლორტები აწმყოში, ა. ფურცელაძის აზრით, წარმოადგენდა ნ. გ. ჩერნიშევსკის რომანი „რა ვაკეთოთ"? ისეთი ადამიანები, რომლებიც ჩერნიშევსკიმ გვიჩვენა ამ რომანში, მაშინ თითო-ოროლანი იყვნენ, მაგრამ ღრმად ჩასწვდა რა ცხოვრებას, მწერალმა ზუსტად განჭვრიტა, რომ მათი რიგები თანდათან გამრავლდებოდა და დადგებოდა დრო, როცა ისინი უმცირესობიდან უმრავლესობად იქცეოდნენ. ამდენად იგი სწორად მოიქცა, როდესაც დახატა, ძართალია, აქა-იქ, მაგრამ მაინც აწმყოში მცხოვრები „მომავლის ადამიანები". ამით მან ფრიად სასარგებლო გაკვეთილი მისცა და მისაბაძი მაგალითი გამოუსახა საზოგადოებას. აი როგორი უნდა იყოთ თქვენ, აი როგორი უნდა იყვნენ ნამდვილი ადამიანები, ეუბნებოდა თავისი რომანით ნ. გ. ჩერნიშევსკი მკითხველებს და მხურვალედ მოუწოდებდა მათ მიებაძათ რახმეტოვისა და რომანის სხვა დადებითი გმირებისათვის.

ასეთი „გადახედვა" მომავალში, ა. ფურცელაძის აზრით, არა თუ საჭირო, არამედ დროდადრო აუცილებელიცაა, მაგრამ მწერალი არ უნდა მოწყდეს აწმყოს, არ უნდა გამოიგონოს და შეთხზას ისეთი რამ, რაც სინამდვილეში არ არის ან არ გამომდინარეობს არსებულის არსიდან. „ცხოვრება უნდა გამოისახოს იმით, — წერდა კრიტიკოსი, — რაც მისგან გამომდინარეობს და რაც მასში არსებობს".[14]

ეს პირობა ზუსტად უნდა დაიცვას ისტორიულ თხზულებათა ავტორმაც. ისტორიული თხზულება იმდენად არის საგულისხმო და სასარგებლო, რამდენადაც მწერალი მისი შექმნის დროს გაითვალისწინებს საზოგადოების საჭიროებას, აღძრავს და გადაწყვეტს იმ პრობლემებს, ნაწარმოებს გამსჭვალავს იმ

---

13 ჭრესტომათია, II, გვ. 12-13.

14 ჭრესტომათია, I, გვ. 390.

იდეებით, რომლებიც ასეა თუ ისე გამოეხმაურებიან ხალხის მიმდინარე ცხოვრებას და მკითხველებს დაეხმარებიან ცხოვრების მოვლენათა უკეთ გარკვევაში, სამსახურს გაუწევენ საზოგადოებას აწმყოს გაუმჯობესებასა და უკეთესი მომავლის შექმნაში. „უკეთუ, — წერდა ა. ფურცელაძე, — ხალხს უჩვენებთ პოეზიაში ან ისტორიაში ვისმე მხნე პირთა, ქვეყნისა და თავის ხალხის სიმართლისათვის მომქმედთ და თავ განწირულთ, — იმისთვის კი არა, რომ წარსული გაუხადოთ ხალხს სანატრელათ, მხოლოდ იმისთვის, რომ ამ პირების მაგალითი აღვიძებდეს ხალხში მხნეობას და აძლევდეს ძალას, რომ გასწიოს ბრძოლა წარსულზედ უკეთესი მომავლის დასამყარებლათ... ამის გამო, ჩემი აზრით, როდესაც პოეზია ცდილობს გამოსახოს ძველი გმირნი, ის უნდა ცდილობდეს იპოვოს და აჩვენოს იმათში ის მხარენი, რომელნიც დღესაც სახმარნი იყვნენ კაცის წარმატებისა და ბედნიერებისათვის“.[15]

ასევე ესმოდათ ისტორიულ თხზულებათა დანიშნულება თერგდალეულებს ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, მაგრამ თავისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი პროგრამის შესაბამისად საქართველოს წარსულში ისინი ეძებდნენ მხოლოდ ან თითქმის მხოლოდ დადებით მომენტს, რათა მათს მაგალითზე აღეზარდათ მკითხველები, გაეღვიძებინათ და განემტკიცებინათ მათ შორის ეროვნული თვითშეგნება, ეროვნული სიამაყისა და პატრიოტული გრძნობები. ამის გამო თერგდალეულთა ისტორიულ თხზულებებში ვერ შეხვდებით, ან ძლიერ იშვიათად, სპორადულად თუ იჩენდა თავს წარსულის რაიმე კრიტიკა. და სწორედ აქ გამოჩნდა ა. ფურცელაძის რადიკალიზმი, სწორედ აქ დაისახა თერგდალეულებისაგან განსხვავებული პოზიცია წარსულისადმი დამოკიდებულებაში. მას გაუმართლებლად მიაჩნდა გარდასულ დროებათა მარტოოდენ ნათელი, დადებითი მხარეების ასახვა ლიტერატურაში, რადგან ეს, მისი აზრით, ყალბ, არასწორ წარმოდგენას უქმნიდა მკითხველს და

15 „იმედი“, № 7-8, 1882 (ხაზგასმა ჩემია — შ. ჭ.).

აფიქრებინებდა, რომ წარსულში მხოლოდ კარგი იყო ან კარგი ბევრად ჭარბობდა ცუდს, მაშინ როცა სწორედ პირიქით იყო, ე. ი. ცუდი ჭარბობდა კარგს, უარყოფითი — დადებითს.

მწერალმა, ამბობდა ა. ფურცელაძე, „წარსული უნდა უჩვენოს ხალხს მარტო იმისთვის კი არა, რომ წარსულში ყველა კარგი უჩვენოს და ყველა წარსული ოქროთი დაჰფეროს, იმიტომ, რომ ამ წარსულში უჩვენოს ყველა ავი და კარგი, რომ ავი თავიდამ აიცილოს, კარგს მიჰბაძოს. და რადგან უფრო ცუდია ამ წარსულში, ეცადოს ამ ცუდის ცხადად დანახვების, უჩვენოს თავისი შეცდომილებანი და ნაციონალური (ხალხური) ნაკლებულებანი, რომ ამით ეცადოს ხალხი გასწორებას“.[16]

ა. ფურცელაძის ეს დებულება, ცხადია, აფართოებდა და აღრმავებდა რეალიზმს, ხდიდა მას უფრო თანმიმდევრულს, რამდენადაც ხსნიდა ცალმხრიობას, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ აწმყოს ასახვისას მწერალი ხალხს უჩვენებდა ცხოვრების ავსაც და კარგსაც, ხოლო წარსულის მხატვრული გაცოცხლებისას — მარტო კარგს. ამავე დროს იგი ზრდიდა ისტორიულ თხზულებათა შემეცნებით-აღმზრდელობითს მნიშვნელობას, მკითხველზე მათი ზემოქმედების ძალას.

მეორე მხრივ, ა. ფურცელაძე მოითხოვდა ხალხის როლის, ხალხის წარმომადგენელთა ღვაწლის ხაზგასმას ისტორიულ თხზულებებში, მიუხედავად იმისა, რომ ქართული მატიანეები ყურადღებას ამახვილებდნენ მეფეთა და დიდებულთა ცხოვრებაზე და თითქმის არ შემოგვინახეს ხალხის ცხოვრების ცოცხალი სურათები, ნაკლებად მოგვითხრობენ ხალხის წიაღიდან გამოსულ პატრიოტთა გმირულ საქმეებზე. ერთ კერძო წერილში (დავით ერისთავისადმი) ილია ჭავჭავაძე დიდი გულისტკივილით აღნიშნავდა ამ ფაქტს და წერდა: „ეგ ოხერი ჩვენი ისტორიაა... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსად ჩანს“.[17] ამასვე ამტკიცებდა ანტონ ფურცელაძე. იგი სარკასტული სიმწვავით ამათრახებდა ჩვენს მემატიანეებს ხალხის უგულებელყოფისათვის და დასცინოდა მათს ისტორი-

16 იქვე.
17 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. X, 1961, გვ. 34.

ას, რომელსაც ასე წარმოგვისახავდა:

„დაჯდა ბაკური ქართლის მეფედ, მოკვდა ბაკური,
ბაკურის შემდეგ დაჯდა ფარსმან, კაცი უძლური,
სუმბათის შემდეგ მეფედ დაჯდა ბაგრატ რეგვენი,
მოკვდა რეგვენი, სუმბათ, დავით და სხვა მეფენი".[18]

რამდენადაც გადაჭარბებული არ უნდა მოგვეჩვენოს ეს ირონია, იგი მაინც სწორად გადმოგვცემს ქართულ მატიანეთა ძირითად ნაკლს, მართებულად აკრიტიკებს მათ ხალხის ცხოვრების უგულებელყოფისათვის. მაგრამ თერგდალეულებისაგან განსხვავებით, ა. ფურცელაძე, როგორც რადიკალურად განწყობილი მოაზროვნე-ხელოვანი, არ დასჯერდა ფაქტის კონსტატაციას და შეეცადა ისტორიული პირობებისა და ვითარების, ეპოქის საერთო სულისკვეთების გათვალისწინებით შეექმნა ისეთი თხზულებები, რომლებშიც აისახებოდა ხალხის ცხოვრება, ნაჩვენები იქნებოდა ხალხის ღვიძლი შვილების ვაჟკაცური, საგმირო საქმეები. რადგან ჩვენმა მეშატიანეებმა „არ გაგვაცნეს ჩვენ წარსული ხალხის ცხოვრება, — წერდა იგი, — ამისთვის ძინდა მცირეს არის იგი გაჩვენოთ".[19] და მან მართლაც შექმნა ამგვარი ისტორიული ნაწარმოებები „დიდი მოურავი", „თამარ ღაზნელი" და სხვ. ეს თხზულებები უპირველეს ყოვლისა საინტერესონი არიან სწორედ იმით, რომ მათში მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არა მეფეთა და დიდგვაროვან ფეოდალთა, არამედ დაბალი ფენების, ხალხის წარმომადგენელთა ღვაწლის ცხატერულ ჩვენებას.

ხალხის წარმომადგენელთა ისტორიულ ღვაწლს რომ ხაზს უსვამდა, ამით ა. ფურცელაძე, ერთი მხრივ, ამაღლებდა და განადიდებდა მშობლიურ ქართველ ხალხს, ხოლო მეორე მხრივ, ამხილებდა გაბატონებული ექსპლოატატორული კლასების ანტიხალხურ პოლიტიკას და დიდების გვირგვინს ხდიდა ზვიად ფეოდალებს, რომლებსაც, მართალია, თავი პატრიოტებად მოჰქონდათ, მაგრამ ნამდვილად კი მარტი პირადი აღზევებისათვის ზრუნავდნენ, ფულზე ჰყიდდნენ საკუთარ სინდის-

18 ა. ფურცელაძე, თამარ ღაზნელი.
19 იქვე.

საც და საქართველოს ინტერესებსაც. წარსულისადმი ა. ფურცელაძის ეს თავისებური, რადიკალურ-რევოლუციური დამოკიდებულება თავის დროზე სწორად შენიშნა ქართული ლიტერატურის ისტორიის გამოჩენილმა მკვლევარმა პროფ. ვ. კოტეტიშვილმა. თუ ა. ფურცელაძე ისტორიულ ნაწარმოებებს წერს, ამბობდა იგი, „იმიტომ კი არა, რომ იქ გვიჩვენოს გარდასული დიდება, როგორც ეს ჩვეულებად იქცა, არამედ იმ საშინელების საჩვენებლად, რომელიც ჩვენს ერის გამოუვლია. უკან იხედება იმიტომ კი არა, რომ გვირგვინები განუმტკიცოს წარსულის გმირებს, არამედ ამ გვირგვინების მოსახდელად და იმ ხალხის ასამაღლებლად, რომელიც წოდებრივმა მიდრეკილებამ მიჩქმალა“.[20]

ეს იყო მნიშვნელოვანი კორექტივი, რომელიც ა. ფურცელაძემ შეიტანა წარსულისადმი დამოკიდებულებასა და მისი მხატვრული ასახვის თეორიაში. რა თქმა უნდა, იგი წარმოადგენდა ნაბიჯს წინ კრიტიკული რეალიზმის განმტკიცების გზაზე და მოწმობდა კრიტიკოსის რადიკალიზმს, გამოხატავდა მის პროგრესულ-რევოლუციურ სულისკვეთებას.

ხასიათი და ტიპიურობის პრობლემა

კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებაგანმტკიცებისათვის რომ იბრძოდა, ა. ფურცელაძე საგანგებო ყურადღებას უთმობდა ხასიათებს და მათი სისრულე მიაჩნდა ნაწარმოების უპირველეს და უდიდეს ღირსებად. „ახლა გავშინჯოთ ჩვენ ხასიათები მომქმედ პირთა, რომელიცა შეადგენს თითქმის თხზულების პირველს ღირსებას და საჭიროებას“.[21] წერდა იგი დ. ჭონქაძის „სურამის ციხისადმი“ მიძღვნილ კრიტიკულ სტატიაში და ამ აზრს სხვა წერილებშიც იმეორებდა და ავითარებდა.

რა არის ხასიათი, რით აიხსნება ა. ფურცელაძის ესოდენ დიდი ინტერესი მისდამი, რატომ მიაჩნდა იგი მხატვრული ნაწარმოების თითქმის „პირველ ღირსებად და საჭიროებად“?

ა. ფურცელაძეს არ მოუცია ხასიათის ზუსტი მეცნიერუ-

20 ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.) 1959, გვ. 453.

21 ქრესტომათია, I, გვ. 297.

ლი დეფინიცია. მიუხედავად ამისა, მისი მსჯელობიდან შეიძლება განვსაზღვროთ, თუ რას გულისხმობდა იგი ცნებაში „ხასიათი“. ერთ-ერთ სტატიაში კრიტიკოსი წერდა: „ყოველმა თხზულებამ ყოველი მოქმედი პირი უნდა წარმოგვიდგინოს თავისის ხასიათით“.[22] ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ ა. ფურცელაძეს მხედველობაში აქვს არა ლიტერატურული ხასიათი, როგორც ასეთი, არამედ ხასიათი საერთოდ (ფსიქოლოგიური, სოციალური და ა. შ.). აქ ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ, თუ როგორ განმარტავდა ცნებას „ხასიათი“ თავის სახელგანთქმულ „პოეტიკაში“ დიდი არისტოტელე. „ხასიათს, — წერდა იგი, — ვეძახი იმას, რის გამო, როგორც ჩვენ ვამბობთ, მოქმედი არის ასეთი... ხასიათი არის ის, რაც განსაზღვრავს, თუ როგორია გადაწყვეტილება“.[23] არსებითად ამავე თვალსაზრისს ავითარებდა ა. ფურცელაძე. მისთვისაც ხასიათი არის ის, რიც გამოკ პერსონაჟი არის ა ს ე თ ი და ა რ ა ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი, ე. ი. იგი არის მოქმედი პირის თ ვ ი ს ე ბ ა. ამდენად ა. ფურცელაძისათვის ტარიელი ლიტერატურული ხასიათი კი არ არის, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟია, რომელსაც აქვს თავისი ხასიათი.

ამ თვისებას, ხასიათს პერსონაჟები, ისევე როგორც რეალური ადამიანები ცხოვრებაში, ამჟღავნებენ თავის ფიქრებსა და ზრახვებში, მოქმედებაში, სინამდვილისა და სხვა ადამიანებისადმი დამოკიდებულებაში. ხასიათი სრულიადაც არ არის ადამიანის თანდაყოლილი თვისება, როგორც ეს სურთ დაამტკიცონ ბურჟუაზიის იდეოლოგებს. იგი იქმნება და ყალიბდება საზოგადოებრივ ურთიერთობაში, ცხოვრების პირობების, აღზრდის თავისებურებათა ზეგავლენით. ამის გამო, ხასიათი რომ გავიგოთ, უნდა ვიცოდეთ ვინ არის პიროვნება, რომლის თვისებასაც იგი წარმოადგენს, რა სოციალურ გარემოში უხდება ამ პიროვნებას ცხოვრება და საქმიანობა, აზროვნება. დიდი ლენინი გვასწავლის, რომ ყოველ კონკრეტულ პიროვნებას აქვს საკუთარი ხასიათი, ზრახვები. და გრძნობები, მაგრამ ისინი არც თანდაყოლილი არიან და არც შემთხვე-

22 იქვე. გვ. 300.
23 არისტოტელე. „პოეტიკა“, 1944, გვ. 15, 16.

ვით წარმოშობილნი, არამედ „აუცილებლად გამომდინარეობენ ამა თუ იმ საზოგადოებრივი წრიდან, რომელიც წარმოადგენს პიროვნების სულიერი ცხოვრების მასალას, ობიექტს და რომელიც დადებითი თუ უარყოფითი ხერხით იხატება მის „ზრახვებსა და გრძნობებში“, ამა თუ იმ საზოგადოებრივი კლასის ინტერესთა წარმომადგენლობაში“.[24] ამრიგად, ადამიანის ხასიათს, მის ზრახვებსა და გრძნობებს განსაზღვრავს საზოგადოებრივი წრე. ეს წრე წარმოდგენს პიროვნების სულიერი ცხოვრების მასალას, ობიექტს, რომელიც დადებითი თუ უარყოფითი მხრით აისახება „პიროვნების ზრახვებსა და გრძნობებში“, ხოლო იმის მიხედვით, თუ როგორ აისახება ობიექტი აიროვნებაში (დადებითად, უარყოფითად) ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ, რომელი კლასის წარმომადგენელია იგი, ესა თუ ის ადამიანი, პერსონაჟი.

იყო რა მატერიალისტი, ა. ფურცელაძე თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებში ასეთსავე თვალსაზრისს ავითარებს. ჯერ ერთი, იგი ამტკიცებს, რომ ხასიათი ადამიანს უმუშავდება „ირგვლივ არსებული წრის“, ე. ი. სოციალური გარემოს უშუალო გავლენითა და პირდაპირი ზემოქმედებით. ამის გამო ხასიათში აუცილებლად აირეკლება თვით მისი წარმოშობი, მისი შემქმნელი საზოგადოებრივი სინამდვილე. გარკვეული წარმოდგენა უნდა მოგვცეს, გარკვეული შეხედულება შეგვიქმნას პერსონაჟებზე, ხოლო მათი შემწეობით უნდა ვიგრძნოთ, უნდა დავინახოთ თვით ცხოვრება, სოციალური სინამდვილე, სადაც პერსონაჟები ცხოვრობენ, მოქმედებენ, აზრიანებენ. ხასიათი საინტერესო და საჭიროა იმდენად, რამდენადაც ცხოვრებას, მის ტენდენციას გამოხატავს და ცხადყოფს, თუ რატომ სწორედ ასეთი და არა სხვანაირი არიან ადამიანები, ასახული პერსონაჟები.

ამიტომ იყო, რომ ხასიათის პრობლემას ა. ფურცელაძე მჭიდროდ უკავშირებდა ტიპიურობის პრობლემას და მოითხოვდა არა უბრალოდ ხასიათის, არამედ ტ ი პ ი უ რ ი ხ ა ს ი ა თ ი ს, და არა უბრალოდ გარემოების, არამედ ტ ი პ ი უ რ ი გ ა რ ე მ ო ე ბ ი ს ჩვენებას. მართალია, მას საგანგებოდ არ

24 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, 1948, გვ. 487.

განუმარტავს ცნება „ტიპი“, მაგრამ აშკარაა, რომ ტიპში იგი გულისხმობდა განზოგადებულ მხატვრულ სახეს, რომელშიც ერთდროულად ჩანს ხასიათის ტიპიური და არატიპიური ნიშან-თვისებანი.

ტიპიურია ის, რაც ზოგადია, რაც საერთოა გარკვეული საზოგადოებრივი წრის, ფენის, კლასის ადამიანისათვის. თუ კი ხასიათს უპირველეს ყოვლისა აყალიბებს სოციალური გარემო, ცოცხალი სინამდვილე, მაშინ ცხადია, რომ ერთნაირმა გარემომ ხასიათის ერთნაირი ნიშან-თვისებანი, ერთნაირი, მსგავსი ხასიათები უნდა წარმოშვას და ასეც არის. პავლე დიდებულიძე და ლუარსაბ თათქარიძე ორივე თავადია, ორივე დაახლოებით ერთ ეპოქაში ცხოვრობს — ბატონყმობის გადავარდნის წინ და ამის გამო ისინი ძლიერ გვანან ერთმანეთს. ერთიც და მეორეც პარაზიტია, უქნარა ადამიანი, თითქმის იდიოტი. მწერალს უნდა შეეძლოს მიაგნოს და გამოხატოს სწორედ ეს ს ა ე რ თ ო, ზ ო გ ა დ ი ნ ი შ ნ ე ბ ი ამა თუ იმ სოციალური წრის, ფენის, კლასის წარმომადგენელთა ხასიათში, ყველაფერი ის, რაც ერთმანეთს ა მ ს გ ა ვ ს ე ბ ს ერთი და იგი კლასის ადამიანებს.

„ხასიათებში, — წერდა ა. ფურცელაძე, — ჩვენ უნდა ვხედავდეთ იმათდაგვარის ხალხის წარმომადგენელს პირსა“,[25] ე. ი. ხასიათი უნდა გამოხატავდეს არა ერთი ან ორი პიროვნების ხასიათის შინაარსს, იგი უნდა ტიპიური იყოს და ცხადყოფდეს იმის მსგავსთა, „ი მ ა თ დ ა გ ვ ა რ ე ბ ი ს“ ანუ ადამიანთა მთელი ჯგუფის — კლასის, ფენის, წრის თვისებას. ლუარსაბ თათქარიძე, მაგალითად, ტიპია, რადგან მისი ხასიათის განმსაზღვრელი ნიშან-თვისებანი, როგორიცაა უქნარობა, პარაზიტობა, გონებრივი უძლურება და სხვ., მთელი ფეოდალური კლასის კუთვნილებაა და არა მარტო ამ ბრწყინვალე თავადისა. რეცენზიაში, რომელიც მოთხრობას „კაცია ადამიანი?!“ მიუძღვნა, ა. ფურცელაძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ამ ნაწარმოებმა განსაკუთრებით გააგულისა „ისინი, რომელნიც თავისსა და სცენაზე გამოჴვანილ პირობნებათა შორის (ავტორს მხედველობაში ჰყავს ლუარსაბი და სხვები — შ. ქ.)

25 ქრესტომათია, I, გვ. 297.

მსგავსებას პოებენ“.[26] აი ეს მსგავსებაა ლუარსაბის ხასიათს რომ ტიპიურად აქცევს, ხოლო თვითონ ლუარსაბს ტიპად, რომელშიც კონდესირებულია მთელი თავადაზნაურობის სულიერი ავლადიდება. შემთხვევით როდი იყო, რომ ა. ფურცელაძის გადმოცემით, ილია ჭავჭავაძეს ბევრი ამტყუნებდა „ქართველი თავადაზნაურობის „გაშავებაში“.[27] ასევე ტიპები არიან ლუარსაბის ძმა დავითი, რძალი ელისაბედი და სხვ.

აქ თითქოს მოსალოდნელია ერთგვარობა და ერთფეროვნება. თუ კი ყოველი ცალკე საზოგადოებრივი ჯგუფის, ფენის, კლასის წარმომადგენლებს სოციალური გარემო ერთმანეთს ამსგავსებს, ცხადია, ყველა ისინი ერთნაირი, მსგავსი იქნებიან. ეს მართლაც ასე მოხდება, თუ პიროვნებაში დავინახავთ მხოლოდ ე. წ. „სოციალურ ერთეულს“ და ვერ შევნიშნავთ სხვა ტიპიურ, აგრეთვე ინდივიდუალურ თვისებებს. საქმე ისაა, რომ ადამიანის ხასიათს მარტო სოციალური გარემო როდი აყალიბებს. მის ფორმირებაზე სერიოზულ გავლენას ახდენენ აგრეთვე სხვა გარემოებანი — აღზრდის მიმართულება, ეროვნება, პროფესია, ასაკი და ა. შ. ეს ქმნის ხასიათებისა და ტიპების მთელ კასკადს, ულეველ მრავალფეროვნებას. თუ ტიპები ერთმანეთს ემსგავსებიან სოციალური გარემოს მიზეზით, სამაგიეროდ, ამავე მიზეზით განსხვავდებიან სხვა სოციალური წრის წარმომადგენელთა ტიპებისაგან. თავადი პავლე დიდებულიძე ჰგავს თავად ლუარსაბ თათქარიძეს, მაგრამ ამავე მიზეზით განსხვავდება ვაჭარ მიკირტუმ გასპარიჩისაგან. გარდა ამისა, ტიპებს ერთმანეთს ამსგავსებს ან განასხვავებს სხვა გარემოებანი, ამასთან ის, რაც ერთ შემთხვევაში გვარია, მეორე შემთხვევაში სახედ გვეელინება და, პირიქით. ქართველი გლეხი ქართველ გლეხს ჰგავს, მაგრამ ამის გამო განსხვავდება რუსი, ფრანგი, ინდონეზიელი გლეხისაგან. რკინიგზელი რკინიგზელს ჰგავს, მაგრამ განსხვავდება მეტალურგისაგან, მეტალურგი — მეშახტისაგან, ახალგაზრდა — მოხუცისაგან და ა. შ. ხასიათის ფორმირებაში უკა-

26 იქვე, გვ. 374.
27 იქვე.

ნაკნელ როლს როდი ასრულებს ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური მონაცემებიც.

რა თქმა უნდა, ყველა ეს გარემოება ერთნაირი მნიშვნელობისა არ არის. მათგან ზოგი განმსაზღვრელია, პირველხარისხოვანია, ზოგი კიდევ — მეორეხარისხოვანი. ადამიანის ხასიათის ფორმირებაში გადამწყვეტი სიტყვა აქვს სოციალურ გარემოს, სოციალურ საფუძველს. ის პირის წამყვანი და განმსაზღვრელი. ა. ფურცელაძე ამას საგანგებოდ უსვამს ხაზს და აცხადებს, რომ თათქარიძეები წარმოუდგენელი იქნებოდნენ, რომ არ ყოფილიყო ბატონყმობა, ეს ექსპლოატატორული საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც გაბატონებული კლასების წარმომადგენლებს უშრომლად უზრუნველყოფს ყოველგვარი მატერიალური სიკეთით და არ მოითხოვს მათგან რაიმე შრომას — არც გონებრივსა და არც ფიზიკურს. მდგომარეობა ქმნის შეგნებას და ვრცელდება შეხედულება, რომლის მიხედვითაც, როგორც კრიტიკოსი წერს, „მებატონეს არ ეკადრება რაიმეს კეთება, რომ იგი იმისთვის არის მემამულე, რომ ცხოვრობს სხვისი შრომითა და ოფლით და, რომ იგი მზამზარეულით უნდა სარგებლობდეს. თათქარიძეები უზომოდ მხიარულნი არიან ასეთი შეხედულების გამო და მთლად იღებენ მას“.[28]

მაშასადამე, ა. ფურცელაძეს მიაჩნდა, რომ ლუარსაბის უქნარობა და პარაზიტობა არის ექსპლოატატორული საზოგადოების არსებობის პირდაპირი შედეგი და რა ეროვნებისაც არ უნდა ყოფილიყო ეს ბრწყინვალე თავადი, მოხუცი იქნებოდა თუ ახალგაზრდა და ა. შ. იგი მაინც უქნარა, პარაზიტ ადამიანად დარჩებოდა.

სოციალური მომენტის წინა პლანზე გამოტანასა და მისი უპირატესობის აღიარებას ა. ფურცელაძე არ მიუყვანია რაიმე უკიდურესობამდე. იგი სრულიადაც არ უგულებელყოფდა, პირიქით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სინამდვილის სხვა მხარეებსაც, სხვა გარემოებებსაც და აუცილებლად მიაჩნდა მათი არეკვლა ტიპში. კერძოდ, განსაკუთრებულ ყურადღებას

---

28 იქვე, გვ. 378.

უთმობდა კრიტიკოსი ეროვნულ თავისებურებათა ასახვას, პერსონაჟის, ტიპის ეროვნულ ნიშან-თვისებათა გადმოცემას.

როგორც ცნობილია, ისტორიულ განვითარებათა თავისებურებამ, ბუნებრივმა გეოგრაფიულმა პირობებმა და ა. შ. ბევრი ისეთი რამ შესძინა ცალკეულ ეროვნებებს, რომლებმაც გამოხატულება პოვეს ადამიანთა ხასიათში და რომლებიც საერთოა ერთი და იგივე ეროვნების სხვადასხვა კლასის, სოციალური ფენის წარმომადგენელთათვისაც კი. ამ გაგებით ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ქართულ, გერმანულ, უზბეკურ და სხვა ხასიათებზე. თავისთავად ცხადია, ეროვნულ ნიშან-თვისებათა ჩვენებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც ისინი ისევე აახლოებენ ადამიანებს ერის შიგნით, როგორადაც ზოგადკაცობრიული ან კლასობრივი ნიშან-თვისებები და წარმოადგენენ პიროვნების ხასიათის შინაარსის განუყრელ ძემდგენელ ნაწილს.

შემთხვევითი როდი იყო, რომ თერგდალეულებმა სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისთანავე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ეროვნულ თავისებურებათა, ეროვნული სპეციფიკის გამოსახვას ხელოვნებაში. ჯერ კიდევ 1861 წელს დიდი ილია თავის ცნობილ სტატიაში კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზე აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევდა პოეტს ეჩვენებინა ეროვნული სული, ეროვნული ხასიათები და „შეშლილის“ ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად თვლიდა იმას, რომ მასში „მარტო ენა, ზარი, მარხილი და იემშჩიკი თუ არის რუსული, თორემ სხვა არაფერი“.[29] უფრო გვიან აკაკი წერეთელი ერთ-ერთ სტატიაში წერდა: „თითოეულ ერს თავისი საკუთარი ერთი მეორისაგან განსხვავებული სახე აქვს და მათ ლიტერატურასაც, როგორც სარკეს ამა თუ იმ ერისას, განსაკუთრებითი ელფერი უნდა ედვას. ჩვენი მწერლობაც უტყუარი სარკე უნდა იყოს ქართველობისა; შიგ უნდა ისახებოდეს საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება მისის მიწა-წყლით, მთა-ბარით, ტყით და ველით და სხვანი. ქართველის გრძნობა-გონება ხორცშესხმულად უნდა მოძრაობდეს შიგ უმეტნაკლებოდ, ზომიერად“.[30]

---

29 ი. ჭავჭავაძე. თხზ., ტ. III, 1953, გვ. 14.
30 ა. წერეთელი, თხზ., ტ. VI, 1957, გვ. 156.

თერგდალეულთა კვალ და კვალ ა. ფურცელაძეც მოითხოვდა, ლიტერატურას გამოესახა ქართული სინამდვილე და ქართული ხასიათები, ეჩვენებინა ქართველი კაცის ეროვნული სული, ეროვნული თავისებურებანი. ეს, მისი რწმენით, რაიმე კაპრიზი კი არ იყო, არამედ აუცილებლობა: თუ უგულებელვყოფთ პერსონაჟის ეროვნულ ბუნებას, ამით, ჯერ ერთი, ფერ-ხორცს მოვაკლებთ მხატვრულ სახეს და იგი ნაკლებ დამაჯერებელი გამოვა, მეორეც, არასრულად ვაჩვენებთ პერსონაჟის „საარსებო პირობებს“, რაც აგრეთვე დამაჯერებლობას დაუკარგავს ნაწარმოებს. ილია ჭავჭავაძის მოთხრობას „კაცია ადამიანი?!“ რომ განიხილავდა, კრიტიკოსი სპეციალურად შეჩერდა ამ საკითხზე და ხაზგასმით აღნიშნა, თითქოს „ლუარსაბ თათქარიძის ტიპის აღებისას და მისი ხასიათის მრავალი მხარის დამუშავებისას ავტორმა თავის გმირს ისეთი ნიშნები მიაწერა, რომლებიც არ ეთანხმება ქართველი კაცის არსებულ საარსებო პირობებს. ზოგჯერ თათქარიძეში წმინდა რუს მემამულესა ხედავთ, ზოგჯერ კი არც ისაა... ამისთანა შეუთანხმებლობამ ბევრს მისცა საბაბი „კაცია,-ადამიანისათვის“ უხდობლად შეეხედა და მასში დაენახა მექანიკურად შემუშავებული ნაწარმოები და სხვა არაფერი“.[31]

აი რა სავალალო შედეგი მოჰყვება, ხოლმე პერსონაჟის ეროვნული სპეციფიკის უგულებელყოფას! და რა თქმა უნდა, ლუარსაბ თათქარიძის მხატვრული სახე ამგვარ მკაცრს კრიტიკულ შენიშვნას სრულებით არ იმსახურებს, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ა. ფურცელაძე პრინციპულად სწორ პოზიციაზე დგას. იგი მართალია, როცა ამტკიცებს, რომ ეროვნულ თავისებურებათა აღრევა ან უგულებელყოფა სერიოზულად ვნებს ნაწარმოებს, სცემს მის იდეურ-მხატვრულ დონეს და ნაკლებად დამაჯერებელს ხდის მას.

სხვა სტატიებშიც ა. ფურცელაძე ყურადღებას ამახვილებდა პერსონაჟის ეროვნულ ნიშან-თვისებებზე. კერძოდ, იგი „სურამის ციხის“ ავტორის უდაო მიღწევად თვლიდა ქართველი გლეხის ხასიათის, მისი ფსიქოლოგიის მარჯვედ გამოსახვას. მისი აზრით, დანიელ ჭონქაძემ სწორად შენიშნა და საუ-

31 ჭრესტომათია, I, გვ. 389.

ცხოროდ გამოხატა ქართველი გლეხის ხასიათის შინაგანი წინააღმდეგობა — საოცარი მოთმინების უნარი და წრეგადასული გაფიცხება, როცა იგი არავის და არაფერს ანგარიშს აღარ უწევს. „ქართველი გლეხი, — წერდა ა. ფურცელაძე, — ითმენს და ითმენს დიდს ხანსა და მეტი უჯათი უნდა იყვეს, რომ ის გამოიყვანოს მოთმინებიდამა, და თუ გამოვიდა მოთმინებიდამ, მაშინ ის ის ქართველი აღარ არის, რომელიც გინახავთ სახრესა და მათრახის ქვეშა, ის მშვიდობიანი და ყურმიგდებული ქართველი, — მაშინ ის არის აღელვებული და გაჯფთრებული, როგორადაც დაჭრილი ლომი და ველარავითარი ღონის-ძიება ველარ შეიმაგრებს იმასა, — მაშინ ყველა მიაჩნია იმას იოტათ, მინამ გულიხ ბუხარს არ იყრის მტერზედ“.[32]

მეტად საგულისხმოა ამ ამონაწერის ქვეტექსტი. აშკარაა, რომ ა. ფურცელაძეს არ მოსწონს „სახრესა და მათრახის ქვეშ“ მყოფი „მშვიდობიანი და ყურმიგდებული“ ქართველი გლეხის მოთმინების უნარი, იგი მიაჩნია მისი ხასიათის ნაკლად. ეს გასაგებიცაა. როგორც რევოლუციონერი დემოკრატი, იგი ოცნებობდა იმ დღეზე, როცა ხალხი დაამხობდა ექსპლოატატორთა ბატონობას, ქართველი გლეხკაცის მოთმინება და ყურმიგდებულობა კი ასე თუ ისე აყოვნებდა ამ დღეს, ახანგრძლივებდა უსამართლო სოციალური წყობილების არსებობას. სხვათა შორის, თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ქართველი გლეხის ხასიათის ამ ნიშან-თვისებისადმი ა. ფურცელაძემ ცხადყო მოთხრობაშიც „მართო“, რომელშიც საკმაოდ იგრძნობა „სურამის ციხის“ გავლენა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეროვნულ თავისებურებათა გამოსახვაც, კრიტიკოსის აზრით, უნდა ემსახურებოდეს არა რაიმე ვიწრო-ნაციონალისტურ, არამედ რევოლუციურ-პროგრესულ მიზნებს. ის, რაც კარგია ეროვნულ ხასიათში, უნდა მივიღოთ და განვავითაროთ, ხოლო ცუდი ვამხილოთ და გამოვასწოროთ. ლაპარაკობდა რა ლიტერატურის ამოცანებზე, ა. ფურცელაძე ერთ-ერთ სტატიაში წერდა, რომ მწერალი მოვალეა ხალხს „უჩვენოს თავისი (ე. ი. ხალხის — შ. ჭ.) შეცდომილებანი და ნაციონალური

32 იქვე, გვ. 292.

(ხალხური) ნაკლებულებანი, რომ ამით ეცადოს ხალხი გამოსწორებას".[33]

ამრიგად, ყოველ კონკრეტულ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, ამა თუ იმ კლასის, ეროვნების წარმომადგენელს, აქვს ხასიათის სხვა ადამიანების მსგავსი, ერთნაირი თვისებები, რომლებიც ქმნიან ხასიათის ტიპიურ თვისებებს. ისინი, ტიპიური თვისებები, ეკუთვნიან როგორც ცალკე, კონკრეტულ პიროვნებას, ისე ადამიანთა მთელ ჯგუფს და გამოსახავენ არსებითს, წამყვანს, განმსაზღვრელს საზოგადოების, კლასის, ეროვნების ცხოვრებაში.

ეს სავსებით სწორია, მაგრამ ასევე სავსებით კანონიერია ვიკითხოთ:

თუ კი ხასიათი არის ცხოვრების პირობების რეზულტატი და დეტერმინებულია სოციალური გარემოთი, მაშინ ხომ შეუძლებლად უნდა მივიჩნიოთ ადამიანის ხასიათის გაუმჯობესება, მისი გადაკეთება-გარდაქმნა, სასურველი მიმართულებით წარმართვა? ამის შედეგად თვით ლიტერატურის აღმზრდელობითი როლი, აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ხომ ფიქციად იქცევა? ეს მართლაც ასე იქნებოდა, პიროვნებისა და გარემოს ურთიერთობა ცალმხრივი რომ იყოს, მარტო გარემო რომ ახდენდეს ზემოქმედებას პიროვნებაზე, პიროვნება გარემოზე კი არა. მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. როგორც გარემო ახდენს ზეგავლენას პიროვნებაზე, ისე პიროვნება უკუმოქმედებს გარემოზე, ე. ი. ხასიათის ფორმირების პროცესი უნდა განვიხილოთ როგორც გარემოსა და პიროვნების აქტიური ურთიერთზემოქმედების პროცესი. პიროვნებას, რომელიც შეიცნობს გარესამყაროს, შეუძლია გადალახოს მისი, ამ გარემოს, უარყოფითი გავლენა, გახდეს მოწინავე ადამიანი.

თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში ა. ფურცელაძე საგანგებოდ უსვამდა ხაზს ამ გარემოებას და ამტკიცებდა, რომ ხასიათის ფორმირებაში მნიშვნელობა აქვს არა მარტო ცხოვრების პირობებს, „ირგვლივ არსებულ წრეს", არამედ აღზრდის მიმართულებასაც. ილია ჭავჭავაძის მოთხრობის „კაცია ადამიანი?"! ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის

33 „იმედი", № 7-8, 1882 წ.

დარეჯანის ხასიათს რომ განიხილავდა, კრიტიკოსი შენიშნავდა, რომ დარეჯანს ბევრი კარგი მონაცემი ჰქონდა, მაგრამ ისინი ვერ განივითარა და, დასასრულ, წერდა: „დარეჯანებს რომ მოსწრებოდათ კეთილგონიერი დამოკიდებულება, რომ დროზე პატარა ბიძგი ჰქონოდათ, გამოფხიზლდებოდნენ, თავის შესაძლებლობას მთელი ძალით გამოამჟღავნებდნენ“.[34] მაგრამ ასე არ მოხდა ორი მიზეზის გამო. რა იყო ეს მიზეზები? „რასაკვირველია, წრე, არაკეთილგონიერი პირობები და საზოგადოებისა და აღმზრდელთაგან უცოდინარობა გონებისა და შესაძლებლობის მართებული განვითარების მიცემისა და ბავშვის ხასიათისა და შეგნების ადამიანური მიმართულებისა“.[35] მაშასადამე, თუ დარეჯანმა ვერ განივითარა კარგი მონაცემები და გონებრივი შესაძლებლობა, ეს, ერთი მხრივ, განსაზღვრა ცხოვრების პირობებმა, ხოლო მეორე მხრივ, აღზრდის მიმართულებამ.

ა. ფურცელაძის რწმენით, გარემოს უარყოფითი გავლენის დაძლევა ადამიანს ყოველთვის, ყოველ ასაკში შეუძლია, თუ კი შეიგნებს ამის აუცილებლობას, გამოიჩენს ნებისყოფის სიმტკიცეს, თუ კი მის აღზრდას წარვმართავთ მართებულად, სწორი მიმართულებით. ერთ-ერთ სტატიაში კრიტიკოსი მიუთითებდა, რომ არც თუ იშვიათია შემთხვევა, როცა წესიერი ადამიანი უწესო ხდება, გონიერი — ჩლუნგი, ზნეობრივად სპეტაკი — გარყვნილი. ყველაფერი ეს კი, მისი აზრით, „შედეგია ირგვლივ არსებული წრისა, აუცილებელი, მაგრამ არა გარდაულახველი მდგომარეობისა“.[36] აი ეს არის მთავარი. მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა, ვთქვათ, დარეჯანი, იყო აუცილებლობა — მას განაპირობებდა ბატონყმობის არსებობა, მაგრამ ეს მდგომარეობა არ ყოფილა გადაულახავი, მისი დაძლევა შეიძლებოდა, დარეჯანს რომ ჰქონოდა წესიერი მაგალითი, სცოდნოდა რა არის კარგი და რა არის ცუდი, როგორ წარემართა თავისი ცხოვრება. „რის შესახებაც ადამიანს წარმოდგენა არა აქვს, — წერდა ა. ფუ-

34 ქრესტომათია, I, გვ. 383.
35 იქვე.
36 იქვე (ხაზგასმა ჩემია — შ. ქ.).

რცელაძე, — რაც არ უნახავს და რისთვისაც ოდნავადაც არ მომზადებულა, მას ვერ გააკეთებს".[37]

აქ უკვე მთელი სისრულით ჩნდება ლიტერატურული ხასიათის აღმზრდელობითი ფუნქცია, აღმზრდელობითი დანიშნულება. მწერალი ხასიათებს ქმნის არა მკითხველის თავშესაქცევად, არა გასართობად, არამედ გარკვეული მიზნით — ხასიათების შემწეობით ზემოქმედება მოახდინოს ადამიანებზე და წარმართოს მათი ხასიათის განვითარება სასურველი მიმართულებით. თუ, მაგალითად, მწერალი პროგრესულ-რევოლუციურ პოზიციაზე დგას, მაშინ იგი ისწრაფვის მკითხველი აღზარდოს ეპოქის მოწინავე იდეებზე, ბოროტებასთან შეურიგებლობისა და სიკეთის გამარჯვებისათვის თავდადების სულისკვეთებით.

რა თქმა უნდა, რაც უფრო დიდი და სახელოვანია მწერალი, მით უფრო გარკვევით და მკაფიოდ, შთაბეჭდავად ხატავს ხასიათებს, გადმოგვცემს თავის აზრს და მით უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, აიძულებს მას ჩაუფიქრდეს ასახულ ცხოვრების მოვლენებს, განსაჯოს პერსონაჟთა საქციელი, ახალი თვალით შეხედოს თვით საკუთარს თავს. ოსტროვსკის პიესების უმთავრესი ღირსება, ა. ფურცელაძის აზრით, ის არის, რომ მოქმედი პირების ხასიათს ავტორი ხატავს „მშვენივრათ და მარჯვეთ", ისე, რომ „ჰხედავთ ყოველს ძარღვს, ყოველს იოტს და ყოველს მოძრაობას იმათს. გინა შინაგანს, გინა გარეშე ხასიათისას".[38] ამიტომ ისინი წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ მკითხველსა თუ მაყურებელზე, იწვევენ მათში ძლიერ ემოციას და აიძულებენ გამოთქვან თავისი აზრი, შეხედულება, დამოკიდებულება ცალკეული პერსონაჟებისადმი და მათი ზეგავლენით ჩამოირეცხონ ყოველგვარი ჟუჟუა თუ ჩირქი, თუ კი რაიმე ამგვარი სცხიათ. კრიტიკოსის თქმით, დიკოის ან კაბანოვას (ა. ოსტროვსკის პიესის „ჭექა-ქუხილის" პერსონაჟებია) გაცნობისას „ისეთს ზიზღს მიიღებთ, რომ უეჭველია, თუ ერთი ბეწვაც არის ამ ხასიათის ჩირქი გცხიათ, მაშინვე არ ეცადოთ ამის გარეცხვას.

37 ჭრესტომათია, I, გვ. 383.

38 იქვე, გვ. 300.

და იმ უშვერების განდევნას, რომელსაც ჩვენა ვხედავთ ზემოთ ხსენებულ პირებში".[39]

ეს ცხადყოფს ლიტერატურის უდიდეს აღმზრდელობით-გარდამქმნელ როლსაც და იმ ფაქტსაც, რომ ხასიათი არის მხატვრული ნაწარმოების იდეური ტენდენციის გამოვლინების სფერო. როცა ნაწარმოებს ქმნის, სურს თუ არ სურს ეს, ნებით თუ უნებლიეთ, ავტორი ზოგიერთ პერსონაჟს თანაუგრძნობს, ზოგიერთს კი არა, ზოგის მიმართ მკითხველში სიყვარულის გრძნობას აღვიძებს, ზოგის მიმართ კი, პირიქით, ცდილობს ზიზღი გამოიწვიოს. „ავტორი, — წერდა ამის თაობაზე ა. ფურცელაძე, — გისახავთ საზიზღარ ან კეთილ პირთ თავისი საზიზღარი და კეთილი საქმეებით: ალაპარაკებს, ამოქმედებს იმ გვარად, როგორც თვითონ ავტორს მიაჩნია ან საზიზღარ ცუდ საქმედ, ან პატიოსან კეთილ საქმედ".[40] იმის კვალობაზე, თუ ვის თანაუგრძნობს მწერალი და ვინ ეზიზღება, ჩვენ ადვილად შეგვიძლია გავერკვეთ ნაწარმოების იდეურ ტენდენციაში, გავიგოთ მწერლის პოზიცია, მისი შეხედულებანი ასახული ცხოვრების მოვლენებზე, ადამიანებზე. ეს მოსახერხებელია მაშინაც კი, როცა ავტორი ცხადად არ გამოთქვამს აზრს და მკაფიოდ არ ხატავს ხასიათებს: „აწონვა მისი, რას ამბობს ავტორი, — წერდა ა. ფურცელაძე, — როდესაც ბუნდია ავტორის მხატვრობა, ავტორის აზრი, არ არის ძნელი. შენ უნდა გაარჩიო ბუნება მისი ნაწერისა, მისი აღებული ტიპისა, მისი შეხედულობა, მისი გონების მოხაზულობა, — აქედამ გამოიყვანო აზრი სადაო საგნისა".[41]

ხასიათი, ტიპი, მაშასადამე, არის მწერლის, ნაწარმოების იდეური ტენდენციის გამოვლინების სფერო, ის ფოკუსი, სადაც კონცენტრირდება ნაწარმოების იდეა, მიზანი, ე. ი. ტიპიური ხასიათი არსებითად წარმოადგენს იდეის მხატვრულ რეალიზაციას პერსონიფიცირებულ ფორმაში. ამით განისაზღვრება მისი

---

39 იქვე.

40 ა. ფურცელაძე, შექსპირი ჰამლეტში.

41 იქვე.

ფუნქცია ნაწარმოების საერთო სტრუქტურაში და მისი აღმ-
ზრდელობით-შემეცნებითი მნიშვნელობა.

თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, ცხადი გახდება, რომ ა. ფურცელაძისათვის კარგი რეალისტური მხატვრული ნაწარმოები ის არის, რომელშიც მკაფიოდ ჩანს პერსონაჟის ხასიათიც და მისი, ამ ხასიათის, წარმომშობი გარემოებაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი მთლიანად იზიარებდა ცნობილ დებულებას, რომ რეალიზმში მთავარია ტიპიური ხასიათების გამოსახვა ტიპიურ გარემოებებში, მართლაც, თითქმის ყველა ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიაში ა. ფურცელაძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ხასიათისა და გარემოს მიმართებას, ყოველ მხატვრულ ნაწარმოებს უპირველეს ყოვლისა აფასებდა იმის მიხედვით, თუ რამდენად ნამდვილი იყვნენ, რამდენად შეესაბამებოდნენ ერთმანეთს ხასიათი და გარემოება, რამდენად ჩანდა ხასიათში მისი „აღმძვრელი გარემოება".

ცნობილია, რომ ა. ფურცელაძემ დიდად მოიწონა გ. ერისთავის „გაყრა", რადგან ავტორმა ამ კომედიაში, მისი სიტყვით, გამოსახა როგორც „ბატონყმობის დროს ბატონები", ისე „იმათი გარემოება, იმათი დამოკიდებულება ამ გარემოებასთან".[42] ამასთან მან განმარტა, კონკრეტულად რას ნიშნავდა ეს. „იმისი ნანდვილის ცხოველის სურათებით გამოსახული ტიპები ცხადათ გაჩვენებენ ამ ჩვენს დაცემულს და წამხდარ დროსა და გარემოებათა; და ყველა გამოყვანილი ტიპი თავისის გარკვეულის და განსაზღვრულის ქცევითა და ხასიათებით გიჩვენებენ ის ნაყოფიცდარა მოვლენის წარმომადგენელნიც არიან ისინი".[43] სხვა სტატიებშიც ა. ფურცელაძე კვლავ და კვლავ ყურადღებას ამახვილებდა ამ საკითხებზე. კერძოდ, დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის" ანალიზისას იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ხასიათები უნდა ეთანხმებოდნენ თავის მოვლინებაებს და თავის საფუძველს. თუ თხზულებას ეს ღირსებაები აკლია, მაშინ ის თხზულებაები შეიქნებიან რჩეულოვის ცრუ რომანები, ბერი-

42 ა. ფურცელაძე, გ. ერისთავი და ზ. ანტონოვი ჩვენი სცენისათვის.
43 იქვე (ხაზგასმა ჩემია — შ. ჯ.).

ძის ხანიზდეგი და სხვა ამ გვარი უმგვანო თხზულებების დაგვარი".[44]

თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებში ა. ფურცელაძემ მოგვცა ასახული ტიპიური ხასიათებისა და გარემოებათა „ნანდვილობის" შეფასების „საწყაო", კრიტერიუმიც. „ამის ასაწონათ, თუ რავდენათ არიან აღწერილი ტიპი, აღწერილი გარემოება ნანდვილნი, — წერდა იგი, — არის ერთი საწყაო. ეს საწყაოა — თვით აღებული საგანი და ის გარემოება, საიდამაც ეს საგანი წარმოსდგება და საიდამაც არის აღებული. როგორც ლოღიკური აზრი უნდა წარმოსდგებოდეს აღებული წინად თქმულებიდამ (посылка), აგრეთვე აღწერილი პირი, აღწერილი მოვლინება უნდა იყვეს ნაყოფი და წარმოსდგებოდეს იმ გარემოებიდამ, საიდამაც არიან ისინი აღებულნი და ამოკრებულნი. უკეთუ აქვთ მიზეზი ამათ აღებულს გარემოებაებში, უკეთუ აქვთ ფერსვი ამ გარემოებაებში და ამ ფესვიდამ არიან აღზრდილნი და გაშლილნი ყოველი ამათი ნაყოფი და შტონი, მაშინ ესენი არიან ნანდვილნი, ნანდვილი ცხოვრებიდამ აღებულნი".[45]

აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს ორი ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნა: პერსონაჟი და, მაშასადამე, მისი ხასიათი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოწყვიტოთ „ირგვლივ არსებულ წრეს". პირიქით, აუცილებელია რაც შეიძლება სრულად ვაჩვენოთ. თუ როგორ მოქმედებს (დადებითად, უარყოფითად) სოციალური გარემო, ცხოვრება პერსონაჟის ხასიათის ჩამოყალიბებაზე, როგორ ქმნის იგი ამ ხასიათს. მეორე მხრივ, „ხასიათები უნდა იყვნენ აღებულნი ცოცხალთა და ნანდვილ პირთაგან".[46] და ისე გამოვსახოთ ისინი, როგორც მათ ვხედავთ, როგორიც არიან სინანდვილეში და არა ისე, როგორც საჭიროდ მიგვაჩნია ან გვსურს იყოს. გ. ერისთავის „გაყრას" რომ განიხილავდა, ა. ფურცელაძე წერდა: „მით უფრო შესანიშნავია ეს პიესა, რომ აქ დახატული პირნი და მოქმედებანი ნანდვილის ხელოვნებით არიან შესწავლულნი და აღწე-

---

44 ქრესტომათია, I, გვ. 300.
45 ა. ფურცელაძე, გ. ერისთავი და ზ. ანტონოვი ჩვენი სცენისათვის.
46 ქრესტომათია, I, გვ. 297.

რილნი თვით ცხოვრების მოვლინებიდამ".[47] ხასიათის ყოველგვარი ნებისმიერი შეკეთება-გადაკეთება ან გამოგონება, ყოველგვარი სუბიექტივიზმი ამ საქმეში მხოლოდ ხელს შეუშლის მწერალს გვიჩვენოს პერსონაჟის ნამდვილი ფიქრები და გრძნობები, მათი ნამდვილი ხასიათი და, მაშასადამე, თვით ცხოვრება, რომელიც ხასიათში უნდა აირეკლოს, როგორც სარკეში რაიმე გამოსახულება. ამით აიხსნება, რომ ა. ფურცელაძე მკაცრად აკრიტიკებდა იმ მწერლებს, რომლებიც აშკარა სუბიექტივიზმს იჩენდნენ, არ სწავლობდნენ ცხოვრებას და ისე, გონებაში „ქმნიდნენ" ხასიათებს, თხზავდნენ, იგონებდნენ მათ. თუ ბევრი მისი თანამედროვე მწერლის პერსონაჟები ვერ აღძრავდნენ რაიმე ძლიერ ემოციას მკითხველში, კრიტიკოსის აზრით, ეს იმის შედეგი იყო, რომ ისინი, ამ პენსიონატთა ხასიათები, „ცხოვრების მოვლინებაებიდამ კი არ არიან აღებულნი, არიან შემდგარი თვით მწერლების თავში და მემრე მიჯღანებული ცხოვრებაზედ. ამის გამო ამათ არცა აქვთ გავლენა არავიზედ".[48]

გავიხსენოთ სუბიექტივისტ სოციოლოგთა კრიტიკა, რომელიც ვ. ი. ლენინმა მოგვცა. მკაცრად გმობდა რა სუბიექტივისტ სოციოლოგებს იმისათვის, რომ ისინი უგულებელყოფდნენ სოციალურ გარემოს, ე. ი. „ცხოვრების მოვლინებას", რომელიც ფაქტიურად ყალიბებს ადამიანის ხასიათს, დიდი ლენინი მიმართავდა მათ: თქვენ „გამოსავალ წერტილად იღებთ არა „ცოცხალ პიროვნებას" იმ „ზრახვებითა და გრძნობებით", რომელნიც მართლაც იქმნებიან მისი ცხოვრების პირობებით, წარმოებითი ურთიერთობის ამა თუ იმ სისტემით, — არამედ ტიკინას, და საკუთარი „ზრახვებითა და გრძნობებით" უტენით მას თავს... ცხოვრება განზე რჩებათ, თქვენ კი — ცხოვრებას განზე რჩებით".[49]

ამრიგად, მხატვრულ ნაწარმოებში ასახული ხასიათები და გარემოებები აუცილებლად უნდა იყონ „ნანდვილნი", თვით ცხოვრებიდან „აღებულნი და ამოკრებულნი". მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ა. ფურცელაძის აზრით, ხალხისათვის სასარ-

47 ა. ფურცელაძე, გ. ერისთავი და ზ. ანტონოვი ჩვენი სცენისათვის.
48 იქვე.
49 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, 1948, გვ. 491.

გებლო რეალისტური ნაწარმოები რომ შექმნას, არ კმარა მწერალთა ფოტოგრაფიულად აღწეროს ხასიათები და გარემოებები. იგი ამტკიცებდა, რომ უსარგებლოა ისეთი ნაწარმოები, „სადაც ავტორი აგიწერთ ნანდვილ მოვლინებათა", მაგრამ „ავისა და კარგის გაურჩეველათ, იმას, რაც მოუვა თავში, რაც მოადგება ხელზედ, როგორც მხატვარმა აიღოს და რაც შეხვდეს, დაიდოს წინ და გადახატოს. რათა? რისთვის? რის წარმომადგენელია და რის მასწავლებელი ეს ნაწერები — არა სჩანს და არცა აქვს არაფერი ამგვარი დამწერს სახეში. ამგვართ ნაწერთ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, გარდა უბრალო გართობისა".[50]

სადაო არ შეიძლება იყოს, რომ ა. ფურცელაძის ეს დებულება თავისი მახვილით მიმართულია ფოტოგრაფიულობის, უხეში ნატურალიზმის წინააღმდეგ ხელოვნებაში, ხოლო მეორე მხრივ, მიზნად ისახავს განამტკიცოს მკვეთრი ტენდენციურობის პრინციპი. ცხოვრება სავსეა მოვლენებით, ქვეყნად უამრავი ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ ხელოვანმა მათგან უნდა შეარჩიოს მხოლოდ ისინი, რომლებიც ყველაზე უკეთ გამოხატავენ სინამდვილის არსს, ყველაზე უკეთ შეასრულებენ აღებული იდეის „წარმომადგენელთა" როლს. ამ შემთხვევაშიც ა. ფურცელაძე იმავე თვალსაზრისს იცავს და ავითარებს, რასაც თერგდალეულები.

საკმარისია მოვიგონოთ, თუ რა მკაცრად გაილაშქრა უხეში ნატურალიზმისა და უტენდენციობის წინააღმდეგ აკაკი წერეთელმა: „ზოგიერთები, — წერდა დიდი ქართველი პოეტი, — საზოგადოთ იმ აზრისაა არიან როგორც სხვაგან, ისე ჩვენშიც... რომ რეალიზმი მოითხოვს მწერლობაში მხოლოდ პროტოკოლურ აღწერილობას უმეტ-ნაკლებოთ, ისე, როგორც ხედავს და ესმის მწერალს, ისე, რომ იქ თავისი არ უნდა გაურიოსრა... ნიჭიერმა მწერალმა სტენოგრაფიულათ კი არ უნდა გადაიღოს ყველაფერი, რაც გაიგონა, ნახა, არამედ ჩაწეროს. არა, ასისა ათასი სიტყვა-ფრაზისაგან უნდა აირჩიოს მასალები, რომელნიც უკეთ დაახასიათებენ მისგან აღებულ საგანს, რა-

50 ა. ფურცელაძე, გ. ერისთავი და ზ. ანტონოვი ჩვენი სცენისათვის.

საკვირველია შემოქმედებითი ძალით".[51] აქ როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. აკაკი წერეთელი და ანტონ ფურცელაძე ერთნაირ თვალსაზრისს ავითარებენ, მათი პოზიცია სავსებით იდენტურია.

ხასიათის ტ ი პ ი ზ ა ც ი ა ს თ ა ნ ერთად ა. ფურცელაძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მის ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ ი ზ ა ც ი ა ს, ხასიათის შინაარსისა და ფორმის ერთიანობას.

ცნობილია, რომ ტიპიური თვისებები ქმნიან ხასიათის შინაარსს, მაგრამ ეს შინაარსი ცალკეულ ადამიანებში, თითოეულ ინდივიდში თავისებურად ვითარდება და ვლინდება, იღებს უაღრესად ინდივიდუალურ ელფერს, ინდივიდუალურ ფორმას „თვითეული პირი, — წერდა ფრ. ენგელსი, — ტიპს წარმოადგენს, მაგრამ ამასთანავე გარკვეულ ინდივიდუალურ ადამიანსაც, „ეს", როგორც იტყოდა მოხუცი ჰეგელი, ასეც უნდა იყოს".[52] ასედაც უნდა იყოს, რადგან არ არსებობს პიროვნება, ხასიათი მარტო ტიპიურ თვისებებს შეიცავდეს, ე. ი. ხასიათს მარტო შინაარსი ჰქონდეს, ფორმა კი არა. შინაარსი არ არსებობს უფორმოდ, იგი ყოველთვის რაიმე ფორმით წარმოგვიდგება. ამდენად ფორმის ყოველგვარი უგულებელყოფა ისევე შეუწყნარებელია, როგორც შინაარსისა.

არსებითად ამავე თვალსაზრისს იცავდა ა. ფურცელაძეც. ისიც თვლიდა, რომ ხელოვანმა ტიპში უნდა გვიჩვენოს ტიპიურიც და არატიპიურიც, ინდივიდუალურიც, ანუ როგორც თვითონ წერს, „კერძოობითი ხასიათი". აღზრდა, აღზრდის პირობები, ასაკი, პროფესიულ-შრომითი საქმიანობა, ტემპერამენტი, ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური მონაცემები ქმნიან ინდივიდუალურს ხასიათში, რითაც ერთი ადამიანი, ერთი ტიპი განსხვავდება მეორისაგან. ტიპიური ა მ ს გ ა ვ ს ე ბ ს პიროვნებებს; არატიპიური, ინდივიდუალური გ ა ნ ა ს ხ ვ ა ვ ე ბ ს მათ, ერთი და იგივე კლასის, ეროვნების წარმომადგენლებსაც კი. პავლე დიდებულიძე და ლუარსაბ თათქარიძე ორივე უქნარა თავადის ტიპია, მაგრამ თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ა დ უქნარა და პარაზიტი თავადისა. პავლეს იტაცებს ნადირობა და მწევარ-

51 ა. წერეთელი, თხზ. ტ. VI, 1957, გვ. 123-124.
52 კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული წერილები, 1949, გვ. 434.

მეძებრები, ხოლო ლუარსაბს მაძღარი ჰამა და ლოგინში ჩოლა. ჩვენ, ალბათ, ვერც წარმოვიდგენთ მონადირე ლუარსაბს ან დღე ღამ ლოგინზე მიჯაჭვულ პავლეს, ისე მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ისინი. ამ განსხვავებას კი ქმნის არა ხასიათის შინაარსი, არამედ ფორმა, არა ტიპიური ნიშან-თვისებანი, არამედ ინდივიდუალური.

სავსებით მართალი იყო ა. ფურცელაძე, როცა მოითხოვდა, რომ „ყოველს თხზულებაში ყოველი მომქმედი პირი უნდა იყოს თავის ინდივიდულის ორიგინალურის მარტივის ხასიათით".[53] საქმე მარტო ის კი არ არის, რომ პერსონაჟები გამოვკვეთოთ „სხვა და სხვა რიგი საქმით და სხვა რიგის დაწყობილებით",[54] ანუ ვუჩვენოთ მათი ხასიათის ზოგადი, ტიპიური ნიშნები. ამასთან ერთად აუცილებელია მკითხველმა ტიპში დაინახოს კონკრეტული პიროვნებაც, ინდივიდი, რომელსაც აქვს საკუთარი და ხშირად განუმეორებელი, უნიკალური „კერძოობითი ხასიათი". დურმიშხანის დახასიათებისას ა. ფურცელაძე ამტკიცებდა, რომ დურმიშხანი თითქოს არ იყო ჯეროვნად ინდივიდუალიზებული, მის ხასიათში საკმაოდ არ ჩანდა ინდივიდუალური ნიშან-თვისებანი. მასში ჩვენ ვხედავთ ტიპს, მაგრამ ვერ ვხედავთ პიროვნებას, ინდივიდს.

ეს ნაკლი, კრიტიკოსის მტკიცებით, მარტო დურმიშხანის მხატვრულ სახეს როდი გააჩნდა. „აგრეთვე სხვა მომქმედს პირებში ვერსად ჰპოვებთ, — წერდა იგი, — რომ თავის ინდივიდური ხასიათი და ჩვეულებაები ჰქონდეს. ისინი, თუმცა ყველანი, სხვა და სხვა საქმეს ჩადიან, სხვა და სხვა აზრებისა არიან და მიმართულების პატრონები არიან: ზოგი საშინელი ბოროტია, ზოგი — კეთილი და კეთილშობილურის გულითა: მაგრამ ვერ ამჩნევთ და ვერა ჰხედავთ, თუ ერთი ისე რათ არის და მეორე — ისე; თქვენ ამათში ერთსა და იმავე პირსა ჰხედავთ, ხოლო სხვა და სხვა რიგი საქმით და სხვა რიგის დაწყობილებით".[55] აი რით არის ცუდი, ა. ფურცელაძის აზრით, „კერძოობითი ხასიათის" უგულებელყოფა. მას გარდუვალად მივყავართ კონკრეტული პიროვნების გაქრობამდე ხელოვნე-

---

53 ქრესტომათია, I, გვ. 297.
54 იქვე, გვ. 299.
55 იქვე, გვ. 299.

ბაში. თუ მწერალი გვერდს აუვლის პერსონაჟთა ხასიათის ინდივიდუალურ ნიშან-თვისებებს და არ გვაჩვენებს მათ, მოქმედი პირები აუცილებლად დაემსგავსებიან ერთმანეთს, დაკარგავენ თავის ინდივიდუალურ სახეს.

ამრიგად, ა. ფურცელაძის აზრით, ტიპში უნდა აისახოს ხასიათის როგორც ტიპიური, ისე არატიპიური ნიშან-თვისებები, მასში უნდა დავინახოთ ტიპიც და კონკრეტული ადამიანიც.

მაგრამ ტიპიური და არატიპიური ნიშან-თვისებანი ცალ-ცალკე, ერთი მეორის გვერდით კი არ არსებობენ, არამედ ერწყმიან ერთმანეთს და მთლიანობაში წარმოგვიდგებიან. მწერალს უნდა შეეძლოს სწორედ ასე გვიჩვენოს ისინი. ეს კი მოითხოვს როგორც ცხოვრების, ისე ადამიანების ღრმა, ყოველმხრივ ცოდნას, ადამიანის სულში ჩაწვდომას. მკითხველს აინტერესებს არა მარტო ის, თუ რას აკეთებს პერსონაჟი, არამედ ისიც, თუ როგორ აკეთებს, რას განიცდის, რას ფიქრობს მოქმედების წინ თუ მისი მსვლელობის დროს. ამიტომ მწერალი ვალდებულია ჩაგვახედოს ადამიანის სულში, გაგვაცნოს მის სულიერ სამყაროში მიმდინარე პროცესი, ანუ, როგორც ნ. გ. ჩერნიშევსკი იტყოდა ხოლმე, გვიჩვენოს პერსონაჟის „სულის დიალექტიკა“ — მოძრაობა და ცვლილება. რა თქმა უნდა, ეს არ არის ადვილი საქმე. იგი მოითხოვს დიდ ცოდნასა და ოსტატობას. „ამ გვარი თხზულება, — წერდა ა. ფურცელაძე, — არის მეცნიერება (наука), როგორათაც სხვა მეცნიერებაცა:— როგორც ზაალოგიამ და ფიზიოლოგიამ ორგანული არსების (ცხოველის) ყოველი შერდგენილობა და ყოველი კანონი ცხოვრებისა ნათლად გაარკვიოს და აღრიცხოს ყოველი იმისი ატომი, ყოველი იმისი მოქმედება და მოძრაობა შინაგანი და გარეგანი, ეგრეთვე ამ თხზულებამ უნდა დაგვანახოს და შევიდეს ყოველის მხრივ კაცის გულის, ანუ, როგორც ევროპიელები იტყვიან, — სულის ანალიზში: უნდა გვიჩვენოს ყოველი მოძრაობა გულისა, ყოველი პრუჟინა მოქმედებისა, და, თუ შეიძლება, ყოველი მიზეზიც დაწყობილებისა“.[56]

ასეთი დიდი და რთული ამოცანის გადასაჭრელად ახალი

56 იქვე, გვ. 294-295

ქართული ლიტერატურა, რომელიც სამოციანი წლების დამდეგს ის-ის იყო ფეხს იდგამდა, ა. ფურცელაძეს ჯერ კიდევ არ მიაჩნდა მზად, მაგრამ მაინც საჭიროდ თვლიდა გაემახვილებინა ყურადღება „სულის დიალექტიკაზე“, რათა ამით ნიადაგი შეემზადებინა მომავლისათვის. „რა საკვირველია, — წერდა იგი, — ეს მომეტებული მოთხოვნილებაა ჯერეთ ჩვენს ლიტერატურაში, ჩვენის ლიტერატორებისაგან, მაგრამ ჩვენ ამას ვამბობთ საზოგადოთ: თუ როგორ უნდა იყვეს ყოველს შემთხვევაში“.[57] ამიტომ ა. ფურცელაძეს მისატევებლად მიაჩნდა, რომ „სურამის ციხეში“ დანიელ ჭონქაძე „ამ მოვალეობას დასრულებით ვერც ერთგან“[58] ვერ ასრულებდა. და არა მარტო დ. ჭონქაძე. გიორგი ერისთავი და. თვით ილია ჭავჭავაძეც კი, კრიტიკოსის თქმით, ვერ იძლეოდნენ პერსონაჟთა „სულის ანალიზს“. კერძოდ, გ. ერისთავი თავის „შეშლილში“, როგორც ა. ფურცელაძე ამტკიცებდა, დაკმაყოფილდა მთავარი პერსონაჟის ტასოს „გარეგანი“ დახასიათებით, მხოლოდ მოქმედების ჩვენებით და ვერ ჩასწვდა მის სულიერ სამყაროს. „სად გამოსახა ავტორმა (გ. ერისთავმა — შ. ქ.) ის საცოდავი მწუხარება, რომელიც უნდა ყოფილიყო ტასიას გულში და რრმელსაც შეეშალა და თავი დაეჩრობინებინა ამისათვისა. თქვენ ერთი სიტყვით ვერა ჰხედავთ ამ სცენებს, იმ გულის წვასა და დუღილს, რომელთაც კაცს შეშლამდიან და მეტადრე თავის დარჩობამდინ მიაღწევინოს“.[59]

მაშასადამე, „სულის ანალიზის“ უქონლობა ცუდი იმით არის, რომ მკითხველი ხედავს პერსონაჟთა მხოლოდ მოქმედებას, მაგრამ ვერ ხედავს, თუ რატომ სახელდობრ ასე იქცევიან ისინი და არა სხვაგვარად, ე. ი. მათ საქციელსა და მოქმედებას აკლია მოტივაცია, დამაჯერებლობა, ეს კი, საბოლოო ანგარიშით, ანელებს ასუსტებს ნაწარმოების ზემოქმედების ძალას, რადგან იგი მკითხველში ვერ იწვევს ძლიერ ემოციას, ხოლო ამის გამო ვერც აზრის ცხოველ მოძრაობას. ასეთ შემთხვევაში მწერლები, ჩვეულებრივ, ცდილობენ თვითონ დაგვიხასიათონ პერსონაჟები, იმის ნაცვლად, რომ თვით მათ სა-

57 იქვე, გვ. 295
58 იქვე.
59 იქვე, გვ. 311-312.

ქციელში დაგვანახონ ხასიათი და მისი „აღმძვრელი გარემოებანი". ამგვარი „მხატვრული" ხერხი, რა თქმა უნდა, მოსაწონი არ არის და ა. ფურცელაძე მართალი იყო, როცა წერდა: „ავტორი კი არ უნდა თითონ დასწრიპინებდეს თავისგნით გამოსატულს პირს — ის უნდა სხვას აგრძნობინებდეს და მიაღებინებდეს ყურადღებას თავის გამოსახულებაზედ".[60]

დადებითი გმირის პრობლემა

ყოველი ლიტერატურის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა მუდამ იყო და არის გმირობის პრობლემა, განსაკუთრებით გარდატეხისა და შემოტრიალების პერიოდებში, როცა ასპარეზზე გამოდიან ახალი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ძალები.

გასული საუკუნის სამოციან წლებშიც, როცა თერგდალეულები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით გზას უკაფავდნენ და ამკვიდრებდნენ ახალ, რეალისტურ ლიტერატურას, გმირის პრობლემა მეტად მწვავე და საჭირბოროტო აღმოჩნდა. ამ ნიადაგზე მათ მძიმე ბრძოლა მოუხდათ „მამებთან", რომლებიც დაჟინებით ებღაუჭებოდნენ ძველს, დრომოჭმულს, გადაჭრით ილაშქრებდნენ ლიტერატურაში ახალი გმირის შეჭრის წინააღმდეგ. ცნობილია, მაგალითად, „მამების" რა გააფთრება გამოიწვია ჯერ დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხემ", ხოლო შემდეგ ილიო ჭავჭავაძის მოთხრობამ „კაცია ადამიანი?!" ისინი არ მალავდნენ აღშფოთებას იმის გამო, რომ ნაცვლად კეთილი ბატონისა, რომელიც მშობელივით ზრუნავდა ყმებისათვის, დანიელ ჭონქაძემ თავის ნაწარმოებში გამოიყვანა გულქვა და მტარვალი ბატონი, ხოლო ზღაპრული ფეოდალი დევგმირების მაგიერ ილია ჭავჭავაძემ შექმნა სავსებით რეალური, მიწიერი თავადის ლუარსაბ თათქარიძის მხატვრული სახე.

მიუხედავად იმისა, რომ თერგდალეულთა ჯგუფს არ ეკუთვნოდა, ა. ფურცელაძე სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ფაქტიურად მხარში ამოუდგა მათ კრიტიკული რეალიზმისა და მისი ახალი გმირის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემდეგ იგი იყო

60 იქვე, გვ. 305

ერთ-ერთი პირველი კრიტიკოსი, რომელმაც იერიში მიიტანა „მამების“ ესთეტიკური იდეებისა და ლიტერატურული გმირების წინააღმდეგ. სატირულ ნაწარმოებში „წავიდა ის დრო“ (1862 წ.) მან მასხარად აიგდო „მამები“, რომლებიც ცხოვრებისეული პერსონაჟების ასახვის მაგიერ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ფანტასტიკური გმირების გამოგონებაში და თავი იმით მოჰქონდათ, თუ ვინ უფრო ყოვლისშემძლე პერსონაჟს შექმნიდა. „ჩემს თხზულებაში, — ათქმევინებს ერთ-ერთ მათგანს ანტონ ფურცელაძე, — ყარამანზედ უფრო ღონივრები არიან. მე ვსწერე, რომ ყუზელ-ყარამანმა ერთის შებერვით ყარამანიცა და სალბი ხურამანიც ზღვას იქით გადააგდო“.[61] ამაზე მეტი გმირობა თითქოს წარმოუდგენელია, მაგრამ მეორე მწერალს თურმე კიდევ უფრო ზღაპრული პერსონაჟი შეუქმნია და ამაყობს, რომ მის „ბათრიაჯან მდევსა ათასი თავი აბია, და თითო შესუნთქვაზე თითო თავი ათას ვარსკვლავს ჩაყლაპავს ხოლმე“.[62]

ლიტერატურული გმირის საკითხში „მამების“ პოზიციის ასეთი ნეგაცია თავისთავად ცხადყოფდა ა. ფურცელაძის პოზიტიურ შეხედულებათა არსს. თუ კი ლიტერატურული გმირი არ უნდა იყოს ზღაპრული, ფანტასტიკური პიროვნება, მაშასადამე, იგი ჩვეულებრივი მიწიერი ადამიანი უნდა ყოფილიყო, ცხოვრების ღვიძლი შვილი, რომლის მსგავსნი სინამდვილეში ათასობით არიან. დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“, კრიტიკოსის აზრით, იმითაც არის კარგი, რომ მისი პერსონაჟები, კერძოდ, ფილოსოფოსი და კნიაზ ლიბერალი „...წარმოგვიდგენეს ჩვენ სწორეთ იმ პირთ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ და ყოველს ნაბიჯზედ შეგვხვდებიან“.[63] ამავე მიზეზით მოსწონდა მას ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“ ლუარსაბსა და დარეჯანს ა. ფურცელაძე ჩვეულებრივ მრავლობით რიცხვში იხსენიებს (თათქარიძეები, დარეჯანები), რითაც ხაზს უსვამს, რომ ისინი ერთეულები კი არა, ბევრი არიან, ხოლო დავითის შესახებ პირდაპირ წერს, რომ იგი „ქართველია, რომლის მსგავსსაც შეიძლება კაცი ყოველ ნაბიჯზე შეხვდეს“.[64]

61 „ცისკარი“, № 12, 1862.
62 იქვე.
63 ქრესტომათია, I, გვ. 219.
64 იქვე, გვ. 384.

ამრიგად, როგორც ა. ფურცელაძის, ისე თერგდალეულთა ამოსავალი დებულება გმირის საკითხში სავსებით ერთნაირი იყო. ისინი მოითხოვდნენ, რომ ლიტერატურას მოეცა არა ცოცხალ სინამდვილეს მოწყვეტილი ფანტასტიკური გმირები, არამედ ჩვეულებრივი რეალური ადამიანები, რომლებიც გამოხატავდნენ ეპოქის სახეს, ცხოვრების ავ-კარგს. ასეთი გმირები კი შეეძლო შეექმნა მხოლოდ იმ მწერალს, რომელიც მოიმარჯვებდა რეალიზმის მეთოდს და გაჰყვებოდა რეალისტური ლიტერატურის გზას, ე. ი. გმირის პრობლემას, ა. ფურცელაძე პირდაპირ უკავშირებდა რეალიზმის პრობლემას. რამდენადაც ღრმა და ფართოა მწერლის რეალიზმი, რამდენადაც ზუსტად, სიმართლით ასახავს იგი ცოცხალ სინამდვილეს, იმდენად ტიპიური და სისხლსავსეა მის მიერ შექმნილი სახატვრული სახეები, იმდენად დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭება მათ.

მიუხედავად ამისა, თერგდალეულებისა და ა. ფურცელაძის პოზიცია გმირის საკითხში ბოლომდე იდენტური მაინც არ აღმოჩნდა. ისინი რამდენადმე დასცილდნენ ერთმანეთს, როგორც კი გაჩნდა პრობლემის მეორე მხარე: ვინ, რომელი კლასების წარმომადგენელნი, უარყოფითი თუ დადებითი გმირები უნდა აესახა ლიტერატურას უპირატესად და სად, რომელ საზოგადოებრივ ფენებსა თუ კლასებში შეეძლო მწერალს ეპოვა უარყოფითი თუ დადებითი გმირი?

თერგდალეულები, როგორც ცნობილია, მთლიანად და სავსებით იზიარებდნენ დიდი რუსი კრიტიკოსის ბ. ბელინსკის დებულებას, რომ კარგი ადამიანი თუმცა ყველა წოდებაშია ისევე, როგორც ცუდი, მაგრამ მწერალს მაინც თავი უნდა შეეკავებინა კეთილი მემამულის ან პატიოსანის ჩინოვნიკის მხატვრული სახის შექმნისაგან და დადებითი გმირი ეპოვა მხოლოდ ხალხში, უპირველეს ყოვლისა კი გლეხობაში. ეს იმიტომ, რომ კეთილი მემამულე და პატიოსანი ჩინოვნიკი სრულიადაც არ იყო ტიპიური ბატონყმურ-თვითმპყრობელურ რუსეთში და ასეთ გმირებს შეეძლოთ მკითხველთა დეზორიენტაცია. ამით აიხსნება, რომ თერგდალეულთა მიერ შექმნილი თითქმის ყველა უარყოფითი პერსონაჟი ფეოდალურ კლასს, ვაჭარ-ჩინოვნიკებს ეკუთვნოდა და არა გლეხობას,

ვშრომელი ადამიანების წრეს და, პირიქით, დადებითი გმირები მხოლოდ ხალხის შვილები, გლეხები იყვნენ (გამონაკლისს წარმოადგენდნენ ძირითადად ისტორიული თხზულებები). ლია ჭავჭავაძემ, მაგალითად, სამოციან წლებში მოგვცა დადებით გმირთა მთელი გალერეა — გაბრო, პეპია, თამრო, კაკო, ზაქრო და სხვები, რომელთა სახით გვიჩვენა გლეხობის მორალური სიწმინდე, საუკეთესო ზნეობრივი თვისებები.

თავისი რადიკალურ-მემარცხენე მსოფლმხედველობის შესაბამისად ა. ფურცელაძემ საჭიროდ ჩასთვალა ზოგიერთი არცთუ უმნიშვნელო კორექტივი შეეტანა თერგდალეულთა პოზიციაში და ერთგვარად გაეფართოებინა როგორც უარყოფითი, ისე დადებითი გმირების სამოქმედო არე, ის წრე, რომელიც ასაზრდოებდა მათ. ყველა ეს კორექტივი, რა თქმა უნდა, მიზნად ისახავდა რეალიზმის შემდგომ გაღრმავებას, კლასებისა და საზოგადოებრივი ფენების უფრო სრულ დახასიათებას, სინამდვილის განვითარებადი ტენდენციის გაძლიერებას.

ერთ-ერთი ძირითადი და მთავარი ამ კორექტივთაგან მოიცავდა გლეხობისადმი დამოკიდებულების პრობლემას. გადაჭარბებული როდი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ა. ფურცელაძე პირველი ბელეტრისტია ჩვენს ლიტერატურაში, რომელმაც ერთგვარი კრიტიკული თვალით შეხედა გლეხობას და შეეცადა იგი დაენახვებინა ახალი კუთხითაც — დადებითთან ერთად ეჩვენებინა უარყოფითიც. ამ შემთხვევაში მისი პოზიცია სავსებით ემთხვეოდა გენიალური რუსი მოაზროვნისა და კრიტიკოსის ნ. გ. ჩერნიშევსკის პოზიციას, რომელიც განსაკუთრებით მკვეთრად გამოისახა ნ. ვ. უსპენსკის მოთხრობებისადმი მიძღვნილ სტატიაში „ცვლილების დასაწყისია?“ (პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „სოვრემენიკში“ 1861 წელს).

ნიკოლოზ ვასილის ძე უსპენსკი ეკუთვნოდა რაზნოჩინული დემოკრატიის პროზაიკოსთა ჯგუფს, რომლებიც რუსული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილი არიან „ნაროდნიკი ბელეტრისტების“ სახელით. ნ. გ. ჩერნიშევსკის ყურადღება მან იმით მიიქცია, რომ ბელეტრისტი კარგად იცნობდა გლეხობის ყოფა-ცხოვრებას, ხასიათს და ხალხზე, გლეხობაზე წერდა

სიმართლეს „ყოველგვარი შელამაზების გარეშე“. წინანდელი მწერლებისაგან განსხვავებით, რომლებიც შეგნებულად უვლიდნენ გვერდს ჩვეულებრივი, უფერული ადამიანების ნაკლოვანებებს, უსპენსკიმ გაბედულად გაუსწორა თვალი სინამდვილეს და არ დაფარა, საამკარაოზე გამოიტანა ისინი. ამით მან ახალი ფურცელი გადაშალა ხალხის ცხოვრების მხატვრული ასახვის ისტორიაში და ცხადყო, რომ დადგა ახალი ეტაპი განმათავისუფლებელ მოძრაობაში, როცა შეიძლება სიმართლე ბოლომდე თქვა, როცა უნდა ვილაპარაკოთ არა მარტო უბედურების გამომწვევ გარემოებებზე, არამედ თვითონ ადამიანის გარდაქმნის აუცილებლობაზე. ჩერნიშევსკის აზრით, გოგოლმა დაინდო აკაკი აკაკიევიჩი, ბოლომდე არ თქვა სიმართლე, რადგან ფიქრობდა, რომ „თუ სხვებს უველაფერს ვეტყვით მის შესახებ, რის თქმაც შეიძლება, მაშინ მისდამი თანაგრძნობას შეასუსტებს მისი ნაკლის ცოდნა. დაე ხმას ნუ ამოვიღებთ მის ნაკლზე“.[65] ასეთ პოზიციას თავის დროზე ჰქონდა ისტორიული გამართლება, მაგრამ მას შემდეგ, რაც ვითარება არსებითად შეიცვალა, მან დაკარგა ნიადაგი და უმართებულო გახდა. დიდი რუსი კრიტიკოსი თვლიდა, რომ როგორც უველა ადამიანი არ არის ერთნაირი, ისე გლეხებიც არ არიან ერთნაირი და „სირცხვილია ვერ შევამჩნიოთ განსხვავება მათ შორის. ჩვენ მათთან გვაქვს საქმე, ამიტომ ჩვენთვისაც და მათთვისაც ძლიერ საზიანო იქნება, თუ ასე განურჩევლად, ხელაღებით ვიმსჯელებთ მათზე და ამის მიხედვით მოვიქცევით“.[66]

გლეხობის უსპენსკისეული კრიტიკა, თავისთავად ცხადია, ბოროტი დაცინვა კი არ იყო, არამედ ამოცანად ისახავდა ნაკლოვანებათა მხილებას მათი აღმოფხვრის მიზნით. ხოლო შეამჩნიოს და მოსპოს საკუთარი ნაკლოვანებანი შეუძლია მხოლოდ იმ ადამიანს, იმ კლასს, რომელსაც სჯერა თავისი ძალა, თავისი მომავალი და ირწმუნა იგი. ამიტომაც ასე გულმხურ-

65. Чернышевский П. Г., Литературно-критические статьи, 1939, стр. 262.

66 იქვე, გვ. 266.

ვალედ მიესალმა ნ. გ. ჩერნიშევსკი ნ. ვ. უსპენსკის მოთხრობებს. „ბ-ნ უსპენსკის ნარკვევები, — წერდა დიდი რუსი კრიტიკოსი, — მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს იმაზე, ვინც არ უფიქრდება მისი და წინანდელი მწერლების ტონის განსხვავების მიზეზს. მაგრამ თუ ამ საქმეს ჩაუკვირდები, იგრძნობ, რომ ბ-ნ უსპენსკის ნარკვევები ძალზე კარგი ნიშანია... ბ-ნ უსპენსკის გაბედულება ხალხი აღწეროს ხალხისათვის ესოდენ ნაკლებ სასიქადულოდ, მოწმობს, რომ მნიშვნელოვნად შეიცვალა გარემოება, რომ ახლანდელი დროება დიდად განსხვავდება ამასწინანდელი ხანისაგან, როცა ენა არავის მოუბრუნდებოდა ხალხის სამხილებლად... მოურიდებლად ილაპარაკო ამა თუ იმ ადამიანის ან კლასის ნაკლზე, რომელიც ცუდ მდგომარეობაში იმყოფება, მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ჩანს, რომ ეს ცუდი მდგომარეობა მხოლოდ მისი საკუთარი მიზეზით გრძელდება და ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა მხოლოდ მისი სურვილი შეცვალოს თავისი ბედი. ამ თვალსაზრისით ფრიად სასიხარულო მოვლენა უნდა ეწოდოს ბ-ნ უსპენსკის მოთხრობებს, რომელთა შინაარსში არაფერია სასიხარულო“.[67]

მსგავსი ცვლილებები მოხდა ქართველი გლეხობის ცხოვრებაშიც და ლიტერატურას უნდა აესახა ეს მოვლენა, უნდა ეჩვენებინა ხალხის ღირსებაცა და ნაკლიც. და აი ამ ამოცანას ერთ-ერთმა პირველმა მოჰკიდა ხელი ა. ფურცელაძემ. მან შექმნა არაერთი ნაწარმოები, რომლებშიც აღარ იყო გლეხობის ხელაღებითი იდეალიზაციის ნატამალიც კი. ამ მხრივ ძლიერ საინტერესოა მოთხრობა „ქიტესა“ (1871). მასში ბელეტრისტმა მოგვცა ქართველი გლეხის ისეთი მხატვრული სახე, რომელიც არსებითად განსხვავდება თარგდალეულთა გლეხებისაგან. თუ ილია ჭავჭავაძის გლეხთა ტიპები — გაბრო, კაკო ყაჩაღი, ზაქრო პროტესტანტი, გაბედული ადამიანები არიან, არ ურიგდებიან ამა ქვეყნის ძლიერთაგან დამცირებას, ანანებენ მტერს ბოროტ საქციელს და სხვა მხრივაც იდეალურად ჩაითვლებიან, ა. ფურცელაძის ქიტესა ერთი დაბეჩავებული, ზარბაცი და გალოთებული გლეხია. იგი მოკლებულია კაკო ყა-

67 იქვე, გვ. 282.

ჩაღისა და ზაქროს გაბედულებას, უნარი არ შესწევს სამაგიერო მიუზღოს მჩაგვრელებს და თავისი კაცური ღირსება დაიცვას. უილაჯო და სულიერად დამონებული ქიტესა არაყს ეძალება და მასში სურს ჩაიკლას გულის ვარამი. მისი ასეთი წახდომა, რასაკვირველია, გარემოს, სოციალური უკუღმართობის შედეგია, მაგრამ სადღაც, გულის სიღრმეში, გრძნობთ, რომ გარკვეული ბრალი ქიტესასაც უძღვის, რადგან სრულებით ვერ იჩენს წინააღმდეგობის უნარს, რადგან არ გააჩნია ნაღდვილი „სურვილი შეცვალოს თავისი ბედი“. ასეთივე გაუბედავი, სულიერად დაბეჩავებული გლეხები დახატა ა. ფურცელაძემ „მართაშიც“ (1865). ისინი შიშით ცახცახებენ ბატონის წინაშე და ხელი ვერ აღუმართავთ მის წინააღმდეგ, თუმცა იგი უკანასკნელ ხარჩოს ართმევს მათ პირადი ფუფუნებისათვის. გლეხებს ცოდვად და სულის წაწყმედად მიაჩნიათ ადამიანის მოკვლა საერთოდ, მით უმეტეს ბატონისა. სოსიკაც კი, რომელსაც ბატონმა სიცოცხლე გაუმწარა და ვერაგულად მოატყუა, ვერ ბედავს თავს დაესხას მას.

„მართაშივე“ ა. ფურცელაძემ საკმაოდ თვალნათლივ გვაჩვენა, თუ ცხოვრების გარემოებათა ზეგავლენით როგორ თანდათან ნათლდება და მაღლდება გლეხობის. რევოლუციურ-კლასობრივი შეგნება, როგორ მწიფდება მათში შეკავშირებისა და ბატონის წინააღმდეგ ერთიანი, კოლექტიური გაწოსვლის იდეა. „აბა, ჩემო ძმაო! — ეუბნებოდნენ ერთმანეთს, — კიდეც ემაგითი ვართ ქართველი ხალხი დაღუპული, რომ ერთი პირი არა გვაქვს“.[68] ამ აღიარებას მალე საქმეც მოსდევს და სოფლის მოწინავე ნაწილი აწყობს „შეთქმას“. საიდუმლო კრებაზე გლეხები ერთსულოვნად გადაწყვეტენ ბოლო მოუღონ თავგასულ ბატონს, რომლისგანაც სოფელს მოსვენება არა აქვს. აქ უკვე აშკარად ჩანს, რომ ა. ფურცელაძე გლეხებს მოუწოდებდა შეკავშირებისა და შეერთებული ძალით ექსპლოატატორთა ბატონობის დამხობისაკენ. მაშასადამე, გლეხებისა და გლეხების კრიტიკას მწერლის შემოქმედებაში გარკვეული პოლიტიკური ამოცანა ეკისრებოდა — იგი მიზნად

68 ა. ფურცელაძე, რჩეული ნაწერები, 1951, გვ. 276.

ისახავდა მათი კლასობრივ-რევოლუციური შეგნების ამაღლებას, მათს მომზადებას გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

ამავე მიზნით აღძრა ა. ფურცელაძემ დადებითი გმირის პრობლემა ჩვენს ლიტერატურაში როგორც ბელეტრისტმაც და როგორც ლიტერატურულმა კრიტიკოსმაც.

უთუოდ მცდარი და უსაფუძვლოა შეხედულება, რომ დადებითი გმირი თითქოს პირველად გაჩნდა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში. თითოეულმა მკითხველმა იცის, რომ ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა ნაწარმოებში, იქნება იგი კლასიკური, ფსევდოკლასიკური, რომანტიკული თუ რეალისტური, ანტიკური ეპოქისა თუ XIX საუკუნისა, — პერსონაჟთა ორი ბანაკია: დადებითი და უარყოფითი გმირებისა. ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტანდარეჯანი, თინათინი დადებითი გმირები არიან, რამდენადაც განასახიერებენ ისეთ მაღალ ადამიანურ გრძნობებს, როგორიცაა პატრიოტიზმი, სიყვარული და მეგობრობა, შექსპირის ოტელო, დეზდემონა, რომეო, ჯულიეტა დადებითი გმირები არიან, ხოლო იაგო, რიჩარდი და სხვები — უარყოფითი. ილია ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივი, გიორგი, კაკო უაჩაღი, გაბრო — ყველანი დადებითი გმირები არიან. მაშასადამე, უაზრობაა ვამტკიცოთ, თითქოს დადებითი გმირი ლიტერატურაში პირველად საბჭოთა მწერლებმა შემოიყვანეს. საქმე სულ სხვაგვარად დგას. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის უდიდესი დამსახურება ის კი არ არის, რომ მან თითქოს პირველმა შექმნა დადებითი გმირი საერთოდ, არამედ ის, რომ მან შექმნა ახალი ტიპის დადებითი გმირი — კომუნისტური ცხოვრების მშენებელი და დამამკვიდრებელი.

რასაკვირველია, არც ეს ახალი ტიპის დადებითი გმირი წარმოშობილა ერთბაშად, როგორც მინერვა იუპიტერის თავიდან. მას ჰყავდა წინაპარი იმ რევოლუციონერთა სახით, რომლებიც თავისი ცხოვრების უმაღლეს მიზნად სთვლიდნენ ბრძოლას ხალხის ბედნიერებისათვის, მისი სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის. და სწორედ ასეთი დადებითი გმირების აღზრდასა და გამრავლებას უსახავდნენ ერთერთ უმთავრეს ამოცანად ლიტერატურას ბელინსკი, ჩერნიშევსკი და სხვა რუსი რევოლუციონერი დემოკრატები, ხოლო

მათ კვალ და კვალ გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ა. ფურცელაძეც.

იმ შეხედულების მიმდევრები, რომლის მიხედვითაც დადებითი გმირი თითქოს უცხოა ყოველგვარი სხვა ლიტერატურისათვის, გარდა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისა, მათ შორის კრიტიკული რეალიზმისთვისაც, ჩვეულებრივ იმოწმებენ ბ. ბელინსკის დებულებას, რომ კრიტიკულ რეალიზმს ახასიათებდა „ჭარბი უარყოფითი მიმართულება". რაკი ასეა, ამბობენ ისინი, კრიტიკულ რეალიზმს არ შეეძლო მოეცა და არც მოუცია დადებითი გმირები, რადგან დადებითი გმირი აინტერესებს არა იმ ლიტერატურას, რომელიც უარყოფს, არამედ იმ ლიტერატურას, რომელიც ამკვიდრებს ცხოვრებას.

რა შეიძლება ითქვას ამ მტკიცების შესახებ?

მართალია, კრიტიკულ რეალიზმს ახასიათებდა „ჭარბი უარყოფითი მიმართულება", მაგრამ იმავე ბელინსკის თქმით, კრიტიკული რეალიზმი უარყოფდა არა უარყოფისათვის, არამედ იდეალისათვის, იდეალის სახელით, ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის. არც ერთი დადებითი გმირი არ არის ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „კაცია ადამიანი?!" ისევე, როგორც ნ. ვ. გოგოლისა და სხვა სატირიკოსთა ბევრ თხზულებაში, მაგრამ განა მასში მაინც მკაფიოდ არ გამოსჭვივის მწერლის იდეალი, ვისი სახელითაც მან სამარცხვინო ბოძზე გააკრა ლუარსაბი და სხვა მისი მსგავსი ადამიანები? მიუხედავად ამისა, კრიტიკული რეალიზმი არ იფარგლებოდა მარტო უარყოფითი პერსონაჟებით და ცდილობდა შეექმნა დადებითი გმირებიც. კიდევ მეტი, იდეალის ნეგატიურ, კომიზმის მეშვეობით გადმოცემას აშკარად ამჯობინებდნენ მის გადმოცემას პოზიტიურად, დადებითი გმირების მეოხებით. ეს იმიტომ, რომ დადებითი გმირები პ ი რ დ ა პ ი რ გამოთქვამენ მწერლის იდეალს, ხოლო სხვები ა რ ა პ ი რ დ ა პ ი რ, მ ო ვ ლ ი ლ ი გ ზ ი თ, რაც გაცილებით უფრო რთულია ასათვისებლად. ბელინსკი საგანგებოდ მიუთითებდა, რომ კომიზმი საერთოდ ძნელად გასაგებია და მის აზრს ყველა მკითხველი ვერ ჩასწვდება „...ჰუმორს, — წერდა დიდი რუსი კრიტიკოსი, — მხოლოდ ღრმა და ძლიერ განვითარებულ

სული გაიგებს".[69] და თუ კრიტიკული რეალიზმი მაინც „ჭარბი უარყოფითი მიმართულების" ლიტერატურად რჩებოდა, ეს აიხსნებოდა თვით სინამდვილის, იმდროინდელი ცხოვრების თავისებურებებით, ცხოვრებისა, რომელიც ნაკლებად შეიცავდა დადებით მოვლენებს, და ამის გამო ძნელი იყო ეს მოვლენები მწერალს გამოეხატა ისე, რომ რიტორიკულად არ გაეიდეალებინა ისინი. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ მკაცრი ცენზურული პირობები საშუალებას არ იძლეოდა დადებითი გმირი ლიტერატურას ეჩვენებინა მთელი მისი მრავალმხრივი, უმდიდრესი სულიერი სამყაროთი.

ამრიგად, დადებით გმირს კრიტიკული რეალიზმი ისევე, როგორც ყოველი სხვა ლიტერატურა, გულგრილად ვერ მოკიდებოდა, რადგან იგი და მხოლოდ იგი აძლევს მწერალს იმის საშუალებას, რომ პირდაპირ გამოთქვას თავისი იდეალი, პირდაპირ გააცნოს მკითხველს თავისი სანუკვარი მისწრაფებანი. ამავე მიზეზით დადებითი გმირი სრულიად არ ყოფილა უცხო ლერგდალელთა შემოქმედებაში. ა. ფურცელაძე, როგორც რევოლუციონერი დემოკრატი, ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლი მწერალი გვერდს ვერ აუვლიდა დადებით გმირს. პირიქით, დადებითი გმირის გარეშე წარმოუდგენლად მიაჩნდა ლიტერატურას შეესრულებინა ის მაღალი მისია, რომელსაც საზოგადოება აკისრებდა მას. იგი მუდამ იმ თვალსაზრისს იცავდა, რომ ლიტერატურის ძალა და ღირსება მის აღმზრდელობით ფუნქციაშია, რომ ყოველი მხატვრული ნაწარმოები იმდენად არის მნიშვნელოვანი, იმდენად არის სასარგებლო, რამდენადაც ეპოქის მოწინავე, პროგრესულ იდეებზე ზრდის მკითხველებს, უნერგავს მათ საუკეთესო მორალურ თვისებებს და თავისებურ კომპასად წარმოუდგება საზოგადოებას.

ლიტერატურის მიზნისა და დანიშნულების ეს გაგება დაედო საფუძვლად ა. ფურცელაძის შეხედულებათა სისტემას დადებით გმირზე. რაკი ლიტერატურა აუცილებლად უნდა შეეხოს „ხალხის ცხოვრებასა და უჩვენოს ყოველი მხარე ამ ცხოვრებისა",[70] ე. ი. უარყოფითიც და დადებითიც, ცუდიც და

---

69 ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, 1952, გვ. 470.

70 ქრესტომათია, II, გვ. 15.

კარგიც, მას არ შეუძლია იარსებოს, თუ მარტო უარყოფითი პერსონაჟებით შემოიფარგლა და არ შექმნა დადებითი გმირები. სხვანაირად მწერალს საშუალება მოესპობა სრულად, ყოველმხრივად ასახოს ცხოვრება, პირდაპირ გამოთქვას თავისი ოზიტიური შეხედულებანი. მართალია, პოზიტიური ნეგატიურშიც ჩანს, მაგრამ იგი ცხადად, ყოველმხრივად მაინც დადებითში იჩენს თავს. ამიტომ არის აუცილებელი ლიტერატურამ შექმნას უარყოფითი პერსონაჟებიც და დადებითი გმირებიც.

მაგრამ დადებითი გმირი საჭიროა არა მარტო ცხოვრების სრული და ყოველმხრივი ასახვისათვის. ა. ფურცელაძის აზრით, ლიტერატურა ვერ დაკმაყოფილდება მოვლენის, ცხოვრების უბრალო ასახვით, საზოგადოების საჭიროებათა გამოჩატვით. ამასთან ერთად მან უნდა გვიჩვენოს ამ საჭიროებათა დაკმაყოფილების გზები, უნდა განუმარტოს საზოგადოებას როგორ და რა გზით შეიძლება არსებული ბოროტების დაძლევა. პოემაში „თამარ ღაზნელი“ ა. ფურცელაძე მოითხოვს, რომ მწერალი „გვიჩვენებდეს მას, რაც რომ ხალხსა თვალებს აუხსნის, სულს გაუმხნევებს, მისცემს ძალას და გულს გაუშლის“

ამრიგად, დადებითი გმირი აუცილებელია, ერთი მხრივ, ცხოვრების ყოველმხრივი ასახვისათვის. ხოლო მეორე მხრივ, მწერლის მისწრაფებათა, მის პოზიტიურ შესედულებათა და იდეალების პირდაპირ გადმოსაცემად. ეს არის დადებითი გმირის ძირითადი ფუნქცია, მისი ძირითადი დანიშნულება. რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ მწერლის იდეალი საზოგადოების მოწინავე ნაწილის იდეალიც უნდა იყოს და საზრდოობდეს სინამდვილით, ცხოვრების საჭიროებით. ეს განსაზღვრავს თვითონ დადებითი გმირის, როგორც მხატვრული სახის, ბუნაარსს.

სამწუხაროდ, ა. ფურცელაძეს არ მოუცია დადებითი გმირის მეცნიერული დეფინიცია, მაგრამ მის კრიტიკულ და ბელეტრისტულ-პოეტურ თხზულებებში ძლიერ რელიეფურად, ცხადია ჩანს, თუ ვინ მიაჩნდა მას დადებითი გმირად, ე. ი. რა ძირითადი ნიშნები უნდა ჰქონოდა მხატვრულ სახეს, რომ იგი დადებითი გმირად მიგვეჩნია. პირველი და გახმსაზღვრელი, უმთავრესი ნიშანი დადებითი გმირისა, ა. ფურცე-

ლაძის აზრით, არის მისი შეურიგებლობა სოციალურ ბოროტებასთან, საერთო-სახალხო საქმის სამსახური და ამ საქმის გამარჯვებისათვის თავდადებული ბრძოლა. „მწერალი, — ხედავდა კრიტიკოსი ერთ-ერთ სტატიაში, — განგებ იღებს როშელსამე ცუდს ან კარგს მხარეს, გისახავთ ამ ცხოვრებიდან განგებ აყვანილთ პირთ, რომელნიც ჰმოქმედებენ რამე აღებული აზრის ასასრულებლათ, ან ასახსნელათ, ან ებრძვიან ცხოვრების ცუდ მოვლენებათა, ან თვით ჰრყვნიან თავისის ცუდის მოქმედებით ცხოვრებას. და ამ გამოყვანილი პირების მოქმედებით, გამოსახული მოვლინების ჩვენებით გისახამენ რამე აზრს, რომლისაც შეტანას, ანუ მოსპობას ცხოვრებაში ცდილობს ავტორი“.[71]. აი ეს „განგებ აყვანილნი პირნი“ ერთ შემთხვევაში არიან დადებითი გმირები, ისინი, რომლებიც „ებრძვიან ცხოვრების ცუდ მოვლინებათა“, ხოლო მეორე შემთხვევაში — უარყოფითი პერსონაჟები, ისინი, რომლებიც „თვით ჰრყვნიან თავისის ცუდის მოქმედებით ცხოვრებას“.

მაშასადამე, დადებითი გმირი, როგორც მწერლისა და საზოგადოების, ხალხის იდეალების გამოხატულება, უნდა ეძსახურებოდეს დიდ, საერთო-სახალხო საქმეს, ამაღლებულ იდეას და ამ საქმის, ამ იდეის შესრულებისათვის ბრძოლაში იჩენდეს გმირულ ქცევას. პოემაში „მარაბდა“ ანტონ ფურცელაძე ასე მიმართავდა გიორგი საკაძეს: „დიდი საქმე და გმირული ქცევა, ვითა ლამპარი, გინათვენ გზასა“ და ამით კვლავ ხაზს უსვამდა, რომ დადებითი გმირი უნდა იყოს შებრძოლი, დიდი საქმის მსახური და, აუცილებლობის შემთხვევაში, თავსაც სწირავდეს ხალხის თავისუფლებასა და ბედნიერებას. ამით აიხსნება ის განსაკუთრებული ინტერესი, რასაც ა. ფურცელაძე იჩენდა გიორგი საკაძის პიროვნებისადმი. როგორც ცნობილია, ამ გამოჩენილ ისტორიულ მოღვაწეს მან მიუძღვნა ხუთმოქმედებიანი პიესა და ვრცელი მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევი, რომლებშიც წინა პლანზე წამოსწია საკაძის სახელოვანი პატრიოტული საქმეები და დაახასიათა იგი როგორც უდრეკი მებრძოლი, როგორც ადამიანი, რომელშაც ყველაფერი — შვილი, ოჯახური ბედნიერება და, ბოლოს, სა-

71 ა. ფურცელაძე, წინასიტყვაობა გ. ერისთავის თხზულებათა კრებულისათვის.

კუთარი სიცოცხლეც კი უყოყმანოდ შესწირა სათაყვანო საქართველოს, მშობლიური ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერების დიად საქმეს. აი ასეთი ადამიანები ხიბლავდა ა. ფურცელაძეს, რადიკალ მოაზროვნესა და რევოლუციონერს, აი ასეთი ადამიანი მიაჩნდა დადებით გმირად, რომლებიც ხალხს ისევე ესაჭიროებოდა, როგორც ჰაერი, როგორც წყალი.

აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს ახალი დასკვნა: დადებითი გმირი რამდენადმე მ ა ღ ლ ა უ ნ დ ა ი დ გ ე ს ტიგით, ჩვეულებრივ ადამიანებზე, გ ა ნ ი რ ჩ ე ო დ ე ს მათგან როგორც თავისი შეგნებით, ისე გმირული სულ-ითა და გმირული ქცევით, ე. ი. უნდა იყოს მისაბაძი და სამაგალითო, მკითხველში აღძრავდეს მისწრაფებას იყოს ისეთი, როგორიც ნაწარმოების დადებითი გმირია. შემთხვევით როდი აცხადებდა ა. ფურცელაძე პოემაში „მარაბდა“, რომ „ეძებს გმირს კაცს და დიდებულ საქმეთ, რომ დაისვენოს წინ ხატად, სარკედ და ცხოვრების გზას გაუდგეს გულმხნედ“. ამ უბრალო ლექსალურ სტრიქონებში მკაფიოდ ჩანს დადებითი გმირის, როგორც ცნების, შინაარსიც და მისი, როგორც მხატვრული სახის, აღმზრდელობითი ფუნქციაც. დადებითი გმირი — ეს არის გმირი ადამიანი, დიდებულ საქმეს რომ ემსახურება და როძელსაც მკითხველი ხატად, სარკედ, ე. ი. მისაბაძად ძიიჩხევს, რათა შეუცდომლად და გულმხნედ განვლოს ცხოვრების ლაბირინთები.

სავსებით შესაძლებელია, რომ ასეთი სრულყოფილი, ანუ იდეალური დადებითი გმირები არ იყონ სინამდვილეში, ან იყონ, მაგრამ აქა-იქ, კანტი-კუნტად, საზოგადოების საჭიროება კი მოითხოვდეს სწორედ ასეთ დადებით გმირებს. ამ შემთხვევაში, ა. ფურცელაძის აზრით, მწერლის წინაშე ორი გზაა: მიმართოს ქვეყნის ისტორიულ წარსულს და იქ იპოვოს შესაფერისი გმირი თავისი იდეალის გადმოსაცემად, ან კიდევ ტიპიზაციის მომარჯვებით განაზოგადოს ცალკეულ მოწინავე თანამედროვეთა ცალკეული არსებითი ნიშან-თვისებანი და მათს საფუძველზე შექმნას მხატვრული სახე, რომელიც საძაგალითო იქნება საზოგადოებისათვის. ამავე დროს კრიტიკოსი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მეტისმეტი გატაცება ისტორიული წარსულით მოსაწონი არ არის. ლიტერატურას ყურადღე-

ბა უნდა გაემახვილებინა არა ისტორიულ პიროვნებებზე, უმთავრესად მხედველობაში უნდა ჰქონოდა თანადროულობა და ახლი ცხოვრების გმირები, მით უმეტეს, რომ ა. ფურცელაძის აზრით, ახალი გმირები არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ გარდასულ დროებათა გმირებს, პირიქით, მათზე მაღლაც კი იღგნენ როგორც იდეის სიდიადით, ისე პირადი ღირსებითა და ცნობებით. „...ჩემი ფიქრით, — წერდა კრიტიკოსი ამის თაობაზე ერთ-ერთ სტატიაში, — აქაც კიდევ დიდი ყურადღება უნდა იყვეს მიქცეული ახალი ცხოვრების გმირებზედ. დღევანდელი გმირები იბრძვიან იმ საქმისთვის, რომელნიც ძველთ თითქმის სიზმრათაც არ სჩვენებიათ. ესენი იბრძვიან უფრო აზრ-გამორკვევით, უფრო ცხადის მიზანით, უფრო საზოგადო ინტერესებით გატაცებულნი, უფრო ვრცელი პროგრამმით, უფრო მკვიდრი მეცნიერული სწავლითა და გონებით შეჯურვილნი, უფრო დიდი სახალხო საქმის და საბოლოოსათვის. რაც შეეხება გმირულ გამბედაობას, ამაშიაც ეხლანდელნი არ დაუვარდებიან ძველთა“.[72] თავისი დებულების დასამტკიცებლად ფურცელაძეს ამავე სტატიაში მოაქვს სათანადო მაგალითები. „ავიღოთ ახლა უფრო ცნობილი გმირები: გარიბალდი, რომლისაც ბადალს ვერას წარმოგვიდგენს ძველი ისტორია, ავიღოთ დელეკლუზი, ვერმორელი, დომბროესკი, მილლიერი და სხვა მრავალნი პირნი, ამ ბოლონდელს ფრანცუზების მოძრაობის დროს (ავტორს მხედველობაში აქვს პარიზის კომუნა — **შ. ქ.**) თავდადებულნი კაცობრიობის საბოლოოსათვის... გმირობა ყველა ამათი თუ არ მეტი, არ არის ნაკლები ძველთა გმირობაზედ, და საგანი და აზრი ამათი არის უფრო აწონილი, მაღალი და განძრახვა წმინდა და წრფელი. მაშასადამე, უკეთესიც იქნება, რომ ხალხს დაანახვონ და გააცნონ ამათი გმირობა, ამათი საქმეები, და აცნობონ და ასწავლონ ის საქმენი და მიზანნი, როძლისთვისაც ისინი ასრე მხნედ იბრძვიან და სწირავენ თავებს“.[73]

საგულისხმოა, რომ თვითონ ა. ფურცელაძემ, როგორც ბელეტრისტმა და პოეტმა, ორივე ზემოთ დასახელებული გზა-

---

72 ა. **ფურცელაძე**, რამდენიმე სიტყვა „იევრიის“ მაისის „შინაურს მიმოხილვაზედ“ („ივერია“, 1882, (№ 7-8).

73 იქვე.

გამოსცადა. ამას მოწმობს, ერთი მხრივ, მისი ისტორიული თხზულებანი („დიდი მოურავი", „თამარ ღაზნელი" და სხვ.), ხოლო მეორე მხრივ, საკმაოდ ვრცელი მოთხრობა „საძის თავგადასავალი", რომელშიც გაგვაცნო მისი თანამედროვე საზოგადოების გადაუდებელი საჭიროებანი და ის ახალი გმირი, ის ახალი ადამიანი, რომელიც, მართალია, ჯერ კიდევ არ იყო, მაგრამ მომავალში უეჭველად გაჩნდებოდა.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ა. ფურცელაძემ ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში მთელი სიგრძე-სიგანით აღძრა დადებითი გმირის პრობლემა და არა მარტო დაასაბუთა დადებითი გმირის აუცილებლობა, არამედ ამავე დროს განსაზღვრა მისი შინაარსი და აღმზრდელობითი ფუნქცია. დადებით გმირს, კრიტიკოსის აზრით, უნდა უარეყო არსებული სოციალური სინამდვილე, როგორც ხალხისათვის მიუღებელი, და გასძღოლოდა საზოგადოებას ახალი, საძართლიანი სინამდვილის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში, გაუმჯობესებული და გარდაქმნილი ცხოვრებისაკენ. საგულისხმოა, რომ მანვე, როგორც ბელეტრისტმა, მოგვცა დადებითი გმირები, რომლებსაც ამოძრავებდათ არა პირადი წყენა და პირადი შურისძიების გრძნობა მტარვალთა მიერ ჩადენილი ბოროტებისათვის, არამედ ამაღლებული, ზოგადკაცობრიული იდეა ხალხის ცხოვრების არსებითად, რადიკალურად გარდაქმნისა და ადამიანის პიროვნების განთავისუფლებისა. ეს ა. ფურცელაძის უთუოდ თვალსაჩინო დამსახურებაა ჩვენს ლიტერატურულ-ესთეტიკურ აზროვნებასა და მწერლობაში.

მხატვრული ნაწარმოების სიცხადისათვის

ხელოვნებას, როგორც უკვე დავინახეთ, არ შეუძლია შემოიფარგლოს ცხოვრების უბრალო, სარკისებური ასახვით. ასახვას მიზნად უნდა ჰქონდეს ცხოვრების გაუმჯობესება, მისი გარდაქმნა. ამდენად ყოველი მხატვრული ნაწარმოების ამოცანა ის არის, რომ მკითხველამდე მიიტანოს ეპოქის მოწინავე, პროგრესული იდეები და ამით ხელი შეუწყოს ამ იდეების გავრცელებას საზოგადოებაში; ხალხის დარაზმვას უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ნათელი მომავლისათვის. ხელოვნება, მაშასადამე,

შასების აღზრდის, მათი დარაზმვის იარაღია და, როგორც ყოველი იარაღი, ცხადია, ადვილად მისაწვდომი, ადვილად ძოსახმარი უნდა იყოს. ეს ხელოვანისაგან მოითხოვს ნაწარმოებს მოუნახოს ისეთი მხატვრული ფორმა, რომელიც საშუალებას მისცემს თავისი იდეები გადმოსცეს უაღრესად მკაფიოდ, ხათლად, უველასათვის გასაგებად.

„რაკი ეს ასრე არის, — წერდა ა. ფურცელაძე. — რაკი მწერალი იღებს თავის იარაღს საბრძოლველად და უნდა თავისი აზრების გაყვანა, — რაც უფრო ნათლად, რაც უფრო ცხადათ, რაც უფრო ცხოველათ იქნება ამისი აზრი გამოყვახილი და გამოცხადებული ნაწერში, იმდენად უფრო სჯობიან ამისი საქმისთვის“.[74] სჯობია იმისათვის, რომ „მაშინ მკითხველი ჰხედავს ცხადათ, უყოყმანოთ, შეუცილებლად, რაც უნდა ავტორსა და რაზედაც ის იჩვენება. და, თუ ამ შემთხვევაში აზრი მწერლისა არის გონიერული, სანატრელი და ხელოვნებით შემუშავებული, გამოაშკარავებული და გაყვანილი თხზულებაში, ის იზიდავს სრულს თანაგრძნობას მკითხველისას და ამითი მწერალი ისრულებს გულის წადილს, რადგან, როცა მკითხველში იღვიძებს თანაგრძნობა, დღეს არის თუ ხვალ აზრი მწერლისა უნდა მოვიდეს აღსრულებაში“.[75]

წარმოვიდგინოთ ახლა საწინააღმდეგო მდგომარეობა, როცა მწერალი ცდილობს დაფაროს, აშკარად არ გამოთქვას აზრი, ან ვერ ახერხებს მის მკაფიოდ, ნათლად გადმოცემას. ამ შემთხვევაში, ა. ფურცელაძის რწმენით, მწერლის შრომა უნაყოფო აღმოჩნდება, რადგან მკითხველი ვერ გაიგებს ნაწარმოების იდეას და, მაშასადამე, ვერც ამ იდეით განიმსჭვალება. „რავდენადაც ეს აზრი (მწერლის აზრი, ნაწარმოების იდეა — შ. ჭ.) არის დაბნელებული, არა სჩანს ნათლად თხზულებაში, იმდენი მკითხველი საზოგადოება ვერა აკვირდება ამ აზრს, ვერ იგებს იმას და რჩება შეუმჩნეველი, და მაშასადამე არცა ჰმოქმედებს მკითხველზედ. არა ჰმოქმედებს და არცა სრულდება მწერლის აზრი“.[76]

---

74 ა. ფურცელაძე, წინასიტყვაობა გ. ერისთავის თხზულებათა კრებულისათვის.

75 იქვე (ხაზგასმა ჩემია — შ. ჭ.).

76 იქვე.

ტენდენციის, ნაწარმოების იდეის გადმოცემის ამ ორი სხვადასხვა განსხვავებული მეთოდის შეპირისპირების, მათი ღირსება-ნაკლოვანებათა ცხადყოფის შემდეგ ა. ფურცელაძე სავსებით ბუნებრივად სვამს კითხვას: „ახლა ეს უნდა ვიკითხოთ: რა უფრო სანატრელია: ისა, რომ ხალხმა გაიგოს აზრი ნაწერისა, მიეცეს განვითარებას და შეასრულოს ის აზრები, რაც ამ ნაწერებიდამ უნდა გამოდიოდნენ, თუ ესა, რომ არ გაიგოს რა და მარტო ცარიელ ასოებს ან ცარიელ სურათს და ნაამბობის ზღაპრულ მხარეს უგდებდეს ყურსა, და წიგნის უკან ისევ იმ მდგომარეობაში დარჩეს, რაშიაც წინათ იყო; ან წაიკითხოს და იყვეს ფიქრში: რა უნდა ეთქვა ამით დამწერსო, ან წაღმა-უკუღმა ღსნიდეს იმის აზრს? აქაც კიდევ ცხადი საქმეა, რომ ეს უკანასკნელი აზრი სრულიადაც არამც თუ სასურველი და ზარალის მეტი არ არის რა“.[77]

ა. ფურცელაძის ამ მტკიცებაში, მისი პირდაპირი აზრის გარდა, ყურადღებას იპყრობს ორი მომენტი. აშკარაა, რომ კრიტიკოსი ილაშქრებს როგორც „ზღაპრული მხრით“, გატაცებისა და პრიმიტივიზმის, ისე ხელოვნური გართულების, აზრის შეგნებულად დაფარვისა და დაბნელების წინააღმდეგ. ძიაჩნია რა, რომ ჩრიველ შემთხვევაში ლიტერატურა კარგავს ზემოქმედების ძალას. ეს უკიდურესობანი რომ თავიდან აიცილოს, მწერალმა უნდა დაიცვას ზომიერება, ე. ი. გაითვალისწინოს მკითხველი აუდიტორიის შეგნების, მომზადების დონე და ისეთი მხატვრული ფორმა შეარჩიოს თავისი აზრის გადმოსაცემად, რომ ნაწარმოები ყველასათვის მისაწვდომი იყოს. გამოუქვეყნებელ „წინასიტყვაობაში“ რომელიც „ძაცი ხვიტიას“ ერთ-ერთი გამოცემისათვის დაუწერია, ა. ფურცელაძე ჩვენთვის საინტერესო საკითხზე წერდა: „იქ, სადაც ჯერ შეჩვეულნი არ არიან მძიმე ნაწერებს, იქ მე საჭიროთ ვხედავდი, აზრების გასაყვანათ, ბევრი რამ იმგვარი მხატვრობის შეტანას, რომელნიც ძალაუნებურათ იზიდავდნენ მკითხველის გონებას წიგნის წასაკითხათ, და ამავე დროს ყოველს ნაბიჯზედ თვალწინ უხატავდნენ მათთვის გამოსაყენებელს აზრს, მათი გონების გამოსაფხიზლებელ იდეებს.[78]

---

77 იქვე.
78 ა. ფურცელაძე, „მაცი ხვიტიას“ წინასიტყვაობა.

როგორც ვხედავთ, ა. ფურცელაძეს საგანგებოდ მიუცია „მაცი ხვიტიასათვის“ სათავგადასავლო ხასიათი, რათა ამით მიეზიდა „მძიმე ნაწერებს“ შეუჩვეველი მკითხველი „წიგნის წასაკითხათ“. რაკი ამბით დაინტერესდებოდნენ, წიგნს ბოლომდე ჩაიკითხავდნენ და გზა და გზა ძალაუნებურად გაეცხობოდნენ „მათთვის გამოსაყენებელს აზრს, მათი გონების გამოსაფხიზლებელს იდეებს“. მაშასადამე, ა. ფურცელაძე საერთოდ წინააღმდეგი არ ყოფილა „ზღაპრული მხარისა“, ე. ი. სიუჟეტის დამაინტერესებლობისა, მაგრამ მწერალს ბოროტად არ უნდა გამოეყენებინა მკითხველის ცნობისმოყვარეობა, არ უნდა გადაეჭარბებინა და, რაც მთავარია, არ გამოკიდებოდა მარტო ამბავს, ამბით არ-დაეჩრდილა აზრი, იდეა. ცნობილი ფრანგი მწერლის ალექსანდრე დიუმას შემოქმედებას ა. ფურცელაძე სწორედ იმიტომ ეკიდებოდა უარყოფითად, რომ ფიქრობდა, თითქოს დიუმას იტაცებდა თვით ამბები, იდეებს კი სავსებით უგულებელყოფდა, ე. ი. ივიწყებდა, რომ საინტერესო სიუჟეტი თვითმიზანი კი არა, საშუალებაა და იძლეხად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც მისი მეშვეობით ნაწარმოების იდეა იღებს მკითხველისათვის მისაწვდომ მხატვრულ ფორმას.

ამრიგად, ნაწარმოები უნდა შევაფასოთ არა საკუთრივ სიუჟეტის, არამედ მისი მეშვეობით გადმოცემული იდეების მნიშვნელობით. „ადვილი შესაძლებელია, — წერდა ამ საკითხის გამო ა. ფურცელაძე, — სუჟეტს არ ჰქონდეს დიდი აზრი, მაგრამ შიგ მოხმარებულს მასალას, გაყვანილს აზრს, სიღრმეს, ხელოვნებას დიდი ძალა და მნიშვნელობა ჰქონდეს ქვეყნისათვის. ხშირია, რომ ავტორები იღებენ უბრალო, უმნიშვნელო სუჟეტებს და, ამ სუჟეტების შემწეობით, გაჰყავთ დიდებული საქვეყნო სასარგებლო აზრები, შემუშავებულნი და შეხამებულნი დიდებული ხელოვნებით“.[79] ერთი სიტყვით, ნაწარმოების ღირსება მისი იდეაა, საინტერესო სიუჟეტი (ამბავი ან ამბავთა სისტემა) კი „მარილი“ და, რაკი ასეა, მწერალმა არ უნდა გადაამლაშოს, მეტი „გემოვნების“ ძებნაში თხზულება არ დატვირთოს შეიძლება თავისთავად მკითხველის მიმზიდველი, მაგრამ ნაწარმოებისათვის მაინც ზედმეტი და არაფრისმთქმელი ამბებით.

79 ა. ფურცელაძე, შექსპირი ჰამლეტში.

ავტორეცენზიაში „შეუსრულებელი სურათი“ ა. ფურცელაძემ გულახდილად აღიარა, რომ მოთხრობაში „საძის თავგადასავალი“ თვითონ მან ვერ დაიცვა ზომიერება: „არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ ერთი ნაკლებულობა ჩვენგნით გარჩეული მოთხრობის ავტორისა, — წერდა კრიტიკოსი თავის თავზე, — რომ ის მეტათ მოჭარბებითა ჰხმაროობს მარილს თავის მოთხრობაში. მაგალითად: დუელი გინდათ ამის მოთხრობაშია, ჩხუბი გინდათ — იქ არის, ხოცვა ხომ სათქმელი არ არის! არც ერთი თავი მოქმედი პირი არა კვდება თავის დღით ამის მოთხრობაში. თითქო ამ მოთხრობის დამწერს სულ სისხლი ელანდებაო“.[80] მეორე მხრივ, ა. ფურცელაძეს შეუნიშნავი არ დარჩენია, რომ მსგავსი ცთუნებისაგან თავისუფალი აღმოჩნდა დ. ჭონქაძე, რომელიც არ გაეკიდა „სისხლიან ამბებს“ მკითხველის მისაზიდად და საჭირო მოთმინება, საჭირო ზომიერება გამოიჩინა. ხაზგასმით აღნიშნავდა რა, რომ „ავტორი (დ. ჭონქაძე — შ. ქ.) არა ჰღალატობს ამ საშინელს სისხლის ამღვრევს და გონების დამაბნეველს უჯათში სინამდვილეს“.[81] ა. ფურცელაძე კმაყოფილებით დაასკვნიდა: „აძა'ში გვაკვირვებს ჩვენ ავტორის მოთმინება; სხვა გულსწრაფი ავტორი აქვე ასტეხავდა სისხლის ღვრის კატასტროფასა, ძაგრამ ჭონქაძე, როგორადაც სულ-გრძელი პოეტი, 'ათმენინებს თავის ჰეროის ამ საშინელს უჯათსა, ამ სინანდვილით, რომელსაც ჩვენ ყოველთვის ვხედავთ ჩვენს გლეხებში, სისხლის ღვრის კატასტროფიასა და მოქმედების სისრულისათვის აძზადებს სხვა მართალსა, რომელსაც ვეღარა ფიზიკური და ზნეობითი ძალი ვეღარ შეუძლებს“.[82]

რამდენადაც ა. ფურცელაძეს სწორი პოზიცია ეკავა ამ საკითხში, იმდენად, ვფიქრობთ, იგი მართალი არ არის, როცა ილაშქრებს ისეთი ნაწარმოების წინააღმდეგ, რომელიც ტენდენციურს შეფარვით გადმოგვცემს და არა აშკარად, არა პირდაპირ. ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ სტატიაში ამის თაობაზე კრიტიკოსი წერდა: „ჩვენში, საუბედუროთ, ამ ბოლო დროს შესდგა აზრი, რომ თხზულებაებს ტენდენციები არ უნდა

80 ქრესტომათია, II, გვ. 37.
81 ქრესტომათია, I, გვ. 294.
82 იქვე.

ჰქონდეთ და იმათში იდეები არ უნდა სჩანდნენო; რომ ავტორმა უნდა წარმოგვიდგინოს ისე უმათ სურათი და მკითხველი თვითონ მიხვდეს, რა აზრი გამოდის აქედამაო, — ავტორს არ უნდა ჰქონდეს თვითონ არაფერი სახეში, იმან უნდა გვაჩვენოს მხოლოდ ცარიელი სურათიო".[83]

ცალკე აღებული ეს დებულება თითქოს არავითარ შეცდომას არ შეიცავს, მაგრამ ნამდვილად აქ ა. ფურცელაძე არასწორ შეხედულებას ავითარებს. იგი ერთმანეთში ურევს ორ საკითხს — ლიტერატურის ტენდენციურობისა და ამ ტენდენციურობის გადმოცემის მეთოდს, ხერხს, რა თქმა უნდა, სადავო არ შეიძლება იყოს, რომ ლიტერატურა ტენდენციას უნდა გამოხატავდეს. სადავოა საკითხის მეორე მხარე — ტენდენცია მწერალმა პირდაპირ, აშკარად უნდა გადმოგვცეს თუ შეფარვით, ისე, რომ „მკითხველი თვითონ მიხვდეს, რა აზრი გამოდის აქედამაო".

ა. ფურცელაძე თვლიდა, რომ ტენდენცია მხოლოდ აშკარად, მხოლოდ პირდაპირ უნდა გამოითქვას, რათა მკითხველი ადვილად მისწვდეს ნაწარმოების იდეას და არ იყოს ფიქრში, „რა უნდა ეთქვა ამით დამწერსო". რა თქმა უნდა, გაუგებარ ან განგებ გართულებულ ნაწარმოებს, რომელშიც იდეა ძიკროსკოპით არის საძებნი, ვერც ჩვენ მოვიწონებთ, მაგრამ კრიტიკოსი საკითხს ასე როდი სვამს. იგი შეცდომით ფიქრობდა, თითქოს ქართველი მკითხველი შეეძლო მიეზიდა მარტო „ძაცი ხვიტიას" მსგავს სათავგადასავლო ნაწარმოებს და არ ეცალა ან მზად არ იყო „მძიმე ნაწერების" (სადაც იდეა არ წარმოგვიდგება პუბლიცისტურ-რეზონიორული ფორმით), მათ შორის შექსპირის თხზულებებისათვის. ჩვენ ახლა გვ'შია, შექსპირი კი დესერტიაო, შენიშნავდა იგი სტატიაში „შექსპირი ჰამლეტში". ეს განცხადება შემთხვევითი არ ყოფილა. ა. ფურცელაძე საერთოდ უარყოფითად ეკიდებოდა შექსპირს და ძიაჩნდა იგი ერთ-ერთ ყველაზე გაუგებარ მწერლად. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კრიტიკოსს მუდამ ცაში აჰყავდა შილერი, გასაგები გახდება მისი პოზიცია ჩვენთვის საინტერე-

83 ა. ფურცელაძე, წინასიტყვაობა გ. ერისთავის თხზულებათა კრებულისათვის.

სო საკითხში. იგი იყო არა „შექსპირიზაციის“, არამედ „შილერიზაციის“ მომხრე და მიმდევარი. სავსებით სწორი მოთხოვნა, რომ ტენდენცია გამომდინარეობდეს თვით თხზულებიდან და არ ახდენდეს გარედან შეტანილის შთაბეჭდილებას, მან ისე გაიგო, თითქოს მკითხველს რებუსი უნდა მივაწოდოთ. ცხადია, ამ შემთხვევაში ა. ფურცელაძე მართალი არ იყო. მართალი იყვნენ მისი ანონიმი ოპონენტები, რომლებიც არ იზიარებდნენ კრიტიკოსის ვულგარიზატორულ შეხედულებას და შექსპირს იცავდნენ. სურდა თუ არა ეს, თავისი პოზიციით ამ საკითხში ა. ფურცელაძე ობიექტურად უკან ეწეოდა ქართულ ლიტერატურას პრიმიტიულობისა და გაუბრალოებისაკენ.

მწერლის ენის შესახებ

ქართულ ლიტერატურაში ახალი მიმართულების — კრიტიკული რეალიზმის დანერგვის ინტერესები მოითხოვდა არა მარტო იდეურ გადაიარაღებას, არამედ ლიტერატურული ენის მნიშვნელოვან რეფორმასაც, მის დემოკრატიზაციას და ხალხის სასაუბრო ენასთან დაახლოებას. შემთხვევით როდი იყო, რომ ილია ჭავჭავაძემ თავის პირველსავე კრიტიკულ სტატიაში კოზლოვის „შეშლილის თარგმნაზე მთელი სიგრძე-სიგანით აღძრა ენის საკითხები და „მამების“ ერთსულოვანი რისხვა დაიმსახურა. როგორც ცნობილია, ილიამ პირველმა განდევნა ხმარებიდან მოძველებული ასოები, რომელთა შესაბამისი ბგერები უკვე აღარ ისმოდა ქართველის მეტყველებაში, და საერთოდ ახალი გზით, ხალხის სასაუბრო ენასთან დაახლოების გზით წარმართა ქართული ლიტერატურული ენის განვითარება.

სერიოზულ ყურადღებას უთმობდა ენის პრობლემებს ა. ფურცელაძეც. ამ საკითხებს იგი საგანგებოდ შეეხო როგორც ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებში, ისე ცალკე ენათმეცნიერულ წერილებშიც და გამოთქვა ბევრი მეტად საყურადღებო მოსაზრება, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ეძთხვევიან, ან ძლიერ უახლოვდებიან ენაზე თერგდალეულთა, კერძოდ, ილიასა და აკაკის შეხედულებებს. მისი აზრით, რომელიც შეუძლებელია არ გავიზიაროთ, მწერალი მთელი გულის-

უერით უნდა ეკიდებოდეს მხატვრული ნაწარმოების ენას, რადგან კარგი ენა ღირსებას მატებს თხზულებას. იწონებდა რა „მამა ალექსანდრე გავაცის“ თარგმნას ქართულ ენაზე, ა. ფურცელაძე გულისტკივილით შენიშნავდა, რომ თარგმანი არ იყო უნაკლო. „ამის თარგმნა, — წერდა იგი, — რასაკვირველია, შეიძლებოდა უფრო კარგი ყოფილიყო, რომელიც მისცემდა კიდევ უფრო მეტს ღირსებას ამ ქადაგებასა“.[84] საინტერესოა, მაინც რას უწუნებდა მთარგმნელს კრიტიკოსი? „სხვათა ენის შეცდომილებათა შორის, — შენიშნავდა იგი, — მთარგმნელი ჰხმარობს ამ გვარ ფრაზებსა, — რომლის დაგვარნი სხვაგანაც მოამბეში შეგვინიშნავს — „თავისუფალ ღვარმა; ძრიელ ხმით“ და მრავალი სხვა. აგრეთვე თარგმნაშიაც ზოგან სულ სიტყვა სიტყვით სთარგმნის. მაგალითად, რუსულათ არის: „но дело в том“ — ქართულად გადმოუთარგმნია „ძაგრამ საქმე ამაშია“ და ბევრი სხვა“.[85] ხაზგასასმელია, რომ საზღვრულ-მსაზღვრელის მთარგმნელისეულ შეთანხმებას თანამედროვე ქართული ლიტერატურული ენის ნორმებიც უკახოხოდ, უმართებულოდ ცნობს (უნდა ითქვას და დაიწეროს: „თავისუფალმა ღვარმა“, „ძლიერი ხმით“). სწორია ა. ფურცელაძის უკანასკნელი შენიშვნაც. მართალია, დღესდღეობით „საქმე იმაშია“ გაბატონებულ გამოთქმად იქცა, მაგრამ ეს არ შეიძლება სასურველად მივიჩნიოთ. გაცილებით სწორი იქნებოდა გვეთქვა და დაგვეწერა „საქმე ის არის“ და არა „საქმე იმაშია“. ასევე მართებულად უსაყვედურა ა. ფურცელაძემ „საქართველოს მოამბის“ მეორე თანამშრომელს დავით ყიფიანს იმის გამო, რომ რუსული სიტყვა „კრასნორეჩიე“ ქართულად გადმოულია როგორც წითელსიტყვაობა (დღეს ძიღებულია შჯევრმეტყველება). სამაგიეროდ სწორი აღმოჩნდა დავ. ყიფიანი, როცა „მნოგორეჩიე“ უთარგმნია მრავალსიტყვაობად. ამჟამად ხმარებაშია სწორედ ეს სიტყვა.

საფუძველს მოკლებული არ არის ა. ფურცელაძის ბევრი სხვა შენიშვნაც. კერძოდ, ცნობილ მთარგმნელსა და საზოგადო მოღვაწეს დიმ. ყიფიანს იგი უსაყვედურებდა, რომ მის საუცხოო თარგმნაში მაინც იყო ზოგიერთი ნაკლოვანება: „ერთი

---

84 ქრესტომათია, I, გვ. 308.
85 იქვე.

ესა, რომ ენა ცოტათი როგორღაც მძიმეა, მეორე — წინადადებანი მეტათ გრძელები არიან, ასე რომ მკითხველი ფანტავს ფიქრებს წინადადების სივრცეშია და ამითი ბრკოლდება აზრის მსწრაფლათ გაგება".[86] ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ ა. ფურცელაძე კარგად ერკვეოდა ქართული ენის ბუნებაში. ქართულს მართლაც არ უყვარს გრძელი, ე. წ. პერიოდული წინადადებები (თუმცა ეს ხელს არ უშლიდა ა. ფურცელაძეს თვითონ დაერღვია ქართული ენის ბუნება და ეწერა გრძელ-გრძელი პერიოდებით), მაგრამ მეცნიერულ ლიტერატურაში ეს სავსებით დასაშვებია. პრინციპულად სწორი იყო ა. ფურცელაძე, როცა დავ. ყიფიანის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ წერდა: „უფ. დავით ყიფიანი, როგორც შიშკოვი ემტერებოდა უცხო სიტყვებსა და ყველა სიტყვას რუსულათ აკეთებდა, ისე ქართულათ აკეთებს და ქართველოფილობს ენაში".[87] თარგმნის ყიფიანისეული პრინციპი დღეს მეცხიერულად არ ითვლება. ჩვენ „ვაგონის" ნაცვლად აღარ ვხმარობთ „რონოდას", „ტელეფონის" მაგიერ „ელსმენს", „პროსპექტის" ნაცვლად „გამზირს" და ა. შ.

ა. ფურცელაძე მთლიანად იზიარებს ი. ჯავჯავაძის თვალსაზრისს მეცნიერული გრამატიკისა და ხალხის ენის მიმართებაზე. „მამებთან" კამათისას დიდმა ილიამ, როგორც ცნობილია, წამოაყენა დებულება, რომ ენას ხალხი ქმნის და ის არის ენის სჯულმდებელი. ამ აზრს ავითარებს ა. ფურცელაძეც სტატიაში „ქართული ლიტერატურა". „მე მგონია, — წერს იგი, — კაცმა ჯერ ენა უნდა ისწავლოს, შეისწავლოს იმის სათავე და მოდენილობა და მერე გრამმატიკების გამოკვლევას შეუდგეს... უმთავრესი ნაკლულევანება, აქამდინ, მწერალი გრამმატიკოსებისა ეგ არის, რომ ისინი ახვევდნენ ხალხს თავისგხით შერდგენილს კანონებსა და გრამმატიკას არა ჰხდიდნენ აღმსრულებლათ ხალხისაგან შემუშავებულის კანონებისა".[88]

დღევანდელი მეცნიერული თვალსაზრისით მისაღებია ა. ფურცელაძის ზოგადი თეორიული დებულებანიც ენის ცალკეულ საკვანძო საკითხებზე. გამოუქვეყნებელ სტატიაში

---

86 იქვე, გვ. 314.
87 იქვე, გვ. 368.
88 იქვე, გვ. 356.

„ენა“ იგი, მაგალითად, საკმაო სიზუსტით განსაზღვრავს ენის არსს, მის დანიშნულებას, მის მნიშვნელობას ადამიანთა ცხოვრებასა და ხალხთა ურთიერთობაში. „ენა კაცობრიობამ შეიმუშავა თავისი აზრის გამოსახატავად და გონების განსავითარებლად. სულდგმულთა შორის კაცი არის უმაღლესი არსება თავისი გონით. გონის ძლიერებას შეარდგენს ენა. ენა ასაზრდოებს გონებას, ენა არის პური გონებისა. ენა ზრდის ჭკუა-გონებას“.[89] მართალია, აქ არ ჩანს აზროვნების უკუგავლენა ენასა და მის განვითარებაზე, მაგრამ ენისა და აზროვნების მჭიდროდ დაკავშირება, რაც ამ დებულების ქვაკუთხედია, პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა და ხელს უწყობდა ლიტერატურის განვითარებას რეალიზმის გზით.

რაკი ენა არსებობს აზრის გამოსახატავად, ხოლო აზრი უნდა გადაეცეს სხვას, ა. ფურცელაძე არ იზიარებდა შეხედულებას, რომლის მიხედვითაც მწერლის ენა სასაუბრო ენისაგან განსხვავებული უნდა იყოს, უფრო რთული და დაძაფიქრებელი. „ერთხანად, — წერდა კრიტიკოსი, — მე კარგად მაღსოვს, ჩვენი ინტელიგენტები დიდ-ნაკლებელათ ჰხედავდნენ ლასალსა და პისარევში, რომ ისინი ასრეთ ნათელი ენითა სწერდნენ, რომ ბავშვსაც კი აგებინებდნენ თვით უმძიმეს საგანსა. ეს იმიტომ არ ვარგაო, ამტკიცებულიყვნენ ისინი, რომ კაცს ფიქრის მასალას აღარ აძლევენო, რომ მკითხველმა თავის გონებაც აამოძრავოსო. აქედამ ის აბსურდი გამოდიოდა, რომ კაცის გონებას უნდა ევარჯიშნა იმაზედ კი არა, რასაც მეცნიერება და მოვლენათა წარმოება ჰსაჭიროებდნენ, უნდა ევარჯიშნა იმაზედ, რა უნდა ეთქვა მწერალს, ანუ უკეთ ვთქვათ, მწერლის ენის გაუგებრობაზედ. ეს აზრი არ არის ახალი და ვიცით, სადამდისაც მიაღწევინა ამან გერმანიაში მწერალთ, რომ თვით დამწერთაც აღარ ესმოდათ თავის დაწერილი და ვიცით, სადამდისაც მიაღწევინა ამან ანტონი კათალიკოზს...“[90]

---

89 ა. ფურცელაძე, ენა, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, 5912/49. ენების წარმოშობის, მათი ურთიერთობისა და სხვა საკითხებს ა. ფურცელაძე ვრცლად განიხილავს სტატიებში „ჩვენი ლიტერატურისა და ბეჭდვის შესახებ“ („ცისკარი“, 1867, № 1) და წიგნში „კაცობრიობა და ხალხისნობა“ (1906, გვ. 53-59).

90 ა. ფურცელაძე, ქართული ენის მცოდნენი, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, 5913/49.

ამის გამო, თავისთავად ცხადია, ენა უნდა იყოს არა ბუნდოვანი და გაუგებარი, არამედ ნათელი, მკაფიო, ყველასათვის გასაგები. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტს მწერლის კავშირისათვის მკითხველ აუდიტორიასთან, რომლის აღზრდასაც იგი მიზნად ისახავს. გამოუქვეყნებელ სტატიაში „ქართული ენის მცოდნენი“ ანტონ ფურცელაძე ამის თაობაზე წერდა: „საზოგადოება არის ყოველ დღე, ყოველს წუთს მოსწავლე. შემცდარია ის აზრი, რომელიც იტყვის, რომ მწერალი უნდა იყვეს მარტო გამომთქმელი იმ აზრისა, რომელიც ტრიალებს საზოგადოებაშიო. მწერალი არის მოძღვარი და წინამძღვარი საზოგადო აზრისა, მაჩვენებელი საზოგადოების სავალი გზისა. ამის გამო, როგორც მოწაფეს უნდა ხათელი, ცხადი, გასაგონი, გარკვეული აწონილი სიტყვა და ენა, რომ უფრო ადვილად მიხვდეს და ადვილად შეითვისოს სწავლა, რომელსაც მას აძლევენ, ეგრეთვე მწერალი საზოგადოებას უნდა ელაპარაკებოდეს იმ ენით, რომელიც იმას ეყურება“.[91]

ეს ტიპიური რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულებაა მწერლის ენაზე. ლიტერატურული ენის გამარტივებასა და დემოკრატიზაციას, მის დაახლოებას ხალხის სასაუბრო ენასთან, რევოლუციონერი დემოკრატების აზრით, უნდა მაქსიმალურად იოლი პირობები შეექმნა იმ ახალი აზრების შესათვისებლად, რომელთა ბალხში შეტანასაც ისინი ცდილობდნენ. უკვე ის ფაქტი, რომ აზრი ახალი იყო და, მაშასადამე, ძნელად შესათვისებელი, გარკვეულ სიძნელეს ქმნიდა, ხოლო თუ ამას დაემატებოდა გაუგებარი ენა, ცხადია, მკითხველს გული აუცრუვდებოდა წიგნზე, ვერ გაიგებდა მას და განზე გადასდებდა. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ანტონ ფურცელაძეს, როდესაც წერდა: „მწერალი უნდა ნიადაგ ახალს აზრს აძლევდეს მკითხველს, ახალს გონების საზრდოს და მასალას. ყოველი ახალი არის ძნელი მისახვედრი. მკითხველს უჭირს ამის გაგებაცა, და ახლა წარმოიდგინეთ, რა ყოფაში აგდებთ იმასა, თუ ეს ახალი თქვენ იმას დაუწერეთ იმ ბარბაროსული ენით, რომელსაც ჰხმარობდა ანტონ კათალიკოსი,

91 იქვე.

ვახუშტი და დღეს იყერია.[92] აქ მკითხველს ადგია ორ რიგი ძალა: ენის გაუგებრობა და აზრის სიახლე. განა ყველასა აქვს დრო და ხალისი, რომ დაჯდეს და ჰქექოს ათასი ლექსიკონი. რომ გაიგოს თქვენი სიტყვები, თუ კი... ან ლექსიკოხებში იპოვებიან ის სიტყვები, და ან ისრე ჰხმარობთ, როგორც ლექსკონში სწერია! ან არა და თქვენ, ჩემთვის ახალს აზრთან, ჰხმარობთ სიტყვებს, თუმცა ცნობილთა და გასაგონთა, მაგრამ უადგილოთ, აზრისა და საქმის შეუსაბამოთ".[93]

ა. ფურცელაძის მტკიცება, რომ ნათელი, ადვილად გასაგები ენა არის აზრის სწრაფად ათვისებისა და გავრცელების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, უთუოდ სწორია. მაგრამ ამ მისწრაფებამ არ უნდა მიგვიყვანოს ენისა და აზრის მეტისმეტად გამარტივებამდე, პრიმიტივიზმამდე. სასურველი არ არის არც მეტისმეტად რთული და არც ზედმეტად გაუბრალოებული, პრიმიტიული ენა. ერთიცა და მეორეც უკიდურესობაა. ხოლო ყოველი უკიდურესობა ჭეშმარიტების მტერია.

დღესაც ინარჩუნებს მნიშვნელობას ა. ფურცელაძის შეხედულება მწერლისა და პერსონაჟთა ენის მიმართებაზე, რომელიც მან „სურამის ციხისადმი" მიძღვნილ კრიტიკულ სტატიაში გამოთქვა. კრიტიკოსმა მოთხრობის ავტორს უსაყვედურა არა მარტო ენის საერთო „შეუმუშავებლობა", არამედ ისიც, რომ „ჭონქაძე ყოველს მოქმედს პირს ალაპარაკებს იმ რუსულ-ქართული ენით, რომელსაც თვითონა ხმარობს და ეს დიდი ნაკლებულებაა ავტორისა. ავტორმა ყოველი მომქმედი პირი უნდა ალაპარაკოს იმ ენით, რომელსაც ისინი ხმარობენ ნანდვილათ".[94] თუმცა ლიტერატურის ისტორიის თანამედრო-

---

92 „იყერიის" ენის გათანაბრებამ ანტონ კათალიკოსის ენასთან არ უნდა გაგვაკვირვოს. სტატიების ციკლი „ქართული ენის მცოდნენი", ა. ფურცელაძეს დაუწეროია იმ მიზნით, რომ თავის დროზე ქართული ენის მცოდნეებად აღიარებული ავტორიტეტები დიმ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე ღ. პროფ. დ. ჩუბინაშვილი თითოეული სრულიადაც არ ყოფილან უცოდველნი და ენის ცოდნით სხვებისაგან დიდად არ განირჩეოდნენ. რადგან პირველი ციკლი სტატია ვერსად გაითვალისწინებია, მესამე (დ. ჩუბინაშვილზე) აღარ დაუწერია. მიუხედავად იმისა, რომ მთელი სტატია გაჟღენთილია საკმაოდ ძლიერი ნიჰილისტური სულისკვეთებით, უნდა ვაღიაროთ, რომ ა. ფურცელაძის ზოგიერთი შენიშვნა სამართლიანია და დრომ მხარი მას დაუჭირა. (მაგრამ ეს ენათმეცნიერთა საქმეა. შ. ქ.).

93 ა. ფურცელაძე, ქართული ენის მცოდნენი.

94 ქრესტომათია, I, გვ. 302.

ვე მკვლევარები დ. ჭონქაძის ენის ფურცელაძისეულ კრიტიკას გაზვიადებულად თვლიან, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ პრინციპულად კრიტიკოსი სწორ პოზიციაზე დგას. უთუოდ მართალია ა. ფურცელაძე, როცა ამტკიცებს, რომ მწერალი უნდა წერდეს წმინდა ქართულით, უბარბარიზმებოდ და პერსონაჟებს ალაპარაკებდეს არა თავისი, არამედ მათი ნამდვილი სასაუბრო ენით. ძნელია დღეს ამ დებულებას მოწინააღმდეგე გამოუჩნდეს. მას ერთსულოვნად იზიარებს ყველა რეალისტი მწერალი.

ანტონ ფურცელაძის ლიტერატურული კრიტიკა

„თუ უნდა ვისმე კრიტიკის წერა, აიღოს რამ თხზულება. და გაარჩიოს, რაში სცდება მწერალი და რაში მართალია“,[1] წერდა ანტონ ფურცელაძე ერთ-ერთ სტატიაში და ამით საკმაო სიცხადით გამოთქვა თავისი შეხედულება ლიტერატურული კრიტიკის არსსა და დანიშნულებაზე. კრიტიკა მხატვრული ნაწარმოების გარჩევაა იმის ცხადსაყოფად, თუ როგორ ასახა მწერალმა სინამდვილე, რა პრობლემა აღძრა თხზულებაში და როგორ გადაწყვიტა იგი. მაგრამ კრიტიკოსი უაპელაციოდ კი არ უნდა წერდეს, მას მოეთხოვება ღრმად და საფუძვლიანად დაასაბუთოს თავისი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი შეხედულებანი. უარგუმენტაციოდ არ არსებობს ნამდვილი პირუთვნელი და მიუკერძოებელი კრიტიკა. პოლემიკურ სტატიაში „ათი მტერს, ერთი მოყვარეს“ ა. ფურცელაძე თავის ოპონენტს უსაყვედურებდა არგუმენტაციის უქონლობას, ზერელე მსჯელობას და ასე მიმართავდა მას: „აბა რა არგუმენტებით დაამტკიცეთ, რითი ჩაასმინეთ მკითხველს ამ თხზულების სიკეთე?“[2] ეს შენიშვნა მით უფრო საყურადღებოა, რომ იგი ეხება ნაწარმოებს (გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“), რომელიც ქების ღირსი იყო თვით ა. ფურცელაძის აზრითაც. მაგრამ ერთია ნაწარმოების ღირსება და მეორე ამ ღირსების ცხადყოფა. უარგუმენტაციო კრიტიკა ან ცარიელი ქება, ან კიდევ ცარიელი ლანძღვა იქნება და ორივე შემთხვევაში მიზანს ვერ მიაღწევს. ამიტომ იყო, რომ ა. ფურცელაძე მწარედ დასცინოდა „მამების“ კრიტიკას და უწოდებდა მათ

1 ქრესტომათია, II, გვ. 58.

2 „მნათობი“, № 8-9, 1872.

„ჩვენს არისტარხებსა და დაჭმახებულ პატრიოტებს“,[3] რომლებიც ერთმანეთის ქება-დიდებით იყვნენ გართულნი და ყურს არ უგდებდნენ საზოგადოების საჭიროებას. ასევე შიუღებლად მიაჩნდა მას ზოილობაც, რადგან „ეს უფრო გამოვიდოდა გიება და არა კრიტიკა“,[4] ე. ი. ლანძღვა-გაკიცხვა სხვაა და კრიტიკა კიდევ სხვა.

მეორე მხრივ, კრიტიკის განხილვის საგანი არ შეიძლება იყოს ყოველგვარი ნაწარმოები — მას აუცილებლად უხდა ჰქონდეს საზოგადოებრივი ღირებულება, საზოგადოებრივი მნიშვნელობა — ავი ან კარგი. უმნიშვნელო, არაფრისმთქმელი თხზულებები ცოტა როდი იწერება, მაგრამ კრიტიკა მათთვის ვერ მოიცლის, ვერ გახდის ყურადღების ღირსად. „ამაებს რომ გამოვსდგომოდით, — წერდა ა. ფურცელაძე, — რამდენიც რამ გამოსულა ამ სამს წელიწადში ერთი იმოდენაც იმაზედ კრიტიკა დაიწერებოდა, —მაგრამ ვისა აქვს ან ოხერი კალამი, რომ მოაცდინოს, ან ოხერი თავი, რომ აიტკივოს“.[5] ეს იმიტომ, რომ ისინი არ იმსახურებენ საზოგადოების, მკითხველთა ყურადღებას. „ბევრჯელ წაიკითხეთ იმ გვარი ლექსი, რომ თითქმის გულიც აგვირია, — წერდა კრიტიკოსი ამავე სტატიაში, — მაგრამ არავის კი არ გვითქმოს რა გასაკიცხავი, და არც იმისთანა ვინმე გამოჩენილა, რომ გაერჩივა დაწვრილებით. მაგრამ ამას რას ვანბობ? ვინ გაარჩევდა, როდესაც ყურადღება არავინ არ მიაპყრა“.[6]

თავისთავად ცხადია, კრიტიკოსი ნაწარმოებს უნდა განიხილავდეს მიუკერძოებლად, გასაქანი არ მისცეს სუბიექტურ გრძნობებს; პირად სიმპათიას თუ ანტიპათიას ავტორისადმი. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება კრიტიკა დამაჯერებელ, საძართლიანი და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი. ერთ პოლემიკურ სტატიაში ა. ფურცელაძე გიორგი წერეთელს უსაყვედურებდა, რომ ნაწარმოების განხილვისას ვერ იჩენდა ობიექტურობას და ამის გამო ხშირად ისეთ თხზულებას იწუნებდა, რომელიც ამას არ იმსახურებდა, ან პირიქით, აქებ-ადიდებდა

3 ქრესტომათია, I, გვ. 287.
4 ქრესტომათია, II, გვ. 59.
5 იქვე, გვ. 58.
6 იქვე, გვ. 59.

სუსტ ნაწარმოებს. მიუღებლად მიაჩნდა რა ასეთი საქციელი, ა. ფურცელაძე ერთგვარი ირონიით ურჩევდა გიორგი წერეთელს, ნაწარმოები ისე განიხილე, ავტორი არ იცოდე, შაძინ იქნებ სამართლიანი კრიტიკული სტატია გამოგივიდესო.

ეს საყვედური და რჩევა არც თუ უსაფუძვლო იყო. გიორგი წერეთელმა მართლაც გამოამჟღავნა არაობიექტურობა, კერძოდ, ა. ფურცელაძის ნაწერებისადმი. იგი ხელაღებით იწუნებდა და არ ბეჭდავდა ა. ფურცელაძის თხზულებებს, თუ ავტორი მათ ხელმოწერით აწოდებდა, და, პირიქით, შოსწონდა ისინი და აქვეყნებდა კიდევაც, თუ ავტორი ფსევდონიმს ამოეფარებოდა. ამ გარემოებამ ა. ფურცელაძეს საფუძველი მისცა ბრალი დაედო გიორგი წერეთლისათვის, რომ იგი ძიკერძოებას იჩენდა და ვერ იცავდა საჭირო ობიექტურობას. სტატიაში „კრებულ-დროებას“ (1872 წ.) ა. ფურცელაძე აძის თაობაზე წერდა: „არა თხზულება არ გამოვიდა ჩემი..., რომ წერეთელმა და იმისმა მსგავსმა მწერლებმა არ გახადეს საჭასხაროთა. მე, ერთის ჩემის მეგობრის რჩევით, შევცვალე გვარი, დავირქვი მოენიძე და უწყე გზავნა სტატიებს. წარძოიდგინეთ! უცებ გავხდი გენიოსი! წერეთელი კვეხულობდა ამ მწერლითა. სწერდა ქების წიგნსა, და ერთსა და იმავე დროს, როდესაც ეგ ჩემს ნაწერებს სცნობდა უნიჭოთ, მოენიძის ნაწერებს მოჰყვანდა ეგ აღტაცებაში... მოდი და ნუ გაგეცინება: სტატიებს თუ აწერია ფურცელაძე, სულ ერთ ჩალად არა ღირან, თუ აწერია მოენიძე, წერეთელი გაბაასებასაც ვეღარ უბედავს“.[7] ცხადია, ამ ფაქტმა უფლება მისცა ფურცელაძეს დაესკვნა, „თქვენს ყოველს ნაწერში ისახება მხოლოდ პირად ჩემდამი სიძულვილიო“.[8]

ფრიად საგულისხმოა, რომ ამ ფაქტის უარყოფა ვერ შეძლო ნიკო ნიკოლაძემაც კი, მაგრამ შეეცადა როგორმე მაინც გაემართლებინა გიორგი წერეთელი და მისი საქციელი. კრიტიკოსის სიტყვით, გ. წერეთელი არ ბეჭდავდა ფურცელაძის ნაწერებს, როგორც სახელგატეხილი მწერლისას, და უპირატესობა მისცა ვინმე მოენიძეს, „რომელსაც არ ეცხო უფ.

---

7 იქვე, გვ. 144 (დაყოფა ავტორისაა — შ. ჯ.).

8 იქვე.

ფურცელაძის ტლაპო".[9] შემდეგ ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავდა, რომ ყველაფერი ეს წერეთელს მოუვიდა სულგრძელობითა და გულკეთილობით და ახლა ამით უნდა ისარგებლოს ფურცელაძემო. მაგრამ „ვაი ამისთანა სარგებლობას! ეს იმას ჰგავს მასკარადში ხელი რომ მისცე და გამოელაპარაკოთ კარგად ძეხვეულს და პირ-დამალულს დიაცს, რომელსაც მოძრავი თვალების, თეთრი კბილების და პაწია ხელების მეტი არა ჩოუჩანს რა, და მეორე დღეს ისევ დიაცი პირგადაშლილი რომ-მოგადგეს და ლანძღვა დაგიწყოსთ, რატომ მკლავს მკლავში არ მიყრი და ისე არ მასეირნებ საზოგადოებაშიო, გუშინ არ იყო, მასკარადში მთელი საათი მელაპარაკე, როცა ლურჯი ძასკა მედვა პირზე და შავ დომინოში ვიყავი შესულიო".[10] ვფიქრობთ, მართალი იყო ა. ფურცელაძე, როცა ნ. ნიკოლაძეს ამის გამო შენიშნავდა: „ჩვენა გვქონდა ლაპარაკი ნაწერებზედ, ნაწერების ნიჭიერებაზედ და არა პირებზედ. თუ კაცი უნიჭოა, იმის ნაწერები არ ვარგა, ის ვერ მოახერხებს კარგის დაწერას, რომ ამითი სხვა მოატყუოს. ამ შემთხვევაში ძასკა ის იქნება მხოლოდ, რომ იმან აიღოს სხვა ჭკვიანი კაცის ხაწერი და თავისად გამოსცეს. მაგრამ ჩვენ მოენიძის ნაწერებში ამას ვერ ვხედავთ".

სამართლიანობა მოითხოვს აქვე აღინიშნოს, რომ მსგავსი ნაკლისაგან თავისუფალი არ ყოფილა არც ა. ფურცელაძე, პირიქით, სხვებზე მეტად შეიძლება თვითონ მას ახასიათებდა არაობიექტურობა, მიკერძოება, სუბიექტივისტური დამოკიდებულება ცალკეული მწერლების, მათ შორის უპირველეს ყოვლისა ილია ჭავჭავაძის ნაწერებისადმი. საკმარისია გავიხსენოთ, რომ იგი აქებდა გრიგოლ ორბელიანის ერთ სატრფიალო ლექსს („მუხამბაზი"), ხოლო აძაგებდა ილია ჭავჭავაძის ამავე ხასიათის ნაწარმოებს „მძინარე ქალი"... უიდეობისა და საშირბოროტო, აქტუალური საზოგადოებრივი იდეალების უქონლობის გამო. აქ, რა თქმა უნდა, არავითარი ლოგიკა არ არის. სატრფიალო ლექსებში საერთოდ არავინ ეძებს ეპოქის კარდინალურ პრობლემებს და არ მოითხოვს პასუხს კითხვაზე: როგორ გარდავქმნათ ხალხის ცხოვრება. სწორედ ასეთმა არა-

9 იქვე, გვ. 180.
10 იქვე.

ობიექტურობამ და მიკერძოებითმა კრიტიკამ შეუწყო ხელი იმ აზრის გავრცელებას, რომ ა. ფურცელაძე თითქოს პისარევისეული ნიჰილიზმით ჩამოყალიბებული ორთოდოქსალური ძიძიევარი იყო.

ანტონ ფურცელაძე და პისარევი

რამდენადაც ამ საკითხს — პისარევთან ფურცელაძის დამოკიდებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც თვით ა. ფურცელაძის ლიტერატურულ-კრიტიკულ მემკვიდრეობაში, ისე, საერთოდ, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიაში, ჩვენ შევეცდებით იგი შედარებით ვრცლად, დაწვრილებით განვიხილოთ.

ნიჰილიზმი საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო საბოციანი წლების ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში და მისი ელემენტები შეინიშნებოდა არა მარტო ა. ფურცელაძის ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებში. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ პროფ. მ. ზანდუკელის მოსაზრებას, რომ „პისარევსაც ჰყავდა თავისი მიმდევარი ჩვენს თერგდალეულებში“.[11] გავიხსენოთ, როგორ მიწასთან გაასწორა ილია ჭავჭავაძემ რუსთაველის ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი პოეტი ჩახრუხაძე. „ჩვენში, ქართველებში, დიდი მწერლის ხმა აქვს დაგდებული ჩახრუხაძესა, — წერდა ილია თავის პირველსავე კრიტიკულ სტატიაში კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზე. — მაგრამ არამც თუ დიდი, პატარაც არა ბრძანდება ის კურთხეული. ძისი თამარის ქება მთელი მოთხრობის ოდენაა, ზედმესრულით დაიწყობა და თითქმის ზედმესრულით თავდება... არც აზრი, არც სურათი, არც მშვენიერება, არც ჭკუა, არც გული არაფრისთანა არაფერი, გარდა ზედმესრულების რახა-რუხისა!“.[12] ასეთივე გამანადგურებელი შეფასება მისცა აკაკი წერეთელმაც მეორე უდიდესი ქართველი პოეტის ბესიკის შემოქმედებას. სტატიაში „რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“ (1865 წ.) აკაკი წერდა: „დრო იყო, რომ მის „ტანო ტატანო“, „შავნი შაშვნი“ და „სევდის ბაღლს შეველ“, აღტაცებაში მოჰყავ-

11 მიხ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. II, 1954, გვ. 218 (შენიშვნა).

12 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, 1953, გვ. 10-11.

და ხოლმე და ახლა, ვერ დავჰფარამ მე, რომ ის ლექსები ძოცლილი კაცის სასმელს ატკბობენ ხოლმე". შემდეგ აკაკის მოაქვს ბესიკის ლექსის ამონაწერი და დაასკვნის: „ეს ბულბულის ტიუ! ტიუ! ტია! ტია! ტია! არ არის, აბა რა არის? ცარიელი სტვენა არ არის?!.. კიდევ განვიმეორებ, როგორც ის ჩიტები, ისე არ მომყავს ეგენი (ბესიკი და მისი „ჰამქრები", მიმდევრები — **ზ. ჭ.**) მწერლების რიცხვში".[13] ასე ჩამოაქვეითეს, ძირს დასცეს ილიამ და აკაკიმ ძველი ქართული პოეზიის უდიდესი წარმომადგენლები ჩახრუხაძე და ბესიკი. სადაო არ შეიძლება იყოს, რომ არც ბესიკი, არც ჩახრუხაძე არ იმსახურებდა ასეთ მკაცრ განაჩენს — ორივენი იყვნენ და რჩებიან სახელოვან, დიდებულ პოეტებად. ასევე უდავოა, რომ აქ თავი იჩინა ე. წ. პისარევისეულმა ნიჰილიზმმა. ამ ფაქტს არ უარყოფდა არც აკაკი წერეთელი, რომელიც უფრო გვიან (1899 წ.) სტატიაში „საგულისხმო" აღიარებდა, რომ „მესამოცე წლებში რომ რუსეთიდან დავბრუნდით, ნიგილისტობის საფუარი ცოტა-ოდნათ ჩვენც მოდებული გვქონდა".[14]

თუ კი ასე იყო, თუ კი „ნიგილისტობის საფუარი ცოტა-ოდნათ" თითქმის ყველა სამოციანელ მოღვაწეს ჰქონდა მოდებული, მაშინ რატომ მაინც და მაინც ა. ფურცელაძეს შეარქვეს ნიჰილისტი, რატომ მაინც და მაინც იგი გამოაცხადეს პისარევისეული ნიჰილიზმის დამამკვიდრებლად, მის ერთადერთ წარმომადგენლად საქართველოში? ცნობილმა კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ ხომ მას „ქართველი პისარევიც" კი უწოდა. ეს მეტსახელი ა. ფურცელაძეს დიდხანს შერჩა. ასე, მაგალითად, უკვე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაზეთ „ლომისში" პანი წერდა: „ანტონ ფურცელაძემ მოიმარჯვა რუსეთის ნიღილიზმის უკიდურესი ფრთის თვალსაზრისი და შეუდგა ჩვენი ცხოვრების და მწერლობის ერთიანად გაჭიანქებას და უარყოფას... მან არც აცივა, არც აცხელა, — ყოველგვარი კულტურული ღირსებულება „საზოგადოების სარგებლობის" სასწორზე გაიტანა და რაც ამ გაშიშვლებულ, ვიწროდ გაგებულ სარგებლობიანობის პრინციპს არ უდგებოდა,

13 ა. წერეთელი, თხზ., ტ. XI, 1960, გვ. 21-22.
14 ა. წერეთელი, თხზ., ტ. XIII, 1961, გვ. 384.

მოინდომა ყოველივე იმის გაბიაბრუება და გადაგდება".[15] უფრო გვიან პროფ. ვ. კოტეტიშვილი წერდა: „მას (ა. ფურცელაძეს — შ. ქ.) ახასიათებდა მხოლოდ ნიღილიზმი სალიტერატურო აზროვნებაში... პისარევის მსგავსად, ანტონ ფურცელაძეც ეკვეთა ნ. ბარათაშვილს, ილია ჭავჭავაძეს და სხვებს, უარჰყო მათი პოეზია და უსაქმურობად გამოაცხადა",[16] ეს, რა თქმა უნდა, გადაჭარბებაა. ა. ფურცელაძემ უარყო არა ხ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავაძის მ თ ე ლ ი პოეზია, არამედ მათი მხოლოდ ცალკეული ნაწარმოებები. იგი არ შესდგომია არც მ თ ე ლ ი ქართული მწერლობის „ერთიან გაქიაქებას და უარყოფას".

ამ რამდენიმე წლის წინათ სრულიად საწინააღმდეგო ძოსაზრება წამოაყენა პროფ. გ. მეგრელიშვილმა. „ჩვენს მეცნიერულ ლიტერატურაში, — წერს მკვლევარი, — დამკვიდრებულია აზრი, რომ ა. ფურცელაძე ესთეტიკის სფეროში გვევლინებოდა ნიჰილიზმის თეორეტიკოსად. ეს ცილისწამებაა".[17] ასე მკვეთრად და ასე გადაჭრით ჩვენს მეცნიერულ ლიტერატურაში არავის არ უარუყვია ა. ფურცელაძის ნიჰილისტობა. ძაგრამ, სამწუხაროდ, პროფ. გ. მეგრელიშვილი აყალიბებს მხოლოდ თეზისს და არ მოაქვს სათანადო არგუმენტები ან სტატიის ხასიათის გამო, ან იმის იმედით, რომ დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია შესაბამისი არგუმენტაცია იპოვოს იმ მკვლევართა ნაშრომებში, რომლებიც მეტ-ნაკლებად უარყოფენ ა. ფურცელაძის უმჭიდროეს კავშირს დიმიტრი პისარევთან, კერძოდ, მის ლიტერატურულ ნიჰილიზმთან.

რა შეიძლება ითქვას ამ დებულების შესახებ?

ჯერ ერთი, პროფ. გ. მეგრელიშვილი ცდება, როცა ქართულ მეცნიერულ ლიტერატურაში დ ა მ კ ვ ი დ რ ე ბ უ ლ ა დ მიაჩნია შეხედულება, რომლის მიხედვითაც ა. ფურცელაძე „ესთეტიკის სფეროში გვევლინებოდა ნიჰილიზმის თეორეტიკოსად". პირიქით, დღეს მკვლევართა დიდი უმრავლესობა იმ

---

15 გაზ. „ლომისი", № 3-4, 1923, გვ. 31.

16 ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1959, გვ. 448-449.

17 გ. მეგრელიშვილი, ანტონ ფურცელაძის სოციალ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა (ჟურნალი „მნათობი", № 2, 1960).

აზრისაა, რომ ა. ფურცელაძე არასოდეს არ ყოფილა ნიჰილიზმის ჩამოყალიბებული, ორთოდოქსალური და ბოლომდე ერთგული მიმდევარი. ასე, მაგალითად, პროფ. გ. ჯიბლაძე, რომელმაც ვრცლად განიხილა პისარევისა და ფურცელაძის დამოკიდებულების პრობლემა კიტა აბაშიძის ცნობილი სტატიის „მოამბის“ მორალისტები“ გამო, წერს: „ძის (ა. ფურცელაძის — შ. ჭ.) კრიტიკულ შეხედულებებში აშკარად ვლინდება მკვეთრად გამოხატული ნიჰილიზმი, თუმცა ჩვენ ძას ჩამოყალიბებულ ნიჰილისტად მაინცდამაინც არ გამოვაცხადებთ, და ვერ გავუტოლებთ ნიჰილისტებს — პისარევსა და ზაიცევს. კიტა აბაშიძე კი აცხადებდა და ჩვენ ამითაც განვსხვავდებით მისგან“.[18] ასეთი შეხედულება დღეს გაბატონებულად უნდა ვიჩნიოთ, რადგან მას იზიარებს თითქმის ყველა მკვლევარი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ზოგი მათგანი ა. ფურცელაძის კრიტიკულ მემკვიდრეობაში ვერ ხედავს „მკვეთრად გამოხატულ ნიჰილიზმს“ და მიაჩნია, რომ მისი ნიჰილიზმი წარმავალი და ეპიზოდური იყო.

პროფ. შ. რადიანის მტკიცებით, მაგალითად, ლიბერალურ-ბურჟუაზიული კრიტიკა ყოველთვის მიკერძოებით აშუქებდა ა. ფურცელაძის ესთეტიკურ შეხედულებებს, მეტისმეტად აზვიადებდა მის ადრინდელ ცალკეულ შეცდომებს, რომლებიც მერე კრიტიკოსმა თვითონვე უარყო და ასე შექმნა „ტენდენციური სახე „ნიღილისტური დოქტრინის ფანატიკოსისა.“. ნამდვილად კი ა. ფურცელაძის მთელი ნიჰილისტობა, მკვლევარის აზრით, იმით ამოიწურებოდა, რომ „ზოგჯერ იგი ზედმეტად გადაღუნავდა ჯოხს, მიდიოდა სიმკვეთრემდე, უკიდურესობამდე თავის გამოთქმებში... ამ უკიდურეს მსჯელობათა საფუძველზე იქმნებოდა წარმოდგენა, თითქოს ა. ფურცელაძე იყო ნიღილისტი“.[19] დოც. ვ. ვახანიას აგრეთვე მიაჩნია, რომ ა. ფურცელაძის ნიჰილიზმმა თავი იჩინა მარტო ორ სტატიაში ერთნაირი სათაურით „ქართული ლიტერატურა“,

---

18 გ. ჯიბლაძე, „ხელოვნება და სინამდვილე“, I, 1955, გვ. 519 (ხაზგასმა ჩემია — შ. ჭ.).

19 შ. რადიანი, ახალი ქართული ლიტერატურა, წიგნი II, 1953, გვ. 114, 117.

რომლებშიც ნიჰილისტურად შეაფასა ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავაძის რამდენიმე ლექსი. „ამიტომაც, — წერს ვ. ვახანია, — მის „ნიჰილიზმზე“ მსჯელობა მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში თუ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს. თვით ტერმინი „ნიჰილიზმი“ ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ჭიხჭიკლებში უნდა ვიხმაროთ“.[20] ა. ფურცელაძე თანამიმდევარ ნიჰილისტად არ მიაჩნია, არც რუსული ლიტერატურის ისტორიის ცნობილ მკვლევარს პროფ. ა. ნიკოლაძეს. „უნდა ითქვას, — წერს იგი, — რომ ნიჰილიზმი არ არის ანტონ ფურცელაძის ესთეტიკის მაგისტრალური ხაზი, ძირითადად იგი რეალისტური კრიტიკისა და ესთეტიკის იდეების დაუღალავი მქადაგებელი იყო საქართველოში“.[21]

როგორც ვხედავთ, თანამედროვე მკვლევარები, არ უარყოფენ რა პისარევის ერთგვარ გავლენას ა. ფურცელაძის ლიტერატურულ-კრიტიკულ ნააზრევზე, მაინც არ სთვლიან მას ჩამოყალიბებულ, ორთოდოქსალურ ნიჰილისტად. მაშასადამე, დებულება, რომ ქართულ მეცნიერულ ლიტერატურაში თითქოს დამკვიდრებულია აზრი, რომ „ა. ფურცელაძე ესთეტიკის სფეროში გვევლინებოდა ნიჰილიზმის თეორეტიკოსად“, მეტი რომ არა ვთქვათ, არ გამოხატავს ფაქტიურ მდგომარეობას.

მეორეც, შეუძლებელია (თუ, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ დავამახინჯებთ) უარგყოთ ნიჰილიზმის უდავო და საკმაოდ ძლიერი გავლენა ა. ფურცელაძის კრიტიკულ შეხედულებებზე. ამის ტენდენცია კი მეტ-ნაკლებად შეინიშნება ა. ფურცელაძის ლიტერატურულ-კრიტიკული ნააზრევის არაერთი ცნობილი მკვლევარის შრომაში. ყველა ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ნიჰილისტური მიდრეკილება ა. ფურცელაძემ გამოამჟღავნა თითქოს მხოლოდ 1863 წელს „საქართველოს მოამბის“ წინააღმდეგ დაწერილ ორ სტატიაში ერთნაირი სათაურით „ქართული ლიტერატურა“, როდესაც დაიწუნა ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავაძის ლექსები, შემდეგ კი თვითონ შეიგნო თავისი შეცდომა, გამოასწორა იგი და მუდამ ცდილო-

---

20. ვ. ვახანია, ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობა, 1958, გვ. 254.

21 ა. ნიკოლაძე, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები და ქართული ლიტერატურა, 1954, გვ. 198-199.

ბდა მოეცილებინა „ნიჰილისტისა“ და „ქართველი პისარევის“ მეტსახელი.

აი რას წერს, მაგალითად, ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარშემო ქართული ლიტერატურის ისტორიის ცნობილი მკვლევარი შ. რადიანი: „აღსანიშნავია, რომ უფრო მოგვიანებით ა. ფურცელაძემ თვითონვე შეიგნო თავის მკვეთრ მსჯელობათა მცდარობა. ეს მკაცრი თვალსაზრისი და მსჯელობა აღნიშნულ მწერალთა (ბარათაშვილისა და ჭავჭავაძის — შ. ქ.) მიმართ ა. ფურცელაძეს არ გაჰყოლია ბოლომდე“.[22] არსებითად ამავე შეხედულებას იცავს დოც. ვ. ვახანია. „საბედნიეროდ, — წერს იგი, — ლიტერატურულ ნაწარმოებთა მიმართ „ნიჰილისტური“ ტონი ა. ფურცელაძეს დიდხანს არ გაჰყოლია. ა. ფურცელაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან სულ მალე შეიგნო თავის მკვეთრ მსჯელობათა მცდარობა და უკვე მომდევნო, 1864 წლიდანვე კვლავ ზომიერ პოზიციებზე დადგა“.[23] ამ დებულებას სავსებით ბუნებრივად მოსდევს მისგან გამომდინარე სხვა დებულება, რომ ამის გამო ა. ფურცელაძე თითქოს ყოველთვის უარყოფდა თავის იდეურ კავშირს დიმიტრი პისარევთან, კერძოდ, მის ნიჰილიზმთან. „ახტონ ფურცელაძე, — წერს ცნობილი ქართველი კრიტიკოსი და ლიტერატურის ისტორიკოსი ს. ჭილაია, — მის სიცოცხლეშივე ნიჰილისტად მონათლეს და პისარევის მიმდევრად გაამჟღავნეს... თვით ანტონ ფურცელაძემ კიტა აბაშიძესთან კამათში სავსებით სამართლიანად უარყო ეს აზრი“.[24] მკვლევარი ვ. ვახანიაც ამ აზრისაა და გულისტკივილით წერს: „სამწუხაროდ, უშედეგო აღმოჩნდა ა. ფურცელაძის გულწრფელი ცდა მოეცილებინა ლიბერალურ-ბურჟუაზიული კრიტიკის მიერ უსამართლოდ მიკერებული იარლიყი ნიჰილისტისა“.[25]

ეს მტკიცებანი ჩვენ მართებულად არ გვეჩვენება. საქმე ისაა, რომ ა. ფურცელაძეს არსად და არასდროს არ უცდია გამიჯვნოდა პისარევს და არასდროს სათაკილოდ არ მიუჩნევია მასთან იდეური ნათესაობა. პირიქით, სულამაყოდ მიაჩნდა, თუ

22 შ. რადიანი, ახალი ქართული ლიტერატურა, II, 1953, გვ. 118.

23. ვ. ვახანია, ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობა, 1958, გვ. 252.

24 ს. ჭილაია, ანტონ ფურცელაძე (ა. ფურცელაძე, რჩეული ნაწერები. 1951, გვ. 544).

25 ვ. ვახანია, ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობა, 1958, გვ. 255.

კი შეძლებდა და შეასრულებდა პისარევის როლს ქართული კრიტიკისა და ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში. „მე დიდად სასახელოდ ჩავთვლიდი, — წერდა იგი კიტა აბაშიძის პასუხად, — თუ პისარევის აჩრდილობაც არის შემძლებოდა ჩემს სამშობლო ქვეყანაში, სადაც სწორედ პისარევის მსგავსი მწერალნი არიან საჭირო, რომ გამოაფხიზლონ და გამოარკვიონ ჩვენი ხალხი, ჩვენი საზოგადოება ძილიდან". ა. ფურცელაძის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ იგი აშკარა სიმპათიით ეკიდებოდა დიდ რუს კრიტიკოსს და მის მოძღვრებას არა მარტო მისაღებად, არამედ აუცილებლადაც სთვლიდა, მით უმეტეს საქართველოში, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადოებრივი აზროვნება, მისი აზრით, ჯერ კიდევ არ იყო ისე სისხლჭარბი, ისე მჩქეფარე, როგორც დრო მოითხოვდა.

კიტა აბაშიძესთან კამათში ა. ფურცელაძემ უარყო არა იდეური ნათესაობა დიდ რუს რევოლუციონერ მოაზროვნესთან, არამედ პისარევის მ ი მ ბ აძ ვ ე ლ ო ბ ა, ის მტკიცება, რომ იგი თითქოს „პისარევის ბაძით, მის გავლენის ქვეშ" წერდა. „მე მიწოდებს (კიტა აბაშიძე — შ. ჭ.) ქართველი პისარევათ, ეს იმას ნიშნავს, რომ მე ვსწერ პისარევის ბაძით, ძის გავლენის ქვეშ... ჩ ე მ ი პ ი ს ა რ ე ო ბ ა იწყება იმ დროიდან, როდესაც არამც თუ აქ, თვით რუსეთშიაც ნაკლებ იცნობდნენ პისარევს. სტატია, რომლისა დაწერის გამოც კიტა პისარევს მიწოდებს, არის დაწერილი 1863 წ. მარტში, როდესაც არც კი გაგვეგონა აქ პისარევი ვინ იყო". დღეს, რასაკვირველია, ძნელია ვირწმუნოთ ა. ფურცელაძის ეს განცხადება, რადგან 1863 წლისათვის პისარევი უკვე იყო რამდენიმე გახმაურებული სტატიის ავტორი და აქტიური თანამშრომელი ჟურნალისა „რუსსკოე სლოვო". ცხადია, ამ შემთხვევაში ა. ფურცელაძე იცავს თავის იდეურ დამოუკიდებლობას, აზროვნების ორიგინალობას, სურს დაამტკიცოს, რომ დამოუკიდებლად ძივიდა იმავე იდეებამდე, რომლებსაც უ კ ვ ე შ ე მ დ გ ო მ ა ვ ი თ ა რ ე ბ დ ა დიმიტრი პისარევი. მართალია, ს. მგალობლიშვილის დახასიათებით, საკმაოდ გავრცელებული სენი — განდიდების მანია „სჭირდა ანტონსაც", მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ამჯერად ა. ფურცელაძეს იმდენად საკუთარი პე-

ჩსონის წინ წამოწევა და განდიდება კი არ აინტერესებდა, რა-ჰდენადაც იმის ცხადყოფა, რომ პისარევისეული იდეები, რომ-ლებსაც ხშირად ვხვდებით მის ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებში, აღმოცენდა საკუთრივ ქართულ ნიადაგზე და არა წიგნების, თუნდაც პისარევის თხზულებათა მეშვეობით. ცხო-ვრებამ მოითხოვა და ა. ფურცელაძემაც „დაიწყო პისარეო-ბა“, გახდა „ქართველი პისარევი“, მაგრამ პისარევისაგან და-მოუკიდებლად, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ საზო-გადოებას ესაჭიროებოდა „სწორედ პისარევის მსგავსი მწერა-ლნი“.

ნაკლებ დამაჯერებლად მიგვაჩნია აგრეთვე მტკიცება, ვი-თომც ა. ფურცელაძის ნიჰილიზმი სწრაფწარმავალი, ფრიად ხანმოკლე იყო და თითქოს ამოიწურებოდა ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ზოგიერთი ლექსის დაწუნებით, ან კიდევ ცალკეული მკვეთრი და უკიდურესი გამოთქმებით. ასეთ შეხე-დულებას ჩვეულებრივ იმით ასაბუთებენ, რომ ა. ფურცელა-ძემ უკვე 1864 წელს შეაქო ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „კა-ცია ადამიანი?!“, ხოლო ცოტა უფრო გვიან ასევე შეაქო ბა-რათაშვილისა და ჭავჭავაძის პოეზია. ასე, მაგალითად, დოც. ვ. ვახანიას სიტყვით, უკვე 1964 წელს ა. ფურცელაძემ ჟურ-ნალ „ლიტერატურნი ლისტოკის“ ფურცლებზე მაღალი შეფა-სება მისცა მოთხრობას „კაცია ადამიანი?!, ნაწარმოებს, „რო-მელიც თერგდალეულთა იდეური ბელადის ი. ჭავჭავაძის კა-ლამს ეკუთვნოდა და რომელიც დაიბეჭდა ერთი წლის წინათ მის მიერ ასე მკაცრად გაკრიტიკებულ ჟურნალში“.[26]

ვნახოთ ახლა ნამდვილად რას წერდა ა. ფურცელაძე თა-ვის საკმაოდ ვრცელ კრიტიკულ სტატიაში ამ მოთხრობასა და საერთოდ ილია ჭავჭავაძეზე.

სტატიის დასაწყისშივე ა. ფურცელაძე აცხადებს, რომ ილია ჭავჭავაძე პოპულარული გახადა „გლახის ნაამბობმა“ და დაუფარავი ირონიით შენიშნავს: „ამ მოთხრობით გატაცება იქამდე მივიდა, რომ ბევრი იძახდა — „გლახის ნაამბობის“ ავტორთან შედარებით რუსთაველი არაფერია, რომ „კაცია-ადამიანს“ მსოფლიო მნიშვნელობა აქვსო და სხვა ამგვარი“.

---

26 იქვე, გვ. 252.

შემდეგ კრიტიკოსი ახასიათებს ქართული ლიტერატურის მდგომარეობას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართული პროზა ჯერ კიდევ ღარიბია, რომ ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი გაისმოდა „არა უფრო გააზრებულ პროზაულ ფორმაში“, არამედ მხოლოდ ლექსებში (გარდა „სურამის ციხისა“). ყველაფერი ეს ა. ფურცელაძეს იმისათვის დასჭირდა, რომ ეთქვა — როცა მზე არ ანათებს, მაშინ სანთელიც სინათლეაო და ამით აეხსნა ი. ჭავჭავაძის პოპულარობა. „ამიტო,—დაასკვნიდა იგი, — საოცარი არ არის, რომ ზოგიერთ ვაებატონს, რომელიც სხვისი ჭკუითა და თავისი სწრაფადაღგზნებადი წარმოსახვითა ცხოვრობს, — ადამიანებს, რომელთაც ან ცოტა ან სულ არა, წაუკითხავთ რა და რომელნიც არაფერს თვალყურს არ ადევნებენ, მ. ჯიმშერიძის (ი. ჭავჭავაძის — **შ. ჭ.**) მოთხრობა „კაცია ადამიანი“ გენიალურ ნაწარმოებად მოეჩვენათ“. მაშასადამე, ილია ჭავჭავაძის მოთხრობა ძლიერ მოიწონეს იმ ადამიანებმა, რომლებიც ან სხვისი ჭკუით ცხოვრობენ, ან კიდევ სრულიად უმეცარი არიან ლიტერატურაში. მეორე მხრივ, ა. ფურცელაძე წინააღმდეგია მისი მეტისმეტი ძაგებისა და თავისი კრიტიკული სტატიის ამოცანას ასე აყალიბებს: „ამ წერილში მე ვაპირებ ვაჩვენო უკიდურესობანი და ზოგიერთი ამგვარი შეხედულების უაზრობაც კი“. გამოდის, რომ „კაცია ადამიანი?!“ უკეთეს შემთხვევაში ყოფილა საშუალო ღირსების ნაწარმოები. ეს არის ილია ჭავჭავაძის ამ მართლაც გენიალური თხზულების მაღალი შეფასება?

შემდეგ, ა. ფურცელაძე, მართალია, იწონებს მოთხრობის თემას, იდეას, მიზანდასახულობას, მთელ რიგ ხასიათებს, მაგრამ ძლიერ უარყოფითად ახასიათებს ილია ჭავჭავაძეს როგორც მხატვარს. საკმარისია ითქვას, რომ იგი აქ ისევ იმეორებს სტატიის „ქართული ლიტერატურა“ ძირითად დებულებებს, რომ ილია ჭავჭავაძე თითქოს მიმბაძველი იყო და უნარი არ შესწევდა ეჩვენებინა პერსონაჟის შინაგანი სამყარო.

ვფიქრობთ, ეს მაგალითებიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ 1864 წელსაც ა. ფურცელაძე არ გამოსთხოვებია ნიჰილიზმს, რომ იგი კვლავ საკმაოდ ნიჰილისტურად ეკიდებოდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას.

განვაგრძოთ:

დოც. ვ. ვახანიას მტკიცებით, „შეიგნო რა თავის ადრინდელ ცალმხრივ მსჯელობათა მცდარობა, ა. ფურცელაძე შეუდგა მის გასწორებას“.[27] ამის დასადასტურებლად იგი იშველიებს ა. ფურცელაძის საჯარო განცხადებებს — ჯერ 1872 წელს, ხოლო შემდეგ 1879 წელს ილია ჭავჭავაძესთან თავისი დამოკიდებულების თაობაზე. მკვლევარს მოაქვს სათანადო ამონაწერიც ა. ფურცელაძის სტატიიდან „აკაკი წერეთელს“: „დღეს რომ ჭავჭავაძეზე წერა შემხვდეს... მაშინ ბევრათ სხვა კილოზედ ვილაპარაკებდიო“. ეს სიტყვები თითქოს მართლაც მოწმობენ პოზიციის ცვლილებას, მაგრამ საქმე ისაა, რომ ისინი წინადადების მხოლოდ ნაწილს წარმოადგენენ და ფრაზის შეკვეცის გამო ზუსტად ვერ გადმოგვცემენ კრიტიკოსის აზრს. ამიტომ, გასაგები რომ გახდეს ა. ფურცელაძის ნ ა მ დ ვ ი ლ ი პოზიცია, ჩვენ სრულად მოვიტანთ მკვლევარის მიერ შეკვეცილ წინადადებას. აი რას წერდა იგი: „დღეს რომ ჭავჭავაძეზედ წერა შემხვდეს, — საზოგადოთ შეუდარებლათ კი არა, შემხვდეს წერა შედარებითა, მაშინ ბევრათ უფრო სხვა კილოზედ ვილაპარაკებდი, ესე იგი, იმას შედარებით სხვებთან, მეტადრე როგორც პოეტს, არავიზედ, თუ არ წინ, უკან არ დავაყენებდი“. სხვანაირად რომ ვთქვათ, ა. ფურცელაძე ამბობს, ილია ჭავჭავაძე სხვა ქართველ პოეტებთან შედარებით კარგია, მაგრამ საზოგადოდ კი არაო. ამასვე წერდა იგი სტატიაში „ქართული ლიტერატურა“ 1863 წელს. მკაცრად გააკრიტიკა და დაიწუნა რა ილია ჭავჭავაძის მთელი რიგი ლექსები, ა. ფურცელაძე დაასკვნიდა: „ჩვენ ამის მთქმელნი მაინც არა ვართ, რომ ჭავჭავაძის ლექსები არა სჯობდეს ბევრის სხვებისას“.

ესეც რომ არ იყოს, განა ა. ფურცელაძის ნიჰილიზმი მართო ნ. ბარათაშვილის ან ი. ჭავჭავაძის პოეზიისადმი დამოკიდებულებით ამოიწურებოდა? ა. ფურცელაძე არ იყო, 1887 წელს დაწერილ, მაგრამ დღემდე გამოუქვეყნებელ სტატიაში „შექსპირი ჰამლეტში“ მიწასთან გაასწორა დიდი ინგლისელი დრამატურგი შექსპირი, ეს სიამაყე მთელი კაცობრიობისა? იგი არ იყო, 1882 წელს დაწერილ და აგრეთვე გამოუქვეყნე-

27 იქვე, გვ. 253.

ბელ გ. ერითავის თხზულებათა კრებულისათვის განკუთვნილ „წინასიტყვაობაში“ ასევე მიწასთან რომ გაასწორა და „მსწრაფლ დავიწყებულ“, „პირისაგან ყოვლის ქვეყნისა“ — გამქრალ მწერალთა რიგებში მოაქცია გამოჩენილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა, რომლის ნაწერები დღესაც ხელიდან ხელში გადადის?

„როგორ შეიძლება დავივიწყოთ ა. ფურცელაძის სრული ნიჰილისტური დამოკიდებულება რუსული პოეზიის მზის — პუშკინის შემოქმედებისადმი? ოთხმოციანი წლების დამდეგს, ილია ჭავჭავაძესთან კამათის დროს, მან არა მარტო მხარი დაუჭირა პისარევს პუშკინის წინააღმდეგ, არამედ უფლება მისცა თავის თავს განეცხადებინა, თითქოს პისარევის შეხედულება „ისე დამკვიდრდა რუსეთის დაწინაურებულ საზოგადოებასა და მწერლობაში, რომ ველარავინ ამოჰკვეთს, და იქამდის მიაღწია, რომ პისარევი ლაპარაკობდა მაინც ამაზედ (პუშკინზე — შ. ჭ.) და ბოლოს მწერალნი დაწინაურებული საზოგადოებისა, ლაპარაკის ღირსათაც არა ჰხდიან პუშკინს“. შემდეგ იგი აცხადებდა: „უკეთუ რუსეთში ამის (პუშკინის — შ. ჭ.) პოეზია აღარ არის ყურადღების ღირსი“, მით უმეტეს უსარგებლოა იგი ჩვენთვის, ქართველებისათვისო. — ჩვენ „სრულიად არა გვეჰკჰკ-პუშკინ-პოეზიება-რა!“

ასეთი ყალბი, ნიჰილისტური დებულება ემყარებოდა სავსებით უსაფუძვლო და შეუწყნარებელ შეხედულებას, რომ პუშკინი თითქოს ქადაგებდა თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, რომ მისი პოეზია თითქოს შორს იდგა ხალხის საჭიროებისაგან. ა. ფურცელაძე ამას პირდაპირ წერდა შავით თეთრზე. ილია ჭავჭავაძის შენიშვნას, პისარევმა პუშკინიც კი უარყოო, იგი უპასუხებდა: „მე ეს ასე მეყურება, რომ რაკი „მიმოხილვის“ დამწერი (ე. ი. ილია ჭავჭავაძე) — შ. ჭ.) პუშკინის უარყოფას ასე ცოდვათა თვლის, ის უნდა თანაუგრძნობდეს პუშკინის პოეზიის ხასიათს, — ანუ — უფრო უკეთა ვსთქვათ, იმ პოეზიას, რომელიც უჩვენებს გზას საზოგადო კითხვაჲა, და ჰიკჰიკობს ვითარცა აშიკი ბულბული პხალთა კოკორთა ზედა გაზაფხულის ვარდისათა“. როგორც ვხედავთ, ა.

ფურცელაძემ არა მარტო პუშკინი, ილია ჭავჭავაძეც გამოაცხადა თეორიის „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ მიმდევრად და ამის დამტკიცებას სერიოზულად შეეცადა კიდევაც თავის გამოუქვეყნებელ სტატიაში „შექსპირი ჰამლეტში“.

არა, ა. ფურცელაძის ნიჰილიზმი უწინწკლებო ნიჰილიზმი არ იყო, იგი არ ყოფილა არც ზერელე და არც ხანმოკლე:

ისიც ხომ სიმპტომატურია, რომ ა. ფურცელაძე პირველი გამოეხმაურა „ივერიის“ 1881 წლის „შინაურ მიმოხილვას“, რომლის ცალკე თავი სპეციალურად პისარევისეულ უარმყოფელობას ეხებოდა. ჩანს, პისარევის იმ „ჩვენებურ“ მიმდევრებში, „შინ გამომცხვარ ლიბერალებში, რომლებმაც „მიმოხილვის“ ავტორის სიტყვით (სტატია ხელმოუწერლად დაიბეჭდა, მაგრამ მისი ავტორი ილია ჭავჭავაძე იყო), ენაზე დაიკერეს „მეტად სხარტე და ნიჭიერი მწერლის“ პისარევის რამდენიმე ნიჰილისტური ფრაზა და „დღეს — აქამომდე აწიოწოს იძახიან?“[28] ა. ფურცელაძემ თავისი თავი იცნო. ვფიქრობთ ამ შემთხვევაში იგი არც შემცდარა. ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ პროფ. მ. დუდუჩავას მოსაზრებას, რომ ილია ჭავჭავაძე ამ „შინ-გამომცხვარ ლიბერალთა“ შორის „პირველ რიგში ა. ფურცელაძეს გულისხმობს“.[29]

იგრძნო რა დარტყმის სიმწვავე, ა. ფურცელაძე, როგორც გამოცდილი პოლემისტი, შეეცადა ლიტერატურული ნიჰილიზმიდან ყურადღება გადაეტანა პისარევის მოძღვრების სოციალურ-პოლიტიკურ, რევოლუციურ მხარეზე, საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს ილია ჭავჭავაძე ილაშქრებდა სახელოვანი რუსი მოაზროვნის თვით რევოლუციური სულის წინააღმდეგ, და ამით მოეგო ბრძოლა, აი რა მიზანს ისახავდა იგი, როცა წერდა: „რომ ჩავაკვირდეთ კაცთა ცხოვრებას და მეტადრე ჩვენსა და იმ ხალხისას, რომელსაც პისარევი ეკუთვნოდა, ნუთუ ბევრს რასმე ვიპოვნით, რომელიც არ იყოს უარ საყოფელი და ბოლო მოსაღები? რა არ იყო უარსაყოფელი: საზოგადო წყობილება? სარწმუნოება? სახელმწიფო წყობილება? კანონები? ეკონომიური წყობილება?... სიტყვით რას გვიჩვე-

28 ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. V, 1955, გვ. 92-95.

29 მ. დუდუჩავა, ილია ჭავჭავაძის ესთეტიკა, 1960, გვ. 205.

ნებთ ისეთსა, რომელიც არ იყვეს უარ საყოფელი და შესაცველელი?“ ეს სრული სიმართლე იყო, მაგრამ მას ილია ჭავჭავაძეც ხომ აღიარებდა და, როცა პისარევის შეცდომებზე ლაპარაკობდა, მ ხ ო ლ ო დ მის ლიტერატურულ ნიჰილიზმზე მიუთითა. „ამ გადაჭარბებულმა უარყოფამა იქამდე მიუშვა სადავე, — წერდა დიდი ილია, — რომ უარჰყო თვით პუშკინის მოღვაწეობაცა და მთელს შექსპირს ერთი კაი სიგარა ამჯობინა“.[30]

პისარევი რომ თავს დაესხა პუშკინს, მაშინ რეალიზმის მტრები დიდ რუს პოეტს, მიიჩნევდნენ რა „წმინდა ხელოვნების“ წარმომადგენლად, შეგნებულად უპირისპირებდნენ გოგოლს, ე. ი. რეალისტურ მიმართულებას. პისარევი ვერ გაერკვა ბრძოლის წყალქვეშა მდინარებაში და, რაკი პუშკინს ჩაეჭიდნენ როგორც „წმინდა ხელოვნების“ დროშას, მოინდომა ძირს დაეცა ეს დროშა, რათა ამით გზა გაეკაფა რეალიზმისათვის რუსულ ლიტერატურაში. ამდენად პისარევის ლაშქრობას პუშკინის წინააღმდეგ ჰქონდა ერთგვარი გამართლება თუ არა, ახსნა მაინც. სრულიად სხვა მდგომარეობა იყო საქართველოში ოთხმოციანი წლების დამდეგს და ამიტომ ა. ფურცელაძის პოზიციას ძნელია რაიმე სხვა ახსნა მოვუძებნოთ, თუ არა ის, რომ თანამოაზრეებთან ერთად, დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, კვლავ იმ აზრებს ებღაუჭებოდა, რომლებმაც „კარგა ხანია თავისი დრო და ჟამი მოჭამეს, თავისი ჰქმნეს და ჩაილულის წყალი დალიეს“.[31]

გაცილებით უფრო სწორი პოზიცია ეკავა ანტონ ფურცელაძეს კიტა აბაშიძესთან პოლემიკის დროს.[32] ვრცლად განიხილავს რა ამ პოლემიკას, პროფ. გ. ჯიბლაძე შეჯამებული სახით ასე წარმოგვიდგენს მის არსს: როგორც ბ:ევოლუციონერი დემოკრატს, ა. ფურცელაძეს „სრული უფლება ჰქონდა ეთქვა კიტა აბაშიძისათვის: თქვენ მისტიკი ხართ, სანდალა — რეალისტი არის, ამიტომ თქვენ რომ ის გასაკიცხად, საზიზღრად მიგაჩნიათ, ეგ „აგრეც უნდა იყოსო“. სანდალა ბურჟეს

30 ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. V, 1955, გვ. 92.

31 იქვე, გვ. 94.

32 ამ პოლემიკის შესახებ დაწვრილებით იხ. პროფ. გ. ჯიბლაძის წიგნი „ხელოვნება და სინამდვილე“, ტ. I, 1955, გვ. 516-521.

გმირების გარყვნილების მიზეზს „მოსძებნიდა დღევანდელს სოციალურსა და ეკონომიურს ყოფაში და დაგიყენებდათ მორალს, რომელიც თქვენ ასე გიყვართ: შესცვალეთ ეს გარემოებანი, და გაჰქრებიან ის ბოროტებანიცო... ისევ და ისევ მეცნიერებაში და არა სხვა რაშიმე ეძებეთ შვება და ლხენა ცხოვრებისა... „ამ მეცნიერების სახელით ანტონ ფურცელაძემ იქვე მკაცრად გააკრიტიკა აგრეთვე რუსული იდეალისტური ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი და მისტიკოსი ვოლინსკი“... ა. ფურცელაძის საპასუხო სტატიის უმთავრესი ღირსება ის იყო, რომ კიტა აბაშიძესთან კამათში მან მშვენივრად დაიცვა პისარევის მოძღვრების რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთება, მატერიალისტურ-რეალისტური შეხედულებანი და პროფ. ა. ნიკოლაძესთან ერთად მიგვაჩნია, რომ მისი „ანტიკრიტიკა“ რევოლუციურ-დემოკრატიული კრიტიკის. შესანიშნავი ნიმუშია“.[33]

ამრიგად, სრულიად უდავოა, რომ ა. ფურცელაძის ლიტერატურულ-კრიტიკულ შეხედულებებში შეინიშნება ნიჰილიზმის საკმაოდ ძლიერი ნაკადი, რომ იგი „თავისი „ნიღილიზმით“ ხშირად ბრმად გამყოლია პისარევის იდეებისა“.[34] მიუხედავად ამისა, კიტა აბაშიძისაგან განსხვავებით, მას „ჩამოყალიბებულ ნიჰილისტად მაინც ვერ გამოვაცხადებთ“, ნიჰილიზმს ვერ მივიჩნევთ „მისი ლიტერატურული კრიტიკის მაგისტრალურ ხაზად“,—უმთავრესად იმიტომ, რომ იგი ერთმანეთს არ უპირისპირებდა მეცნიერებასა და ხელოვნებას, მთელ რიგ შემთხვევებში ძლევდა ნიჰილისტურ სულისკვეთებას და დაწერა არაერთი ლიტერატურულ-კრიტიკული სტატია, რომლებშიც ნიჰილიზმის ნასახიც კი არ არის. ერთი ასეთი სტატიაა „სურამის ციხე დ. ჭონქაძისა“, რომელიც, პროფ. გ. ჯიბლაძის თქმით, „თამამად დგას თავისი დროის რევოლუციურ-დემოკრატიული კრიტიკის სიმაღლეზე“.

---

33 ა. ნიკოლაძე, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები და ქართული ლიტერატურა, 1934, გვ. 204.

34. მ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, II, 1954, გვ. 218. (შენიშვნა).

„სურამის ციხის“ კრიტიკული განხილვა

„სურამის ციხე დ. ჭონქაძისა“ ანტონ ფურცელაძის პირველი სერიოზული კრიტიკული წერილია, რომელშიც მკაფიოდ გამოჩნდა როგორც მისი ღრმა რადიკალიზმი და რევოლუციური სულისკვეთება, ისე ძირითადი ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებები და კრიტიკოსის უტყუარი ნიჭი. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ძხოლოდ ოცდასამი წლისა იყო, ა. ფურცელაძე ჩვენს წინაშე წარმოდგა როგორც დასრულებული, სავსებით მომწიფებული კრიტიკოსი უკვე შემუშავებული საკუთარი მსოფლმხედველობითა და კრიტიკული მანერით.

ა. ფურცელაძის ეს სტატია, თავისთავად ცხადია, არ არის უნაკლო, მაგრამ მაინც ერთი უთვალსაჩინოესი ადგილი უკავია ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში. როგორც სამართლიანად წერს პროფ. გ. ჯიბლაძე, იგი „მიჩნეულ უნდა იქნას მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთ შესანიშნავ მიღწევად, მისი ღირსების მკაფიოდ გამომხატველ ნიმუშად, იმის დამადასტურებელ ფაქტად, რომ ქართული კრიტიკა პრინციპულობის, პირდაპირობისა და ჰუმანიზმის ისეთ მაგალითებს იძლევა, რომელსაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოგვცემდა, თუ არ ექნებოდა დიდი ლიტერატურული ტრადიცია და ასევე დიდი მომავალი“.[35]

სტატიის „სურამის ციხე დ. ჭონქაძისა“ ერთი უდიდესი ღირსება ის არის, რომ მასში ა. ფურცელაძემ გაბედულად გაილაშქრა ბატონყმობის, როგორც სოციალური ბოროტების, წინააღმდეგ და მაღლა ასწია რევოლუციურ-დემოკრატიული ბრძოლის დროშა. კრიტიკოსი არ შეუშინდა არავითარ საფრთხეს და დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“ მიიჩნია ნაწარმოებად, რომელიც სრული სიმართლით გადმოგვცემდა ბატონყმობის საშინელებებს, და, ფ. მახარაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოთხრობის ავტორთან ერთად დაგმო ბატონ-ყმური ურთიერთობა“.[36] ეს იყო უდიდესი სიმამაცე, რადგან იმ დროს ბატონყმობის წინააღმდეგ პუბლიცისტიკაში კრინტს ვერავინ

35 გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, II, 1955, გვ. 278.
36 ფ. მახარაძე, თხზ., ტ. V, 1926, გვ. 162.

ძრავდა და, არათუ ვერავინ ბედავდა ბატონებისაგან შერისხულ დ. ჭონქაძის დაცვას, მისი მოთხრობის სიმართლის საჯარო აღიარებას, — ამ შესანიშნავი მწერლის სახელის ხსენებასაც კი ერიდებოდნენ. ამიტომ მთლიანად მხარს ვუჭერთ პროფ. გ. ჯიბლაძეს, როცა წერს: „ანტონ ფურცელაძეს მოქალაქეობრივ და ლიტერატურულ გამბედაობად უნდა ჩაეთვალოს 1863 წელს დანიელ ჭონქაძის მოთხრობის დასაცავად გამოსვლა და მთელ რიგ იმ უხეშ ბრალდებათა გაბათილება, რომლებსაც ბატონყმობის დამცველნი ავრცელებდნენ „სურამის ციხისა“ და მისი ავტორის წინააღმდეგ“.[37]

„სურამის ციხის“ ღრმა იდეურ ანალიზთან ერთად ა. ფურცელაძე თავის სტატიაში დიდ ყურადღებას უთმობს მოთხრობის ძირითად პერსონაჟთა დახასიათებას, მწერლის ენას და საერთოდ იდეის მხატვრულ გადაწყვეტას. რა ვუყოთ, თუ კრიტიკოსი ზოგჯერ არასწორ შეხედულებებს ავითარებს, ზოგჯერ წინააღმდეგობაშიც ვარდება, — ეს ვერ ჩრდილავს მისი სტატიის უდიდეს ღირსებასა და მნიშვნელობას, მის უდავო დამსახურებას ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურული კრიტიკის წინაშე. „ანტ. ფურცელაძე პირველია, რომელმაც ვრცლად და დადებითად შეაფასა „სურამის ციხისა“ და მისი ავტორის მნიშვნელობა“.[38]

რა იყო, ა. ფურცელაძის აზრით, „სურამის ციხის“ უმთავრესი ღირსება, რის გამო მიიქცია მან საზოგადოების ყურადღება, რატომ შეხვდნენ ამ მოთხრობას ზოგნი გააფთრებული ღმუილით, სხვანი კი აღფრთოვანებით?

დ. ჭონქაძემ თავისი მოთხრობა დაწერა და გამოაქვეყნა იმ დროს, როდესაც ქართული ლიტერატურა შორს იდგა ეპოქის მოთხოვნებიდან, როდესაც ჟურნალი „ცისკარიც“ საგულდაგულოდ გვერდს უქცევდა აქტუალურ საზოგადოებრივ პრობლემებს. „დაარსებიდამ „ცისკრისა“, ამ დრომდინ, — წერდა ა. ფურცელაძე, — ეს ჟურნალი არ შეჰხებია არც ერთს იმისთანა საგანსა, რომელსაც მოითხოვდა დროების საჭიროება“,[39] მაგრამ, კრიტიკოსის აზრით, ამაში რედაქცია კი არა,

37 გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, II, 1955, გვ. 277.
38 მ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, III, 1955, გვ. 269.
39 კრესტომათია, I, გვ. 287.

უფრო სხვა გარემოებანი იყო დამნაშავე. საქმე ის იყო, რომ რეაქციონერებმა სიკვდილის მუქარით დააშინეს მართლის მთქმელნი. თვით „მოლაყბეც“ კი, რომელიც კარგად იცნობდა ცხოვრებას და პროგრესულ პიროვნებას წარმოადგენდა, უფრო იგავით ლაპარაკობდა, რადგან „ვერა ჰბედავდა ყოველას წარმოთქმასა“. მერე ეს იგავთმეტყველებაც არ აპატიეს მას და თურმე ხიდიდან გადაგდებას უპირებდნენ. ბოლოს და ბოლოს, მუქარით დაშინებულმა „მოლაყბემაც“ „დაიწყო უფრო ლბილათ ლაპარაკი, ასე რომ ძნელიღა იყო ამის ლაპარაკის გაგება“.[40] აი ასეთ დროს, როცა ყოველივე პროგრესული და მართალი სასტიკად იდევნებოდა, როცა ირგვლივ ბნელეთი იყო, „უცებ გამოდგა ასპარეზზედ დ. ჭონქაძე თავის სურამის ციხით“.[41] ეს ჰგავდა მეხის გავარდნას კარგ ამინდში, რადგან ავტორმა საარაკო გაბედულებით ბოლომდე ამხილა ბატონყმობა, ცხადყო მისი ანტიხალხური ხასიათი, მისი დრომოჭმულობა და მოითხოვა ამ უსამართლო წყობილების მოსპობა, პიროვნების განთავისუფლება, ე. ი. თავის მოთხრობაში აღძრა ეპოქის ყველაზე მთავარი, ყველაზე მწვავე საკითხი და გადაწყვიტა იგი ხალხის, ჭეშმარიტი რევოლუციონერის თვალსაზრისით.

ა. ფურცელაძე სწორედ ამ გარემოებას უსვამს ხაზს, წინა პლანზე სწორედ ეს საკითხი გამოაქვს და წერს: „სურამის ციხე რადგანაც იმისთანა საგანია, რომ წარმოგვიდგენს თითქმის უმთავრესს ჩვენს ცხოვრებასა, რომელიც არის ჩვენში ისე გაცხოველებული (იყო), რომ მთელი ჩვენი ყოველი არსება არის იმაში შეცული, რომელიც ისე უწყალოდ გვიხშობდა თვალებსა და, რომელიც არის უპირველესი ნაკლებულება. ჩვენი, ამის გამო ჩვენ ჯერ ამ მხარედამ უნდა გავშინჯოთ და წარმოვუდგინოთ მკითხველს ამის ღირსება და ნაკლებულება მე ვამბობ შესახებ თავისუფლებისა ამ საგანში“[42] (ე. ი. მოთხრობაში — შ. ჭ.).

აქ მთელი სიცხადით ჩანს კრიტიკოსის პოზიცია. ა. ფურცელაძეს „სურამის ციხე“ უპირველეს ყოვლისა აინტერესებს

40 იქვე.
41 იქვე, გვ. 288.
42 იქვე, გვ. 290.

როგორც ბატონყმობის ამსახველი ნაწარმოები და თავის ამოცანად მიაჩნია ცხადყოს, როგორ შეძლო ავტორმა ამ საზოგადოებრივი ინსტიტუტის ჩვენება, რა თვალით უყურებს იგი ბატონყმობას, სად ცდება და სად არის მართალი. მაშასადამე, მას აინტერესებს საგანიც (თემაც) და იდეაც მოთხრობისა, მიაჩნია რა ისინი „უმთავრეს ღირსებათ ამ თხზულებაში“.[43] ერთი იმიტომ, რომ ბატონყმობა თითქმის ხელუხლებელი იყო ქართულ პროზაში, თუმცა წარმოადგენდა უმთავრეს საკითხს, და მეორე იმიტომ, რომ საგანი (თემა) შეიძლება თავისთავად ძლიერ მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ ავტორის იდეა მიუღებელი, გაუმართლებელი. აკი „მამების“ ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა ალ. ორბელიანმა ვრცელი სტატია დაწერა ბატონყმობაზე,[44] ე. ი. თემა აქტუალური აიღო, მაგრამ გადაწყვიტა იგი მებატონეთა ინტერესების შესაბამისად.

სულ სხვაა „სურამის ციხე“, მისი იდეა. იგი წარმოადგენდა მრისხანე საბრალდებო აქტს ბატონყმობაზე და გადაჭრით გმობდა მას როგორც უაღრესად ანტიხალხურ, უაღრესად უსამართლო წყობილებას. ამიტომაც იყო, რომ ა. ფურცელაძის სიტყვით, „ამ თხზულებამ დაჰსცა საშინელი ელდა და მოსწყვიტა წელები დავარდნილს ხალხსა და ძველი აზრების პატრონებსა, ბატონები ოსმან აღისა დარჩნენ პირ ღიანი; ჯერ დიდხანს ვერ მოეგნენ ცნობასა და ბოლოს, როდესაც მოიპოვეს გრძნობა, დახედეს, გადაიღეს, გადმოიღეს ეს თხზულება და როგორც სარკეში, ისე დაინახეს თავისი თავი. „სწორედ ჩვენა ვართ!“ ჰსთქვეს ყველამ ერთის ხმით, მაგრამ საქვეყნოთ კი არა სტყდებოდნენ, როგორც შეჰხამს ყოველს დამნაშავესა და ძახდნენ: საშინელი ცილი შეგვწამა, ჩვენ ამის მომქმედნი არა ვართო“.[45]

აი რისთვის მოსწონდა „სურამის ციხე“ ა. ფურცელაძეს და მხურვალედ თანაუგრძნობდა მოთხრობის ავტორს, მასთან ერთად მებატონეები მიაჩნდა დამნაშავეებად, ბოროტმოქმედებად, რომლებიც ღირსი იყვნენ იმ მძიმე სასჯელისა, რაც

43 იქვე, გვ. 297.

44 „უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში“ („ცისკარი“, № 11, 1859).

45 ქრესტომათია, I, გვ. 288.

ოსმან-აღის ხელით მიიღეს ან მომავალში მიიღებდნენ მოთმინებადაკარგული ყმებისაგან. იგი ამართლებს ოსმან-აღას, რომელმაც არ დაინდო არც ბატონი, არც მისი ოჯახი, მცირეწლოვანი ბავშვებიც კი და ერთიანად ამოხოცა ყველანი. ა. ფურცელაძის აზრით, ამ საშინელ სისხლის ღვრაში დამნაშავეა ბატონი და არა ოსმან-აღა, ბატონი, რომელმაც უღელსა და სახრეს ქვეშ მოუკლა დედა, დააშორა დას, ოჯახს და ბოლოს მოუსპო უკანასკნელი ნუგეში ცხოვრებაში — სიყვარული. „ო! აქ ვეღარა კაცის გული ვერ მოითმენდა ამ უჯათსა! აქ თვითონ ცის ანგელოზიც გამოვიდოდა მოთმინებიდამ!“, შენიშნავდა კრიტიკოსი და დასძენდა: „ანკი რისთვის უნდაღა მოეთმინა? ყოველსავე ძვირფასს სიცოცხლეში მოაკლო ბატონმა ესა“.[46]

პართლაცდა, რისთვის უნდა მოეთმინა? რა მოუტანა ოსმან-აღას მოთმინებამ, რა უბედურებას ააშორა, რა ჰირისაგან იხსნა? არა, მორჩილებას, მოთმინებას, სიკეთე არ მოაქვს. ხსნა მხოლოდ დაუმორჩილებლობაში, უშიშარ ბრძოლაშია. ადამიანმა ფარ-ხმალი არ უნდა დაყაროს ძლიერის წინაშე მარტო იძიტომ, რომ იგი ძლიერია. მას უნდა უნარი შესწევდეს დაიცვას თავისი კაცური ღირსება, თუნდაც ეს საკუთარ სიცოცხლედ დაუჯდეს. ა. ფურცელაძე აქებს ოსმან-აღას დედას, მის საქციელს, რადგან იგი ფეხქვეშ არ ჩაუვარდა გულქვა ბატონს და შებრალება არ სთხოვა, როცა კევრში შეაბა, როგორც პირუტყვი. „აი კაცის ღირსება! — წერდა იგი, — დედაკაცი მოუძლურებული და ჯან მოწყვეტილი ჰგრძნობს თავის კაცობრივს ღირსებასა, ჰხედავს თავის მებატონის მხეცურს ჟინსა და უსამართლობასა და არ უტყდება სიკვდილამდინ და არ ამონებს თავის კაცურს ღირსებას და გრძნობას“.[47] რა ეუყოთ, თუ ოსმან-აღას დედამ იარაღი ვერ აისხა და აქტიურად ვერ შეებრძოლა ბატონს. იგი სუსტი და მოუმზადებელი იყო ასეთი გმირობისათვის, მაგრამ მტერს მაინც არ გაათელინა თავისი ადამიანური ღირსება, ქედი არ მოიხარა ძალის წინაშე. მის გარეგნულ მორჩილებაში გამოკრთა შეუპოვრობა, ძლიერი და გმირული სული. ასე უნდა იქცეოდეს, კრიტიკოსის აზრით, ყოველი ადამიანი, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება და

46 იქვე, გვ. 295.
47 იქვე, გვ. 293.

კაცური ღირსება. „ის კაცი კაცი არ არის, — დაასკვნიდა ა. ფურცელაძე, — რომელიც თავის უსამართლოდ დაჩაგრულს კაცობრივ ღირსებას დაამონებს ამ გვარს, როგორსაც ჩვენ გვიჩვენებს ავტორი ოსმან აღის ბატონში, — მხეცურს და ველურს ჟინსა, — ის კაცი არის მაშინ ისეთივე მხეცი და პირუტყვი, როგორიც იმის დამამცრობელი, ხოლო ძალით იმაზედ უძლური“.[48] ამით კრიტიკოსს ის უნდა თქვას, რომ საზიზღარია მონა, რომელიც არ იბრძვის თავისუფლებისათვის, შერიგებია ბედს, და მკითხველებს მოუწოდებს დაუმორჩილებლობისაკენ, ბრძოლისაკენ.

თავისი რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდისა და უხერხემლო ლიბერალიზმის მხილებისათვის კრიტიკოსი შესანიშნავად იყენებს „შეკრებულების“ ეპიზოდს, რომლითაც იწყება დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“. ამ „შეკრებულებაში“ მან დაინახა ქართველი საზოგადოების, უფრო ზუსტად — ქართველი ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც თუმცა თანაუგრძნობდა ყმებს, ცხოვრების გერებს, მაგრამ საქმით არაფერს აკეთებდა მათი მდგომარეობის გამოსწორებისათვის. „აი ეს არის ჩვენი საზოგადოება, — წერდა ა. ფურცელაძე, — მინამ არ შეიკრიბებიან და ნუნუას არ გადაჰკრამენ, მინამ ვერასფრის სჯაში ვერ შევლენ და არცარას ფიქრი აქვთ. მაშინკი ეეშლებათ ყოველივე საფიქრებელი და ისიც წაღმა-უკუღმა; რაკი დაიშლებიან, ისევ ყველა დაავიწყდებათ და მიჯდებიან კერას პირსა გულხელ დაკრეფილები!...“ მართლაც ასეთი იყვნენ ჩვენი ლიბერალები. ისინი დროს ატარებდნენ, ხალხის ბედს კი გულთან ახლოს არ იკარებდნენ, იგი მათთვის მხოლოდ სალაპარაკო მასალა იყო და მეტი არაფერი. იმდენად ა. ფურცელაძეს სრული უფლება ჰქონდა ეთქვა, „ქვეყანას რომ ცეცხლი ეკიდოს, ესენი ხელებს მოიტფობენო“.[49] ამ სიტყვებში ხაზგასმულია ჩვენი ლიბერალების კიდევ ერთი მეტად დამახასიათებელი თვისება — ისინი ყველგან პირად სარგებლობას ეძებენ და მანამ ლიბერალობენ, სანამ საქმე სხვებს ეხებათ და არა თვითონ მათ.

---

48 იქვე.

49 იქვე, გვ. 219.

ქართველი ლიბერალების ტიპიურ წარმომადგენლებად მიაჩნია ა. ფურცელაძეს მოთხრობის ორი პერსონაჟი — ფილოსოფოსი და კნიაზ ლიბერალი. „ესენი წარმოგვიდგენს ჩვენ სწორეთ იმ პირთ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ და ყოველს ნაბიჯზედ შეგვხვდებიან“. ერთი მათგანი — ფილოსოფოსი, კრიტიკოსის დახასიათებით, უთავბოლო მოლაყბე და უქნარაა. იგი უფრო ახლოს დგას თავის პროტოტიპთან და ამიტომ „გაჭრილი ვაშლივითა ჰგავს ერთ რომელსამე თქვენს ნაცნობს ფილოსოფოსსა“. მეორე პერსონაჟის — კნიაზ ლიბერალის „სახე და ხასიათი უფრო დაფარულია“, ვიდრე ფილოსოფოსისა, ე. ი. უფრო შორს დგას პროტოტიპისაგან, მაგრამ „მაინც კიდევ იცნობთ ქართველს ლიბერალსა, რომელიც მინამ არის ლიბერალი, მანამ იმის ინტერესს შეეხებოდეს რამე“.[50]

ასე მკაცრად ამხილებს რა კნიაზ ლიბერალებს, ა. ფურცელაძე, ვფიქრობთ, იმ აზრსაც გამოთქვამს, რომ თავად ინტელიგენტებს არ შეეძლოთ ნამდვილი მესვეურობა გაეწიათ ყმებისათვის, ნამდვილად გამოსარჩლებოდნენ ხალხს, რადგან ეს შელახავდა მათს, როგორც მებატონეების, ინტერესებს. შეიძლება სწორედ ეს ფარული, არააშკარად გამოთქმული შეხედულება გახდა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ გ. წერეთელმა ხელაღებით დაიწუნა ა. ფურცელაძის რეცენზია სტატიაში „ცისკარს“ რა აკაკანებდა?“, თუმცა ამას იგი სრულებითაც არ იმსახურებდა.[51] აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ა. ფურცელაძე მხოლოდ ნაწილობრივ იყო მართალი. პროგრესულმა თავადაზნაურულმა ინტელიგენციამ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით განა ცუდი მესვეურობა გაუწია ხალხს იმ მძიმე დროს? განა თვითონ ა. ფურცელაძე არ იყო, ყმების ინტერესთა თავგამოდებული დაცვისათვის ბატონებისაგან შერისხულ ილიას სიცოცხლეს დარაჯად რომ დაუდგა ქრისტეფორე მამაცაშვილთან ერთად?

ქართველი ლიბერალების კრიტიკის შემდეგ ა. ფურცელაძე უშუალოდ განიხილავს „სურამის ციხის“ ძირითად იდე-

---

50 იქვე, გვ. 291.

51 „განა ამას რეცენზია ერქმის?... — წერდა გ. წერეთელი, — ახალ აღგმულ ენის უბედობაა და ქარის მობერილი პსჯა“ (ქრესტომათია, I, გვ. 334).

ას და ცხადყოფს მის გამარევოლუციონერებელ მნიშვნელობას, ნაწარმოების უდიდეს მამხილებელ ძალას. კრიტიკოსი მოთხრობაში ნათლად ხედავს ორ ანტაგონისტურად დაპირისპირებულ ბანაკს, რომელთა მორიგება შეუძლებელია და რომლებიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვიან ერთმანეთს. „ავტორმა გამოიყვანა სცენაზედ ოსმან-აღის ბატონები და ოსმან-აღები. გაგვაცნა ზედ დახედვით ამათი ერთმანერთში მოქმედება, გვიჩვენა ერთის უსამართლობა და მეორის მოთმინება და აღელვება".[52] ავტორთან ერთად ა. ფურცელაძე გადაჭრით გმობს მებატონეთა აღვირახსნილ თარეშს, მათს განუკითხაობასა და არაადამიანურ საქციელს. იგი დაწვრილებით აანალიზებს ეპიზოდს, სადაც დედას სტაცებენ შვილს, ჰყიდიან მას, თითქოს პირუტყვი ან უსულო რამ საგანიაო და წერს: „ოჰ! რა საზიზღარია და საზარელია მოსაფიქრებლათაც: ერთი ბეწვა ბავშვს, დედის ერთა შვილს, ერთის მოწონებისათვის აშორებენ საუკუნეთ თავის დედასა!... ამ მწუხარებას ოსმან-აღის ბატონები ისე უცქეროდნენ, ვითომც ჭიანჭველასაც არ გადაუვლიაო. ოჰ! ეს სამწუხარო დამწვარი დედის მდგომარეობა თვით ქვასაც გამოაჩენინებდა შებრალებას და ოსმან-აღის ბატონები კი, რომელნიც არიან კაცნი და უწოდებენ თავის თავს ქრისტიანედ — არა ჰგრძნობდნენ არასფერს გულმტკივნეულებას ამ შენთხვევაში და პირიქით, კიდევაც დასჯიან ხოლმე თავისნით მწუხარებაში ჩავარდნილს უბედურს".[53]

ასე მხეცურად რომ ეკიდებიან თავიანთ ყმებს, რამდენადაც საკვირველი არ უნდა იყოს ეს, მებატონეები მათგან ერთგულებასაც კი მოელიან, იმდენად წართმეული აქვთ ადამიანური გრძნობა და სინდისი, საღი აზროვნების უნარი. „ხა, ხა, ხა! ერთგულებას ეძებდა იმაში, რომელსაც დედა მოუკლა უღელში. საკვირველნი არიან, შენმა გაზდამ, ეს ხალხნი!", — ახსენებს კრიტიკოსი მკითხველს ოსმან-აღას ამ სიტყვებს და დაასკვნის: „აქ ცხადათ აჩენს ავტორი, რომ ზოგიერთნი მებატონენი, გინდ მეუფროსენიცა, ნივთივით უყურებენ თავისავით კაცსა; ეს ჩვენგნით ამოწერილი სიტყვები, სწორედ სარკეა

52 ქრესტომათია, I, გვ. 296.

53 ქრესტომათია, II, გვ. 291-292.

ოსმან-აღის ბატონების აზრისა და მსჯელობისა: აბა თუ ერთხელ დაჰფიქრდა მსჯელობაში, რომ ამ გვარს უსამართლობას არაძცთუ კაცი და, უკანასკნელი პირუტყვიც არ ამოირიცხავს გულიდამა".[54]

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში არავის ასეთი ძალით არ უმხილებია ბატონყმობა, არავინ ასე მკაცრად თავს არ დასხმია მებატონეებს, არ დაუგმია მათი დანაშაულებრივი, ანტიჰუმანური მოქმედებანი. კრიტიკოსს აღაშფოთებს მოთხრობაში ასახული ბატონყმური ურთიერთობის ცალკეული საზარელი სურათები და თან აღონებს, რომ ყოველივე ეს სიმართლეა, რომ ადამიანები მართლაც ასე მხეცურად ექცევიან თავისსავე მსგავს ადამიანებს. ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდის განხილვისას იგი აშკარა სინანულით აბობდა: „ჩვენდა სამწუხაროდ, ეს სცენა ავტორისაგან გამოსახული, ისე ნამდვილია და მართალი, რომ იოტის წონაც არ ურევია მომატება".[55] ეს სიტყვები მკაფიოდ მოწმობენ, თუ რა ახლოს მიჰქონდა გულთან კრიტიკოსს ყმების ბედი, როგორ არ სურდა სინამდვილე ყოფილიყო ისეთი, როგორიც იყო.

„სურამის ციხის" ღრმა იდეურ ანალიზთან ერთად ა. ფურცელაძემ თავის კრიტიკულ სტატიაში მოგვცა მოთხრობის საკმაოდ ვრცელი მხატვრული დახასიათებაც. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს იგი პერსონაჟთა ხასიათებს. მის შეხედულებას, რომ დურმიშხანსა და სხვა მოქმედ პირებს, გარდა გულისვარდისა, აკლდათ ინდივიდუალიზაცია, ჩვენ უკვე გავეცანით. ეს არ იყო საფუძვლიანი შეხედულება და ლიტერატურულმა კრიტიკამ იგი სავსებით მართებულად გაიზიარა. დაწვრილებით ამ საკითხს ერთ-ერთი პირველი შეეხო ფ. მახარაძე თავის წიგნში „დანიელ ჭონქაძე და მის დრო". მკვლევარი მართალია, როცა უარყოფს „სურამის ციხის" პერსონაჟთა ხასიათის იგივეობას და აკრიტიკებს ა. ფურცელაძის დებულებას — „არ არის მიზეზი, რომ ერთმა მეორეს როლი არ ასრულოს".[56] ფ. მახარაძე წერს: „ოსმან-აღის მოქმედებაში

54 ქრესტომათია, I, გვ. 294.
55 იქვე, გვ. 293.
56 იქვე, გვ. 300.

არ არის ისეთი რამ, რაც მის ბუნებას, მის ძირითად ხასიათს ეწინააღმდეგებოდეს. იგი ვერასოდეს ვერ გასწევდა დურმიშხანობას, როგორც ეს უკანასკნელი ვერ გასწევდა ოსმანაღობას".[57] ეს სწორია, მაგრამ ა. ფურცელაძე თავისი დებულების ნათელსაყოფად ასახელებს არა ოსმან-აღასა და დურმიშხანს, არამედ ოსმან-აღას ბატონსა და ზურაბს. მაშასადამე, მკვლევარსაც უპირველეს ყოვლისა ამ მაგალითის მცდარობა უნდა დაემტკიცებინა. მაშინ მისი მსჯელობა უფრო დამაჯერებელი იქნებოდა.

განსაკუთრებით ვრცლად არჩევს ა. ფურცელაძე ვარდოს ხასიათს. მას მოსწონს ამ პერსონაჟის ნებისყოფის სიმტკიცე, ის შეუპოვრობა და მოთმინება, რასაც გულისვარდი იჩენს დასახული მიზნის შესრულებაში. ოცი წელიწადი ელოდა იგი იმ დღეს, როცა სამაგიეროს მიუზღავდა დურმიშხანს, რომელმაც უხეშად ფეხქვეშ გათელა მისი უმანკო სიყვარული და ადამიანური ღირსება. ეს დღეც დადგა და... ვარდო შეყოყმანდა, იგი შეაძრწუნა განაზრახის სისასტიკემ. მის არსებაში ერთმანეთს შეეჯიდნენ ჩვეულებრივი ადამიანური სიბრალული და ზღვევის დაუოკებელი წადილი. გრძნობათა ამ ჭიდილში, მართალია, სინდისის ქენჯნით, მაგრამ მაინც ზღვევის გრძნობა იმარჯვებს — ვარდომ იმსხვერპლა უდანაშაულო ზურაბი და ამით გააუბედურა თავისი შემარცხვენელი, მოღალატე დურმიშხანი. ბოროტება დასჯილ იქნა, სხვათა უბედურებაზე აშენებული ბედნიერება — დანგრეული და ამით ამართლებს კრიტიკოსი გულისვარდის სისასტიკეს.

– მეტად საინტერესოა პარალელი ვარდოსა და შექსპირის ლედი მაკბეტს შორის. ა. ფურცელაძის აზრით, გრძნობათა ჭიდილი, რაც წინ უძღოდა ზღვევას, წარმოუდგენელია ლედი მაკბეტში, მაგრამ სავსებით ბუნებრივია ვარდოში. ლედი მაკბეტი „იყო უსინდისო და შეუბრალებელი, იყო კიდეც საშინელი ანგაარი და დიდების მოყვარე დედაკაცი; ამისათვის ის არა ბოროტებაზედ არ შეძრწუნდებოდა. მაგრამ ვარდო იყო ძრიელის სინდისის პატრონი და ამისათვის ბრკოლდებოდა თავის ზღვევის ასრულებაზედ".[58] ასევე ფრიად საგულისხმოა. ვარდო–

57 ფ. მახარაძე, თხზ. ტ. V, 1926, გვ. 185.
58 ქრესტომათია, I, გვ. 298.

სა და მაკბეტის სულიერი მდგომარეობის შედარება-ანალიზი. ეს ორი, ხასიათით სრულიად განსხვავებული, პერსონაჟი ზუსტად ერთსა და იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდება — ერთმა მეფე უნდა მოკლას, ხოლო მეორემ მოღალატე მიჯნურის შვილი ისმხვერპლოს, რათა განაზრახი შეისრულონ, მაგრამ არც ერთს არ სურს ასეთი მძიმე ცოდვა ჩაიდინოს. ეს ორივეში იწვევს სინდისის ქენჯნასა და სულიერ ტკივილებს. „ამ ორთაველში ჰხდება, — წერს ა. ფურცელაძე, — ერთრიგი კოლიზია, ერთრიგი ბრძოლა ორის წინააღმდეგის გრძნობისა; მაგრამ, რათგან თავის სურვილის წინააღმდეგ მაკბეტი დგება სისხლში და ვერ ერევა იმ შემთხვევაებსა, რომლითაც არის შემოზღუდული, ამის გამო აქ აშკარათ გვიჩვენებს შექსპირი კაცის სისუსტეს და უხასიათობას. მაკბეტი ერევა ცოდვაში მხოლოდ ცოლის წაქეზებით და იმის დაძალებით, მაგრამ ვარდოში ჩვენ ვხედავთ წინააღმდეგსა, იმას თუმცა სინდისიც სტანჯავს, სიბრალულიც დიდი აქვს, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლის და არ ემონება შემთხვევაებსა და მდგომარეობას, რომელშიაც გრძნობა სინიდისისა და სიბრალულისა აყენებს; იმის სურვილია — ზღევა; იმის ხასიათი არის მიმართული საშინელი ზღვისაკენ და ვარდო ამ ძალით ჰსძლევს ყოველს სხვა გრძნობას, და ამითი რჩება მტკიცეთ თავის ხასიათზე“.[59]

ვარდოს ხასიათის ასეთი ღრმა, საფუძვლიანი ანალიზი, რომელშიც უთუოდ გამოჩნდა ავტორის უტყუარი კრიტიკული ნიჭი და ალღო, შემთხვევითი როდი იყო. ა. ფურცელაძე მიზნად ისახავდა ცხადეყო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისყოფის სიმტკიცეს დასახული მიზნის შესრულებისათვის ბრძოლაში. ადამიანი მარცხდება, როგორც დამარცხდა მაკბეტი, როცა იჩენს ხასიათის სისუსტეს, მაგრამ იმარჯვებს და სასურველ მიზანს აღწევს, როგორც ვარდო, როცა არავითარ განსაცდელს, თვით სიკვდილსაც კი არ უფრთხის, როცა იჩენს ნებისყოფის სიმტკიცესა და იმუშავებს ძლიერ ხასიათს. რომ მართლაც ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში კრიტიკოსს, როდესაც ასე დაწვრილებით განიხილავდა ვარდოს ხასი-

59 იქვე, გვ. 299.

ათს, ჩანს მის სტატიაშიც „შეუსრულებელი სურათი“ და მოთხრობაშიც „სამის თავგადასავალი“, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

„სურამის ციხის“ ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად ა. ფურცელაძეს მიაჩნდა ცუდი, არეული რუსულ-ქართული ენა. „ენისაკი უნდა მოგახსენოთ, — წერდა კრიტიკოსი, — რომ ასე უკაცრავად არავინ გახლავსთ ენაში, როგორც ჭონქაძე. კაცი რომ კითხულობს, ჰგრძნობს ამ თხზულების სიმაღლეს, მაგრამ ენა თავისი შეუმუშავებლობით კაცს გულს ურევს. ერთი სიტყვით ენაშიკი ჭონქაძე ვერ წაუვიდა რჩეულოვსა და თითქმის რჩეულოვი კიდეცა სჯობიან. გარდა ამისა, ჭონქაძე ყოველს მოქმედს პირს ალაპარაკებს იმ რუსულ-ქართულა ენით, რომელსაც თვითონა ხმარობს და ეს ნაკლებულებაა ავტორისა“.[60]

დებულება, თითქოს დ. ჭონქაძე წერდა რუსულ-ქართული ენით, მთლიანად გაიზიარა ფ. მახარაძემ XX საუკუნის დამდეგს და თავის მხრივ დასძინა, რომ „მისი (დ. ჭონქაძის — შ. ქ.) ქართული ძველი საეკლესიო ენას მოგვაგონებს, ვიდრე ჩვეულებრივ ქართულს, რომელზედაც ხალხი ლაპარაკობს. თუმცა ალაგ-ალაგ ეტყობა, რომ ავტორს უცდია ხალხური კილო ეხმარა, მაგრამ რუსულ-ქართულის გვერდით, ეს რაღაც შეუხამებელია და კიდევ უფრო ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე“.[61] ამრიგად, ფ. მახარაძემ ძველთან ერთად ახალი ბრალიც დასდო დ. ჭონქაძეს. სხვათა შორის, აქვე მან საჭიროდ მიიჩნია ასეთი შენიშვნა გაეკეთებინა: „საკვირველია, ა. ფურცელაძეს, რომელიც ამავე ნაკლულევანებას უსაყვედურებდა დ. ჭონქაძეს, იმავე წერილში ბევრათ უფრო ატყვია რუსული ენის ზეგავლენა, არა მარტო ფრაზების შედგენაში, არამედ რუსული სიტყვების ხმარებაშიაც. თქვენ იქ გხვდებათ მაგ., ასეთი სიტყვები: „ხუდოჟნიკი“, „უვი“, „ბურანი აპატიისა“ და მრ. სხვ.“.[62]

დ. ჭონქაძის ენის საკითხი ვრცლად განიხილა პროფ. გ. ჯიბლაძემ სტატიაში „დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ და დამჯერებლად ცხადყო ა. ფურცელაძის (აგრეთვე ამ საკით-

60 იქვე, გვ. 302
61 ფ. მახარაძე, თხზ., ტ. V, 1926, გვ. 187.
62 იქვე.

ხში მის თანამოაზრეთა) შენიშვნის უსაფუძვლობა. მკვლევარის სიტყვით, ჯერ ერთი, ა. ფურცელაძეს მორალური უფლება არ ჰქონდა დ. ჭონქაძისათვის ენა დაეწუნებინა, რადგან თვითონ უფრო მეტადაც კი ხმარობდა „რუსულ-ქართულა“ სიტყვებს და საერთოდ მისი ენა „უფრო მანკიერია, ვიდრე დანიელ ჭონქაძისა, პირველის წერილები და მოთხრობები უფრო მძიმედ იკითხება, ვიდრე „სურამის ციხე“.[63] მეორეც. ჩვენამდე არ მოღწეულა „სურამის ციხის“ ავტოგრაფი და დარწმუნებით არ შეგვიძლია ვთქვათ, როგორი იყო მისი პირვანდელი სახე, „რა შესწორებები შეიტანა ახალგაზრდა მწერლის პირველ ნაწარმოებში“[64] ჟურნალის რედაქციამ. საფიქრებელია, რომ რედაქტორმა ი. კერესელიძემ „სურამის ციხე“, რამდენადმე მაინც; დაუქვემდებარა ჟურნალის „რუსულ-ქართულა ენას, რომელიც იმ დროს მოდაში იყო. ასეა თუ ისე, „სურამის ციხე“ ენის მხრივ არ იმსახურებს რაიმე განსაკუთრებულ საყვედურს. პირიქით, მოთხრობის ენა სადა და ხალხურია, რამაც „საინტერესო შინაარსთან ერთად, ხელი შეუწყო „სურამის ციხის“ დიდ პოპულარობას მკითხველთა ფართო ფენებში“.[65] რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს დ. ჭონქაძის ენა უნაკლო არის. „მთავარი ნაკლი, რაც ჭონქაძის ენას ახასიათებს, ისაა, რომ სიტყვების დიდი ნაწილი მორფოლოგიურად გამართული არ არის; უკეთეს მდგომარეობაშია სინტაქსი, თუმცა ზოგიერთი ნაკლი ამ მხრივაც შეინიშნება“.[66] მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ჭონქაძის „ენა არ არის არც არქაული, არც დიალექტებითა და ჟარგონებით აჭრელებული“ და „კი არ ეწინააღმდეგება, არამედ, პირიქით, თითქოს ერთგვარად მაუწყებელია თავისი ხალხურობით, სისადავითა და სინტაქსით მომავალი ახალი სალიტერატურო ქართული ენისა“.[67]

---

63 გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, II, 1955, გვ. 279-280.
64 იქვე, გვ. 278.
65 იქვე, გვ. 280.
66 იქვე.
67 იქვე.

ვერ გავიზიარებთ ა. ფურცელაძის ვერც იმ დებულებას, რომ დ. ჭონქაძე თითქოს ბუნების სუსტი მხატვარი იყო, ამასთან მის მსჯელობაში შეინიშნება ერთგვარი წინააღმდეგობა. ჯერ იგი აცხადებს, რომ „ბუნების გამოხატვა სრულებით არ მოსდის ჭონქაძეს: ის ვერ აძლევს მხატვრობას იმ სისრულეს, რომელიც შეჰფერობს რიგიანს ხელოვნებას“,[68] ხოლო შემდეგ თვითონ მოჰყავს „სურამის ციხის“ ის ეპიზოდი, სადაც აღწერილია დურმიშხანის შესვენება ძეგვთან, და წერს: „ესე ყოველივე კარგია, — დაატკბობს და გაგიტაცებთ თავისი სიმშვენიერებით, პოეზიით და სიცოცხლის ბრუნვით“.[69] მართალია, ა. ფურცელაძეს მაინც არ აკმაყოფილებს ძეგვის მხატვრული აღწერა და მეტ „სისრულეს“ მოითხოვს, მაგრამ ფაქტია, რომ იგი აღიარებს მწერლის ნიჭს და ამ მხრივ სხვებზე მაღლაც კი აყენებს მას. „...თუმცა ამ შენთხვევაში სრული არ არის ჭონქაძის კალამი, — წერდა იგი, — მაგრამ ამითაც მაღლა სდგას სხვა ავტორების თხზულებაებზე“.[70]

შესაძლებელია, ა. ფურცელაძეს არც სურდა ასე მკაცრად მოპყრობოდა დ. ჭონქაძეს, როგორც მხატვარს, მაგრამ იძულებული იყო ანგარიში გაეწია უკმაყოფილო „მამებისათვის“, რომლებიც ყოველმხრივ იწუნებდნენ „სურამის ციხეს“. მათი ზეგავლენის შედეგი უნდა იყოს ისიც, რომ „ცისკრის“ აპრილის ნომერში კრიტიკოსი იძულებული იყო კორექტურულ შეცდომად გამოეცხადებინა გამოთქმა „სდგას (სურამის ციხე“) უმაღლეს ხარისხზედ“ და შეესწორებინა იგი ასე: „სდგას რიგიანს ხარისხზედ“.

ასეთია ა. ფურცელაძის პირველი ვრცელი ლიტერატურულ-კრიტიკული სტატია, რომელიც მუდამ საპატიო ადგილს შეინარჩუნებს ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიაში, მიუხედავად ზოგიერთი თვალსაჩინო ხარვეზისა.

---

68 ქრესტომათია, I, გვ. 301.

69 იქვე.

70. იქვე, გვ. 302.

ილია ჭავჭავაძე ა. ფურცელაძის ლიტერატურულ კრიტიკაში

ანტონ ფურცელაძის მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ლიტერატურულ-კრიტიკული სტატია „კაცია, ადამიანი მოთხრობა მ. ჯიმშერაძისა" თავისი შესავლით აგრეთვე მიმართულია ბატონყმობის, როგორც სოციალური ინსტიტუტის, წინააღმდეგ. და, მიუხედავად ნიჰილიზმის საკმაოდ ძლიერი ნაკადისა, წარმოადგენს ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული კრიტიკის ერთ-ერთ თვალსაჩინო მიღწევას.

სტატიის უპირველესი ღირსება ის არის, რომ კრიტიკოსი მასში აღძრავს ეპოქის ყველაზე მწვავე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრობლემებს და წყვეტს მათ რევოლუციონერი დემოკრატის თვალსაზრისით. მისთვის „კაცია ადამიანი?!" ერთი დეგენერატი თავადის — ვინმე ლუარსაბ თათქარიძის უფერული ცხოვრების მხატვრული ისტორია კი არ არის, ფართო სოციალური ტილოა, რომელიც საზოგადო სენს გამოხატავს, საზოგადო ჭირს ასახავს. „ლ უ ა რ ს ა ბ ე ბ ი, — წერდა ა. ფურცელაძე, — ი ს ე თ ი ტ ი პ ე ბ ი ა რ ი ა ნ, რ ო მ ლ ე ბ ზ ე დ ა ც ა ღ ბ ე ჭ დ ი ლ ი ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს გ ო ნ ე ბ რ ი ვ ი დ ა ზ ნ ე ო ბ რ ი ვ ი ხ რ წ ნ ა დ ა ლ პ ო ბ ა..."[71]

თავისი სტატიის ამ ძირითად თეზისს ა. ფურცელაძე ბრწყინვალედ ასაბუთებს ლუარსაბ თათქარიძის მხატვრული სახის ღრმა, ყოველმხრივი ანალიზით და მოთხრობის ავტორთან ერთად გადაჭრით გმობს ბატონყმობას, როგორც ისეთ სოციალურ წყობილებას, რომელიც ნერგავს პარაზიტიზმს, მუქთამჭამელობას, რყვნის ადამიანებს და ართმევს მათ კაცურ ღირსებებს.

აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ლუარსაბს არ ჰქონდეს ამოდენა მამული, არ ჰყავდეს ყმები, რომლებიც მის მაგივრად ოფლს აქცევენ ვენახებსა და ყანებში, შეძლებდა თუ არა მაშინ იგი ასე უზრუნველად ეცხოვრა, ეცხოვრა ისე, რომ თითიც კი არ გაენძრია? რა თქმა უნდა, ვერ შეძლებდა. მაგრამ ბატონყმობამ ლუარსაბს შეუქმნა ისეთი პირობები,

71 ჭრესტომათია, I, გვ. 379.

რომ ცხოვრება მისგან არ მოითხოვდა არც გონებრივ და არც ფიზიკურ გარჯას. ყველაფერი, რაც კი სურდა, უხვად მოსდიოდა, როგორც ზღაპარში ნატვრის თვალის ნებით. ამავე დროს საზოგადოებამ იგი გამსჭვალა შეგნებით, რომ „მებატონეს არ ეკადრება რაიმეს კეთება, რომ იგი იმისათვის არის მემამულე, რომ ცხოვრობს სხვისი შრომითა და ოფლით და, რომ იგი მზამზარეულით უნდა სარგებლობდეს“.[72] ლუარსაბიც მთელი დღეები საწოლში ნებივრობდა, მხოლოდ ჭამდა და სვამდა — სხვა არაფერი აინტერესებდა.

ეს სრულ უფლებას აძლევდა კრიტიკოსს დაესკვნა, რომ ცხოვრებისა და აღზრდის ასეთი პირობები, ე. ი. ბატონყმობა იყო „თათქარიძეების ფიზიკური და ზნეობრივი დაცემის მთავარი მიზეზი“.[73]

ანტონ ფურცელაძემ სწორად შენიშნა, აგრეთვე, რომ ლუარსაბები არათუ თვითონ არ შრომობდნენ, სხვა მემამულეთავადთა შრომასაც კი თაკილობდნენ. „მათი უმოძრაო ბუნება, — წერდა კრიტიკოსი, — მხოლოდ იმ შემთხვევაში გაღიზიანდება, როცა რომელიმე მათი მსგავსი წარმოშობის მჭონე ბატონი დაიწყებს საქმიანობას, ე. ი. ლუკმას საკუთარი შრომით მოიძევს“.[74] თავისი დებულების ნათელსაყოფად კრიტიკოსი მკითხველს მოაგონებს ლუარსაბის აღშფოთებას, როცა ელისაბედისაგან შეიტყობს, რომ თავად ლევანს ყმები ქირაზე გაუგზავნია და საერთოდ საკუთარ მამულს თვითონ განაგებს. აქედან ცხადია, თუ რას გულისხმობდა კრიტიკოსი თავადის შრომაში, როგორ ესმოდა მას თავადის მიერ საკუთარი შრომით ლუკმის მოპოვება.

ამ მომენტს ჩვენ იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიაში გაჩნდა შეხედულება, თითქოს ა. ფურცელაძე უარყოფდა ექსპლოატაციის არსებობას ძველ საქართველოში. ამის საბუთად ჩვეულებრივ იყენებენ კრიტიკოსის დებულებას იმის თაობაზე, თუ რით განსხვავდებოდნენ თათქარიძეები თავისი წინაპრებისაგან: „თქვენი წინაპრები, — მიმართავდა ა. ფურცელაძე თათქარიძეებს, — თქვენ-

72 იქვე, გვ. 378.
73 იქვე.
74 იქვე.

ზედ უკეთესები იყვნენ და იცოდნენ, თუ რა ესაჭიროებოდათ და რა უნდა სცოდნოდათ თავის პირობებში. ისინი არ მუქთახორობდნენ, ისინი თავისი შრომით ცხოვრობდნენ და თქვენებურად არ აპარტახებდნენ უბედურ, უპატრონო გლეხობას".[75] განიხილავს რა ამ დებულებას, ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარი პროფ. ი. ბოცვაძე წერს: „ცხადია, სასტიკად სცდებოდა ა. ფურცელაძე, როდესაც ფიქრობდა, თითქოს თათქარიძეთა წინაპრები თავისი შრომით ცხოვრობდნენ. ისტორიამ არ იცის შემთხვევა, რომ ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის პირობებში თავადაზნაურობას საკუთარი შრომით ეცხოვრა. მართალია, შეიძლება ისინი თათქარიძეების მსგავსად არ აპარტახებდნენ უბედურ, უპატრონო გლეხობას, მაგრამ ექსპლოატაციის ფორმები ვითონ საგრძნობლად უხეში იყო".[76] რასაკვირველია, მკვლევარი სწორად მსჯელობს და მის დასკვნას პარალოგიზმად ვერ ვიჩნევთ, რამდენადაც გამოთქმა „თავისი შრომით ცხოვრება" ისევე ესმის, როგორც ყველა ჩვენგანს დღეს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რას გულისხმობდა თვითონ ა. ფურცელაძე თავადის „თავისი შრომით ცხოვრებაში", მაშინ მდგომარეობა, ვფიქრობთ, შეიცვლება. ჩვენი აზრით, კრიტიკოსი უბრალოდ იმას ამბობს, რომ ძველად თავადები თვითონ უძღვებოდნენ საკუთარ მეურნეობას, ყმებს, მონაწილეობდნენ საზოგადოების ცხოვრებაში, ე. ი. თათქარიძეებისაგან განსხვავებით, რაღაცას აკეთებდნენ, საქმიანობდნენ, თავისი დიდი თუ მცირე წვლილი შეჰქონდათ მატერიალურ წარმოებასა თუ სულიერ ცხოვრებაში. ეს არის და ეს.

მეორე მხრივ, საკითხავია — რად დასჭირდა ა. ფურცელაძეს თათქარიძეთა შედარება წინაპრებთან, ძველი დროის მემამულე-თავადებთან?

მხოლოდ იმიტომ, რომ დაემტკიცებინა ბატონყმობის დრომოჭმულობა, დაემტკიცებინა, რომ ბატონყმობა უკვე შევიდა ისეთ ფაზაში, როცა იგი ფიზიკურად და ზნეობრივად რყვნის თვით გაბატონებულ კლასს, როცა

75 იქვე, გვ. 377.
76 ქრესტომათია, ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, 1957, გვ. 24.

უკვე სასხვერპლად იწირავს თვით მემამულე თავადებს. მიმდინარეობდა თათქარიძეობების ოსმოსი მთელ თავადაზნაურულ წოდებაში და, რაც დრო გადიოდა, შეღწევის ტემპი სულ უფრო ძლიერდებოდა. „თათქარიძევშჩინა“, უმთავრესად როგორც პარაზიტიზმი, იღებდა არა მარტო მცონარობის, სიზარმაცის, არამედ სხვა, კიდევ უფრო საშიშ ფორმებს. სახელდობრ, თათქარიძეობის ნაირსახეობად მიაჩნდა კრიტიკოსს დათიკოების მსგავს მებატონეთა ცხოვრება. „არიან კიდევ სხვაგვარი ლუარსაბ თათქარიძეები, — წერდა იგი, — უსაქმური და უაზრო ცხოვრებისაგან ისინი იძლევიან ყველაზე საზიზღარსა და ჭუჭყიან გარყვნილებას. ყოველი წმინდა ადამიანური უფლება იქცლება მათ მიერ“.[77]

რომ უკეთ გავერკვეთ ა. ფურცელაძის კრიტიკული წერილის ძირითად იდეაში, ვნახოთ, რა უმთავრეს თვისებებს გამოყოფს იგი ლუარსაბ თათქარიძის ხასიათში.

კრიტიკოსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ცხოვრებისა და აღზრდის პირობების გამო ლუარსაბი მიეჩვია „საზიზღარ აღმოსავლურ სიზარმაცეს“.[78] ამის შედეგად ლუარსაბი მოიცვა აპათიამ, მთლიანად მოწყდა საზოგადოებრივ ცხოვრებას და აინტერესებს მარტო თავისი, როგორც ცოცხალი არსების, ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ე. ი. პირუტყვამდე დაქვეითდა. განდგომილნი საზოგადოებისაგან, თათქარიძეები იძირებიან თავისებურ ნირვანაში, იცლებიან გრძნობებისაგან. „არავითარი ადამიანური ტანჯვა მათ სულს არ შეძრავს, ირგვლივ არსებული წრის არავითარი უხამსობა მათ სინდისს არ ააღელვებს; ვერავითარი უსამართლობა ვერ აღწევს მათ გულებამდე“.[79] რა უნდა ყოფილიყო უფრო საშინელი ლუარსაბისათვის, ვიდრე ხმები, ბატონყმობა უქმდებაო, მაგრამ ამ ხმებმაც კი მხოლოდ წამიერად შეანძრია იგი. ეს საფუძველს აძლევს ა. ფურცელაძეს დაასკვნას, რომ თვით „ძლიერი შერყევაც კი ვერ გამოატრიალებდა“ თათქარიძეების ტვინს და რომ „ყველაფერი შემოზღუდულია

77 ჭრესტომათია, I, გვ. 376.

78 იქვე.

79 იქვე, გვ. 375-376.

ქათმის აზროვნებით".[80] არა აქვთ რა ცოდნა, თათქარიძეებს არც სურთ შეიძინონ იგი და, კაცმა რომ თქვას, არც ესაჭიროებათ. უცოდინარობისა და „გონებრივ შესაძლებლობათა... მონურ ვითარებაში" ისინი ადვილად ეძლევიან „სხვადასხვა საერთო და კასტურ ცრუ აზრებს".[81] ყველაზე მავნე კასტური ცრუ აზრი, რომელსაც ლუარსაბი ემონებოდა, როგორც უკვე დავინახეთ, ის არის, რომ „მებატონეს არ ეკადრება რაიმეს კეთება". გარდა ამისა, მას სწამს ხატის რისხვა, მკითხაობა და სხვა საერთო ცრურწმენაც. ოსმან-აღას ბატონებთან შედარებით თათქარიძეები „სულით კეთილნი არიან. მაგრამ ეს სიკეთე მოსდით არა შეგნებით... არამედ, სიზარმაცისაგან და სულიერი აპატიისაგან".[82]

ამრიგად, პარაზიტული ცხოვრების შედეგად ლუარსაბებს არ შერჩენიათ ჭეშმარიტი კაცური ღირსებები, მოკლებული არიან არათუ ამაღლებულ, ელემენტარულ სულიერ ინტერესებსაც კი და თითქმის არაფრით განირჩევიან პირუტყვისაგან. „რაკი ასეთი უაზრო და საზიზღარი შეგნებით ცხოვრობენ, — წერს ა. ფურცელაძე, — და რაკი თავში ნათელი და ფხიზელი აზრის ნაპერწკალი არ უღვივით, იმიტომ, გადაქცეულან უხეშ ცხოველებად და, მართალია, ხასიათი მათი ბოროტი არ არის, მაგრამ უაღრესად საზიზღარი და უაზროა".[83]

დიახ, უაღრესად საზიზღარი და უაზროა, და მთელი სტატიის მანძილზე ა. ფურცელაძე ყველგან ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამაში ბრალი აქვს მხოლოდ ბატონყმობას, რომ თათქარიძეები მსხვერპლი არიან ამ საზოგადოებრივი წყობილებისა ისევე, როგორც ის ყმები, რომლებსაც აიძულებენ დღედაღამ იშრომონ, ოფლი ღვარონ, თვითონ მოიკლონ, რათა უსაქმური თავადების მთელი ხროვა — ხალხის ეს ნამდვილი პარაზიტები მატერიალურად უზრუნველყონ. „გვაროვნულმა საკუთრებამ (ე. ი. ბატონყმობამ — შ. ჭ.). მრავალი ბოროტება შესძღვნა ადამიანს, მრავალი სიცოცხლე მოწამლა მან და არა ერთი თათქარიძე ეწამება მისი წყალობით; ეწამებიან ადამიანები,

80 იქვე, გვ. 380.
81 იქვე, გვ. 377.
82 იქვე.
83 იქვე, გვ. 378-379.

რომელნიც თავისი ქონების უკანასკნელი ნამცეცებით იძულებულნი ხდებიან შეინახონ ისინი; ეწამებიან არა მხოლოდ თათქარიძეებისაგან, არამედ მდიდარ მუქთამჭამელთა მთელი წოდებისაგან. ღარიბები დღითიდღე უფრო და უფრო ღარიბდებიან და ნადგურდებიან".[84]

კრიტიკოსის ამ სიტყვებში კონდესირებულია სტატიის მთელი აზრი, მისი დანიშნულება, მისი რევოლუციურ-დემოკრატიული შინაარსი.

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძემდე ბატონყმობაზე იერიში მიიტანა დ. ჭონქაძემ და თვალნათლივ გვიჩვენა, თუ რა უბედურებაა იგი ყმებისათვის, როგორ აქცევდა იგი მშრომელ ადამიანებს ნივთად, ყიდვა-გაყიდვის საგნად, როგორ აქვეითებდა პირუტყვის დონემდე. ამით „სურამის ციხის" ავტორი ცხადყოფდა, რომ ბატონყმობა, როგორც ანტიხალხური წყობილება თავისი გაუგონარი სისასტიკით, მხეცური წესკანონებითა და მორალით, ღირსია მოსპობისა, ხოლო ის, რაც ღირსია მოსპობისა, კიდეეაც უნდა მოისპოს.

ილია ჭავჭავაძის მოთხრობასაც „კაცია ადამიანი?!" ამ დასკვნამდე მიჰყავდა მკითხველი, მაგრამ სულ სხვა გზით. დიდმა ქართველმა მწერალმა ბატონყმობას შეხედა ახალი კუთხით და ეს ანტიხალხური სოციალური წყობილება დაგვანახა მეორე, თავადაზნაურობის მხრიდან. ბატონყმობა ხომ უბედურება იყო და იყო ყმებისათვის, მაგრამ რას წარმოადგენდა იგი ბატონებისათვის? აი რა პრობლემა აინტერესებდა ილია ჭავჭავაძეს და შეუდარებელი მხატვრული ძალით ცხადყო, რომ ბატონყმობა უბედურება გახდა თვით ხალხის მჩაგვრელი ბატონებისათვისაც კი. უბედურება გახდა იმდენად, რამდენადაც წარმოშობდა თათქარიძეებს და მათ მსგავს პარაზიტებს, ამ ცოცხალ ლეშებს, რომლებსაც კაცურ ღირსებათა ნატამალიც კი აღარ ჰქონდათ. აქ არ შეიძლება არ წამოიჭრას კითხვა: რა აზრი, რა გამართლება აქვს იმ საზოგადოებრივი წყობილების არსებობას, რომლისგანაც ეწამებიან ჩაგრულე-

84 იქვე, გვ. 376 (ხაზგასმა ჩემია — შ. ქ.).

ბიც და მჩაგვრელებიც, განა ცხადი არ არის, რომ მან თავისი დრო მოსწამა, თავისი თავი ამოსწურა?

ანტონ ფურცელაძემ შენიშნა ილია ჭავჭავაძის მოთხრობის ეს თავისებურება და თავისი სტატია მთლიანად მასზე ააგო. იგი ამტკიცებს, რომ არა მარტო ლუარსაბი, მოთხრობის დანარჩენი პერსონაჟებიც ბატონყმური ურთიერთობის მხსვერპლი არიან, რომ მათ შეეძლოთ სარგებლობა მოეტანათ, ცხოვრებისა და აღზრდის სხვა პირობები რომ ჰქონოდათ. აი თუნდაც დარეჯანი, ლუარსაბის მეუღლე. განა ისიც ბატონყმობის მსხვერპლი არ არის? ან ელისაბედი? ან სხვები?

განსაკუთრებით ვრცლად განიხილავს კრიტიკოსი დარეჯანის მხატვრულ სახეს, ადარებს მას, ერთი მხრივ, ლუარსაბ თათქარიძეს, ხოლო მეორე მხრივ, ცხოვრებისეულ დარეჯანებს და მათ შორის არცთუ უმნიშვნელო განსხვავებას ხედავს. იგი აღიარებს, რომ ილია ჭავჭავაძე მართალია, როცა დარეჯანს ხატავს ლუარსაბის მსგავსად, რომ დარეჯანში მართლაც ბევრია თათქარიძისეული, მაგრამ მთლიანად მაინც არ იზიარებს მის პოზიციას (სხვათა შორის, ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა კრიტიკოსი არ ეთანხმება ავტორს მხატვრული სახის გახსნაში). ა. ფურცელაძე ფიქრობს, რომ ილია ჭავჭავაძეს შეგნებულად არ სურს დაინახოს განსხვავება დარეჯანსა და ლუარსაბს შორის და ამიტომ თითქოს ცდილობს „დარეჯანის პიროვნება დაჩრდილოს და იგი უსახოდ, მკვდარად გამოიყვანოს, კარგი მონაცემებისა და გონების გარეშე“.[85]

მაინც რაში ხედავს ა. ფურცელაძე დარეჯანის მხატვრული სახის ნაკლს, მისი პიროვნების დაჩრდილვის ცდას? „პირველად რომ დავუკვირდებით დარეჯანის დამახასიათებელ მონაცემებს , წერს იგი, — ბევრ კარგ საწყისს, ბევრ სიცოცხლეს, ბევრ ენერგიას, ბევრ სიკეთესაც კი ვნახავთ. მოთხრობაში დარეჯანი ასეთი აღარ არის“.[86] მაგრამ ეს ხომ ასედაც უნდა ყოფილიყო არა მარტო მოთხრობის მხატვრული განვითარების ლოგიკით, თვით კრიტიკოსის მტკიცებითაც. განა თვითონ არ წერს ამავე სტატიაში, რომ „საჭიროა განმარტე-

85 ქრესტომათია, I, გვ. 382.

86 იქვე.

ბის ძიება, რატომაა რომ ქართველ ქალებში აღარ ვხვდებით მას, რითაც ისინი განსხვავდებოდნენ ბავშვობაში, არამედ, მეტ ნაწილად ვხვდებით ჯიმშერიძისეული დარეჯანების ტიპიურ თვისებათა სიჭარბეს".[87] მაშასადამე, მოთხრობაში სწორად ყოფილა ასახული მოვლენა — ბავშვობაში დარეჯანები სხვანი არიან, ხოლო მოწიფულობაში ისეთნი, როგორც ილია ჭავჭავაძემ გვიჩვენა. აქ. ა. ფურცელაძის მსჯელობაში მართლაც შეინიშნება წინააღმდეგობა, როგორც მართებულად შენიშნავს პროფ. ი. ბოცვაძე.[88]

ასევე უსაფუძვლოა ა. ფურცელაძის მტკიცება, თითქოს „მოთხრობის ავტორმა ვერ შესძლო რელიეფურად გამოეკვეთა ეს ტიპი და მგონი კიდეც გაურბოდა მის დაწვრილებით განხილვას". საოცარია, რომ კრიტიკოსი ამას ამბობს დარეჯანზე, რომელიც ერთი უსრულყოფილესი მხატვრული სახეა არა მარტო მოთხრობაში, მთელ ქართულ ლიტერატურაშიც! მართალია, თავისი პოზიციის გასამართლებლად იგი იქვე შენიშნავს, თუმცა ილიამ ვერ შეძლო „რელიეფურად გამოეკვეთა" დარეჯანის ტიპი, მოთხრობაში „მაინც ისეთ რამეებს ვხედავთ, რაც გადაკრულად მაინც გვაცნობს დარეჯანების პიროვნებასა და ხასიათსო".[89] მაგრამ განა ეს სწორია, განა დარეჯანის პიროვნებას, მის ხასიათს დიდი ილია მხოლოდ „გადაკრულად" გვაცნობს და არა დაწვრილებით და ყოველმხრივ? არა, აქ ნამდვილად უღალატა კრიტიკულმა ალღომ ა. ფურცელაძეს.

ამ აშკარა მარცხის მიუხედავად, ა. ფურცელაძე შესანიშნავად აანალიზებს დარეჯანის ხასიათს და დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ იგი ბატონყმური ურთიერთობის ისეთივე მსხვერპლია, შეიძლება გაცილებით უფრო მეტადაც, ვიდრე ლუარსაბი. კრიტიკოსის თქმით, დარეჯანში „მეტია სასიცოცხლო ელემენტი", მასში „არის მოთხოვნილება რაღაცის კეთებისა", არის ენერგია და „გონებრივი შესაძლებლობაც არც თუ... ცოტა გააჩნია!"[90] ყველა ამ თვისებით იგი განსხვავდება

87 იქვე, გვ. 384.

88 ჭრესტომათია, ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, 1957, გვ. 26.

89 ჭრესტომათია, I, გვ. 382.

90 იქ ვე.

ლუარსაბისაგან, მაგრამ საზოგადოებისათვის მაინც უსარგებლოა და ისეთივე ზედმეტი ბარგი, როგორც მისი ბრწყინვალე მეუღლე. უსარგებლოა, რადგან დარეჯანი თავის კარგ მონაცემებს უაზროდ ფლანგავს, ხოლო გონებრივ შესაძლებლობას — ლუარსაბთან კამათში, რომლის კონტრავერზა ისეთი „უმნიშვნელოვანესი“ პრობლემაა, როგორიცაა საკითხი — ჩიხირთმა სჯობს თუ ბოზბაში, ან რამდენი ბუზია ჭერზე.

რატომ მოხდა ასე, რატომ გადაიქცა ცოცხალი, ენერგიით სავსე და გამჭრიახი, გონებამახვილი დარეჯანი ლუარსაბის ღირსეულ მეუღლედ, მის „სულიერ“ მეგობრად? რამ დასცა იგი ლუარსაბის დონემდე, რამ გამსჭვალა თათქარიძეობის საზიზღარი სენით?

ჩვენ უკვე შემთხვევა გვქონდა აღგვენიშნა, რომ ა. ფურცელაძე დარეჯანის ასეთი მეტამორფოზის უმთავრეს მიზეზად თვლიდა სოციალურ წრეს, რომელშიც იგი იზრდებოდა, და ცუდ, არასწორ აღზრდას. „ბავშვი სარკეა,— წერდა კრიტიკოსი, — რომელიც აირეკლავს ყველაფერს, რასაც ხედავს და რაც ესმის ირგვლივ“. მაგრამ რას ხედავდა პატარა დარეჯანი, რა ესმოდა ირგვლივ? „მას არ უნახავს საქმიანი ხალხი, თავის ირგვლივ იგი მხოლოდ უმიზნო — არარა ცხოვრებას უცქერდა, გარყვნილებას, უხამსობას, ცრურწმენას, უხეშობას, უვიცობას და ყოველგვარ სიბინძურეს“. მეორე მხრივ, მას არ გამოუჩნდა წესიერი აღმზრდელი, გულითადი მრჩეველი, რომელიც განუმარტავდა ასეთი ცხოვრების უაზრობას, ხელს შეუწყობდა მისი დადებითი მონაცემების განვითარებას და აამაღლებდა საზიზღარ გარემოზე. ამიტომ „არაა საოცარი, რომ დარეჯანებს ვხვდებით უკვე ჯიმშერიძისეულ დარეჯანებად“. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა დარეჯანს თვითონ, საკუთარი ძალებით გადაელახა გარემოსა და აღზრდის გავლენა, თვითონ ამაღლებულიყო, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო გმირობა, რისი მონაცემებიც დარეჯანს არ ჰქონდა, რისთვისაც იგი მზად არ იყო და საერთოდ „სინამდვილეში გმირები ცოტაა“. ერთი სიტყვით, „დარეჯანი თავისი ცხოვრების დასაწყისშივეა გაფუჭებული“.[91]

---

91 იქვე, გვ. 382, 383.

ბატონყმობის კიდევ ერთი ასეთი მსხვერპლია ელისაბედი, ლუარსაბის რძალი, რომელშიც ა. ფურცელაძე სამართლიანად ხედავს „თათქარიძევშჩინის თავისებურ მხარეს". მასში, დარეჯანის მსგავსად, იგრძნობა აქტიური საწყისი, მაგრამ თუ დარეჯანი ძირითადად გართულია ყმების „დაწიოკებითა" და ლუარსაბთან „ღრმააზროვანი" კამათით, ელისაბედი თავის ენერგიას სხვა მიმართულებით წარმართავს. როგორც კრიტიკოსი წერს, „უსაქმობისაგან იგი ენასა და წარმოსახვას ათავისუფლებს და თითქმის მხოლოდ ჰორების შეთხზვასა და გავრცელებაში ვარჯიშობს".[92] ელისაბედი არსებითად უწიგნურია, გაზეთის არსებობა თუ გაუგონია მხოლოდ, მაგრამ მაინც იოლად გადის — ცოდნის ხარვეზებს თავისი უმდიდრესი ფანტაზიით ავსებს და ყველაფერი „იცის", რაც ქვეყანაზე ხდება. მსოფლიო ამბებზე ჭორაობასთან ერთად ძლიერ უყვარს ელისაბედს მეზობლების ნაჩხუბებაც და მისი „ტკბილი ენის წყალობით" საქმე ხშირად ხანჯლის ტრიალამდე და საპყრობილემდე მისულა. მერე რა ვუყოთ! დრო როგორმე ხომ უნდა მოკლას, რითიმე ხომ უნდა გაერთოს? ისიც ერთობა და სწორედ ამიტომ წარმოადგენენ ელისაბედები თათქარიძეობის ნაირსახეობას. არ მონაწილეობენ რა არავითარ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, ისინი ისეთივე პარაზიტულ, უქმ ცხოვრებას ეწევიან, როგორც ლუარსაბები.

თათქარიძეობის სენი თითქმის სრულებით არ ტანჯავს ლუარსაბის ძმას დავითს. ა. ფურცელაძის დახასიათებით, „დავითი შვილია თავისი ხალხისა, საქმიანი და თავაზიანი, თუმცა წრისაგან მაინც გაფუჭებული. ერთი სიტყვით, ქართველია, რომლის მსგავსსაც შეიძლება კაცი ყოველ ნაბიჯზე შეხვდეს". კრიტიკოსი ხაზს უსვამს, რომ ლუარსაბებისაგან განსხვავებით, დავითი არ თაკილობს შრომას, „იგი მინდორშიც მუშაობს და არა სცხვენია", ნაკლებად ან სულ არ გახიცდის კასტურ შეხედულებათა და „ცრუაზრების გავლენას", „ბარხვაში სამხსნილოსაც მიირთმევს". დავითი გიამხანაგებთ და დაგეხმარებათ კიდევაც თუ, რასაკვირველია, „ამაში თავისთვის საზიანოს არას დაინახავს". ეს უეჭველად დადებითი თვისებე-

92 იქვე, გვ. 384-385.

ბია. მაგრამ „ყველა ამასთან მას არაფრად არ უღირს მოსახერხებელ შემთხვევაში გაყიდოს სინდისი“, იგი მოგატყუებთ და გიღალატებთ, ჭუჭყიან საქმეშიც გაერევა, თუ კი „რაიმე სარფა არის მოსალოდნელი“.[93]

ძლიერ ოსტატურად იყენებს ა. ფურცელაძე სუტკნეინას მზატვრულ სახეს საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ მანკიერებათა სამხილებლად და დასაგმობად, როგორიცაა კარჩაკეტილობა და მაჭანკლობა. „არც მამაკაცი, არც ქალი ჩვენში, — წერს კრიტიკოსი, — არავის არ იცნობენ, გარდა რამდენიმე ახლო ნათესავისა“. ამგვარი კარჩაკეტილი ცხოვრება ქმნის მაჭანკლობის აუცილებლობას და „ისინი რომ არ იყვნენ, საქართველოში არც ერთი ქორწინება აღარ მოხდება“. ასეა, მაგრამ ასე არ უნდა იყოს, აცხადებს კრიტიკოსი და გადაჭრით გმობს როგორც კარჩაკეტილობას, ისე მაჭანკლობას. მას მიაჩნია, რომ მაჭანკლობა ცუდია ორი მიზეზით: ჯერ ერთი, მისი არსებობის გამო „თითქმის მთელი მომავალი ორივე სქესის ახალგაზრდებისა დამოკიდებულია რომელიმე საზიზღარ ხორციანზე“, მეორეც, იგი ამცირებს ქალს, ფეხქვეშ თელავს მის ადამიანურ ღირსებას. ა. ფურცელაძე გაკვირვებას გამოთქვამს, რომ ქართველი ქალები როგორღაც შეეგუენ მათი ღირსების დამამცირებელ ამ ჩვეულებას და უდრტვინველად იტანენ მას — „მათი მხრით სრულიად არ არის ამ მათთვის უღირსი უღლის გადაგდების ცდა“.[94]

სტატიის მეორე ნაწილში ა. ფურცელაძემ „ორიოდე სიტყვა“ თქვა იმაზეც, „თუ როგორ შესძლო მოთხრობის ავტორმა დასახული ამოცანის შესრულება“ და აღნიშნა ზოგიერთი ნაკლი, რომელიც, მისი აზრით, ახასიათებდა თხზულებას. და აი სწორედ აქ კრიტიკოსმა კვლავ გამოამჟღავნა თავისი აშკარა ნიჰილისტური დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძის პიროვნებისა და შემოქმედებისადმი. მან თითქმის სიტყვა-სიტყვით გაიმეორა თავისი სრულიად უსაფუძვლო დებულება, რომელიც ჯერ კიდევ სტატიაში „ქართული ლიტერატურა“ გაშოთქვა, ვითომც ილია ჭავჭავაძე „სხვადასხვა ავტორების გან-

93 იქვე, გვ. 384.

94 იქვე, გვ. 386-387.

ვლენილებაების ქვეშ“ წერდა და, ცხადია, არ შეეძლო კეთილსინდისიერად შეესრულებინა „ნაკისრი შრომა“.

რატომ? იმიტომ, რომ „გავლენა“ ა. ფურცელაძეს ამ შემთხვევაში ესმოდა როგორც ბრმა მიმბაძველობა და არა როგორც შემოქმედებითი ათვისება რომელიმე ლიტერატურული მიმართულებისა ან მწერლის გამოცდილებისა. ერთმახეთს ადარებდა რა ილიასა და აკაკის პოეზიას, სტატიაში „ქართული ლიტერატურა“ კრიტიკოსი წერდა: „თუმცა არც წერეთელია ამცდარი იმასა, რომ გავლენა არა ჰქონდეს ამაზედ სხვა ნწერლებსა; მაგრამ ეს იმ გავლენაზედ მაღლა დგება და თითონ ეს იხდის მონათ თავიზედ განვლენილს თხზულებასა და აძლევს თავის ძლიერებას, თავის ხასიათს, თავის ფორმებს, თავის გზასა და ჰავჰავაძე კი ხდება სრულებით ტყვე თავიზედ განმვლენელისა და ვინიცობაა მოინდომა ამათ დამონება ამანა, თავისა საკუთარიცა და ამის ხელმოკიდებული აზრიც შეიქმნებიან სრულებით თოვლის გუნდანი ანუ ყურთუყის ყუმბარანი“.[95] მაშასადამე, ა. ფურცელაძე მშვენივრად არჩევდა ერთმანეთისაგან „გავლენასა“ და „მიმბაძველობას“, მაგრამ ამის მიუხედავად, ილია ჭავჭავაძეს მაინც მიმბაძველად თვლიდა.

სამწუხაროდ, ა. ფურცელაძის ამ სრულიად უმართებულო შეხედულებამ ერთგვარი გავრცელება პოვა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში და მას ასე თუ ისე მხარი დაუჭირა ნიკო ნიკოლაძემაც კი. 1873 წელს მან „კრებულში“ განიხილა „გლახის ნაამბობი“ და განაცხადა, რომ ილია ჭავჭავაძე „შემოქმედების პირველ პერიოდში სხვების მიბაძვით წერდა, მიშბაძველი იყო და მხოლოდ შემდეგ განთავისუფლდა ამ ნაკლისგანო. „გლახის ნაამბობში“, — წერდა იგი, — ჩვენს წინ აზალაგზრდა, გამოუცდელი, გზა გამოურჩეველი მწერალი დგას, რომელზედაც ჯერ კიდევ უცხოეთის მწერლობას გავლენა აქვს, რომელსაც მ ი ბ ა ძ ვ ა თავიდამ ვერ აუცილებია და რომელიც ს ხ ვ ი ს ი კილოთი, ს ხ ვ ი ს ი ენით ლაპარაკობს“.[96] როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძემ კიდევ უფრო გააღრმავა

---

95 იქვე, გვ. 360.

96 ქრესტომათია, ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. 1957, გვ. 225 (ხაზგასმა ჩემია — შ. ჭ.).

ა. ფურცელაძის უსაფუძვლო დებულება. ამავე დროს მან „გლახის ნაამბობი“ მიიჩნია პირველი პერიოდის, 1859 წელს დაწერილ ნაწარმოებად, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ მისი ძირითადი ნაწილი ილია ჭავჭავაძემ 1872 წელს დაწერა, ე. ი. მას შემდეგ, რაც გამოაქვეყნა „კაცია ადამიანი?!“ და სხვა ნაწარმოებები, რომლებშიც, ნ. ნიკოლაძის სიტყვით, უკვე აღარ იგრძნობოდა სხვათა მიმბაძველობა.

ნიკო ნიკოლაძის კვალდაკვალ ეს მცდარი აზრი სხვებმაც გაიმეორეს და ილია ჭავჭავაძის ბევრ ნაწარმოებზე გაავრცელეს. ასე, მაგალითად, ზოგიერთმა მოთხრობაში „კაცია ადამიანი?!“ გოგოლის „მკვდარი სულების“, სხვებმა კიდევ „სტაროსვეტსკელი მემამულეების“ მიბაძვა დაინახეს. თავის დროზე მათ საკადრისი პასუხი გასცა კიტა აბაშიძემ. მან სწორად მიუთითა, რომ ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“ თავისი ფაბულით მართლაც მოგვაგონებს გოგოლის „სტაროსვეტსკელ მემამულეებს“, მაგრამ არაკის (ფაბულის) მსგავსება უფლებას არავის აძლევს ილაპარაკოს რაიმე მიბაძვაზე. „თხზულებათა ერთი მეორისაგან განსხვავებაში, — წერდა იგი, — უპირველესი მნიშვნელობა აქვს მას, თუ როგორ ეპყრობა მწერალი მისგან აღებულ საგანს: რა თვალთა ხედვის ისრით ხელძღვანელობს ამა თუ იმ საგნის დასასურათებლად“.[97] ადგენს რა ამ განსხვავებას, კიტა აბაშიძე დაასკვნის, რომ გარდა არაკისა (ფაბულისა), გოგოლისა და ჭავჭავაძის მოთხრობები არაფრით არ გვანან ერთმანეთს, „ხოლო, თუ წამბაძველობაზე ვსიდა საქმე, გოგოლსაც ხომ თვით არ გამოუგონია არაკი თავისი მოთხრობისა, არამედ რომაელთა მწერლის ოვიდიისაგან, რომელსაც ერთ თავისს არაკთაგანში („ფილიმონი და ბავკიდა“) წყნარი და მშვიდი, თანაც უფერული და უაზრო ცხოვრება აქვს აღწერილი ორის მოხუცი ცოლ-ქმრისა“.[98]

მივუბრუნდეთ ისევ ანტონ ფურცელაძის სტატიას.

კრიტიკოსის აზრით, ილია ჭავჭავაძის ბრმა მიმბაძველობამ, უპირველეს ყოვლისა, თავი იჩინა ლუარსაბის ტიპში. „ლუარსაბ თათქარიძის ტიპის აღებისას და მისი ხასიათის

97 კ. აბაშიძე, ეტიუდები, 1962, გვ. 197.

98 იქვე, გვ. 198.

მრავალი მხარის დამუშავებისას, — წერდა ა. ფურცელაძე, — ავტორმა თავის გმირს ისეთი ნიშნები მიაწერა, რომლებიც არ ეთანხმება ქართველი კაცის არსებულ საარსებო პირობებს. ზოგჯერ თათქარიძეში წმინდა რუს მემამულესა ხედავთ; ზოგჯერ კი არც ისაა, არამედ ხელში რჩება რაღაც ამოკითხული, უშნოდ შეკოწიწებული".[99] საკვირველია, რომ თავისი ამ მოსაზრების დასასაბუთებლად კრიტიკოსს არც ერთი არგუმენტი არ მოაქვს, თითქოს ასეთი უდავო, შეურყეველი ჭეშმარიტება გამოეთქვას. სინამდვილეში კი ა. ფურცელაძის ეს დებულება არათუ სადავო, სავსებით უსაფუძვლო და უხიადაგოა. მის დასაბუთებას კრიტიკოსი ვერაფრით შეძლებდა და გონივრულადაც მოიქცა, რომ არც კი სცადა ეს. გონივრულად მოიქცა, რადგან ახლა ლიტერატურის ისტორიის მკვლევარებს ისღა დარჩენიათ, რომ სხვადასხვა ვარაუდი გამოთქვან და ამ ვარაუდთა საფუძველზე უარყონ ა. ფურცელაძის მცდარი დებულება, მაშინ როცა ამას არავითარი საჭიროება არ მოითხოვს. იმის უარსაყოფად, რაც დაუსაბუთებელია, დასაბუთება ზედმეტია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვერ დავეთანხმებით პროფ. ი. ბოცვაძეს ანტონ ფურცელაძის ზემომოყვანილი მცდარი დებულების კომენტარში. „ლუარსაბ თათქარიძეში ბევრი რამ არის ისეთი, — წერს მკვლევარი, — რაც დამახასიათებელი იყო რუს ან სხვა რომელიმე ერის მემამულეთათვის, მაგრამ ეს გარემოება აიხსნება არა ბრმა წამბაძველობით, არამედ ძირითადად იმ გარემოებით, რომ ფეოდალურ-ბატონყმური ინსტიტუტი მემამულეებში აყალიბებდა მ ს გ ა ვ ს თვისებებსა და ხასიათებს"...[100] ჯერ ერთი, უნდა თქმულიყო არა „მემამულეთათვის", არამედ „მემამულეთათვისაც", მეორე, ანტონ ფურცელაძე ილია ჭავჭავაძეს უსაყვედურებდა არა იმის გამო, რომ ლუარსაბის ტიპში მოგვცა სხვადასხვა ეროვნების მემამულეთა მ ს გ ა ვ ს ი თვისებები (ეს ასედაც უნდა ყოფილიყო). არამედ იმის გამო, რომ ლუარსაბს „ისეთი ნიშნები მიაწერა, რომლებიც არ ეთანხმება ქართველი კაცის არსებულ

99 ქრესტომათია, I, გვ. 389.

100 ქრესტომათია, ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, 1957, გვ. 26 (ხაზგასმა ჩემია — შ. ჯ.).

საარსებო პირობებს", ე. ი. საერთოდ არ ახასიათებს ქართველ მემამულეს და მხოლოდ რუსი ან სხვა ერის მემამულის კუთვნილებაა. რომ ა. ფურცელაძეს მხედველობაში ჰქონდა სწორედ ეს გარემოება, ნათლად ჩანს დავითისა და ლუარსაბის ხასიათის შეპირისპირებაშიც. ახასიათებდა რა დავითს, კრიტიკოსი წერდა: „იგი (დავითი — შ. ქ.) გამოყვანილია უფრო მეტად ქართველად, ვიდრე ლუარსაბია. უკანასკნელში, როგორც ქვემოთ ავხსნით (როგორ „ახსნა" და დაასაბუთა თავისი მოსაზრება „ქვემოთ", ეს უკვე დავინახეთ — შ. ქ.), ბევრიც კია არა ქართული".[101] ამრიგად, ფაქტია, რომ ა. ფურცელაძე ილია ჭავჭავაძეს კიცხავდა არა ზოგად თვისებათა ჩვენებისათვის ლუარსაბის ტიპში, არამედ ეროვნული სპეციფიკის. ხასიათის ეროვნულ თავისებურებათა უგულებელყოფისათვის.

ამ გარემოებამ, ა. ფურცელაძის აზრით, დიდად ავხო ილია ჭავჭავაძის მოთხრობას და „ბევრს ნისცა საბაბი „კაცია. ადამიანისათვის" უნდობლად შეეხედა და მასში დაენახა ძეჭანიკურად შემუშავებული ნაწარმოები და სხვა არაფერი. ეს აზრი მეტად მართებულია და არ შეიძლება მას არ დაეთახხმო".[102] აქ კრიტიკოსი უკვე სხვების ზურგს ამოეფარა და შეეცადა საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს თავის აზრს კი არ გადმოსცემდა, არამედ ეთანხმებოდა მკითხველ საზოგადოებაში გავრცელებულ შეხედულებას. ზედმეტია იმის ხაზგასმა, რომ ა. ფურცელაძის ეს შენიშვნაც უსაფუძვლო და მცდარია. იგი ამავე დროს ეწინააღმდეგება მთელი სტატიის სულისკვეთებას. „უშნოდ შეკოწიწებული ტიპები" და „მექანიკურად შეძუშავებული ნაწარმოები" როგორღა გახდა ბატონყმობის საბრალდებო აქტი, როგორ შეიძლებოდა მასში თავისი თავი დაეხახა ბატონყმობის დამცველებს, რომლებიც „თავისსა და სცეხაზე გამოყვანილ პიროვნებათა შორის მსგავსებას პოებდნენ" და ბრალს დებდნენ ავტორს „ქართველი თავადაზნაურობის „გაშავებაში", ან რატომ უწოდებდნენ მას ძველი ლიტერატორე-

---

101 ქრესტომათია, I, გვ. 384.

102 იქვე, გვ. 389.

ბი — ავტორიტეტები „პასკვილს, რომელიც არცკი უნდა აიღოს ხელში კეთილზნეობრივად აღზრდილმა ადამიანმა“.[103]

ა. ფურცელაძე ამტკიცებდა აგრეთვე, რომ ილია ჭავჭავაძე „მოთხრობას მეტად დაუდევრად ეპყრობა და ზოგჯერ უმსგავს გადამლაშებასაც უშვებს“.[104] ამგვარი „უმსგავსო გადამლაშების“ მაგალითად იგი ასახელებს ორ ეპიზოდს — ბუზების თვლას და ლუარსაბ-დარეჯანის კამათს იმის თაობაზე, იყვლენ თუ არა ადამის დროს თავადები. ეს არის ეპიზოდები, სადაც ილიას სატირიკული ნიჭი თავის მწვერვალს აღწევს და შესაძლებელია სწორედ ამიტომ არ მოეწონა ისინი კრიტიკოსს. როგორც დავინახეთ, ა. ფურცელაძე მოთხრობის მთავარ პერსონაჟებს განიხილავს იმ ასპექტით, რომ ისინი ბატონყმობის მსხვერპლი არიან, ხოლო მსხვერპლთა ასეთ გაბიაბურებას, ასეთ მწვავე დაცინვას, ბუნებრივია, ვერ შეეგუა და ვერჩვენა, რომ აქ ავტორმა „გადაამლაშა“, ზომიერება ვერ დაიცვა, ძეტისმეტად მწვავედ დასცინა მათ. ყოველ შემთხვევაში, ძლიერ სიმპტომატურად გვეჩვენება ერთი გარემოება — კრიტიკოსი არსად არ მიუთითებს, ერთ სიტყვასაც არ ამბობს იმაზე, რომ „კაცია ადამიანი?!“ სატირიკული ნაწარმოებია, რომ ავტორი კი არ თანაუგრძნობს, მწვავედ დასცინის თავის გმირებს.

ყველაზე მოულოდნელი, ყველაზე საკვირველია ა. ფურცელაძის უკანასკნელი შენიშვნა. ილია ჭავჭავაძის პიროვნებისა და შემოქმედების ძაგებაში მან ისე შორს შესტოპა, რომ ბოლოს და ბოლოს, უფლება მისცა თავის თავს სერიოზულად შესდგომოდა მტკიცებას. თითქოს ილიას უნარი არ შესწევდა გადმოეცა პერსონაჟთა სულიერი ცხოვრება, სულიერი გახდანი, მათი ფსიქოლოგია. „უფ. ჯიმშერიძეს შეუძლია, როცა ცოტ-ცოტათი გამოდის სხვა ავტორთა გავლენიდან, ხელი წაავლოს გარეგან ცხოვრებას და მის მდგომარეობას. მაგრამ, რაც შეეხება ადამიანის შინაგან სამყაროს, ეს უფ. ჯიმშერიძისათვის სრულიად მიუწვდომელია“.[105] ჰეშმარიტად ქაღალდი ყველაფერს იტანს! ვის ვის, მაგრამ შეიძლება ილიას უთხრა, შენთვის

---

103 იქვე, გვ. 374.
104 იქვე, გვ. 389.
105 იქვე, გვ. 390 (ხაზგასმა ჩემია — შ. ჭ.).

„სრულიად მიუწვდომელია“ ადამიანის სულიერი სამყარო, უძლური ხარ გადმოსცე პერსონაჟთა სულის მოძრაობა, ფიქრი და გრძნობაო? ეს ხომ სრული ნონსენსია! აქაოდა ილიამ თავი არ იმართლოს, ლუარსაბში სულის რა ძლიერი მოძრაობა უნდა მეჩვენებინაო, ა. ფურცელაძე დასძენს: „შეიძლება მოიძებნონ ადამიანები, რომელნიც იტყვიან, რომ „კაცია, ადამიანში“ გამოყვანილ გმირებში არაა და არც შეიძლება იყოს სულის ისეთი ძლიერი გამოვლინებანი, რომელნიც ავტორის ყურადღებას დაიმსახურებდნენ. ჩვენ არ გვინდა ბაირონისებური გრძნობანი და მისებური სულიერი ღელვანი, დეე, გვაჩვენონ მცირე და პატარა ხაზები ისეთი პატარა ადამიანისა, როგორიც ლუარსაბის შინაგანი ცხოვრებაა. ჩვენთვის ესეც საინტერესოა და ჩვენ იქიდან არანაკლები სარგებლობის მიღება შეგვიძლია“.[106] რასაკვირველია, თავისი ძალითა და სიძდიდრით ლუარსაბის სულიერი განცდანი ახლოსაც ვერ მივლენ მანფრედისა თუ ჩაილდ ჰაროლდის განცდებთან, მაშინ იგი ლუარსაბი არ იქნებოდა, მაგრამ ნუთუ ლუარსაბში არ ჩანს სულის მოძრაობის „მცირე და პატარა ხაზები“? ჩანს და ძერე რა ძალით! ილია ჭავჭავაძის უდიდესი დამსახურებაც ის არის, რომ მან შეუდარებელი მხატვრული ოსტატობით გადმოგვცა ლუარსაბისთანა პირების სულიერი სიღატაკე, „დაწლექებული“ აზრი და გრძნობა. ხოლო აჩვენო პერსონაჟის სულიერი სიღატაკე, უფრო ადვილი როდია, ვიდრე მისი სიმდიდრის ჩვენება. პირიქით, ძნელიცაა.

თავისი უსაფუძვლო, მცდარი შეხედულებანი ა. ფურცელაძემ კვლავ გაიმეორა 1872 წელს ნ. ნიკოლაძესთან პოლემიკის დროს. მისი აზრით, ილიას თხზულებებს ორი ძირითადი მეტად სერიოზული ნაკლი ჰქონდა. ერთი ნაკლი, რომელიც თურმე „აქამდინაც არ ამოიკვეთა“, ის იყო, რომ ილია ვითომც „სწერს ცხოვრებას და არ ამოქმედებს ცხოვრებას; ანუ, უკეთა ვსთქვათ, აწერს ცხოვრებას იმას, რაც თვით ცხოვრების მიმდინარეობიდამ, რაც ცხოვრების მიზეზიდამ, რაც გარშემო მოვლინებიდამ ხშირად არ წარმოდგებიან; უყვარს ჭავჭავაძეს უტრიროვკა; აიღეთ თუნდა ბუზირეკია. აფიცერი „მგზავრის

106 იქვე.

წერილებში".[107] მეტად დამახასიათებელი მაგალითია! ა. ფურცელაძე კვლავ ისეთ მხატვრულ სახეს ასახელებს „გადაძლაშების", „უტრიროვკის" მაგალითად, რომელშიც განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა მწერლის სატირიკული ნიჭი. ჩანს, კრიტიკოსს არ ესმოდა, რომ გაუზვიადებლად, ზოგიერთი მომენტის განსაკუთრებული სიმკვეთრით ხაზგასმელად არც ერთ მწერალს არ შეუქმნია სატირიკული მხატვრული სახე.

მეორე სერიოზული ნაკლი ილიას თხზულებებისა, ა. ფურცელაძის მტკიცებით, ის არის, რომ მწერალს „არა აქვს ფსიხოლოგიური ცნობა კაცის გულისა და დაკვირვება ლოღიკურის მიმდინარეობის კაცის მოქმედებისა".[108] რა ჯიუტად იძეორებს კრიტიკოსი ამ სრულიად უსაფუძვლო მოსაზრებას წერილიდან წერილში! კიდევ მეტი, თურმე ამაზე ვრცელი საგანგებო სტატიის დაწერასაც კი აპირებდა, რათა ქართული ლიტერატურა „ეხსნა" ილია ჭავჭავაძის მავნე გავლენისაგან! „მე ვრაცხდი ამას (ვრცელი საგანგებო სტატიის დაწერას ილიას შემოქმედების ზემოაღნიშნულ „ნაკლოვანებებზე" — შ. ქ.) უფრო იმიტომ საჭიროთ, რომ მაგის (ი. ჭავჭავაძის — შ. ქ.) ამგვარ ლიტერატურულს წარმოებას აქვს მოქმედება ჩვენს მწერლებზედ. ამგვარმა მაგის ნაწერების მოქმედებამ დაჰბადა ჩვენს მწერლობაში უფ. გ. წერეთლის „ჯიბრი" და „ჩვენი ცხოვრების ყვავილები" და მის მსგავსები, რომელშიაც ისახებიან სრულიად ეს აწერილი ჭავჭავაძის ნაკლულებები. ავტორიტეტი ჭავჭავაძისა ისე მოქმედებს ჩვენს მწერლობაზედ, რომ ყველა იმისი ბრმა მბაძავნი სრულიად აღარა ჰფიქრობენ ღრმათ საქმეში ჩახედვას და საქმის გაცნობას".[109]

უცნაური ლოგიკაა! როგორ შეიძლება სერიოზულად ვაძტკიცოთ, გიორგი წერეთელი რომ სუსტ ნაწარმოებს წერს, ეს

---

107 ქრესტომათია, II, გვ. 191-192.

108 იქვე, გვ. 192

* გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ ა. ფურცელაძის ამ ნიჰილისტურმა დებულებამ გამოძახილი და მხარდაჭერა ჰპოვა XX საუკუნის ლიტერატურულ კრიტიკაშიც, კერძოდ, ცნობილი ქართველი კრიტიკოსის გ. ქიქოძის სტატიაში „პოეზია და სინამდვილე." გ. ქიქოძის სიტყვით, „ი. ჭავჭავაძის მოთხრობები თითქმის სრულიად მოკლებულნი არიან ცოტად თუ ბევრად ღრმა ფსიქოლოგიურს ანალიზს" („სახალხო ფურცელი", № 15, 1914).

109 ქრესტომათია, II, გვ. 192.

ილია ჭავჭავაძის ბრალია, მის გავლენას განიცდისო. ა. ფურცელაძემაც ხომ განიცადა ჩერნიშევსკის გავლენა, მაგრამ თუ მისი „სამის თავგადასავალი“ მხატვრულად მდარე თხზულება აღმოჩნდა და ვერ დაიკავა სანაქებო ადგილი ქართულ ლიტერატურაში, განა ეს ჩერნიშევსკის ბრალია? ყოველი მწერალი ქმნის თავისი მხატვრული ნიჭის, შესაძლებლობის, ცოდნის შესაბამისად და დავიჯეროთ, რომ ჭავჭავაძისათვის კი არა, შექსპირისა ან შილერისათვის რომ მიებაძა, მათი გავლენა განეცადა, გ. წერეთელი ვითომ უკეთეს ნაწარმოებს დაწერდა?

უმჯობესი იყო კრიტიკოსი სერიოზულად ჩაფიქრებოდა ილია ჭავჭავაძის არაჩვეულებრივი პოპულარობის მიზეზს, გაერკვია როგორ და რით მოიპოვა მან ესოდენ დიდი ავტორიტეტი და რატომ სახელდობრ ჭავჭავაძის და არა რომელიმე სხვა ქართველი მწერლის გავლენას განიცდიდა ჩვენი ლიტერატურა. მაშინ იგი უთუოდ მიაგნებდა სწორ პასუხს, მიხვდებოდა, ვისთან ჰქონდა საქმე და უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდა არც თანამედროვეთა და არც შთამომავალთა წინაშე.

კიდევ უფრო ნიჰილისტურად აფასებდა ა. ფურცელაძე ილია ჭავჭავაძის პოეზიას და ბევრი მცდარი აზრიც გამოთქვა. სტატიებში „ქართული ლიტერატურა“ მან საკმაოდ დაწვრილებით განიხილა „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი ილიას ლექსები და, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ხელაღებით დაიწუნა ისინი იდეურადაც და ხელოვნების, ოსტატობის თვალსაზრისითაც. ერთადერთი ლექსი, რომელსაც შედარებით წყალობის თვალით შეხედა კრიტიკოსმა, იყო ილიას ცხობილი „მუშა“ და, ბოლოს, იმასაც ისეთი რამ მიაწერა, რომ ქებიდან ბევრი აღარაფერი დატოვა.

ეს იყო ნიჰილიზმის პირველი და ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება, რომელიც ა. ფურცელაძეს არ აპატიეს თანამედროვეებმა და ვერ ვაპატიებთ ვერც ჩვენ. შეიძლება თქვან, ილიას ცალკეული ლექსები სხვებმაც დაიწუნეს, აღნიშნეს მისი პოეტური ნიჭის ნაკლიც, მათ შორის აკაკიმაც, მაგრამ ამის გამო ისინი არავის შეურისხავს. აქ უჩვეულო არაფერია, — ლაქები მზესაც აქვს, და თუ ერთს არ ვკიცხავთ ილიას ლექსების დაწუნებისათვის, მეორეს შეჩვენებას რას

ვეჰართლებით? საქმე ის იყო, რომ ა. ფურცელაძემ უბრალოდ კი არ დაიწუნა ილიას ლექსები, არამედ მათი კრიტიკა გამოიყენა იმის დასამტკიცებლად, თითქოს ილიამ უღალატა იდეებს, რომელთა სახელითაც გამოვიდა ასპარეზზე, რომ იგი თითქოს პირადი განდიდებისათვის ზრუნავდა და ბოლოდ სიტყვით თანაუგრძნობდა ხალხს, ნამდვილად კი გულთან არ მიჰკონდა ხალხის სატკივარი.

მაგრამ მივყვეთ თვით ა. ფურცელაძის კრიტიკულ ძებნებს.

„რაც ჭავჭავაძის ლექსები ჩვენ წაგვიკითხავს, „შედევრი" ამისი არის „მუშა",[110] — ასე იწყებს „საქართველოს მოამბეში" დაბეჭდილი ილიას ლექსების ანალიზს ა. ფურცელაძე, ეს „შედევრი" (წინწკლებში და არა უწინწკლებოდ!) კრიტიკოსს მოსწონს მისი თემის გამო. „სწორე მოგახსენეთ ეს ტემა არის ჩინებული ლუკმა პოეტისათვის: პოეტი ხუდოჟხიკი ამ საგანზედ ისე წარმოსთქვამს თავის შხამსა, ისე წარმოანთხევს თავის შეგუბებულს გესლსა და შემაგრებულს მწუხარებასა, ისე გამოგისახავთ და თვალით დაგანახვებთ ამის მდგომარეობაა; შეგიყვანთ ამათ გულში და როგორც თქვენს ხუთს თითს ისე დაგანახვებთ იმათ კაცობრივის გულის ფეთქვას, კაცობრივს გრძნობას... ამას ყველას ისე დაგანახვებთ, რომ გულგახევებულ კაცსაც შეურყევს უწყალოებასა და აგრძნობინებს ამათს დაჩაგვრას და უსამართლობას".[111] ა. ფურცელაძე შემთხვევით როდი აღნიშნავს ასე ხაზგასმით „მუშის" თემის შესაძლებლობათა სიმდიდრეს, იმ გარემოებას, რომ ნამდვილი მხატვარი მის საფუძველზე შექმნიდა ძლიერ ფსიქოლოგიურ ნაწარმოებს, რომელიც, სიმართლით ასახავდა რა მუშის ყოფას, თვით გულგახევებულ კაცსაც კი შეურყევდა უწყალოებას და გამოიწვევდა საყოველთაო თანაგრძნობას.

როგორღა გამოიყენა, კრიტიკოსის აზრით, ი. ჭავჭავაძემ თემის შესაძლებლობანი, შეძლო თუ არა დაეძლია ეს მაღლიანწი თემა?

ა. ფურცელაძე აღიარებს, რომ „ჭავჭავაძე მართლაცა და

110 ქრესტომათია, I, გვ. 304.
111 იქვე.

პოეტურის ფერებით გვიწერს მუშის ყოფას",[112] რომ „ეს ტეშა, ეს სასურათოები მარჯვეთა აქვს ჰავჰავაძეს შეკრებილი და გაწყობილი".[113] სამართლიანობა მოითხოვს აგრეთვე აღიხიზნოს, რომ კრიტიკოსმა შესანიშნავად ცხადყო „მუშის" მამხილებელი ძალა და ჟანრიანად გამოიყენა იგი რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდისათვის, ექსპლოატატორთა ანტიჰუმანური მორალის დასაგმობად, განსაკუთრებით ლექსის ის ეპიზოდი, სადაც ილია აღწერს, თუ როგორ დაეტაკა მდიდარის „დროშკა" ტვირთის ქვეშ მოკაკულ მუშას. „სწორედ რომ საუცხოო სურათებია! — წერს ა. ფურცელაძე, განიხილავს რა ამ ეპიზოდს, — კაცი, ჩემსავით კაცი, ვიხ იცის რამდენით ჩემზედ ნაკლები ღირსებით, გონებით, სინიდისით, გრძნობით მხედავს ტვირთ ქვეშ საცოდავათ მოკაკულს ლუკმა პურისათვის და ამის მაგივრათ, რომ შემიბრალოს, ქონება, რომელშიაც მე უთუოდ წილი მაქვს, რომელიც იძას გამოუქენჯნია ჩემისთანა დაჩაგრულის კაცისაგან და ახლა ეძახის თავის საკუთრებას, — მიწილადოს მე, რომელიც დღიური ლუკმისათვის ვასრულებ პირუტყვის თანამდებობას, ამიტომა, რომ ჩემი ბუნების კანონებით—კუთვნილობა მიუმძლავრებია და დაუპყრია ამ გვართ კაცთა, — ის ამის ნაცვლათ, არამთუ არ იჩენს მცირედსაც არის სიბრალულსა „კოკასავით" მატახინებს ცხენებსა და ჩემი სიკვდილი ჩალათაც არ მიაჩნია...."[114] ძლიერი მამხილებელი სიტყვებია, ლექსის მამხილებელი ძალის თანაბარი. ილიას დიდებული ნახატი ახსნილი და გახმარტებულია რევოლუციონერი პუბლიცისტის მთელი მგზნებარებით.

თითქოს ყველაფერი ითქვა — ლექსის იდეა, მხატვრობა საუცხოაა, სხვა რაღა არის კიდევ საჭირო? მით უფრო უცხაური, ტენდენციურ-ნიჰილისტური გვეჩვენება კრიტიკოსის მოულოდნელი შენიშვნები და დასკვნები: „თქვენ აქ ვერა ჰხედავთ, რომ ავტორი თანაგრძნობდეს ამას (მუშას — შ. ჭ.). ესა ცდილობს, რომ დაუახლოვდეს, მიაკრას ამათს მდგომარეობას გული, მაგრამ ვერც გულით და ვერც გრძნობით ვერ დახათე-

112 ი ქ ვ ე.
113 იქვე, გვ. 305.
114 იქვე, გვ. 304-305.

სავებია ის ამათ ცხოვრებასა, და აქ ჰხედავთ დაძალადებულ გრძნობას, რომელიც გამოდის ცარიელი ავტორის წრიპინი".[115] მაშასადამე, ილია ჭავჭავაძე, თუმცა ცდილობს, ვერ ახერხებს დაუახლოვდეს ხალხს, გული მიაკრას მის მდგომარეობას. ხალხის სატკივარი მისი სატკივარი არ არის და არც გასაკვირია, თუ პოეტი თავისთავს ძალას ატანს, ნაძალადევი გრძნობა კი ყალბია, „წრიპინია", საშინელი სენტიმენტალური „წირპვლაა". „ამის გამო, რომ ავტორი ვერ თანაჰგრძნობს მხურვალეთ და ვერ დანათესებია თავის გამოსახულებას, — დაასკვნის კრიტიკოსი, — თქვენ როდესაც კითხულობთ „მუშასა" არ ჰგრძნობთ იმ სიმწარეს, იმ ნაღველს, იმ სიბრალულს, რომელსაც ცდილობს ავტორი რომ გამოგიხატოთ..."[116]

ამას წერს ა. ფურცელაძე, თვითონ რევოლუციონერი დემოკრატი, ილია ჭავჭავაძესა და მის „მუშაზე"! თუმცა არა, ასე ყოფილა არა მარტო „მუშაში" და ილიას პოეზიას ჰქონია არა მარტო ეს ნაკლი. ყური დავუგდოთ კრიტიკოსს, რის დაძტკიცებას ცდილობს იგი: „ეგრეთვე საშინელი წირპვლა სანტიმენტალური და ავტორის თავის ჭენა, თითქმის ყოველგან უმთავრესია ჭავჭავაძის ლექსებში; ამასთანავე შეჰხვდებით.... კვეხნას და მრავალგან ჰოუსაზრებლობას და აზრის შეუმუშავებლობას".[117] თურმე ნუ იტყვით, ამგვარი კვეხნის, მოუსაზრებლობისა და აზრის შეუმუშავებლობის ნიმუშია ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი ბრწყინვალე ლექსი „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული". გახსაკუთრებით არ მოსწონს ა. ფურცელაძეს ამ ლექსისი უკანასკნელი სტროფი:

„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო:

რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განეუზიარო!"[118]

„ერთი ჰკითხეთ, საყვარელნო მკითხველნო, უფ. ჭავჭავა-

115 იქვე, გვ. 305.
116 იქვე.
117 იქვე (ხაზგასმა ჩემია — შ. ჭ.).
118 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 1, 1951, გვ. 74.

ძესა, — გესლიანად შენიშნავს ა. ფურცელაძე, — მაშ ვისთვის უკრთება ასე უწყალოთ ძილი, ვისთვის იკლავს თავსა, თუკი მრთელს საქართველოში იმისთანა კაცი არ არის, რომ ღირსი ყუვეს მაგის აზრის „განზიარებისა“? როგორცა სჩანს, ეგ ცარიელი საქართველოს მიწისათვისა დრტვინავს და ჰფიქრობს... ბრავო, ბრავო, ბრავო, უფ. ჭავჭავაძე! ეგ ძალიან მოგვიდათ... ჯერ ათამაშა, ათამაშა, ეძახა შენთვისა ვარ გაჩენილიო და მერე კი უცებ: ჩემი ღირსი არავინა ხართო!“[119] კრიტიკოსი ამითაც არ კმაყოფილდება და უკბილოდ ოხუნჯობს, მიმართავს რა სახელოვან პოეტს: „ერთი, ღმერთი გადღეგრძელებს, თუ ჩვენ უღირსთათვის არა—შთამამავლობისათვის მაინც წარმოსთქვით ეგ თქვენი მაღალი აზრი,—თორემ... მოაკლდა ქვეყანას თქვენი გენიოსული განზრახვა და აზრები“.[120] ძნელია, შეხვედეთ ასეთი ვულგარული კრიტიკის მეორე მაგალითს! მას მხოლოდ გ. ბარათაშვილის ყბადაღებული კრიტიკული შენიშვნა თუ გაუწევს მეტოქეობას. განიხილავდა რა ილიას ერთ-ერთ უმშვენიერეს პატრიოტულ ლექსს „გაზაფხული“, რომელიც ხალხმა სიმღერად აქცია, გ. ბარათაშვილი, როგორც ცნობილია, წერდა: „გაზაფხულში“ პოეტი სულით ნატრობს საყვარელ მამულის აღყვავებას. ნეტავი დაანახვა ეხლა, საქართველო როგორ მწვანე ხავერდივით ბიბინებს!!!“.

ოვითონ ილია ჭავჭავაძემ ამგვარი ვულგარული კრიტიკისათვის ორივე თავის კრიტიკოსს — გ. ბარათაშვილსაც და ა. ფურცელაძესაც საკადრისი პასუხი გასცა. კერძოდ, ა. ფურცელაძის ზემომოტანილი „კრიტიკული“ შენიშვნის პასუხად ილია სატირიკულ „სხარტულაში“ ბაჭიას (ე. ი. ანტონ ფურცელაძეს) ალაპარაკებს: „გამოგილანძღეთ ილ. ჭავჭავაძე — კაცის შებრალებაზედ რათა სწერს-მეთქი. თუ უნდა ჩვენ შეგვიბრალოს, კაცს რა შებრალება უნდა? მეორედაც გამოგილანძღე ილ. ჭავჭავაძე, ის რაღაცა რომ თქვა — კაცი არავინ არისო, რომ ფიქრი ვანდოვო, გრძნობა განვუზიაროვო — აბაზედ კარგად მოვარტყი. მაშ? რათ ამაყობს! მე კაცი არა ვარ, თქვენ, ძლევამოსილო რედაქტორო (იგულისხმება „ცისკრის“ რედაქტორი ი. კერესელიძე — შ. ქ.), კაცი არ ბრძანდებით,

119 ქრესტომათია, I, გვ. 306.
120 იქვე.

შა რა ეშმაკი ხართ. მითამ და იმის მეტი პატრიოტი არავინ არის!"[121] ჩვენც ილიას ამ სარკასტული პასუხით დავკმაყოფილდეთ.

მსგავსი ვულგარულ-ნიჰილისტური შეხედულებანი გაბატონებული ა. ფურცელაძემ მეორე სტატიაშიც იმავე სათაურით „ქართული ლიტერატურა". მან სრულებით ვერ გაიგო (ან არ სურდა გაეგო) ილიას ცნობილი ლექსის „პოეტი" იდეა, აზრი. „სხვათა შორის, — წერდა კრიტიკოსი, — იქ („პოეტში" — შ. ქ.) ჭავჭავაძე ღმერთს ელაპარაკება და ციდგან მიწაზეა გამოგზავნილი ქვეყანაზედ წესიერების დასამყარებლათ. არა, ვკითხავთ ჩვენ ჭავჭავაძესა: ეს რა იგავია, ან რა უნდა ეთქვა ამითი?"[122] ნუთუ მართლა ვერ გაიგო „პოეტის" აზრი და უდიდესი მნიშვნელობა „წმინდა ხელოვნების" წინააღმდეგ ბრძოლაში ა. ფურცელაძემ? ღმერთთან ლაპარაკი და ციდან გამოგზავნა — ყველაფერი ეს ილიას ხომ იმიტომ დასჭირდა, რომ ხაზი გაესვა პოეზიის მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულებისათვის, კერძო პირთა კერძო საქმიდან, როგორიც იყო იგი „მამების" ხელში, გადაექცია ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის იარაღად? განიხილავდა რა ამავე ლექსს ორი წლის შემდეგ, აკაკი წერეთელი ხაზს უსვამდა „პოეტის" სწორედ ამ მნიშვნელობას და, მოჰქონდა რა სათანადო ციტატა („რომ ხალხისა მოძმეთ ვიყო"... და სხვ.), წერდა: „აი რას ანბობს პოეტი! ჭავჭავაძის გარდა უთქვამს ვისმეს ეს აზრი? აი რას ნიშნავს კაცობა და არა ბულბულობა".[123]

უკიდურესად უარყოფითი შეფასება მისცა ა. ფურცელაძემ აგრეთვე ილიას ლექსებს „ციურნი ხმები", „მძინარე ქალი" და „ლოცვა", განსაკუთრებით კი „მძინარე ქალს". ძახ სასაცილოდ აიგდო ილიას ეს სატრფიალო ლექსი და იგი იძის დასტურად მიიჩნია, რომ „საქართველოს მოამბე". ფართოდ უღებდა კარს უაზრო, ცრუ ოცნებებით სავსე ლექსებს, ე. ი., რომ მან თითქოს დაკარგა მიმართულება და ასც-

---

121 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, 1953, გვ. 337.
122 ქრესტომათია, I, გვ. 358.
123 ა. წერეთელი, თხზ., ტ. XII, 1960, გვ. 32.

და სწორ გზას. „ოხ მიმართულებავ, მიმართულებავ! ნეტა თუ როგორ ეყურება „მოამბეს“ მიმართულება? თუ ისე ეყურება, როგორც ტენტენიკოვს ისტორია, კარგი რამ იქნება!“.[124] კრიტიკოსის აზრით, მსგავსი ლექსები კიდევ მიეტევებოდა გიორგი ერისთავს, „მაგრამ ჰავჰავაძეს როგორ მიეტევება ესა, როდესაც ის თითონაც ახალს ხალხსა და საზოგადოებაშია გაზრდილი და ახალს ელემენტებში გამოსული“.[125]

ამით ა. ფურცელაძე მკითხველს ეუბნებოდა: მართალია, ილია ჭავჭავაძე მდგომარეობით ახალს ეკუთვნის, თავიც ახალი თაობის კაცად მოაქვს, მაგრამ შეგნებით ძველის მოძხრეა, ე. ი. არაფრით არ განირჩევა წინაპრებისაგან და იმავე ლიტერატურულ პოზიციაზე დგას, რომელსაც ერთ დროს თვითონ ებრძოდაო. ამიტომაც დააყენა დიდი ქართველი პოეტი ილია ჭავჭავაძე პოეტ გიორგი ერისთავის გვერდით და ორივეს პათეტიკურად მიმართა: „ჩვენა, უფ. ჭავჭავაძე და თ. გ. ერისთაო, ცრუ ოცნებაები კი არ გვინდა პოეზიაში, — რით ვერ გაიგეთ, რომ მაგგვარი ოცნებაებისა, ოხისა და უხის, ამაოთ ლაყაფისა და ქადაგებაებისა დროებაები წავიდნენ, — ჩვენ გვინდა პოეზიაებშიაცა და ისეც ვხედავდეთ საქმეს, ჰეშმარიტებას, ჩვენი გულის პასუხს, ჩვენი თავის ცნობას, ჩვენს გარშემოს, ჩვენს თვისებას და კუთვნილებას და არა თქვენი ოპიუმისაგან მთვრალის ოცნებაების დაგვარსა რაღაცა რაღაებსა, ვაშა-ვუშსა და ვაგლახებსა“.[126] უცნაური და საკვირველია, რომ ამგვარი ტირადით მიმართავენ ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც სამუდამოდ დაასამარა ე. წ. „წინდა“ პოეზია, თეორია „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და მტკიცედ დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში მოქალაქეობრივი მოტივები! ჩანს, ა. ფურცელაძეს ძლიერ შეზღუდულად ესმოდა პოეზიის დანიშნულება და ეგონა, რომ მას მხოლოდ პოლიტიკურ-მოქალაქეობრივი მოტივებით უნდა ეცხოვრა, მხოლოდ პოლიტიკურ-მოქალაქეობრივი იდეალი ექადაგა. დიდი რუსი კრიტიკოსი ბ. ბელინსკი ლერმონტოვის ლექსებისადმი მიძღვნილ გენიალურ კრიტიკულ სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პოეზია—ეს სიცოცხლეა, ადამიანის ცხოვრების პოეტური ასახვაა და ამიტომ არა-

124 ქრესტომათია, I, გვ. 358.
125 იქვე.
126 იქვე.

ვითარი ადამიანური უცხო არ უნდა იყოს მისთვის. ადამიანს აქვს თავისი ადამიანური გრძნობები — სიხარული, მწუხარება და ა. შ. და აქვს მოქალაქეობრივი მისწრაფებები. ერთის უგულებელყოფა მეორის სასარგებლოდ იქნებოდა პოეზიის არა გამდიდრება, არამედ მისი გამოფიტვა და გაღარიბება, არა მისი ზემოქმედებითი ძალის გაძლიერება, არამედ შესუსტება. „მოქალაქემ, — წერდა ბ. ბელინსკი, — არ უნდა მოსპოს ადამიანი და არც ადამიანმა — მოქალაქე".[127] სატრფიალო, ელეგიური და ადამიანის სხვა პირადული გრძნობების გამომსახველი ლექსებიც საჭიროა საზოგადოებისათვის, ისინიც ასრულებენ გარკვეულ აღმზრდელობით როლს ხალხის ცხოვრებაში და, მაშასადამე, სრულიადაც არ არიან უსარგებლონი. ხალხი მღეროდა ილიას „ელეგიასა" და „გუთნის დედასაც" და მღეროდა „გახსოვს ტურფასაც". ამდენად, სატრფიალო და, საერთოდ ინტიმური პოეზიის ხელაღებით უარყოფა გაუმართლებელია, უხეში შეცდომაა. ა. ფურცელაძე კი იქამდე მივიდა, რომ არათუ ილიას „მძინარე ქალი" მიიჩნია უაზროდ, ლერმონტოვის გენიალურ „დემონსაც" კი გადაუსვა ხაზი და საჯაროდ დასცინა მამია გურიელს ქართულ ენაზე მისი გადმოთარგმნისათვის. ერთ-ერთ სტატიაში („ათი მტერს, ერთი მოყვარეს"), მაგალითად, იგი შავით თეთრზე წერდა: „თუ უაზრო პოემების წაკითხვა ძნელია, ამაზედ უფ. ფაზელს (ძ. გურიელს — **ზ. ჭ.**) მაინც დაეკითხეთ, რომელმაც არამც თუ წაიკითხა და კიდეც გადათარგმნა, დაბეჭდა... „დემონი" ლერმონტოვისა".[128]

თუ ილია ჭავჭავაძის ლექსების „მძინარე ქალი" და სხვათა მკაცრ კრიტიკას ახსნა მაინც მოეძებნება, რამდენადაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი იყო უტილიტარიზმის პრინციპის უკიდურესობამდე გამახვილების შედეგი, აბსოლუტურად გაუგებარია, რად დაიწუნა ა. ფურცელაძემ ილია ჭავჭავაძის „გუთნის დედა", ლექსი, რომელიც თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია მოქალაქეობრივ-საზოგადოებრივი მოტივებით და მიმართულია სოციალური ბოროტების, სოციალური უკუღმა-

127 ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, 1952, ტ. I, გვ. 284.

128 „მნათობი", № 8-9, 1872.

რთობის თვით საფუძვლების წინააღმდეგ. უიდეობა და უაზრობა ილიას ამ ბრწყინვალე ლექსს კრიტიკოსმა, რა თქმა უნდა, ვერ დასწვამა,* სამაგიეროდ ჩაეჭიდა მის მდიდარ შინაარს და იმ საბაბით, რომ თითქოს მასში პოეტი „გუთნის დედას ისეთი მაღალი ენით ალაპარაკებს მძიმე საგნებსა, რომ დარწმუნებული ვარ, თითონ ჰავჰავაძემაც შემდგომ დიდის ფიქრისა ძლივს მოიგონა და მოიფიქრა“,[129] უარყო, დაიწუხა იგი. რასაკვირველია, ა. ფურცელაძის ეს შენიშვნა მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. „გუთნის დედაში“ არაფერია ისეთი, რომელსაც ქართველი გლეხი აზრით ვერ მიწვდებოდა და ეხით ვერ გამოთქვამდა. მით უფრო საოცარია, რომ ა. ფურცელაძეს ფაქტიურად კვერი დაუკრა აკაკი წერეთელმა, რომელმაც თავის ერთ-ერთ სტატიაში თითქმის იგივე აზრი განავითარა. „ავიღოთ მისი (ი. ჰავჰავაძის — შ. ქ.). ჰკვიანი ლექსი, ძაგალითად „გუთნის დედა“. რა კარტინას გვიხატავს ავტორი? ასე ჰგონია კაცს, რომ სერზედ შემჯდარი ჰავჰავაძე მისჩერებია გულ-გრილათ მოღიღინე გუთნის დედას და ეუბნება: შე სულელო, აი რას უნდა გრძნობდე და აი რასაო“.[130]

ამრიგად, ა. ფურცელაძემ ხელაღებით დაიწუნა ილია ჰავჰავაძის ლექსები და ამავე დროს განაცხადა, თითქოს ილია ჰავჰავაძე ვერ დაუნათესავდა ხალხს, ორგანულად ვერ გახიცადა ხალხის ტკივილები, მოექცა სენტიმენტალიზმის ტყეობაში, რომელსაც ერთ დროს თვითონ ებრძოდა,— წერდა და ბეჭდავდა უაზრო, ცრუ ოცნებით სავსე „ყოვლად უგვახ ლექსებს“, ტრაბახობდა და თავმომწონეობდა, მის ნაწერებში ყველგან იგრძნობოდა „ავტორის თავის ჩენა“, „პირველ მაჩანჩალად თავისი თავის“ გამოყვანის ცდა. ყოველივე ამას ა. ფურცელაძე წერდა ილია ჰავჰავაძესა და მის პოეზიაზე! მოწიხავე ქართველი საზოგადოებრიობა თავისთავად ცხადია, აღუშფო-

---

* სტატიის, — „ქართული ლიტერატურა“, — გამოქვეყნებიდან თითქმის ათი წლის შემდეგ, ნ. ნიკოლაძესთან პოლემიკის დროს, როცა ილიას წინააღმდეგ აქ ეულგარულ-ნიჰილისტური გამოხდომები გაახსენეს, ა. ფურცელაძემ თავი იმართლა: „აზრებს, გარდა ზოგიერთი ლექსებისა, სადაც ქალების ტრფიალება და შუა საუკუნეების პოეტების აზრების შესახებ პოეტების ზეციდან ჩამოვხაენისა და ამგვარები, მე არ უწუნებდი“ (ქრესტომათია, II, გვ. 191).

129 ქრესტომათია, I, გვ. 370.

130 ა. წერეთელი, თხზ., ტ. IX, 1960, გვ. 30.

თებლად ვერ შეხვდებოდა ამგვარ ნიჰილისტურ გამოხდომას ახალი თაობის საყოველთაოდ აღიარებული ბელადის წინააღმდეგ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ა. ფურცელაძე როდი დასჯერდა ილია ჭავჭავაძის ლექსების „იდეურ“ კრიტიკას, მის პოეტურ ნიჭსაც მისწვდა. „ჭავჭავაძე,—წერდა იგი,—ახალს ვერაფერს ვერას შეიქმს; თუ როდისმე ცდილობს ჭავჭავაძე, რომ თავისით დაჰბადოს, ის არა ჰბადავს ნიჭით, — ის ჰკრებავს ძალათი, ხელოვნურათა სხვა და სხვა ფაკტებსა, სხვა და სხვა ავტორების განვლენილებაების ქვეშ და ისე არდგენს ერთს მთელსა; ამის გამო თქვენ ხედავთ ჭავჭავაძის თხზულებაებში რაღაც უსიცოცხლობას, უმოძრაობას, თხზულებას მკვდარს, რომელსაც ცდილობს ავტორი ძალათი სული ჩაუდგას და აშკარათა ჰხედავთ, რომ აქ ნიჭი კი არ მუშაობს, ხელოვნება მუშაობს“.[131] ასე ჩამოართვა ილიას კრიტიკოსმა პოეტური ნიჭი და იგი გამოაცხადა ხელოსნად, ლექსის შემკოწიწებლად, რომელიც ძალას ატანს თავს და რომლისთვისაც მიუწვდომელია ჭეშმარიტი შემოქმედებითი შთაგონება. შემდგომ, 1872 წელს, ნიკო ნიკოლაძესთან კამათის დროს, ა. ფურცელაძე წერდა, „იმის (ი. ჭავჭავაძის — შ. ქ.) ლექსების წერის ნიჭიერებაზედ იქნება ეხლა ისე სასტიკათ აღარ ვილაპარაკოთ“,[132] ე. ი. ძალთალია, მორცხვად, მაგრამ მაინც აღიარა, რომ ილიას პოეტური ნიჭის შეფასებაში შეცდა. ასევე აღიარა მან, რომ ილია ჭავჭავაძეს „აზრებისა, იდეებისა, ტემების სიუხვე და სიძლიერე აქვსო“.[133]

ა. ფურცელაძეს არ შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო. სამოცდაათიანი წლების დამდეგისათვის ილიას ლექსები უკვე ხალხში იყო გადასული, ხალხი მათ იცნობდა და ბევრ მათგანს მღეროდა კიდევაც. კრიტიკოსის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას აღმოაჩნდა შინაგანი ძალა ასე თუ ისე ობიექტურად შეეხედა მოვლენისათვის და კორესპონდენციაში „გორიდამ“ საგანგებოდ გაესვა ხაზი, რომ ილია ჭავჭავაძის ლექსებს მღეროდა ხალხი, რომ ხალხს უყვარდა ისინი და ესმოდა.

---

131 ქრესტომათია, I, გვ. 358-359.

132 ქრესტომათია, II, გვ. 191.

133 იქვე.

მათი აზრი, იდეა. რა თქმა უნდა, ამ ფაქტმა, ა. ფურცელაძის ყურადღება თავისთავად როდი მიიქცია. მასში კრიტიკოსმა სამართლიანად დაინახა ღრმა მნიშვნელობის მოვლენა. იგი ცხადყოფდა, რომ საზოგადოება ის აღარ იყო, რაც გუშინ, და პოეზიაც ის აღარ იყო. ერთიც და მეორეც ერთმანეთისაკენ, ერთმანეთის დასაახლოებლად მიდიოდა. პოეზია გამოხატავდა ხალხის ფიქრებსა და გრძნობებს და საზოგადოებაც არ ხვდებოდა მას ძველებური გულგრილობით, პირიქით, ხალხი მღეროდა ქართველი პოეტების ლექსებს, მღეროდა მათში გამოხატული აზრის, იდეის სრული შეგნებით, რაც წინათ არ შეიმჩნეოდა. ყველაფერი ეს ცხადყოფდა, რომ მოხდა სერიოზული ძვრა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, რომ საზოგადოებაში ფეხი მოიკიდა პროგრესულმა იდეებმა და ამაღლდა მისი შეგნების დონე. აი რა ღრმა საზოგადოებრივი ახსნა მისცა ა. ფურცელაძემ ერთი შეხედვით თითქმის სრულიად უბრალო ფაქტს, რომ ხალხი მღეროდა ილია ჭავჭავაძისა და სხვა ქართველი პოეტების მოქალაქეობრივი სულისკვეთებით გაჟღენთილ ლექსებს.

ერთმანეთს ადარებდა რა წარსულსა და აწმყოს, ამ თვალსაზრისით, ა. ფურცელაძე წერდა: „გაიგონებდი ათასში ერთგან „ს უ ლ ო ბ ო რ ო ტ ო ს“ და ატყობდი, რომ ამასაც იმიტომ კი არ მღერიან, რომ ესმით იმის ნანდვილი აზრი, იმიტომა მღერიან, რომ ამ ღრმა ლექსს აძლევენ საარშიყო მნიშვნელობას. ეს პირიქით უფრო აშფოთებდა კაცსა.

მაგრამ, წარმოიდგინეთ ჩემი სიამოვნება, როდესაც ამ დღეებში ერთი ყმაწვილი გასათხოვარი ქალისაგან გავიგონე სიმღერაში მშვენიერი ლექსი ილია ჭავჭავაძისა „ე ლ ე გ ი ა“.. ხმაც ახალია და სწორედ შესაფერი იმ სურათისა, რომელიც ისახება ამ ლექსის ცხოველს სიტყვებში. ახლა წარმოიდგინეთ ქალისაგან გულით იმ ლექსის წარმოთქმა... იმღერეთ, ჩვენო ქალებო, ამ გვარი ლექსები, იმღერეთ „ნანა“ ამავე ჭაჭავაძისა და თქვენის მშვენიერის ვერცხლებრივ წმინდის ხმით გაჰკივლეთ ამგვარი სიმღერანი მთათა და ველთა, რომ იგრძნობინოთ ჩვენთა ჯაბუკთა, ჩვენთა შვილთა და ძმათა, რომ წავიდა შექცევების დრო და ახლა დროა ჩავაფიქრდეთ ჩვენს თავს, ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ცუდ ცხოვრებას, ასმინეთ იმა-

თა, რომ ის ცხოვრება, რომელშიაც ჩვენ ჩავფლულვართ, აღარ ეკუთვნის სააქაოსა, რომ ის ეკუთვნის იმ წარსულთა, რომელთაც დიდი ხანია დასტოვეს ეს სოფელი, და ჩვეხთვის, როგორც ახალი თაობისათვის, არის საჭირო ახალი ცხოვრება. დღესაც ყურში მადგია ეს, მშვენიერი ქალის ხმით წარმოთქმული, ძლიერი სიტყვები:

ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება...

გავიგონე აგრეთვე სიმღერით „მერანი"...

ამ ლექსსაც სიმღერაში მაშინ ექნება საგრძნობი მნიშვნელობა, როდესაც შეატანს ხალხში და მომღერალი ხალხისაგან რომ იმღერებს, თან კიდეც გაიგონებს და თან კიდეც თანაუგრძნობს. ღმერთმაც ჰქნას, „მერანიც" გაპაპულიარდეს, ძაგრამ „მერანი" წასაკითხავათაც ძვირათ ვისგანმეა გასაგონი და „ელეგია" ყველას კარგად ეყურება".[134]

როგორც ვხედავთ, კორესპონდენციაში მთავარია არა ილია ჭავჭავაძის პოეზიის ქება, არამედ საზოგადოების მდგომარეობა, მისი გამოფხიზლებითა და წინსვლით გამოწვეული კმაყოფილება, ძველის ნგრევისა და ახალი თაობის შესაფერი ცხოვრებისაკენ მგზნებარე მოწოდება. მით უფრო დასანანია, რომ კრიტიკოსს ამ კორესპონდენციისათვის სრულიად დაუმსახურებლად წყენა შეხვდა. მისი ოპონენტები არ ჩასწვდნენ საკითხის არსს და მთელი ყურადღება „ელეგიის" ქებაზე გადაიტანეს, წინათ თუ აძაგებდი ილიას ლექსებს, ახლა ხოტბას რად ასხამო. ამასთან დაკავშირებით ა. ფურცელაძე იძულებული გახდა განემარტა, ხელახლა გარკვევით ჩამოეყალიბებინა თავისი პოზიცია ილია ჭავჭავაძისადმი და განეცხადებინა, რომ ამ მხრივ რაიმე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ნიკო ნიკოლაძესთან პოლემიკის დროს (1872 წ.), გარდა იმისა რომ კვლავ გაიმეორა და დაადასტურა ძველი ბრალდებები, (რომ ილია ჭავჭავაძე ვითომც სხვა ავტორების გავლენით წერს და „არა აქვს ფსიხოლრგიური ცნობა კაცის გულისა") ახალი ფრიად სერიოზული შეცდომა დაუშვა. კრიტიკოსი არ

134 „დროება", № 39, 1870. (ხაზგასმა ავტორისაა — შ. ჭ.).

დაეთანხმა უკვე დამკვიდრებულ შეხედულებას, რომ ილია ჭავჭავაძე იყო მეთაური ახალი თაობისა, რომელმაც ახალი, პროგრესული იდეებით გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა. „თქვენგან პირველისაგან არ ისმის ისა, ვითომც ახალი მიმართულება და აზრები იყვეს დაწყობილი და შემოღებული ჩვენში ილია ჭავჭავაძისგან, — მიმართავდა ა. ფურცელაძე ნ. ნიკოლაძეს. — მე მხოლოდ ამას ვიტყვი, რომ მაგან გააცხოველა ეს აზრები და მიმართულება სხვა თავის ტომებითურთ, რომლებშიაც ერთი პირველი ადგილთაგანი მაგას ეჭირა".[135]

ანტონ ფურცელაძის ამ უსაფუძვლო შეხედულებამ ერთხან საკმაოდ მოიკიდა ფეხი და მოქალაქეობრივი უფლებაც კინაღამ მოიპოვა, მაგრამ საბედნიეროდ, მალე იგი უკუგდებულ იქნა, როგორც უმართებულო და სრულ გაუგებრობაზე აღმოცენებული. თქმა არ უნდა, რომ ნიკ. ბარათაშვილმა, გრ. ორბელიანმა, ზ. ანტონოვმა, დ. ჭონქაძემ, როგორც წინამორბედებმა, მართლაც ბევრი ახალი და პროგრესული აზრი ვამოთქვეს, რომლებიც გაიზიარეს ილია ჭავჭავაძემაც და სხვა თერგდალეულებმაც, მაგრამ განა ეს უფლებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ილია ჭავჭავაძემ მხოლოდ „გააცხოველა ეს აზრები და მიმართულება?" ილიამ და აკაკიმ არა მარტო გაიზიარეს და გააცხოველეს წინაპართა პროგრესული იდეები, არამედ მთელი ეპოქა შექმნეს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. დღეს ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილია და აღარ წარმოადგენს დავის საგანს.

კრიტიკოსის ასეთმა ნიჰილისტურმა გამოხდომებმა შეიძლება შეგვიქმნას შთაბეჭდილება, რომ ა. ფურცელაძე თითქოს საერთოდ უგულებელყოფდა ი. ჭავჭავაძის შემოქმედებას, უმთავრესად კი პოეზიას. სინამდვილეში ასე არ არის. თვითონ მას არაერთხელ განუცხადებია, რომ იგი ცნობდა ილიას სიდიადეს. აკაკი წერეთელთან კამათში (1879 წ.) ა. ფურცელაძემ განაცხადა, რომ ილიას „თუმცა „მრავალს აზრს, მრავალს წარმოთქმას და მრავალს ნაწერში ვერ დავეთანხმებოდი და ვერ მოვუწონებდი", მაინც „იმას შედარებით სხვებთან, მეტადრე როგორც პოეტს, არავიზედ, თუ არა წინ, უკან არ დავაყენე-

135 ქრესტომათია, II, გვ. 192.

ბო".[136] ამავე წერილში იგი წერდა: „თუ ვინმე იყო ჩვენს ახლანდელს პოეტებში მეშვიდესა თუ მეცხრე ცაში ასაყვანი, ერთ ამათგანში ჭავჭავაძესაც პირველს ედგა ფეხი".[137] ასევე აღიარებდა იგი ილიას ღვაწლს როგორც დიდი საზოგადო მოღვაწისას. გამოუქვეყნებელ სტატიაში „ვინ არის მოღალატე? ვინ არის ზიზღის ღირსი?" იგი გულისტკივილით წერდა, რომ ა. ჯორჯაძემ პოლემიკა სწორედ იმ დროს გაუმართა, „როდესაც ასე მწარეთა ვმგლოვობთ უვიცი ხელით განგმირულს ჩვენს სახელოვანს მამულის შვილს ილიას და ვდღესასწაულობთ ამ დაუვიწყარი მამულის შვილის 75 დაბადების დღეს". ამავე სტატიაში ა. ფურცელაძე ამტკიცებს, რომ ილიასა და ჩემი შესედულებანი ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ რიგ პრობლემებზე ერთმანეთისაგან არ განირჩეოდნენო და მოაქვს სათანადო ფაქტებიც. რა თქმა უნდა, იყო სხვაობაც, მაგრამ ეს არ აიხსნებოდა მარტო პირადული მოტივებით. საგულისხმოა, რომ თვითონ ა. ფურცელაძე გადაჭრით უარყოფდა რაიმე პირად მტრობას ილიასთან და ერთ პოლემიკურ სტატიაში წერდა: „რაში ისახებოდა ჩემი მტრობა? რომელს საზოგადო საქმეში გადუდე მე იმას ფეხი და სად არ მივყე, თუ დავინახე, რომ ეს საქმე სასარგებლო იყო საზოგადოებისათვის?"[138] თუ დავივიწყებთ უსიამოვნო ინციდენტს „საქართველოს მოამბესთან", უმთავრესად მართლაც ასე იყო — ა. ფურცელაძე აქ არ სცოდავს ჭეშმარიტების წინააღმდეგ.

მაშ რაშია საქმე, რომ ა. ფურცელაძე ილია ჭავჭავაძის ისეთ მოწინააღმდეგედ მიაჩნდათ, რომ მისგან „ელეგიის" შექებაც კი გაიკვირვეს?

თვითონ ა. ფურცელაძე განმარტავს, რომ იგი მუდამ ცნობდა ილია ჭავჭავაძის დიდ მნიშვნელობას ქართულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ წინააღმდეგი იყო მისი მეტისმეტი განდიდებისა და გაღმერთებისა. ჯერ კიდევ 1872 წელს, ნიკო ნიკოლაძესთან კამათის

136. „დროება"; № 249, 1879 წ.
137 იქვე.
138 ა. ფურცელაძე, ჭურჭლის თავზედ ჭუდი იწვის, „ივერია", № 214, 1894.

დროს, ა. ფურცელაძე წერდა: ილია ჭავჭავაძე „რომ ერთი საუკეთესოთაგანია ჩვენში, მაგას მეც ვაღიარებ, მაგრამ რომ ეს გვაძლევდეს მიზეზს მაგის წინ თვალების დახუჭვისას, ეგ თქვენთვის მოგვინდვია“.[139]

ბოლოს, 1912 წელს, ა. ფურცელაძე, ეკამათებოდა რა არჩ. ჯორჯაძეს, კვლავ ამტკიცებდა, რომ არასოდეს არ უარყოფდა ილიას ღვაწლს, მაგრამ მუდამ გამოდიოდა კერპთაყვანისმცემლობის, ილიას კულტის წინააღმდეგ, რადგან მიაჩნდა, რომ „ქვეყნის ერთი უმთავრესი დამღუპველი არის კერპთაყვანისმცემლობა... ამ ბრმა თაყვანებას მოსდევს ის, რომ, თუ გაღმერთებულმა კაცმა აუქცია თავის გზას, ისეთს ვნებას ვერავინ მოუტანს ქვეყანას, როგორც ამ გაღმერთებული კაცების შემცდარი, ან განგებ წარმოთქმული აზრი და არჩეული გზა!“.[140] ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით ა. ფურცელაძის აზრს, რომ პიროვნების კულტს, პიროვნების გაღმერთებას სიკეთე მართლაც არ მოსდევს, მაგრამ სად აუქცია არჩეულ გზას ილიამ? როდის უღალატა თავის პროგრესულ დემოკრატიულ პრინციპებს?

შემდეგ კრიტიკოსი წერს: „დიდებულს კაცს დიდებული აზრებისა და საქმეებისათვის დიდება და პატივი... მრავლისაგან მრავალი სამსახური მიუძღვის ი. ჭავჭავაძეს ჩვენი ქვეყნის წინაშე. მაგრამ ნუ თუ ის იყო შეუცდომელი, შეუცოდველი?“[141] არა, ილია მართლაც არ ყოფილა შეუცდომელი, მაგრამ ა. ფურცელაძე მის შეცდომას იქ ეძებდა, სადაც იგი არ იყო და ილიას კულტს კი არა, ხშირად თვით ილიას ებრძოდა, შეგნებულად ამცირებდა მის ღვაწლს, მისი ნიჭის ძალას. აი, ეს იყო უბედურება და ამის გამო კიცხავდნენ ა. ფურცელაძეს.

საგულისხმოა, რომ ერთ-ერთ პოლემიკურ სტატიაში ა. ფურცელაძე თავის ოპონენტს უსაყვედურებდა, შენ და შენმა თანამოაზრეებმა ილიას ვერც ერთი შეცდომა ვერ და-

---

139 ქრესტომათია, II, გვ. 193 (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ა. ფურცელაძეს, როგორც ჩანს, უპირდა ერთმანეთისაგან გაერჩია სერვილიზმი და რესპექტი. მას ეგონა, რომ ნიკოლაძე და სხვები მონურად ქედს იხრიდნენ ილიას წინაშე და მისგანაც ამას მოითხოვდნენ — შ. ჯ.).

140 „ბათუმის გაზეთი“, № 141, 1912.

141 იქვე.

უმტკიცეთ და ამის გამო „კაცი, რომელიც გინდოდათ დედამიწასთან გაგეს წორებინათ, საზოგადოების თვალში გაჰხადეთ შეუცოდველად, აქციეთ კერპად, გაუხადეთ კულტად“.[142] თუ კი ვინმემ ამ გზით მართლაც შეუწყო ხელი ილიას სახელის განდიდებას, გადაუჭარბებლად შეიძლება ვთქვათ, ერთი პირველთაგანი თვითონ ანტონ ფურცელაძე იყო. მან ილიას ვერავითარი ცოდვა ვერ დაუმტკიცა, ვერაფერი დააკლო, თავის თავს კი ცოტა როდი ავნო — საზოგადოებაში ნიჰილისტისა და ილიას უპრინციპო მოწინააღმდეგის სახელი დაიგდო.

ახალი დადებითი გმირი და ავტორეცენზია „შეუსრულებელი სურათი“

ავტორეცენზია „შეუსრულებელი სურათი“ მრავალმხრივ საინტერესო ლიტერატურულ - კრიტიკული სტატიაა. ჯერ ერთი, მასში, ა. ფურცელაძემ შემდგომ განავითარა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები, რომლებიც ჯერ კიდევ დ. ჭონქაძისა და ი. ჭავჭავაძის მოთხრობებისადმი მიძღვნილ სტატიებში აღძრა; მეორეც, პირველად ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში მთელი სიგრძე-სიგანით განიხილა დადებითი გმირის, მომავლის ადამიანის პრობლემა.

„შეუსრულებელი სურათი“ თვით ა. ფურცელაძის მოთხრობის „სამის თავგადასავალი“ ვრცელი კრიტიკული განხილვაა. როგორც ვთქვით, იგი კრიტიკოსმა ფსევდონიმით (ზ. მოენიძე) გამოაქვეყნა ისე, რომ „დროების“ მაშინდელმა რედაქტორმა გ. წერეთელმა არ იცოდა სტატიის ავტორის ნამდვილი ვინაობა. ცნობილია, რომ გ. წერეთლისათვის ა. ფურცელაძე იდიოზური პიროვნება იყო და უარყოფდა მისი მოთხრობებისა თუ ლექსების ლიტერატურულ ღირსებებს. ამ მხრივ გამონაკლისს არც „სამის თავგადასავალი“ წარმოადგენდა, რასაც გ. წერეთელი ხაზგასმით აღნიშნავდა ზ. მოენიძის სტატიისათვის სპეციალურად დართულ შენიშვნაში: „სამის თავგადასავლები“ იმისთანა მოთხრობაა, რომ ჩვენის აზრით, რიგიანი კრიტიკის ღირსი არ არის... მე არ მგონია, რომ თვითონ მოთხრობასაც „სამის თავს გარდასავლებსა“ რაიმე ლიტერატურუ-

142 „ივერია“, № 214, 1894.

ლი ღირსება ჰქონდეს. ამისათვის ამ მოთხრობაზე ბევრი ლაპარაკი არც კი ღირს გაზეთში".[143] საკითხავია: მაშ, რატომღა დაბეჭდა გ. წერეთელმა ზ. მოენიძის წერილი, რატომ მისცა მას ადგილი „დროებაში?" „სტატიას უფრო იმისათვის მივეცით ალაგი ჩვენს გაზეთში, — განმარტავდა გ. წერეთელი, — რომ იმაში საზოგადოთ ბევრი კარგი აზრებია გამოცხადებული და კარგი მიმართულებაც არის".[144]

მოთხრობის ასეთმა დაწუნებამ გაანაწყენა ა. ფურცელაძე და საჯაროდ განაცხადა, რომ მოენიძე თვითონ ის, ფურცელაძეა, რასაც ცხადია, მოპყვა ლიტერატურული სკანდალი. შემდგომ, X X საუკუნის დამდეგს, არჩ. ჯორჯაძემ ა. ფურცელაძეს ბრალი დასდო, თითქოს მან სტატია „შეუსრულებელი სურათი" თავისი თავის შესაქებად დაწერა. ნამდვილად კი ასე არ იყო. სტატია არ წარმოადგენს მოთხრობის ქება-დიდებას, პირიქით, მასში ხაზგასმულია მისი ბევრი არსებითი ნაკლი. ამიტომ ა. ფურცელაძემ სამართლიანად უარყო ეს ბრალდება, როგორც უსაფუძვლო. „რა ერქვა იმ წერილს, — წერდა ა. ფურცელაძე, — რომელშიაც ვითომც მე ჩემი თავი ვაქე? სათაურიც არის რომ წაეკითხა ჯორჯაძეს, ამას არ იტყოდა. ამისი სათაური არის „შეუსრულებელი სურათი".[145] თავისთავად ცხადია, ა. ფურცელაძეს არც თავისი მოთხრობის დასამარება სურდა. მაშ რა მიზანს ისახავდა იგი, როცა ავტორეცენზიას წერდა? გამოუქვეყნებელ სტატიაში „ვინ არის მოღალატე? ვინ არის ზიზღის ღირსი?" ა. ფურცელაძე აღნიშნავდა, რომ „შეუსრულებელ სურათში" მე „ჩემს ნაწერს კი არ ვაქებდი... პირიქით ნაკლს ვუჩვენებდი და ამ წერილით მე მინდოდა შემევსო ეს ნაკლი".[146]

ამასვე წერდა ა. ფურცელაძე ავტორეცენზიაშიც: „რათგან ბადლაძე („სამის თავგადასავლის" მთავარი მოქმედი პირი — შ. ქ.) თავის დაწყობილებით არა აქვს ფურცელაძეს ბოლომდინ გატანილი და ამისი დაწყებული სურათი არ არის შესრულებული, ამის გამო ჩვენ ვეცდებით განვიხილოთ სვიმონის გვარი კაცების დამოკიდებულება ცხოვრებასთან და საზოგა-

143 ქრესტომათია, II, გვ. 27.
144 იქვე.
145 „ბათუმის გაზეთი", № 142, 1912.
146 ა. ფურცელაძე, ვინ არის მოღალატე? ვინ არის ზიზღის ღირსი?

დოებასთან და საზოგადოების მოპყრობა ამათთან. ბევრი ისა, რასაც ჩვენ ვიტყვით, არ შედის მოთხრობის პროგრამაში და ეს კრიტიკის ვალია უჩვენოს მკითხველსა. ჩვენ შეძლებისა და აღაგის გვარათ ვეცდებით ამ ტემის შესრულებასა, თვით ფურცელაძის ნაჩვენებს ფაქტებზედვე დამყარებულნი".[147] ეს ამონაწერი, ვფიქრობთ, არავითარ ეჭვს არ ტოვებს კრიტიკოსის კეთილშობილურ განზრახვაში და მას აუცილებლად უნდა მოეხსნას თვითმაქებრობის ბრალდება, როგორც უსაფუძვლო. მეორე მხრივ, საგულისხმოა ლიტერატურული კრიტიკის ის ფუნქცია, რომელსაც აქ ა. ფურცელაძე აყალიბებს: კრიტიკოსი არ უნდა შემოიფარგლოს მარტო იმ იდეებით, რომლებსაც ნაწარმოების ავტორი აღძრავს. ამასთან ერთად მისი ვალია უჩვენოს ისიც, რაც არ შედის „მოთხრობის პროგრამაში", მაგრამ მისგან კი გამომდინარეობს, ე. ი. არის თვით მოთხრობაში „ნაჩვენებს ფაქტებზედვე დამყარებული".

ახლა განვიხილოთ თვით „შეუსრულებელი სურათი" როგორც ლიტერატურულ-კრიტიკული სტატია.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში დამკვიდრებულია აზრი, რომ ა. ფურცელაძემ „სამის თავგადასავალი" დაწერა ნ. გ. ჩერნიშევსკის საქვეყნოდ ცნობილი რომანის „რა ვაკეთოთ?" უშუალო გავლენითა და შთაბეჭდილებით. ეს არცთუ მთლად ზუსტია. „რა ვაკეთოთ?" — ეს არის ფართო სოციალური ტილო, დიდმნიშვნელოვანი სოციალური რომანი, რომელიც აღძრავს ეპოქის ისეთ კარდინალურ იდეებს, როგორიცაა შრომის განმათავისუფლებელი და გარდამქმნელი როლი, რევოლუციისა და სოციალიზმის იდეა, ხალხის საქმის სამსახური, ქალთა ემანსიპაცია, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის აუცილებლობა. „სამის თავგადასავალში" კი, როგორც სამართლიანად წერს პროფ. შ. რადიანი, „დასმულია საკითხი ოჯახისა და ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობის შესახებ მემამულურ-ბიუროკრატიული ურთიერთობის არსებობის პირობებში".[148] უკვე აქედან ჩანს, რომ თავისი იდეური სიმდიდრეთა და დიაპაზონით „რა ვაკეთოთ?" და „სამის თავგადასავალი"

147 ქრესტომათია, II, გვ. 31-32.
148 შ. რადიანი, ახალი ქართული ლიტერატურა, II, 1953, გვ. 124.

ისე განსხვავდებიან ერთანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა. ამის გამო სვიმონ ბადლაძე არ არის შთაგონებული ისეთი დიადი, ამაღლებული იდეებით, როგორც ლოპუხოვი, რახმეტოვი და ჩერნიშევსკის რომანის სხვა პერსონაჟები, ამასთან არც ისე ფართო სამოქმედო სარბიელი აქვს, როგორც მათ. მეორე მხრივ, ჩერნიშევსკი გვიჩვენებს იმ ადამიანებს, რომლებიც უკვე იყვნენ, არსებობდნენ საზოგადოებაში, ოღონდ ისინი ჯერ კიდევ უმცირესობას წარმოადგენდნენ, მაგრამ რომანისტი იმედს გამოთქვამდა, რომ მათი რიგები სწრაფად გამრავლდებოდა და მომავალიც მათ ეკუთვნოდათ. ამ აზრით უწოდა ჩერნიშევსკიმ თავისი რომანის პერსონაჟებს მომავლის ადამიანები. რაც შეეხება „სამის თავგადასავლის" მთავარ პერსონაჟს სვიმონ ბადლაძეს, როგორც თვითონ ა. ფურცელაძე წერს, იგი „არ არის ჩვენი საზოგადოების შვილი და ჯერობით ძალიან ძნელიც არის გამოსვლა ამ გვარის პირისა ჩვენში".[149] მაგრამ მწერალს სჯეროდა, რომ ბადლაძეები უთუოდ გამოჩნდებოდნენ და გაბედულად წარუძღვებოდნენ ხალხს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში. ამ აზრით მივიჩნევთ ჩვენ სვიმონ ბადლაძეს მომავლის ადამიანად.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, თითქოს „სამის თავგადასავალში" აბსოლუტურად არ ჩანდეს რომანის „რა ვაკეთოთ?" კვალი, მისი გამოძახილი. ჩვენ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიტანთ. უაღრესად შევიწროებული და დევნილი, უკვე დასნეულებული სვიმონ ბადლაძე წუხს, რომ ჯანმრთელობამ, სხეულმა უმტყუნა. „მე უფრო ძლიერი მეგონა ჩემი სხეული და ჯანი, — ამბობს იგი, — ეტყობა საკმაო გამოცდილება არ მიმიღია და არ მივარჯიშებია ჩემი თავი, რომ ასრე მალე დამიმორჩილა ცუდმა მდგომარეობამ!... დიახ! ბევრი გამოცდილება და ვარჯიში ნდომებია კაცსა, რომ გაუმაგრდეს გრძელს, ცუდს, დაუცხრომელს მდგომარეობასა".[150] ამ სტრიქონების წაკითხვისას, რომლებიც, სხვათა შორის, თვითონ ა. ფურცელაძეს მოაქვს ავტორეცენზიაში, შეუძლებელია არ მოგვაგო-

149 ჭრესტომათია, II, გვ. 31.

150 იქვე, გვ. 33.

ნდეს რახმეტოვი, წინასწარ რომ იწრთობდა სხეულს, რათა საჭიროების შემთხვევაში სულსაც და სხეულსაც თანაბრად გაეძლოთ განსაცდელისათვის. აქედანვე ჩანს, რომ ბადლაძე რახმეტოვის ორეული კი არ არის, „ერთგვარად მოგვაგონებს რახმეტოვს“,[151] როგორც სამართლიანად წერს პროფ. ა. ნიკოლაძე.

„სამის თავგადასავალში“, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არის უფრო მნიშვნელოვანი იდეური შეხვედრებიც ჩერნიშევსკისთან, მაგრამ მათი უმრავლესობა შეიძლება აიხსნას სა ე რ თ ო დ ამ დიდი რუსი მოაზროვნის იდეებისა და არა ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ რ ო მ ა ნ ი ს გავლენით. ასეთია, მაგალითად, „გონივრული ეგოიზმის“ იდეა, რომლითაც გამსჭვალულია მთელი მოთხრობა, განსაკუთრებით კი ავტორეცენზია. საგულისხმოა კიდევ ერთი მომენტი. ჯერ კიდევ სტატიაში „სურამის ციხე დანიელ ჭონქაძისა“ ა. ფურცელაძე გამოთქვამს შეხედულებებს, რომლებიც შემდეგ საფუძვლად დაედო სვიმონ ბადლაძის მხატვრულ სახეს. მხედველობაში გვაქვს კერძოდ, ვარდოს ხასიათის ანალიზი. მოვიგონოთ, რა აღფრთოვანებით წერდა კრიტიკოსი ვარდოს ხასიათისა და ნებისყოფის სიმტკიცეზე, იმ შეუპოვრობაზე, რაც მან გამოიჩინა დასახული მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლაში. ოცი წელიწადი იგი მოთმინებით უცდიდა შურისძიების დღეს და, ბოლოს და ბოლოს, საწადელს ეწია — მოღალატეს არ აპატია უსინდისო ღალატი, არ დანებდა გაჭირვებას, ძალას და გაიმარჯვა — სამაგიერო მიუზღო თავის გამაუბედურებელს. ასევე დიდად აქო ა. ფურცელაძემ ოსმან-აღას დედა, რომელმაც ქედი არ მოიხარა ბატონის წინაშე, შებრალება არ სთხოვა ჯალათს და საკუთარი ადამიანური ღირსების შელახვას სიკვდილი ამჯობინა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ეს პერსონაჟი დაიღუპა, კრიტიკოსმა მათი საქციელი, მათი შეუპოვრობა და უშიშარობა, ძალის წინაშე დაუმორჩილებლობა მ ი ს ა ბ ა ძ ა დ დაუსახა მკითხველ საზოგადოებრიობას.

მაშასადამე, სვიმონ ბადლაძის მხატვრული სახე, მხატვ-

151 ა. ნიკოლაძე, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები და ქართული ლიტერატურა, 1954, გვ. 108.

რული სახე გარემოებასთან, ცხოვრების პირობებთან მებრძოლი, დასახული მიზნის განხორციელებისათვის თავდადებული, შეუპოვარი და უშიშარი ადამიანისა ჩერნიშევსკის რომანის გაძოქვეყნებამდეც აინტერესებდა და იზიღავდა ა. ფურცელაძეს. ყოველ შემთხვევაში იმ დროისათვის, როცა „რა ვაკეთოთ?“ დაიბეჭდა, ქართველ ბელეტრისტს უკვე მოფიქრებული ეჭნებოდა მოთხრობის დედააზრი და შეეშავებული სვიმონ ბადლაძის მხატვრული სახე. ჩანს, ჩერნიშევსკის რომანის გაცნობის შემდეგ ა. ფურცელაძეს არსებითად არ შეუცვლია თავდაპირველი ჩანაფიქრი. ამით აიხსნება, რომ თავისი იდეური დიაპაზონით „სამის თავგადასავალი“ ბევრად ჩამორჩება რომანს „რა ვაკეთოთ?“. ამდენად, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვილაპარაკებთ ჩერნიშევსკის რომანის არა უშუალო გავლენაზე, არამედ ერთგვარ გამოძახილზე „სამის თავგადასავალში“, როგორც პროფ. ა. ნიკოლაძე აღნიშნავს. „გავიხსენოთ, — წერს იგი, — მისი „სამის თავგადასავალის“ მჭიდრო კავშირი ჩერნიშევსკის ცნობილ რევოლუციურ რომანთან „რა ვაკეთოთ?“, რომელმაც დაბეჭდვისთანავე, 1863 წელს, ერთგვარი გამოძახილი მოიპოვა ქართველი მწერლის დასახელებულ მოთხრობაში“.[152]

მართალია, იმ ფაქტმა, რომ ჩერნიშევსკის რომანს უშუალო გავლენა არ მოუხდენია „სამის თავგადასავალზე“, უთუოდ ავნო ნაწარმოებს, შეამცირა მისი იდეური ზემოქმედების ძალა, გააფერმკრთალა და შეზღუდა სვიმონ ბადლაძის მხატვრული სახე, მაგრამ იგი მაინც უაღრესად საინტერესო მოვლენაა ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. „სამის თავგადასავალი“ პირველი ქართული მოთხრობაა, რომელშიც მკითხველმა დაინახა ახალი დადებითი გმირი, მომავლის ადამიანი და „ზოგიერთი მაგალითი“, რომელსაც უნდა მიჰყოლოდა და მისაბაძად მიეჩნია. ამით განსხვავდებოდა იგი იმდროინდელი ნაწარმოებებისაგან, რომლებიც ასახავდნენ არა მომავლის, არამედ თანამედროვე ადამიანებს. თავისთავად ცხადია, ა. ფურცელაძე ამით სრულიადაც არ უგულებელყო-

152 ა. ნიკოლაძე, ეტიუდები რუსული ლიტერატურის ისტორიიდან, 1954, გვ. 230 (ხაზგასმა ჩემია — შ. ქ.).

ფდა იმ მხატვრულ თხზულებებს, რომლებიც საზოგადოების დღევანდელ სახეს, დღევანდელ ადამიანებს გამოხატავდნენ, მაგრამ დროდადრო აუცილებლად მიაჩნდა ლიტერატურას თვალი მიეპყრო მომავლისათვის და აესახა არა მარტო ის, რაც უკვე არსებობდა, არამედ ისიც, რაც ჯერ კიდევ არ გამოკვეთილა, რაც შექმნისა და დამკვიდრების პროცესშია და რასაც ყოველმხრივი ხელშეწყობა ესაჭიროება. ასეთი ხასიათის ნაწარმოებები იმდენად არის აუცილებელი, რამდენადაც საზოგადოების ყურადღებას ამახვილებენ მოვლენებსა და ადამიანებზე, რომლებსაც თუმცა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მთელი ხალხის მომავლისათვის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მაინც დაჩრდილული და მივიწყებულია. „ამ გვარს წერის აზრს, — შენიშნავდა ა. ფურცელაძე, — მისდევენ მრავალნი მწერალნი უგანათლებულესს ქვეყნებშიაცა. როდესაც ჰხედავენ საზოგადოებას რომელსამე საქმეში ყურ მიგდებულსა და უნდა ეს საქმე გამოაღვიძონ ამათში, მაშინ ამ გვარი მწერალნი თავის თხზულებაში სახავენ იმ გვართ პირთა, რომელთაც ასრულებინებენ ამ საქმესა და ამითი ცდილობენ საზოგადოებაში ამ აზრის ჩათესასა. ამავე აზრით დასწერა ამ უკანასკნელს დროს ერთმა გამოჩენილმა რუსის მწერალმა ერთი რომანი (ავტორი გულისხმობს ნ. გ. ჩერნიშევსკის და მის რომანს „რა ვაკეთოთ?“ — შ. ქ.), რომელიც ეხლა ნეტარებით გადადის ხელიდამ ხელში“.[153]

დაწერო ასეთი რომანი, ა. ფურცელაძის აზრით, დიდი და საპატიო საქმეა, მაგრამ მეტისმეტად ძნელი, რამდენადაც ასასახავი სინამდვილეში მკრთალად, ბუნდოვნად ჩანს, შედარებით უცნობია და ყალიბობის, გამოკვეთის პროცესში იმყოფება. აქ, რა თქმა უნდა, მარტო ბუნებრივი ნიჭი არ კმარა. „ამ გვარის მწერლისათვის, — ამბობდა ა. ფურცელაძე, — გარდა ნიჭისა არის საჭირო დიდი სწავლა, კარგად ცოდნა საზოგადოების მდგომარეობისა, იმის საჭიროებაებისა და კაცის გულისა და ზნის განვითარებით ცოდნა“.[154] ეს იმიტომ, რომ

153 ჭრესტომათია, II, გვ. 31.

154 იქვე.

თუ კარგად, ყოველმხრივ არ იცნობ საზოგადოებასა და მის მოთხოვნილებას, ადამიანს საერთოდ და მისი განვითარების ტენდენციას, შეიძლება ისეთი საკითხი, ისეთი რამ მიიჩნიო მნიშვნელოვნად და ყურადღების გამახვილების ობიექტად, რომელიც სინამდვილეში არ იმსახურებდეს ამას, არ იყოს ამის ღირსი. არც ის ვარგა, რომ ძალიან შორეული მომავლის იდეალი გამოსახო, რომელსაც ფესვები დღევანდელობაში არა აქვს, და დიდად გაუსწრო დროს.

ერთი სიტყვით, იდეალური დადებითი გმირის გამოგონება და შეთხზვა, ცოცხალი სინამდვილიდან მოწყვეტა არ შეიძლება. გამოგონილი, შეთხზული გმირი უსიცოცხლო, ფერმკრთალი გამოვა და ვერ მიიზიდავს მკითხველს, ვერ იქონიებს მასზე ზეგავლენას. მომავლის ადამიანი, — დადებითი გმირი მაშინ იქნება სისხლჭარბი, როცა თვით სინამდვილიდან ამოიზრდება და ამ სინამდვილით ისაზრდოებს. მოთხრობის „სამის თავგადასავალი“ უპირველეს ნაკლად ა. ფურცელაძეს ის მიაჩნდა, რომ მისი მთავარი გმირი — სვიმონ ბადლაძე არ იყო ქართული სინამდვილის ღვიძლი შვილი, ქართული ცხოვრებით გამოზრდილი და „უფრო სხვა ხალხის ცხოვრებას“[155] ეკუთვნოდა. კიდევ მეტი, კრიტიკოსის აზრით, „ჩვენი საზოგადოება იმ გვარს არას წარმოადგენს, რომ ჯერობით სვიმონისთანა პირების მოცემა იმას შეეძლოს“. მეორე მხრივ, იგი შენიშნავდა, რომ სვიმონ ბადლაძე მარტო ფანტაზიის ნაყოფი მაინც არ იყო. ჯერ ერთი, მისი მსგავსი პირები იყვნენ სხვა ქვეყნებში, მეორეც, თვით ქართულ სინამდვილეშიც, „თითო ოროლა ყმაწვილებში“ მაინც ტრიალებდა „სვიმონის აზრი, ლტოლვილება და სურვილი“.[156]

ეს, ჩვენი აზრით, სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ ბელეტრისტს შეექმნა დამაჯერებელი მხატვრული სახე ახალი ადამიანისა და მისი მეშვეობით გამოეხატა საზოგადოების მომავალი, რომელსაც იგი დღევანდელობაში ჰქრეტდა. ამიტომ მართებულად არ მიგვაჩნია გ. წერეთლის კატეგორი-

155 იქვე, გვ. 27.
156 იქვე, გვ. 28.

ული განცხადება, რომ იმისთანა გმირები, როგორიც ა. ფურცელაძემ მოგვცა „სამის თავგადასავალში“ თითქოს მარტო „ცრუწარმოდგენით თუ გამოიხატება, თორემ მართლად კი ცას ქვეშეთში არ მოიძებნება“.[157] ვფიქრობთ, სვიმონ ბადლაძის ხასიათში, მის მიდრეკილებებსა და მისწრაფებებში არაფერია შეუძლებელი და განუხორციელებელი, სინამდვილიდან მოწყვეტილი.

მართლაც, ვინ არის სვიმონ ბადლაძე, საზოგადოების რა „ზოგიერთი მაგალითის“ გამოსახვას ისახავდა მიზანად ა. ფურცელაძე, როცა მის მხატვრულ სახეს ქმნიდა?

თავისი მშობლიური ხალხის, ქართველი საზოგადოების ცხოვრებას რომ აკვირდებოდა, ა. ფურცელაძე ხედავდა ბევრ ყმაწვილს რომლებიც ახალ, მოწინავე იდეებს გატაცებით ეცნობოდნენ, იწონებდნენ და ზოგჯერ ავრცელებდნენ კიდევაც, მაგრამ უნარი არ შესწევდათ რაიმე ეღონათ მათი განხორციელებისათვის, არ იყვნენ მოქმედების, საქმის ადამიანები და პირველივე დაბრკოლებისთანავე, ცხოვრების პირველი შემოტევისთანავე ფარ-ხმალს ყრიდნენ. ამ უუნარობას, უნებისყოფობასა და ხასიათის სიმტკიცის უქონლობას (სუბიექტური-შინაგან ფაქტორს) ემატებოდა საზოგადოების მოუმზადებლობა ბრძოლისათვის, ახალი, პროგრესული იდეების ათვისებისათვის, რის გამოც მოწინავე ახალგაზრდები ვერ პოულობდნენ თანამოაზრეებს და მოკლებული იყვნენ რეალურ მხარდაჭერას (ობიექტურ-გარეგან ფაქტორს). ამის შედეგად რ ჩ ე ბ ო დ ა ც ა რ ი ე ლ ი ფ რ ა ზ ა, ს ა ქ მ ე კ ი ა რ ს ა დ ჩ ა ნ დ ა. ეს იყო არა თითო-ოროლა ახალგაზრდის, არამედ იმდროინდელი „ნასწავლი ყმაწვილკაცობის მომეტებული ნაწილის“, ე. ი. უმრავლესობის ნაკლი. რაც, ცხადია, აფერხებდა ხალხის ცხოვრების ძირფესვიანად გარდაქმნას. საჭირო იყო ახალგაზრდობას დაეძლია ეს ნაკლი, ხოლო საზოგადოება გულისყურით მოჰკიდებოდა თავის უკეთეს შვილებს და ხელი შეეწყო მათთვის, რითაც კი შეეძლო. აი ამ მიზნით დაწერა ა. ფურცელაძემ „სამის თავგადასავალი“. „ჩვენ ვგონებთ, — აღნიშნავდა იგი ავტორეცენზიაში, — ავტორს (ე. ი. ფურცელაძეს—

157 იქვე, გვ. 27.

შ. ქ.) ისე ის არ ჰქონებია მხედველობაში, რომ სვიმონშა გამოესახა ჩვენი საზოგადოების აზრი და ლტოლვილება. როგორც ისა, რომ საზოგადოებისათვის გამოესახა ზოგიერთი მაგალითი". [158]

რა იყო, მწერლის აზრით, იმის მიზეზი, რომ ნასწავლი. განათლებული ახალგაზრდობა პირველი სერიოზული წინააღმდეგობისთანავე ხელს იღებდა ხალხის საშსახურზე, ადვილად ეთხოვებოდა საკუთარ იდეებს?

უპირველეს ყოვლისა საზოგადოების შეუგნებლობა. თავისი ჩამორჩენილობის გამო მას არ შეეძლო წარმოეშვა ახალი, პროგრესული იდეები და ესაზრდოებინა მოწინავე ახალგაზრდობის გონება. ამიტომ ახალგაზრდობა, რომელიც ანთებული იყო ხალხის სამსახურის წადილით, სულიერ საზრდოს უცხოეთში ეძებდა და იქ პოულობდა კიდევაც. მაგრამ ნასესხები იდეა ორგანული ვერ იქნება იმ ქვეყანაში, სადაც საზოგადოება მოუმზადებელია მის ასათვისებლად. „მტკიცეთ ამ აზრების გაყოლა, — წერდა ა. ფურცელაძე, — ამაზედ თავის დადება ჩვენი ყმაწვილებისაგან თითქმის რომ შეუძლებელია. რათგან თითონ საზოგადოების აზრი და ლტოლვილება კი არა ზრდის ამათ ასრე, რომ ეს აზრები იმათ ძვალსა და რბილში გაუჯდეთ". [159] აი რა იყო, კრიტიკოსის აზრით, ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ჩვენი ნასწავლი ყმაწვილკაცობა ვერ იჩენდა აუცილებელ სიმტკიცეს იდეისათვის ბრძოლაში და ხშირად ნებდებოდა გარემოებას. მეორე მხრივ, იგივე საზოგადოება ახალგაზრდობას არა თუ არ აწვდიდა მოწინავე იდეებს, პირიქით, ბავშვობიდანვე უნერგავდა ძველ, დამყაყებულ აზრებს და „ამათ დიდი ბრძოლა უნდათ, რომ ის ძველი აზრები საძირკვლიანად აღმოჰფხვრან თავისი ბუნებიდამ და ამათს სანაცვლოდ დაამკვიდრონ მტკიცეთ ახალი აზრები". [160]

უფრო გვიან, 1873 წელს, ერთ-ერთი ასეთი უნებისყოფო, პრაქტიკული საქმიანობის უნარმოკლებული ახალგაზრდა ადამიანის მეტად საინტერესო ტიპი მოგვცა ა. ფურცელაძემ

158 იქვე, გვ. 31 (ხაზგასმა ჩემია — შ. ქ.)
159 იქვე, გვ. 28.
160 იქვე.

ცნობილ მოთხრობაში „ჩვენებური საქმის ბოლო“. ამ მოთხრობის გმირი სტუდენტი ვასილი შთაგონებულია უტოპიური სოციალიზმის იდეებით და მიაჩნია, რომ ეს იდეები შეიძლება წარმატებით განხორციელდეს საქართველოში. ამისათვის, მისი აზრით, ჩვენს ქვეყანაში იყო ყველა აუცილებელი ობიექტური პირობა: უხვი, მდიდარი ბუნება და გონიერი, გამრჯე ხალხი. „შეხედე აბა ჩვენს ბუნებას! უკეთესი განა ღმერთს კიდევ გაუჩენია რამე! ამ ბუნებას უნდა ეხლა მცოდნე ხელი და შემძლებელი ხალხი... რამდენგანმე რომ დაიწყოს ეს საქმეები, მხოლოდ რამდენგამე, რაკი ნახავენ სხვები მაგალითს, ყველანი ჩაჰბაძავენ და ისწავლიან. მადლობა ღმერთს, ჩვენ ხალხს არც გონება და არც ხალისი არ აკლია, მხოლოდ უნდათ მაგალითის დანახვება და ერთხელ კვალში ჩაგდება. მერე ყველაფერი წყალივით და ჩარხივით დატრიალდება“.[161] არ ჩანდნენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც სათავეში უნდა ჩასდგომოდნენ საქმეს, წინ წაეწიათ იგი, შეექმნათ სასწავლებლები, ამხანაგობები, ბანკები და ხალხისათვის მიეცათ განათლება, მისაბაძი მაგალითი. თუ ასეთი ადამიანები, „მხნე და თავგამოდებული, გულისშემატკივარი მომზადებული კაცები“[162] გამოჩნდებოდნენ, ე. ი. ობიექტურ პირობებს სუბიექტური ფაქტორიც მიემატებოდა, მაშინ ვასილს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ხალხის მთელი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვლებოდა, აღორძინდებოდა, წინ წავიდოდა. გლეხები ბავს დააღწევდნენ სიღარიბეს, უმეცრებას, გახდებოდნენ განათლებულნი და დაიმორჩილებდნენ ბუნებას. ერთი სიტყვით, „ყველაფერი წყალივით და ჩარხივით დატრიალდებოდა“. და აი იგი კატოს აცნობს თავის გადაწყვეტილებას — მთელი ცოდნა, მთელი ენერგია მოახმაროს სახალხო საქმეს და მოუწოდებს მას მხარში ამოუდგეს, ერთად გასწიონ საზოგადოებრივი მოღვაწეობის მძიმე ჯაპანი.

მაგრამ უბედურება ის იყო, რომ საზოგადოებამ თავისი შეუგნებლობის გამო ხელი კი არ შეუწყო, პირიქით, გზა დაუხშო ვასილს და სასო წარუკვეთა, ხოლო თვითონ ვასილმა, მოკლებული იყო რა მებრძოლ სულისკვეთებას და პრაქტიკუ-

161 ა. ფურცელაძე, რჩეული ნაწერები, 1951, გვ. 329-330.

162 იქვე, გვ. 330.

ლი საქმიანობის უნარს, ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია საზოგადოებას, სიძნელეთა წინაშე ქედი მოიხარა და მთლიანად ჩამოშორდა სახალხო საქმეს. „ის შეეჩვია ცარიელს სიტყვებზედ სჯასა და ბაასს, ბოლოს გადექცა ეს იმგვარ ჩვეულებათა, რომ ამაში ხედავდა ყოველი საქმის ბოლოსა. სიტყვები გახდნენ ამის ღმერთი".[163] ეს მით უფრო სავალალო იყო, რომ ვასილი და მისი ამხანაგები კარგად გრძნობდნენ ცარიელი სიტყვების უნაყოფობას და თვითონვე გაიძახოდნენ: „Нам надо дело! Дело давайте, дело!" მაგრამ როგორც კი „საქმე მიდგება „დელოზედ", რჩეობდნენ ისევ ლაპარაკს".[164] ერთი სიტყვით ვასილს კარგი, უაღრესად კეთილშობილური სურვილები ჰქონდა, მაგრამ არ შესწევდა პრაქტიკული საქმიანობის, ბრძოლის უნარი, საზოგადოება კი არათუ ხელს არ უწყობდა, პირიქით, გასაქანს არ აძლევდა მას. ამით იკვრება მოჯადოებული წრე. იმისათვის, რომ ყმაწვილკაცობა სიტყვიდან საქმეზე გადავიდეს, საზოგადოება უნდა მხარს უჭერდეს, შეგნებული იყოს, მაგრამ საზოგადოება რომ შეგნებული გახდეს, საჭიროა ახალგაზრდობის პრაქტიკული საქმიანობა, პრაქტიკული ბრძოლა.

სად არის გამოსავალი ამ მოჯადოებული წრიდან?

გამოსავალი ამ მოჯადოებული წრიდან, ა. ფურცელაძის აზრით, ისევ ნასწავლმა, პროგრესული იდეებით გამსჭვალულმა ახალგაზრდობამ უნდა გაკაფოს, მან უნდა ითავოს საზოგადოების კვალში ჩაგდება, მისი აღზრდა, მისი დაწინაურება, უჩვენოს ხალხს რა უნდა გააკეთოს, მისცეს მისაბაძი მაგალითი და, რაკი „ნახავენ სხვები მაგალითს, ყველანი წაჰბაძავენ და ისწავლიან". მართალია, ეს ძნელი, მეტისმეტად ძნელი საქმეა და, პირველ ხანებში მაინც, მოითხოვს ხასიათის დიდ სიმტკიცეს, ნებისყოფას და მსხვერპლსაც კი, მაგრამ სხვა გზა არ არის, ვინმემ უნდა ითავოს, ვინმემ უნდა გასწიროს თავი. გაჭირვებამ, ბრძოლის სიძნელემ, მოსალოდნელმა დაღუპვამაც კი, ა. ფურცელაძის სიტყვით, არ უნდა შეაშინოს „არც ერთი რიგიანი კაცი. ეს ძალიან ხშირია, რომ საქმის დასაწყი-

163 იქვე, გვ. 363-364.
164 იქვე, გვ. 365.

სში, რომლისაც ხამია საზოგადოება, ეს ღღეს უნდა დაადგეს პირველს საქმის დამწყებებსა და მთაოსნებსა. ეს თვითონ იმ პირებმაც, რომელნიც ამ საქმეს იწყებენ, უფრო კარგად იციან".[165] იციან და მაინც სწირავენ თავს, რადგან ცხოვრების მიზანს კაცობრიობის ბედნიერებაში, ამ ბედნიერებისათვის ბრძოლაში ხედავენ. ისინი არ ეტრფიან წარმავალ და იოლ სიამოვნებას, მათთვის სიცოცხლეს იმდენად აქვს ფასი, რამდენადაც სიკეთეს, ხალხის კეთილდღეობას ემსახურებიან.

რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი საერთოდ ხელს იღებენ ყოველგვარ პირადულზე და არავითარ სიამოვნებას არ ეტრფიან ცხოვრებაში. ასე სრულიადაც არ არის. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც სიამოვნება არ იზიდავდეს, მაგრამ სიამოვნებაცაა და სიამოვნებაც. ზოგი მას ხედავს ქონების მომხვეჭელობაში, ზოგიც გარყვნილებაში და ა. შ. ამ კატეგორიის ადამიანები გამსჭვალული არიან მავნე, უგნური ეგოისტური მისწრაფებებით და მხოლოდ პირადი სიამოვნებისათვის ზრუნავენ. საზოგადო საქმე, საერთო კეთილდღეობა მათთვის არ არსებობს და თავისი ცხოვრების წესით არსებითად აფერხებენ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას. ამავე დროს მისწრაფება ზომაზე მეტად დაიკმაყოფილონ ბუნებრივი მოთხოვნილებანი, იწვევს მათს სრულ გადაგვარებას, ისინი კარგავენ ადამიანის სახეს და პირუტყვამდე ქვეითდებიან. საბედნიეროდ, ამბობს კრიტიკოსი, არიან სხვა ყაიდის ადამიანებიც, არსებობს ე. წ. „გონივრული ეგოიზმიც", რომლის მიმდევრებს, როდესაც თანამოძმეთა უბედურებას ხედავენ, „უღელდებათ გული და ესენი მაშინვე ჰსახვენ თავის პირველ სიამოვნებათა, რომ შესწირონ კაცობრიობის ბედნიერებას თავი".[166] მართალია, ესეც სიამოვნებაა, ესეც ეგოიზმია, ამბობს კრიტიკოსი, მაგრამ სულ სხვა ყაიდისა, სასარგებლო კაცისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. „ერთის სიტყვით, — წერს ა. ფურცელაძე, — ამათი მოქმედებაც, როგორც ბოროტისა და უგუნური კაცისა მოქმედება, წარმოსდგება თავის თვით მოყვარულისა და სასიამოვნო საქმიდან. როგორც წაწყ-

165 ჭრესტომათია, II, გვ. 30.

166 იქვე, გვ. 32.

დარ არისტოკრატებს იამებათ დღე და ღამ სხვა და სხვა ლამაზ ქალებთან გდება, ათასი გარყვნილების გამოცდა და გაყოლა, როგორც ვაჭარს მუშების მოტყუება და მძლავრს კაცის დაჩაგვრა და გაუვლეფა, ეგრეთვე სეიმონ ბადლაძის გვარი კაცების მოქმედებაც წარმოსდგება სიამოვნებიდამა: იმათ ის იამებათ, ამათ ესა. მხოლოდ გარჩევა ამათში ეს არის, რომ პირველნი თავის თავისაცა და ქვეყნის დამღუპველნიც არიან და მეორენი ქვეყანას აახლებენ".[167] აანალიზებს რა უფრო დაწვრილებით ერთის მავნეობასა და მეორის სიკეთეს, კრიტიკოსი, ბოლოს, დაასკვნის: „ერთი სიტყვით, პირველი კაცის ღირსება ის არის, რომ ისე შეამზადოს თავისი თავი, რომ სასიამოვნოთ იმისთვის ის იყვეს, რაც იმისი ნამღვილი ბუნებრივი საჭიროებისათვის არის საჭირო, ეგრეთვე სხვის საჭიროებისათვის. უამისოთ კაცის ბედნიერება შეუძლებელია".[168]

როგორც ეხედავთ, აქ ა. ფურცელაძე ავითარებს ნ. გ. ჩერნიშევსკის „გონივრული ეგოიზმის" იდეას, რომელიც წარმოადგენს დიდი რუსი მოაზროვნის ეთიკის ქვაკუთხედს და საფუძვლად უდევს მისი რომანის „რა ვაკეთოთ?" პერსონაჟთა მოქმედებას. ამ იდეას მემამულურ-ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წყობილების პირობებში უაღრესად დიდი განმათავისუფლებელი მნიშვნელობა ჰქონდა. პირადული და საზოგადოებრივი ინტერესების შერწყმა ჩერნიშევსკის ეთიკაში მიზნად ისახავდა ცალკეულ ადამიანთა ამაღლებას საყოველთაო-სახალხო ბედნიერების შევნებამდე და ამ გზით მათს აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ-რევოლუციურ საქმიანობაში, ხალხის ბედნიერებისათვის ისეთი თავდადებული რევოლუციონერების აღზრდას, როგორიც იყვნენ რახმეტოვი, ლოპუხოვი და სხვები.

სეიმონ ბადლაძეც ერთი იმისთანა კაცია, რომელსაც „თავისი ცხოვრება მარტო თავისთავისთვის არა აქვს... იმას რომ ღმერთი გაუწყრეს და შეურიგდეს თავის მდგომარეობას, რომელსაც უნდა განაშოროს ეს თავის განზრახულებასა, იმას მაშინ ექნება თავისივე თავი სათაკილოთა და საზიზღრათა: იმას მოჰკლავს მაშინ სირცხვილი და თავისივე სინდისი. არც

167 იქვე, გვ. 34-35.
168 იქვე, გვ. 35.

შეურიგდება სვიმონ ამ მდგომარეობასა, მანამ თავის გონებაზედ არის. იმის გვარ კაცებს ახსოვთ კარგათა, რომ: „ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო, ჩემო, მაინც დარჩება!“[169] ამრიგად, ვისაც უნდა სულითა და გულით ემსახუროს ხალხს, დაეხმაროს საყოველთაო ბედნიერების მოპოვებაში, სურვილთან ერთად იმის უნარიც უნდა შესწევდეს, რომ გადაიტანოს დამცირება, ათასგვარი გაჭირვება და, თუ ვითარება მოითხოვს, ბსხვერპლადაც შეეწიროს საერთო-სახალხო საქმეს.

სწორედ ეს უნარი, ხასიათის ეს თვისება აკლდა „ნასწავლი უმაწვილკაცობის მომეტებულს ნაწილს“. უამისოდ კი არავითარი ბრძოლა, საზოგადოების არავითარი გარდაქმნა არ შეიძლებოდა. სვიმონ ბადლაძე ამ მხრივ მართლაც ბედნიერი გამონაკლისია, მართლაც სამაგალითოა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებამ ნამდვილი ომი გამოუცხადა, გასაქანი არ მისცა, შიმშილით სიკვდილის საფრთხის წინაშე დააყენა და, ბოლოს, დაღუპა კიდევაც, სვიმონს ერთი წუთითაც არ გამოუჩენია მერყეობა, უკან არ დაუხევია და ხელი არ აუღია იდეაზე, რომელიც წმინდათა წმინდად მიაჩნდა. ასეთი ადამიანები, მართალია, ხშირად იღუპებიან, მაგრამ მათ არ აშინებთ ფიზიკური სიკვდილი, რადგან, როგორც კრიტიკოსი წერს, „ისინი ხედავენ თავის თავის დაღუპვაში თავის აზრებისა და დაწყობილების შესრულებასა; იმათ კარგათ იციან, რომ იქნება მათ თავის სიცოცხლით ისე ვერ მოეყვანათ თავის გულის პასუხი აღსრულებაში, როგორც იმითი, რომ ისინი ეწამებიან თავისი მართალის საქმისათვის. ეს კარგად გამორკვეული და აწონილი აზრი იმათ ამხნევებთ ყოველს შემთხვევაში“.[170]

სვიმონის მსგავსი ადამიანებია, დიდი საზოგადო საქმის პიონერებად რომ გამოდიან და თავისი მაგალითით შთააგონებენ საზოგადოებას, წინ სწევენ მას, გარდაქმნიან ცხოვრებას. „უამათოდ, — წერდა ა. ფურცელაძე, — ხალხის ცხოვრება ბევრით უკეთესი არ იქნებოდა პირუტყვთ ცხოვრებაზედა და არაფერი კაცობრივი არა გამოიღვიძებდა რა კაცში....

---

169 იქვე, გვ. 34.

170 იქვე, გვ. 30.

ამ გვარი კაცები იშვებიან ხალხებისა და საზოგადოებაებს გასაახლებლათ. ესენი რაკი ერთი დაიწყებენ საქმესა და ჩაჰყრიან თესლსა, — მერე თუმცა ძნელათ თუ როდისმე თვითონვე ნახავენ თავისი დათესილი საქმის ნაყოფს, მაგრამ მაინცა, და მაინც ამათი ჩაპნეული თესლი არას დროს არ იკარგება, და დღეს არის თუ ხვალა ამოჰყოფს თავისის ნაყოფით თავსა“.[171] არ იკარგება იმიტომ, რომ მათ უჩნდებათ მიმდევრები, თანამოაზრენი და ისინი, შთაგონებულნი წინაპართა მისაბაძი მაგალითით, მხნედ ებმებიან ბრძოლაში, ამარცხებენ საზოგადოების სიბნელეს, ამკვიდრებენ ნათელს. და თუ ახალგაზრდა მოღვაწეები, ა. ფურცელაძის აზრით, ისევე მოიქცეოდნენ, როგორც სვიმონ ბაღდაძე — არავითარი დაბრკოლების წინაშე ქედს არ მოიხრიდნენ, მაშინ საერთო საქმეც წინ წავიდოდა და საზოგადოება აღიზრდებოდა ახალ პროგრესულ იდეებზე, რაც ამ იდეების სრული ტრიუმფის მომასწავებელი იქნებოდა.

ამრიგად, ა. ფურცელაძე როგორც მოთხრობაში, ისე ავტორეცენზიაში ქადაგებს რევოლუციურ-დემოკრატიულ მორალს, მიზნად ისახავს ახალგაზრდობას ჩაუნერგოს ხალხის ბედნიერებისათვის თავდადებული, შეუპოვარი მებრძოლის საუკეთესო თვისებები, აღზარდოს იგი უსამართლობასთან შეურიგებლობის სულისკვეთებით, განუმტკიცოს საბოლოო გამარჯვების რწმენა. ამით უნდა განისაზღვროს „სამის თავგადასავალის“ ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში და ავტორეცენზიის „შეუსრულებელი სურათი“ მნიშვნელობა.

სამწუხაროდ, „სამის თავგადასავალი“ ვერ არის მხატვრულად ძლიერი ნაწარმოები. მას ბევრი ნაკლი და ხარვეზი აქვს, რომელთაგან უმთავრესია სვიმონ ბაღდაძის შეზღუდულობა. ა. ფურცელაძე გაიტაცა მარტო ერთმა მომენტმა — ეჩვენებინა სულით ძლიერი ადამიანი, რომელიც არავითარი დაბრკოლების წინაშე უკან არ იხევს და არავითარ შემთხვევაში არ ნებდება გარემოებას. ამ მიზანს მან ასე თუ ისე მიაღწია — შექმნა დადებითი გმირი, რომელიც წინსვლისაკენ, დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებდა ყველას, ვისაც კი გულით სწადდა ხალხის ბედნიერება და უჩვენებდა ჭირთა

171 იქვე, გვ. 34.

თმენის, გამძლეობის, უშიშარობის მაგალითს. ეს კარგი და საჭირო საქმე იყო, რამდენადაც სწორედ ხასიათის სიმტკიცე, თავდადება და შეუპოვრობა აკლდა მოწინავე ახალგაზრდობის „მომეტებულს ნაწილს“, მაგრამ მისცა რა თავის გმირს სულიერი ძალა, ხასიათის სიმტკიცე, ვერ აღჭურვა იგი ფართო სამოქმედო პროგრამით, ვერ ჩააბა დიდ საზოგადოებრივ საქმიანობაში. საგულისხმოა, რომ მოთხრობის ამ ნაკლს ხედავდა და აღიარებდა თვითონ ა. ფურცელაძე. „თქვენ როცა პირველათ გაიცნობთ სვიმონსა „სამის თავსგარდასავლებში“, — წერდა იგი, — უეჭველათ იმ აზრს ადგებით, რომ ამ კაცის მომრევი არავინ არის და თუ ამას მოერევა რამე, ეს უთუოთ იმისთანა საქმეზედ დასდებს თავსა, რომელიც დიდს ნაყოფს მოუტანს კაცსაო; და ფურცელაძე კი ამას უღებს ბოლოს სწორეთ იმ დროს, როდესაც დრო არის იმის საქმის დაწყებისა. მართალია ესეც კარგია, მაგალითია ამისთანა მტკიცე ხასიათით კაცის გამოსახვა საზოგადოებისათვის, მაგრამ სვიმონისთანა ძლიერი ხასიათის კაცისთვის მარტო ამ წვრილი საქმეების ბრძოლა და აქ თავის გამოჩენა საკმაო არ არის“...[172]

როგორც ვხედავთ, ა. ფურცელაძე გულწრფელად აღიარებს, რომ ვერ შექმნა სრულყოფილი დადებითი გმირი, რადგან ვერ მისცა მას მოქმედების პროგრამა, ვერ გამოუნახა მოქმედების შესაბამისი ასპარეზი. მართლაც, რას აკეთებს სვიმონ ბადლაძე, რა საქმეებით წარმოუდგება იგი მკითხველს? ლიცეუმიდან დათხოვნის შემდეგ სვიმონ მთელი ოთხი წელიწადი ცხოვრობს მამის სოფელში, მაგრამ გ არდა წიგნების, კითხვისა, გლეხებში და მინდორ-ველად უაზრო სიარულისა არაფერს აკეთებს. „რა უნდა მას ან სოფელში, ან გლეხებში, ან რას დაეძებს მინდორ-ველებში, არა ჩანს“.[173] ბოლოს, იგი თბილისში გადადის და იქაც, გარდა წიგნების კითხვისა, არაფერს აკეთებს, ვიდრე შემთხვევით არ გაეცნობა მეძავ მაშა სტრუგოვსკოვას. ეს ქალი საზიზღარ წუმპეში მოხვედრილა ავი დედინაცვლის წყალობით და სვიმონ ბადლაძე დახმარების ხელს გაუწვდის მას — გადაიხდის მის ვალს, გამოიყვანს მეძავთა სახლიდან და ცოლად შეირთავს. მიუხედავად იმისა,

172 იქვე, გვ. 31.
173 მ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, III 1955, გვ. 306.

რომ „ამ გვარი ქორწინება არავის მავნებელი და საზიანო[174] არ იყო, საზოგადოებამ მაინც სილის გაწვნად მიიღო ბადლაძის ეს ნაბიჯი და ნამდვილი ომი გამოუცხადა მას. აქ კი არ შედრკა სვიმონ ბადლაძე. მან გაბედულად მიიღო გამოწვევა და, ათასგვარი გაჭირვებისა და დამცირების მიუხედავად, არ დანებდა საზოგადოებას, ფარ-ხმალი არ დაყარა მისი ძლიერების წინაშე, ბრძოლაზე ხელი არ აიღო. ბოლოს და ბოლოს, იგი მოსპეს, თუმცა ეს როდი იყო საზოგადოების გამარჯვება.

განა ასეთი „წვრილი საქმეები“ და ასეთი ვიწრო ასპარეზი შეეფერებოდა სვიმონ ბადლაძეს? თავისთავად ცხადია, არა. მას გაცილებით უფრო დიდი საქმე უნდა ეკეთებინა, გაცილებით უფრო დიადი და ამაღლებული იდეა უნდა ჰქონოდა. ბაგრამ, სახელდობრ რა? „ავტორს, — წერდა ამის გამო ა. ფურცელაძე, — როგორც ეტყობა, თვითონაც დაუტყვია თავის თავისთვის, რომ ძნელი არის ამ დროებაში ამ გვარის პირისა გამორკვეულს გზაზედ გამოყვანა და დაყენება და, თუ გამოიყვანს, ის უნდა ჩასვას იმისთანა ვიწრო რამკაში, რომელშიაც ამისთანა ძლიერი კაცი ვერც მოთავსდება და არც გამოდგება. რომ ამ გვარს მდგომარეობაში არ ჩაეგდო თავისი თავი და თავისი გმირიცა — ავტორი უღებს ასე უდროოთ ბადლაძეს ბოლოსა“.[175] გამოდის, რომ სვიმონ ბადლაძის მხატვრული სახის სერიოზულ ნაკლოვანებათა მიზეზი იმდენად ბელეტრისტ ა. ფურცელაძის მსოფლმხედველობის შეზღუდულობა როდია (მაშინ მას ვერ შენიშნავდა კრიტიკოსი ა. ფურცელაძე), რამდენადაც თვით სინამდვილე, თვით ქართული საზოგადოების მდგომარეობა, რომელმაც საშუალება არ მისცა ავტორს გარკვევით დაენახა და ეჩვენებინა სვიმონის სავალი გზა. ბადლაძეები ის-ის იყო ჩნდებოდნენ, ასპარეზზე გამოდიოდნენ, მაგრამ ა. ფურცელაძეს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ისინი მალე გამრავლდებოდნენ და ტონს მისცემდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებას. შეიძლება ბელეტრისტმა მართლაც არ იცოდა, რას ეტყოდნენ ბალდაძეები ხალხს, რას გააკეთებდნენ ხალხის ბედნიერებისათვის, თუმცა უფრო სარწმუნოა, ვიცა-

174 ქრესტომათია, II, გვ. 29.

175 იქვე, გვ. 28-29.

რაუდოთ, რომ იცოდა, მაგრამ ვერ მოახერხა ამის თქმა ცენზურული პირობებისა თუ სხვა გარემოების გამო. ვფიქრობთ, სწორედ ასე უნდა გავიგოთ ავტორეცენზიის ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ ავტორი თხზულებისა „თვითონაც კი ვეღარა ჰხედავს ბოლოს (ან ვეღარ ახერხებს) გარკვევითა და გამოკვლევით იმ გზასა, რომელზედაც ბოლოს იმისმა მოქმედმა პირმა (სვიმონ ბადლაძემ) უნდა იაროს, უნდა იმოქმედოს, გამოიჩინოს იმოდენა სამზადისი თავისი ჭკუისა და ზნის ძლიერება და მოიყვანოს თავისი დაწყობილება აღსრულებაში“.[176] ჩვენი აზრით, ფრჩხილებში მოქცეული და ჩვენს მიერ ხაზგასმული შენიშვნა „ან ვეღარ ახერხებს“ შემთხვევით არ უნდა იყოს.

ამ თვალსაზრისით ერთგვარ ნაბიჯს წარმოადგენდა წინ მიშოს მხატვრული სახე მოთხრობაში „ვაი მართალთა“. თუ სვიმონ ბადლაძე ა. ფურცელაძემ ვერ ჩააბა დიდ სახალხო საქმეში, ხალხის სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და არსებითად შემოფარგლა ზნეობის, მორალის სფეროთი, მიშო უკვე თავის სიცოცხლეს ამთავრებს პარიზში, კომუნართა ბარიკადებზე — ეერსალელთა ტყვიით განგმირული იგი ეცემა სახელოვანი დელაკლუზის გვერდით. მართალია, მიშოს ეს ნაბიჯი, როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფ. მ. ზანდუკელი,[177] მოთხრობაში ვერ არის მოტივირებული, მაგრამ თვით ფაქტი მისი მონაწილეობისა პარიზის კომუნაში მრავლისმეტყველია. მწერალმა ამით მკითხველს უთხრა, რომ ქართულმა საზოგადოებამ უკვე წარმოშვა ხალხის სოციალური განთავისუფლებისათვის, სინამდვილის გარდაქმნისათვის მებრძოლი ადამიანები. დღეს ისინი უცხოეთში იბრძვიან, მაგრამ ხვალ თუ ზეგ სამშობლოშიც გამოუჩნდებათ სარბიელი და ხალხის ცხოვრებაც სასიკეთოდ შეიცვლება.

ძლიერ მოკლედ აანალიზებს ა. ფურცელაძე მოთხრობის დანარჩენ ორ მთავარ პერსონაჟს — დავით დესპანიძესა და მაშა სტრუგოვსკოვას. თუ სვიმონ ბადლაძე უფრო სხვა ხალ-

176 იქვე, გვ. 28.

177 მ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, III, 1955, გვ. 308-309.

ხის ცხოვრებას ეკუთვნოდა და ქართველებს ეუცხოვებოდათ, სამაგიეროდ დავით დესპანიძე, კრიტიკოსის თქმით, ტიპიური ქართველი ახალგაზრდაა. „ეს კი სწორეთ ჩვენი ძმა არის!; — წერდა იგი, ახასიათებდა რა დავით დესპანიძეს, — რომელსაც გინდა ჩვენ გაზდილ ყმაწვილ კაცს წაავლე ხელი, ყველა თითქმის ნამდვილი დავითია: იგივე სურვილი სწავლისა და საქმის გაკეთებისა, მაგრამ საქმის გაკეთების მოუხერხებლობა და თავშეუდებლობა; მარტო წიგნებში ჩაცეცება და წიგნის გარეთ გამოუსადეგარობა“.[178] დავითის მსგავსი ახალგაზრდა ადამიანის მხატვრული სახე გაცილებით უფრო სრულყოფილად გამოკვეთა ბელეტრისტმა მოთხრობაში „ჩვენებური საქმის ბოლო“. ეს არის ვასილ ნაწრეტაშვილი, რომელსაც ჩვენ უკვე გავეცანით ბადლაძის ხასიათის ანალიზის დროს.

ცალკე სტატიის ღირსად მიაჩნდა ა. ფურცელაძეს მაშა სტრუგოვსკოვას თავგადასავალი, მისი ბედი, მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა და ასეც არის. მაშას თავგადასავალი უაღრესად ინდივიდუალურია, მაგრამ მასში კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს ქალთა უუფლებობა, საზოგადოების უსულგულო და სრულიად გაუმართლებელი დამოკიდებულება ქალისადმი. მაშას შეეძლო დიდი სარგებლობა მოეტანა, მაგრამ საზოგადოებამ არ ისურვა ეცნო მისი პირადი ღირსებები, დაენახა მასში ადამიანი. პირიქით, მან ყველაფერი გააკეთა ამ სპეტაკი ადამიანის დასამცირებლად და დასაღუპავად. „რამდენი ამისთანა თანამოქალაქე ქალი იკარგება ქვეყნისთვის, რომ ჯერ აქამდინ არ გვაქვს გამორკვეული კაცის უფლება ცხოვრებაში! — აღშფოთებით წერდა ა. ფურცელაძე. — რამდენი ამისთანა ქალია, რომელნიც გამოდიან გაუსვრელნი ყოველის ჭუჭყიდამ, რომელთაც არა სასჯელი, არა მწუხარება, არაუპატიურობა და დამცრობელი ცხოვრება არ აკარგვინებს თავის ღირსებას, პატიოსნებას, სისპეტაკეს და მხნეობას. ჯერ კიდევ ვინ იცის, როდემდინ ვიქნებით იმ მდგომარეობაში, მინამ გავიგებდეთ ყოველ კაცის ღირსებაებსა და ჩვენისვე უმეცრებით არ ვამხობდეთ ჩვენსავე სასარგებლო პირთა“...[179] ძლიერ მამხილებელი სიტყვებია, რომლებსაც,

178 ქრესტომათია, II, გვ. 37.
179 ქრესტომათია, I, გვ. 311.

სამწუხაროდ, დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, სადაც ქალები კვლავ ჩაგრული და უუფლებონი არიან.

ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ავტორეცენზიას „შეუსრულებელი სურათი“ ერთ-ერთი საპატიო ადგილი უნდა მიეკუთვნოს ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიაში თავისი პროგრესული, რევოლუციურ-დემოკრატიული შინაარსით.

დრამის თეორია გ. ერისთავის დრამატურგია

არანაკლებ ყურადღებას უთმობდა ა. ფურცელაძე ქართული დრამატურგიის განვითარების საკითხებს. სამწუხაროდ, მისი ორი ძლიერ მნიშვნელოვანი და ძირითადი კრიტიკული სტატია ახალი ქართული დრამატურგიის ფუძემდებელ გიორგი ერისთავის შემოქმედებაზე დღემდე გამოუქვეყნებელია. ეს სტატიებია „წინასიტყვაობა“, რომელიც უნდა დართოდა დრამატურგის თხზულებათა კრებულის 1884 წლის გამოცემას, და საკმაოდ ვრცელი სტატია „გიორგი ერისთავი და ზურაბ ანტონოვი ჩვენი სცენისათვის“. ავტორს ეს უკანასკნელი კრიტიკული წერილი დაუმთავრებელი დარჩენია — მასში განუხილავს მხოლოდ „გაყრა“, ზ. ანტონოვის დრამატურგიას კი სრულებით არ შეხებია. ჩანს, კრიტიკოსს სურდა ჯერ დაწვრილებით მიმოეხილა გ. ერისთავის, ხოლო შემდეგ ზ. ანტონოვის უმთავრესი თხზულებები. გარდა ამისა, ქართულ დრამატურგიაზე ბევრი საყურადღებო აზრი გამოთქვა ა. ფურცელაძემ სხვადასხვა კრიტიკულ სტატიასა და მოთხრობებშიც კი. აქვე უნდა დავასახელოთ მისი ერთ-ერთი ფუნდამენტური სტატია „შექსპირი ჰამლეტში“, რომელშიც კრიტიკოსი დრამატურგიის ცალკეულ ზოგად პრობლემებსაც შეეხო.

ყოველი დრამატული თხზულება — კომედია, დრამა თუ ტრაგედია უპირველეს ყოვლისა იწერება თეატრისათვის, სცენაზე წარმოდგენისათვის. რასაკვირველია, აუცილებელი არ არის „ოტელო“ სცენაზე ვნახოთ, შეიძლება იგი შინც წავიკითხოთ, მაგრამ დრამატული ნაწარმოების სპეციფიკა ისაა, რომ იგი გამიზნულია თეატრში წარმოსადგენად. ვერც

ერთი თეატრი, ვერც ერთი რეჟისორი ვერ დადგამს, ვთქვათ, „გლახის ნაამბობს“, თუ იგი წინასწარ არ გადაკეთდა პიესად, არ მიეცა დრამატული ნაწარმოების ფორმა. მაგრამ „ოტელო“ რომ წავიკითხოთ, ამისათვის სრულიადაც არ არის საჭირო, მით უმეტეს აუცილებელი, მას რომანის, მოთხრობისა თუ პოემის სახე მივცეთ, სხვა ჟანრის ნაწარმოებად ვაქციოთ. ამიტომ გამართლებულია მოთხრობის (რომანის და ა. შ.) პიესად გადაკეთება, ანუ გასცენიურება, მაგრამ უმიზნო და უაზრო საწინააღმდეგო პრაქტიკა.

თეატრსა და დრამატურგიას შორის მჭიდრო კავშირურთიერთობაა და ხელს უწყობენ, განაპირობებენ ერთმანეთის განვითარებას. ამდენად, საფუძველს მოკლებული არ იქნება, თუ ვიტყვით, — როგორიცაა თეატრი, ისეთივეა დრამატურგია და, პირიქით, ბაგრამ წამყვანი როლი მაინც დრამატურგიას უნდა მივაკუთვნოთ, რამდენადაც თეატრს არ შეუძლია უპიესოდ თუ ულიბრეტოდ არსებობა და მოწოდებულია პიესა სპექტაკლად აქციოს.

რას ნიშნავს პიესის სპექტაკლად გადაქცევა?

ყოველ ლიტერატურულ ნაწარმოებში არიან პერსონაჟები ანუ მოქმედი პირები, მაგრამ თუ რომანში ან მოთხრობაში მათი ფიქრების, გრძნობების, საქციელის, მოქმედების შესახებ მოგვითხრობს, გვესაუბრება ავტორი. პიესაში ასე არ არის. იქ მოქმედებენ, საუბრობენ თვითონ პერსონაჟები, რომლებსაც, რა თქმა უნდა, ამოქმედებს და ალაპარაკებს ავტორი, თუმცა იგი, პროზაული თხზულებისგან განსხვავებით, მასში პირდაპირ არ ჩანს. დრამატული ნაწარმოების ამ თავისებურებას შესანიშნავად განმარტავს ანტონ ფურცელაძე. „მოთხრობებში, რომანებში, პოემებსა და სხვა ამგვარებშიაც ხშირად თავის თავად ლაპარაკობს ავტორი, — წერს იგი. — დრამულს თხზულებაებში ლაპარაკობენ მარტო ავტორისაგან გამოყვანილი პირები, და ავტორს ისრე ცხადათ, პირდაპირ ვერა ჰხედავთ მისი აზრების წარმომავლობას, მაგრამ თუ დააკვირდა კაცი, ამასა და სხვა თხზულებაებში არავითარი გარჩევა არ არის. იქ ავტორები ლაპარაკობენ პირდაპირ, რაც უნდათ, აქ ავტორები ლაპარაკობენ სხვების პირით“.[180]

180 ა. ფურცელაძე, შექსპირი ჰამლეტში.

სწორედ ის გარემოება, რომ პიესაში „ავტორები ლაპარაკობენ სხვების პირით“, თეატრისაგან მოითხოვს მისცეს მას შესაბამისი ფორმა. სცენაზე ჩვენ უნდა დ ა ვ ი ნ ა ხ ო თ ცოცხალი ადამიანები, დ ა ვ ი ნ ა ხ ო თ მათი მოქმედება, მ ო ვ ი ს მ ი ნ ო თ მათი საუბარი, ე. ი. პიესა უნდა გადაიქცეს სპექტაკლად, ხელოვნების ერთი ფორმიდან გადავიდეს მეორე ფორმაში, ლიტერატურულიდან — თეატრალურში. „ოთარაანთ ქვრივში“ არის ეპიზოდი: ნაცემი გიორგი დედას უამბობს, როგორ არ შეუშინდა მასზე უფროს თედოს, რომელიც უსაძართლოდ მოექცა პატარა გოლას. როცა საქმის ვითარება გაიგო, დატუქსვის მაგიერ ოთარაანთ ქვრივმა შვილს საქციელი მოუწონა. ავტორი წერს: „დედას იამა და შუბლზე წარბი გაეხსნა“, რასაც მოსდევს ოთარაანთ ქვრივის სიტყვები: „ნუ გ ე შ ი ნ ი ან, ცხვირი გაგიკაწრავს ცოტად, გაიზრდები, დაგავიწყდება“. ამ სტრიქონების ამოკითხვისას ჩვენ ვერ ვხედავთ ცოცხალ ოთარაანთ ქვრივს, არ გვესმის მისი ხმა, მაგრამ ავტორის პირდაპირი ჩარევის წყალობით, მისი შენიშვნის მეოხებით („დედას იამა“...) ჩვენ წ ა რ მ ო ვ ი დ გ ე ნ თ ცოცხალ ოთარაანთ ქვრივს, წ ა რ მ ო ვ ი დ გ ე ნ თ სიამით დამტკბარი დედის ხმის ინტონაციასაც. სცენაზე კი, მსახიობის სახით, უ შ უ ა ლ ო დ ვხედავთ ოთარაანთ ქვრივს, უშუალოდ გვესმის მისი ხმა, ანუ წარმოსახვას ცვლის ხედვა და სმენა. აი ეს არის პიესის გარდაქმნა სპექტაკლად, ანუ როგორც ა. ფურცელაძე წერს, „ცოცხლივ ჩვენება ავტორების აზრისა“.[181] ამგვარი გარდაქმნა (წარმოსახვის შეცვლა უშუალო ხილვითა და მოსმენით, მ კ ი თ ხ ვ ე ლ ი ს გარდაქმნა მ ა ყ უ რ ე ბ ლ ა დ) ხელს უწყობს, აადვილებს ავტორის, დრამატურგის აზრის. იდეის ათვისებას.

თეატრი, სცენა ის ასპარეზია, სადაც მოქმედებენ დრამატურგის პერსონაჟები, სადაც ხდება პიესის გარდაქმნა სპექტაკლად და მკითხველი იქცევა მაყურებლად. გასაგებია, რომ ამის გამო მას, როგორც ხელოვნების ერთ-ერთ სახეს, არ შეიძლება ჰქონდეს სხვა დანიშნულება, სხვა ამოცანა და ძიზანი, თუ არა ის, რაც დრამატურგიასა და, საერთოდ, ლიტერატუ-

181 იქვე.

რას. „უმთავრესი დანიშნულება სცენისა არის ისა, — წერდა ა. ფურცელაძე, — რომ ხალხს უჩვენოს თავისი ავი და კარგი მხარე; განჰკიცხოს და შეაძაგოს იმას თავისი ცუდი ზნე, ჩვეულებანი, ხასიათი, რწმუნებანი, წყობილებანი, ადათები, წესდებანი, მიდრეკილებანი და სხვა; გაურკვიოს და გაუხათოს კარგი მხარეები, ან უჩვენოს ის კარგი მხარენი, რომელნიც ამას აკლია, არა აქვს და საჭირო კია, რომ შეითვისოს, შეიტანოს თავის თავში".[182]

ამრიგად, თეატრი თავისებური სანახაობით-აღმზრდელობითი დაწესებულებაა და თავისი საქმიანობით უნდა ხელს უწყობდეს ადამიანთა აღზრდას როგორც ავის, არასასურველის საჯარო გაკიცხვით, ისე კარგის, დადებითი მაგალითის ჩვენებით. „...დიდი სიბრთხილე ჰმართებთ იმათ, ვინც შეუდგებიან სცენის საქმეს, რომ იმათ უბრალო პიესების შეტანით სცენაზედ, არ მისცენ სცენას ბალაგნური და ლაზღანდარული ხასიათი; ისინი უნდა ეცადონ ყოვლის ძალით, რომ სცენას მიეცეს სწავლისა და წრთვნის ხასიათი. ერთის სიტყვით, სცენას უნდა უყურებდნენ როგორც მოთამაშენი და სცენის გამგებელნი, ისე მსეირენი (მაყურებლები — **ზ. ჭ.**), როგორც ალაგს, სადაც კაცი, გართობასთან, გაიუმჯობესებს და გაივითარებს გონებას და ზნეობას".[183] ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ამგვარი შეხედულება თეატრსა და მის დანიშნულებაზე მთლიანად ემთხვეოდა თერგდალეულთა, კერძოდ, ილიასა და აკაკის შეხედულებებს.

მიაჩნია რა თეატრი არა მარტო „სასეირო" (სანახაობით), არამედ ხალხის, მაყურებელთა აღმზრდელ დაწესებულებად, ა. ფურცელაძე ხაზგასმით აღნიშნავდა რომ თუ ქართული პროფესიული თეატრი ჩამოყალიბების პირველი დღეებიდან სწორი გზით წავიდა. ეს იყო მისი დამაარსებლისა და ეროვნული ქართული დრამატურგიის ფუძემდებლის გ. ერისთავის უდიდესი დამსახურება. კრიტიკოსის თქმით, გ. ერისთავმა „დაგვიმტკიცა, რომ ის სცენას უყურებდა როგორც ხალხის სარგებლობის მომტანს ასპარეზს და არა ლაზღანდაობისა და ლაყბობის მოედანს". მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ საქმე-

182 ა. ფურცელაძე, გ. ერისთავი და ზ. ანტონოვი ჩვენი სცენისათვის.
183 ი ქ ვ ე.

ში სხვა ქართველმა დრამატურგებმაც. კერძოდ, ზ. ანტონოვიჩ. „ისინი, — წერდ ა. ფურცელაძე, — ცდილობდნენ თავის პიესებში, ზოგიერთებში მაინცა და მაინც, ეჩვენებინათ ხალხისთვის იმისი ნაკლულევანება, იმისი ცუდი ჩვეულება და ხასიათები. მეტადრე ამას ვხედავთ ჩვენ ერისთავის პიესაში „გაყრა“ და ანტონოვის პიესაში „მზის დაბნელება“.[184]

ეს ამონაწერი საგულისხმოა იმ მხრივაც, თუ რა თვალსაზრისით უცქერდა ა. ფურცელაძე კომედიას, რა მიაჩნდა მის ამოცანად, მის დანიშნულებად. სრულიად აშკარაა, რომ, კრიტიკოსის აზრით, კომედია მოწოდებულია ამხილოს საზოგადოების ნაკლოვანებები, ცუდი ჩვეულებანი და ხასიათები, რა თქმა უნდა, მათი დაგმობისა და გამოსწორებიხ, აღმოფხვრის მიზნით. ნათლად ჩანს ეს სტატიაშიც „შექსპირი ჰამლეტში“, სადაც ა. ფურცელაძე მთლიანად ეთანხმება დიდ ფრანგ დრამატურგს მოლიერს, რომ „კომედია არის მახვილად დაწერილი დაცინვა კაცთა ცუდი მხარეებისა, ბოროტებისა და ხაკლისა, რათა ამითი შეასწოროს ცუდი მხარენი კაცობრიობისა“.[185] დაცინვა აუცილებელია, რადგან არაფერი ისე არ მოქმედებს ადამიანზე, მის ზნეობაზე, როგორც დაცინვა, გამასხარავება. იგი აიძულებს ადამიანებს ჩაუფიქრდნენ თავის საქციელს, ხასიათს, გადასინჯონ ზოგი რამ, რაც წინათ გამართლებულად მიაჩნდათ.

დაცინვის მომაკვდინებელი ძალა, რეალიზმთან ერთად, მძაფრად იგრძნობა გ. ერისთავის „გაყრაში“ და, ბუნებრივია, კომედიის ეს ღირსებანი წინა პლანზე გამოიტანა, ხაზგასმით აღნიშნა ა. ფურცელაძემ. „მით უფრო ცხოველი და მძლავრი მოქმედება აქვს ამ პიესას, რომ ყველაფერს გიჩვენებთ ისე, როგორც ხდება თვით ცხოვრებაში, ცხოვრების მოვლინებაში. აქ ყველა, ვისდამიც ჯერ არს, ჰხედავს თავის თავში, თავის მახლობლებში, თავის გარემოებაში ამ მოვლინებათა; ეხიძნება ესენი და ჰკბენენ გულზედ, აზიზღებენ ამათ სისაძაგლესა და უღვიძებს გულში სურვილს, რომ მოსპოს ამგვარი ქცევა, ხასიათი, ჩვეულება, რაოდენათმც კი ეს შესაძლებელია“.[186]

---

184 ა. ფურცელაძე, გ. ერისთავი, და ზ. ანტონოვი, ჩვენი სცენისათვის.

185 ა. ფურცელაძე, შექსპირი ჰამლეტში.

186 ა. ფურცელაძე, გ. ერისთავი და ზ. ანტონოვი ჩვენი სცენისათვის.

მართალია, ანტონ ფურცელაძეს მიაჩნია, რომ „გაყრა“ არ არის ტენდენციური ნაწარმოები, ე. ი. დრამატურგი არ ხელმძღვანელობს წინასწარ აღებული ტენდენციით, მაგრამ ამის მიუხედავად მას დადებით მოვლენად თვლის ჩვენს დრამატურგიაში. „ესეც იმ დროში (XIX საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დამდეგს — შ. ქ.) დიდი საქმე იყო ჩვენი მწერლობისათვის, ჩვენი ახლად დაბადებულ სცენისათვის“. ეს დასკვნა სწორია, „გაყრა“ მართლაც „დიდი საქმე იყო ჩვენი მწერლობისათვის, ჩვენი ახლად დაბადებული სცენისათვის“, მაგრამ ა. ფურცელაძე უთუოდ ცდება, როცა ჰგონია, თითქოს დრამატურგს არავითარი ტენდენცია, არავითარი იდეა არ ამოძრავებდა და უბრალოდ ასახა ცხოვრება ისე, როგორც ხედავდა. „თქმა აღარ უნდა, — წერდა ა. ფურცელაძე, — რომ სუყველა აქ ჩვენი ნათქვამი (დასკვნები, რომლებიც კრიტიკოსმა გამოიტანა პიესის მოქმედ პირთა ხასიათის ანალიზის შედეგად — შ. ქ.) არა ჰქონდა სახეში გიორგი ერისთავსა; იმან მხოლოდ ნახა ეს პირნი, ეს მოქმედებანი, ნახა ამათი უვარგისობა და, როგორც ხუდოჟნიკმა, ასწერა და გამოგვისახა ისინი ნანდვილის სურათებით. და ეს გამოყვანილი პირები, გამოყვანილი მოქმედებანი გვაფიქრებინებენ და გვითითებენ ყველა იმას, რაც ჩვენ აქ ვსთქვით და რაზედაც მიგვიწვდებოდა ჩვენ ხელი“.[187] გამოდის, რომ გ. ერისთავმა არ იცოდა რას წერდა, ვის ესხმოდა თავს, ვის ამხილებდა, რა აზრი გაძომდინარეობდა მისი თხზულებიდან! აი სად იჩინა თავი ტეხდენციურობის შეზღუდულმა გაგებამ, შიშველი ტენდენციისაკენ მისწრაფებამ! ა. ფურცელაძეს ჰგონია, რომ თუ პერსონაჟები პირდაპირ არ ამბობენ მწერლის აზრს, თუნდაც ეს აზრი გამომდინარეობდეს ნაწარმოების საერთო სულისკვეთებიდან, პერსონაჟთა მოქმედება-საქციელიდან, ასეთი თხზულება ტენდენციური არ არის. მაგრამ თუ კი დრამატურგი დასცინის პერსონაჟებს, გვაზიზღებს მათ, განა ეს ტენდენცია არ არის? თუ კი, როგორც კრიტიკოსი წერს „„ერისთავმა აჲ ნანდვილის სურათით და ცხოველის მაგალითით გვიჩვენა: აი სადამდის მიეედით და სადამდის მივაღწიეთ ჩვენი კაცური ღირ-

187 იქვე.

ნების დაკარგვითა და ზნით დაცემითაო“,[188] განა ეს ტენდენცია არ არის?

როგორ ახასიათებს ა. ფურცელაძე კომედიის პერსონაჟებს?

კრიტიკოსი პიესის ყველა მოქმედ პირს ოთხ ჯგუფად ყოფს: ბატონები, შინამოსამსახურე ყმები; ვაჭართა და ადმინისტრაცია-სასამართლოს წარმომადგენლები. მათგან უმთავრესად მიაჩნია პირველი ჯგუფი, რადგან „ერისთავს „გაყრაში“ ჰყავს გამოსახული ბატონყმობის დროს ბატონები და იმათი გარემოება, იმათი დამოკიდებულება ამ გარემოებასთან“. ყველა ისინი არიან „ნანდვილის ცხოველის სურათებით გამოსახული ტიპები“, რომლებიც „ცხადათ გაჩვენებენ ამ ჩვენს დაცემულს და წამხდარ დროსა და გარემოებათა... გ ვ ი ჩ ვ ე ნ ე ბ ე ნ რ ი ს ნ ა ყ ო ფ ი ც და რ ა მ ო ვ ლ ე ნ ი ს წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ ნ ი ც ა რ ი ა ნ“...[189]

ანდუყაფარს ეამაყება, თავი მოსწონს, რომ მის „ერთ ბრძანებას ემონებიან მრავალნი“. თუმცა უხასიათოა, სუსტი ნებისყოფისა და „ეს დიდების მოყვარე კაცი თავისის გოხებისა და სხეულის საპყრობის გამო, ხდება თვითონ მოხა თავისივე მოურავისა“. ერთი სიტყვით, იგი ტიპია იმ მემამულე-მებატონეთა, რომელთაც აღარ შეუძლიათ თვითონ წარუძღვნენ მეურნეობას, აღარ გააჩნიათ კაცური ღირსებები და რომელთა ბატონობა სულ უფრო და უფრო ნომინალური ხდება, ქონებაცა და უფროსობაც თანდათან გადადის გაიძვერა მოურავთა ხელში. რაც შეეხება ანდუყაფარის ძმას პავლეს, იგი „გვისახავს იმგვარს ტიპს, რომელსაც თავისმა ბატონყმურმა ცხოვრებამ მიაღწევინა იქამდის, რომ იმას მისი მოვლაც არ შეუძლიან, რაც შემოდის მუქთათ ყმა და მამულიდამ. იმისი უდარდელობა და უზრუნველობა არის მიღწეული იდიოტობამდის“...[190]

რამ დასცა ეს ხალხი, რამ მიიყვანა იდიოტობამდე, რატომ ასე უგნურად იქცევიან ისინი?

პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს — ბატონყმობამ.

---

188 იქვე.

189 იქვე. (ხაზგასმა ჩემია — შ. ჭ.).

190 იქვე.

წოდებრივად მებატონეთა ამავე ჯგუფს ეკუთვნის პავლეს მეუღლე მაკრინე. მაგრამ ა. ფურცელაძე მას ცალკე გაძოჭყოფს, როგორც მათგან მკვეთრად განსხვავებულ ტიპს. საგულისხმოა, რომ მაკრინეს დახასიათება მოგვაგონებს დარეჯახელისაბედის ხასიათის ანალიზს. ამ შემთხვევაშიც კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ მაკრინე განსხვავდება სხვებისაგან მდიდარი და სასარგებლო ბუნებრივი მონაცემებით. იგი არც ანდუყაფარივით ნებასუსტია, არც პავლესავით უზრუნველი და არც ივანესავით ქარაფშუტა. „თქვენ მაკრინეში ხედავთ ჭკვიახს, მძლავრს და მაგარი ხასიათების ქალს". ცხოვრებამ მაკრინე ვერ გააფუჭა თავის დასაწყისშივე, როგორც დარეჯახი, — ამისათვის მას საკმაოდ მტკიცე ხასიათი აღმოაჩნდა, და მან ელისაბედივით შეინარჩუნა ბუნებრივი მონაცემები, მაგრამ მერე რა! მის ჭკუასა და მძლავრ ხასიათს მოედანი არ აღმოაჩნდა მემამულე-მებატონეთა წრეში და იგი იძულებულია მტარვალობა გასწიოს პავლეს მაგიერ, ჭკუა და მძლავრი ხასიათი ჩაკლას „უბრალო წვრიმალს ინტერესებში, წვრიმალს ინტრიგებში"... კრიტიკოსის აზრით, ეს არის არა მარტო მაკრინეს, — მთელი საზრგადოების ტრაგედია. მაკრინეს მსგავს ადამიანებს შეეძლოთ განუზომელი სარგებლობა მოეტანათ, მაგრამ ცხოვრების პირობების გამო, პირიქით, ვნება მოაქვთ. „იმის მაგიერათ, — წერდა ა. ფურცელაძე, — რომ ეს გონება, ეს ხასიათი ჰმოქმედებდეს საზოგადო საქმეში, საზოგადო საქვეყნო ასპარეზზედ და ამითი ემსახურებოდეს თავის ხალხს, ჰმატებდეს იმათს წარმატებასა და განვითარებას, — განდევნილი წყობილებითა, კანონებითა, წესებით და სხვ. ამ სასარგებლო ადგილიდამ, არის ჩამწყვდეული ოთხ კედელს შუა, ჩაძჯდარი ბატონყმობის ყაფაზაში, მოკლებული ღონისძიებებს, რომ გაშალოს და გაღსნას ვრცლათ თავისი ხასიათი და ჭკუა, — ის უნებურათ ეძლევა წვრიმალს საქმეებს, ჰლუპავს თავის ჭკუასა და ძალას ამ უბრალო საქმეების ბრძოლასა და დევნაში".[191] აი ბატონყმობის კიდევ ერთი მსხვერპლი, ბატონყმური ურთიერთობის ანტიხალხური არსის კიდევ ერთი გამოხატულება!

მეტად საინტერესო ასპექტში განიხილავს ა. ფურცელაძე

---

191 ა. ფურცელაძე, გ. ერისთავი და ზ. ანტონოვი ჩვენი სცენისათვის.

ბარამისა და გაბრიელის მხატვრულ სახეებს. წარმოშობით გლეხები, — კარგავენ კლასობრივ ალღოს და მასთან ერთად ზნეობრივ სისპეტაკეს, საუკეთესო ადამიანურ თვისებებს. ამ მხრივ მაინც ანდუყაფარის შოურავი — ჭკვიანი, გამჭრიახი, თუმცა უაღრესად გაიძვერა და ბოროტი ბარამი გამოირჩევა. თავისი უსაზღვრო ერთგულება რომ დაამტკიცოს, იგი უფრო სასტიკად და შეუბრალებლად ეპყრობა ყმა გლეხებს, ვიდრე თვით ბატონი. მაგრამ როგორც სამართლიანად შენიშნავს კრიტიკოსი, ამას სჩადის ბატონის ერთგულებისათვის კი არა, პირადი აღზევებისა და გამდიდრებისათვის: „როგორც ყველა ტირანის მახლობელს უყვარს მარტო თავისი თავი და ერთგულათ უჩვენებს თავს, ვიდრემ ტირანს ხელთ ძალა უჭირავს, და თუ ძალა დაჰკარგა, პირველი თავისავე მახლობელი მოხელენი გადუდგებიან და არ დაჰზოგამენ დასაღუპავათ, — ისე ბარამს, არავითარი ერთგულება არ უდევს ბატონის გულში". ბარამი მართლაც არავისი ერთგული არ არის, გარდა თავისი თავისა. „ერთის სიტყვით, — დაასკვნის ა. ფურცელაძე, — როგორც ყველა ხალხის ორგულს, ხალხის მტერს, ახსოვს მარტო თავისი თავი და თავის თავს, არამც თუ თავის ბატონს, და, თუ შეეძლება, ანაცვალებს მთელს ქვეყანასაც".[192]

სულ სხვა ტიპია, კრიტიკოსის აზრით, გაბრიელი. მას არა აქვს ბარამის არც გაიძვერობა და ბოროტება, არც ჭკუა, პირიქით, იგი ძლიერ გულუბრყვილოა და, რაკი „თავზედ ხელს უსვამენ, ტკბილათ ეგცევიან, ის ივიწყებს, ყველა დაკარგულს და ხდება ძაღლივით ერთგული თავის დამმონავებელისა". გაბრიელი მზად არის მოკლას, თავი შეაკლას ყველას, ვინც კი ძის ბატონს წინააღუდგება. მას არ ესმის, რომ გლეხებს „ამ ტკბილი ბატონის შენახვა ისევე ძვირათ უჯდებათ, როგორც უგემურის და ავის ბატონისა"...[193] კლასობრივი გრძნობის ასეთი დაჩლუნგება გაბრიელში, მისი „მოუსაზრებელი ერთგულება" ბატონისადმი კრიტიკოსის არანაკლებ ზიზღს იწვევს, ვიდრე ბარამის გაიძვერობა და ბოროტება.

ამ სტატიაში ა. ფურცელაძეს პირველი მიეცა საშუალე-

192 იქვე, გვ. 276.

193 იქვე.

ბა გამოეთქვა თავისი დამოკიდებულება კაპიტალიზმისადმი. მიკირტუმ გასპარიჩის მხატვრული სახის ანალიზი არსებითად სილის გაწვნაა არა მარტო ვაჭართა წოდების — მთელი კაპიტალისტური საზოგადოებისათვის, სადაც ოქრო და მოძხვეკელობა ერთადერთი კერპია, რასაც ყველაფერს ანაცვალებენ — წმინდა გრძნობასაც, სინდისსაც, პატიოსნებასაც, ყველაფერს. „ოქროს დროშის მატარებლებს, — წერს კრიტიკოსი, — თავის დროშაზედ არ უწერიათ არავითარი კაცური გრძნობა და ძიხედულობა, არა აქვთ სახეში არაფერი, გარდა ოქროს ქურებში — ოქროს კერპის ჩასხმისა". ვაჭარი მიკირტუმ გასპარიჩი ოქროს კერპის ერთი ასეთი თაყვანისმცემელია. ა. ფურცელაძის დახასიათებით, „ის არც სიცრუეს, არც მოტყუებას, არც სხვა სამარცხვინო და კაცის ღირსების დასამცრობ ჰარაჭზადობას არა ჰზოგავს თავის ფულის გასაზრდელად, თავის კაპიტალის წარსამატებლათ. და ამითი ის ხდება სრული ბატონი, სრულ მბრძანებელი ჩვენგნით აღწერილის მებატონეებისა. უჭირავს იმათი სული ხელთა, და ისინი უძლურნი არიან წინაშენ ამის კაპიტალისა, ამის ფულებისა".[194]

საიდან წარმოსდგება მიკირტუმ გასპარიჩის ძალა?

კაპიტალისტურ საზოგადოებაში ოქრო, ფული იხვეჭს განუზომელ საზოგადოებრივ ძალას, რომელსაც ცალკეული პიროვნებანი, კაპიტალის მფლობელნი, თავის პირად ძალად აქცევენ. ეს საშუალებას აძლევს მათ დაიმონონ ყველანი, ვისც კი ხელთ ჩაუვარდებათ. მიკირტუმ გასპარიჩს ესმის ფულის ძალა, იცის მისი ყადრი და სულით ხორცამდე ფეტიშიზმის ქარაფშუტა თავადებს, და არა მარტო თავადებს. ახასიათებს რა კაპიტალისტურ წყობილებას და მიკირტუმ გასპარიჩს, როგორც ამ წყობილების წარმომადგენელს, ა. ფურცელაძე წერს: „ერთის სიტყვით, კარაპეტა (ქალმის ლაფსუსია, უნდა იყოს მიკირტუმ გასპარიჩი — შ. ქ.) არის ნანდვილი ტიპი ვაჭრისა, აღებ-მიცემის კაცისა, რომელიც დღითი დღე მძლავრდება, ვრცელდება და იჭერს ხელთ, თითქმის არარაიდამ, არამც თუ მებატონეთა და იმათ ყმათა, და ყველას, ვინც მოხვდება აძათს ბადესა, ვინცა დგას ამათ ხელობის გარეთ, ვისაც არ გაბოუვა

194 იქვე.

ხელიდამ ამათოდენა სინიდისის წინაშენ წინდაუხედაობა, ამათოდენა გაიძვერობა და ავხელობა; კიდევ უფრო ყველა იმათა, რომელნიც არიან თავის მარჯვენაზედ მინდობილნი და თავისის ზურგით ინახამენ თავსა და სახელმწიფოს. ერთის სიტყვით, მიკირტუმ გასპარიჩში ჰხედავთ თქვენ იმ გარემოების წარმომადგენელს, რომელიც იჯერს თან და თან წინახდელი მებატონეების ადგილს, მხოლოდ უარესი დამღუპავი დადამცემის ძალით; ეს არის წარმომადგენელი იმ საზოგადოებისა, რომელიც აწევს ქვეყანას, დიდსა და პატარას განურჩევლათ, და სწოვს წურბელასავით უკანასკნელს სისხლის წვენს; წარმომადგენელს იმ საზოგადოებისას, რომლისთვის არ ჰსუფევს არც შებრალება, არც განკითხვა და რომლის ოქროსა და ვერცხლის კლანჭები ჰხუთამენ სულს, ვინც კი ჩაუვარდებათ ხელთა".[195] გადაჭარბებული როდი იქნება თუ ვიტყვით, რომ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში არავინ ასეთი ძალით არ დასხმია თავს კაპიტალიზმს და არ უარყვია იგი ასეთი ზიზღით როგორც ანტიხალხური და ანტიჰუმანური წყობილება. აქ ა. ფურცელაძე ერთხელ კიდევ წარმოგვიდგა როგორც რევოლუციონერი დემოკრატი, ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის შებრძოლი საზოგადო მოღვაწე.

ძლიერ მოკლედ, მაგრამ მწვავე სიტყვებით დაახასიათა ა. ფურცელაძემ პერსონაჟთა მეოთხე ჯგუფიც. „გიორგი ერისთავმა არ გაუშვა გაუკანჭლავათ ამ პიესაში ჩვენი საზოგადო სინიდისისა და კანონის სამართალიც, — წერდა იგი, — რას კხედავთ ამის სინდისის მედიატორეებში? კაცთ, რომელთაც არ უწერიათ დავთარში არავითარი ზნეობა, არავითარი პატიოსნება".[196]

როგორც ვხედავთ, ა. ფურცელაძემ გ. ერისთავის კომედიის „გაყრა" კრიტიკული განხილვაც უნარიანად გამოიყენა თავისი რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდისათვის, გაბატონებული კლასების, ბატონყმობისა და კაპიტალიზმის მძლავრი კრიტიკისათვის. ჩვენ არ ვიცით, რა მიზეზით დარჩა დაუმთავრებელი და გამოუქვეყნებელი კრიტი–

195 ჭრესტომათია, I, გვ. 311.

196 იქვე.

კოსს ეს სტატია, მაგრამ ამ სახითაც იგი უდავოდ იმსახურებს ყურადღებას, როგორც ქართული პროგრესული ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი.

ამავე სტატიაში ა. ფურცელაძე გაკვრით შეეხო გ. ერისთავის „შეშლილს“ და აღნიშნა, რომ ეს კომედია სჯობს დრამატურგის სხვა ნაწარმოებებს, მაგრამ „გაყრას“ მაინც ვერ შეედრებაო „ვერც აზრით, ვერც სინანდვილით, ვერც ხელოვნებით“.[197]

„შეშლილის“ ასეთი შეფასება მოულოდნელი ჩანს, თუ გავიხსენებთ, რომ სტატიაში „ქართული ლიტერატურა“ (1863 წ.) ა. ფურცელაძემ ხელაღებით დაიწუნა იგი და ჩასთვალა „უნაყოფო თხზულებად“, რომლის წაკითხვასაც სჯობს უბრალო თამაშში გავატაროთ დრო. მართალია, მან აღნიშნა კომედიის ზოგიერთი ღირსება და სწორად განსაზღვრა ხაწარმოების ძირითადი იდეა — „მშობლების მტარვალობა შვილებზედ“, რასაც იზიარებს ქართული ლიტერატურის ისტორიის ყველა თანამედროვე მკვლევარი, მაგრამ ამასთან შეეცადა დაემტკიცებინა, რომ გ. ერისთავს არ ეყო არც ცოდხა და არც მხატვრული ოსტატობა დაეძლია ესოდენ „მძიმე საგახი“, ესოდენ „რთული თემა“. „ეს იდეია („მშობლების მტარვალობა შვილებზედ“ — შ. ჭ.) იმისთანა მძიმე საგანია, — ხერდა ა. ფურცელაძე, — ამას იმისთანა ხუდოჟნიკი და ფილოსოფოსი მწერალი უნდა, რომ ყოველივე მოძრაობა, მოქმედება დაგანახოთ, როგორც თქვენი ხუთი თითი და ისე უხდა ფილოსოფიურათ — მეცნიერებაზედ დამყარებით გააკვლიოს ეს საგანი, რომ არავითარი საიჯო არ იყვეს ამის სიმართლე. გ. ერისთავი, როგორცა სჩანს ამის „შეშლილიდამ“, ამას ყველას მოკლებულია“.[198]

კომედიის უპირველესი ნაკლი კრიტიკოსის აზრით, ის იყო, რომ გ. ერისთავი „გვისახავს ამ თხზულებაში კარგათ ხოლოდ ჩვენი ქალების იდიოტიზურს ლაპარაკსა, და აღებულს საგანს კი ყურს არ უგდებს“. სხვანაირად რომ ვთქვათ, ავტორი გაიტაცა თვითონ ცხოვრების სურათებმა და ძაოს

197 იქვე.
198 იქვე.

ლაბირინთში დაეკარგა იდეა, საგანი თხზულებისა, ე. ი. ძოგვცა გაუაზრებელი ნედლი მასალა ანუ „უმი სურათები“. ერთი სიტყვით, ნაწარმოებში მკვეთრად არ ჩანს ტენდენცია — გ. ერისთავი გვიჩვენებს ცხოვრების ცოცხალ სურათებს, ძაგრამ არ გვაზიზღებს უარყოფით პერსონაჟებს, არ გმობს ასახულ ბოროტებას, არ გვაყვარებს დადებით გმირებს. „ავტორმა, — წერდა ა. ფურცელაძე, — უნდა გამოგვისახოს წმიდა სინანდვილე, დაგვანახოს ერთის შეცდომილება ისე საზიზღრათ, რომ ყველამ თავის თავი დაინახოს და თავის ზნე სცხას და, მეორე, სიმართლე და უბრალოება ამგვარვე ხელოვნურათ გამოგვისახოს... მაგრამ ერისთავი ამ შემთხვევაში ისე სუსტია, რომ თითქო ის ამათ ბოროტებას კი არა სწერს, ისე ხუმრობსო. თქვენ რომ „შეშლილსა“ კითხულობთ, ამის უმთავრესს საგანს კი არ უგდებთ ყურსა — გაზდეეთ ქალების ბაასსა და წრიპინ-მასხარაობასა“.[199] თეორიულად ეს დებულება სწორია, მაგრამ ა. ფურცელაძე უთუოდ ცდება, როცა ჰგონია, თითქოს „შეშლილში“ არ ჩანდეს ტენდენცია და ჩვენ გვიტაცებდეს მარტო „ქალების ბაასი და წრიპინ-მასხარაობა“. გ. ერისთავის ოსტატობა სწორედ ის არის, რომ გვიტაცებს, გვიზიდავს ძართალი, ნამდვილი ცხოვრების სურათებით და პირდაპირ, უშუალოდ კი არ გვაცნობს თავის შეხედულებას, გარედახ კი არ შეაქვს ნაწარმოებში ტენდენცია, არამედ ისე არჩევს და ხატავს სინამდვილის სურათებს, რომ ჩვენთვის ძნელი არ არის გამოვიყვანოთ ტენდენცია თვით ნაწარმოებიდან. ეს თხზულების ღირსებაა და არა ნაკლი. ნუთუ ა. ფურცელაძე ძართლა ვერ ხედავდა ქალების „ბაასსა და წრიპინ-მასხარაობა“ში“ წამხდარ ადამიანებს, წამხდარ დროებას, როდესაც ყველაფერი თავისუფალი იდევნებოდა, თვით ისეთი უვნებელი ადამიანური გრძნობაც კი, როგორიც ჩვეულებრივი ქალ-ვაჟის სიყვარულია?

სრულებით ვერ გაუგია ა. ფურცელაძეს „შეშლილის“ დადებითი გმირების ტასოსა და ბეგლარის ხასიათი, ძათი ძხიშვნელობა ძველი, დრომოჭმული მორალისა და წესების წინააღმდეგ ბრძოლაში. „ჩვენ არ ვიცით, — წერდა იგი, — რა ში

199 იქვე.

მოჰფიქრებია თ. ერისთავსა, რომ თავის ტასიას ეძახის შეშლილსა? ეს შეშლილი ლაპარაკობს ამ თხზულებაში ყველა მოქმედს პირზედ ჭკვიანათა. ერთის სიტყვით ავტორი თავის აზრს, თავის საგანზედ სჯას ათქმევინებს შეშლილსა და თვითონ კი შეშლილს ეძახის. თქვენ ერთი ხოლოდ თავში, როდესაც პირველათ ხედავთ შეშლილსა, მაშინა სცნობთ, რომ ის ლაპარაკობს არევითა; და მას უკან კი ყორე ზანდიც აღარ შეედრება იმას სჯასა და სიყვარულის განმარტებაში".[200] ეს ამონაწერი ცხადყოფს, რომ ა. ფურცელაძე ვერ გაერკვა ვერც ტასოს ხასიათში და ვერც ავტორის ჩანაფიქრში — რატომ უწოდა ტასოს და კომედიასაც შეშლილი. რა თქმა უნდა. ტასო შეშლილი არ არის. სამართლიანად წერს ამის თაობაზე პროფ. მიხ. ზანდუკელი, რომ ტასოს „მსჯელობა, სათხოება, მრავალ შემთხვევაში გარემო ცხოვრებისადმი დამოკიდებულება და მისი შეფასება მეტად საღია და სწორი... ტასო ძეშლილია იმისათვის, ვისთვისაც მისი გრძნობა და შეხედულება თავისუფალ სიყვარულზე გასაგონადაც მიუღებელია".[201] ასევე ფიქრობს ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე თანამედროვე მკვლევარი დ. გამეზარდაშვილი. „ძლიერი სიყვარული მეშჩანი ქალებისათვის უცხო და გაუგებარია, — წერს იგი, — ამიტომ მათ შეშლილად გამოაცხადეს საბრალო ტასო... მწერალმაც ირონიის გასაძლიერებლად თავის კომედიას „შეშლილი" უწოდა.[202]

ამრიგად, ტასო არ არის შეშლილი, იგი შეშლილად გამოაცხადეს ძველი მორალის ადამიანებმა, რომელთათვისაც თავისუფალი სიყვარული „გასაგონადაც მიუღებელია". ტასოს ქცევა, ტასოს აზრები მათთვის სავსებით უცხოა და გაუგებარი. „გათხოვებასა მაშინა ვცნობდით, როცა საყდარში ქმარს წავყვებოდით", თავმომწონედ ამბობს კომედიის ერთ-ერთი პერსონაჟი, მაგრამ ტასოს არ სურს ამ გზით იაროს, არ სურს დაემორჩილოს ბარბაროსულ ზნე-ჩვეულებას. იგი მტკიცედ იცავს ქალის ელემენტარულ უფლებას — უყვარდეს და ძის-

200 იქვე, გვ. 312.

201 მიხ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. II, 1954, გვ. 83.

202 დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, I, 1953, გვ. 132.

თხოვდეს იმას, ვინც გულით უყვარს, ვინც ნამდვილ მეგობრობას და მეუღლეობას გაუწევს ცხოვრებაში. ტასო პირველი პროტესტანტია, რომელიც გაბედულად იმაღლებს ხმას ქალის უუფლებობის წინააღმდეგ. მართალია, იგი არ აშაღლებულა ქალთა სრული ემანსიპაციის მოთხოვნამდე, ჯერ კიდევ გრძნობის სფეროთი იფარგლება, რის გამო მისი პროტესტი შეზღუდულია, მაგრამ ამაში თვითონ კი არა, დრო, გარემო, სინამდვილეა დამნაშავე.

ა. ფურცელაძემ ანგარიში არ გაუწია ამ გარემოებას, დაივიწყა, რომ ტასო იყო ორმოციანი წლების ქალი, რომელსაც ჯერ კიდევ იმის დამტკიცება ესაჭიროებოდა, რომ სიყვარული არ არის სირცხვილი, და მოსთხოვა მას სამოციანი წლების უაღრესად პროგრესული თვალსაზრისით შეეხედა ცხოვრებისათვის. ეს იყო ანტიისტორიზმი, გაუმართლებელი ბრალდება. ასევე უმართებულო და უსაფუძვლოა კომენტარი, რომელიც კრიტიკოსმა გაუკეთა ტასოს სიტყვებს: „ტრფობა არს ქალთა დანიშნულება“. ამით ტასოს მხოლოდ ის უნდოდა ეთქვა, რომ ქალი სიყვარულისათვის არის გაჩენილი, ე. ი. უფლება აქვს უყვარდეს და იყოს შეყვარებული. ა. ფურცელაძემ კი, თანაგრძნობის მაგიერ, დასცინა ტასოსა და ავტორსაც. „აბა რაღა ეგულებათ ამ ქვეყანაში ტრფობის მეტი, — წერდა იგი, — ტრფობის მეტი რაღა უნდათ. იმათი დანიშნულება ამ სოფლათ, ერისთავის აზრით ესა ყოფილა და!... სხვას ნურაფერს იზრუნებთ, ქალებო!“.[203] თუ რამდენად გადაჭარბებული და უადგილოა ეს დაცინვა, მშვენივრად ჩანს თვით ა. ფურცელაძის, როგორც ბელეტრისტის, პრაქტიკიდან. სამოცდაათიან წლებში მან დაწერა მოთხრობა „ჩვენებური საქმის ბოლო“, რომლის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი კატო შეეცადა საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მოეკიდა ხელი, მაგრამ არა თუ ეს ვერ შეძლო, საკუთარი სიყვარულიც ვერ დაიცვა და ძალით გაათხოვეს. საკითხავია: ის, რაც ვერ გააკეთა კატომ სამოცდაათიან წლებში, როგორღა უნდა გაეკეთებინა ტასოს ორმოციან წლებში?

ასევე ვერ გაიგო ა. ფურცელაძემ კომედია-პოემის მეორე

---

203 ქრესტომათია, I, გვ. 312.

დადებითი გმირის ბეგლარის ხასიათი, მისი მხატვრული სახის პროგრესული მნიშვნელობა. „ახლა ვნახოთ, — წერდა იგი, — ამისი ბეგლარი რა არის? ვინ არის? რა კაცია, ჩვენ არ ვიცით, ხოლოდ ეს კი ვიცით, რომ ქართველი არ არის“.[204] ვითომ, რატომ არ ვიცით, რა კაცია ბეგლარი, რატომ არ არის ქართველი? კრიტიკოსი ამას არ განმარტავს, მაგრამ სამაგიეროდ ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ ბეგლარი ავტორმა პოეტად გამოიყვანა. ა. ფურცელაძე ასე მსჯელობს: თუ ბეგლარის სახით გ. ერისთავს სურდა ეჩვენებინა სასარგებლო კაცი, რომელსაც ვერ გაუგო საზოგადოებამ და რომელმაც არ იცის მისი ფასი, ამისათვის მას უნდა „სრულებით სხვა მდგომარეობა მიეცა, სხვაფრივ გამოესახა, რომ სწორეთ ეთქვა ყველასა, რომ ამგვარნი კაცნი ჩვენგნით გასაკიცხნი კი არ არიან, და, პირიქით, დიდი გამოსაყენებელნი და სასახელონიც არიან; ამის ნაცვლათ ავტორი ამას არზის ქაღალდზედ ლექსებს აწერინებს, პოეტათ გამოჰყავს და უაზრო დიფირამბებს კი ალექსებს“.[205] საოცარია, რომ ამ სტრიქონებს წერდა თვითონ პოეტი! ნუთუ პოეტურობა უსარგებლო საქმეა და პოეტი უსარგებლო კაცია?! ანახანუმმა და მისმა თანამოაზრეებმაც ხომ იმისათვის დაიწუნეს ბეგლარი, რომ ლექსებსა წერდა და არა არზებს, რადგან, მათი აზრით, სასარგებლო შეიძლება იყოს არა ლექსების, არამედ არზების მწერალი? რამდენადაც საკვირველი არ უნდა იყოს ეს, ა. ფურცელაძე ამ საკითხთან დაკავშირებით ანახანუმის კომპანიაში აღმოჩნდა გ. ერისთავის წინააღმდეგ. აი სანამდე მიიყვანა ა. ფურცელაძე ტენდენციურ-ვულგარულმა კრიტიკამ და ნიჰილისტურმა სულისკვეთებამ!

თუ რამდენად შეუშალა ხელი ა. ფურცელაძეს ნიჰილისტურმა სულისკვეთებამ სწორად შეეფასებინა „შეშლილი“, ჩასწვდომოდა ავტორის ჩანაფიქრს, იქიდანაც ჩანს, რომ მან სრულებით ვერ გაიგო კომედიის ფინალი, მისი უდიდესი მამხილებელი ძალა. „მრთელი კომედია-პოემა, — წერდა იგი, — არის ხუხულასავით აშენებული: სად ქვა, სად აგური, სად თიხა და კირი. ერთის სიტყვით მრთელი არ არის. მაგალითათ

---

204 იქვე.

205 იქვე, გვ. 313.

რის მაჩანჩალაა, რომ უკანასკნელს სცენაში გამოჰყავს ქალები ლოტოს სათამაშოთ? მარტო ამისათვის ხომ არა, რომ გაგვეგონა იმათი რუსულათ ნომრების გამოთქმის უცოდინელობა?".[206] ვნახოთ ახლ როგორ აფასებს ამ სცენას კიტა აბაშიძე, რომელსაც უფრო ნაკლებად მოეთხოვებოდა ეგრძნო მისი მამხილებელი ძალა, ვიდრე ა. ფურცელაძეს. „ამავე „შეშლილშია" დასურათებული საოცარი მაგალითი კაცთა უგრძნობლობისა და გულგრილობისა, — წერდა კ. აბაშიძე, — ადამიანთაგან ერთმანეთის ვაისა და ჭირის შეუგნებლობისა. საბრალო ტასო შეშლილია უარყოფილი სიყვარულის გამო. იმას კი წამლად გათხოვებას უნიშნავენ და, როცა ეს წამალი სიკვდილამდე მიიყვანს, მისივე ახლო ნაცნობნი ლოტოს თამაშის დროს გაიგებენ ამ საზარელ, თითქმის მათ ნახელავ საქმეს და გულგრილად და საოცარი ცინიზმით განაგრძობენ თამაშს და ჭორიკანობენ:

მ ე ლ ა ნ ი ა: პით დესეტ ოსემ... თუ მართალია...

მაგრამ დედაზედ სამართალია.
ვოსემ დესეტ სემ... ყური არ უგდო,
საბრალო ქალი ყმაწვილს მიუგდო.
შესდესეტ დევეტ... მე რა გავიგე!

ნ ი ნ ო: უკაცრავად ვარ, აი მოვიგე".[207]

აი რა ღრმა საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს ლოტოს თამაშს, ფინალურ სცენას, რომლის ნამდვილ აზრს ახლოსაც კი ვერ მიეკარა ნიჰილიზმით დაბრმავებული ა. ფურცელაძე. სხვათა შორის, ამ ნიჰილიზმმა თავი იჩინა არა მარტო „შეშლილის" შეფასებაში. ა. ფურცელაძემ ხელაღებით უარყო აგრეთვე გ. ერისთავის მთელი პოეზია, როგორც უაზრო და ცრუ ოცნებებით სავსე, და მისი უდავო ღვაწლიც ქართული ლიტერატურული ენის განვითარებაში. ჯერ კიდევ პლატონ იოსელიანმა შენიშნა გ. ერისთავის თხზულებათა ენობრივი სიახლე და „გაყრის" პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში წერდა: „დამწერმან ამა პირველისა, ქართულსა ენაზედ კომე-

206. იქვე.
207 კ. აბაშიძე, ეტიუდები, 1962, გვ. 118.

დიისა, თავადმან გიორგი დავითის ძემან ერისთავმან, დაბადა ენა ქართული ახალისა გვარისა მწერლობისათვის". ა. ფურცელაძემ კი გადაჭრით უარყო ეს უცილობელი ფაქტი და სტატიაში „ქართული ლიტერატურა" შეეცადა დაემტკიცებინა, რომ გ. ერისთავის კომედიების ენა თითქოს არ გამოდგებოდა „გასაგონრობის მაგალითისათვის". მისი აზრით, „ყველა, ვინცკი დასწერს რომელსამე დრამულს პიესას, ის უეჭველათ მოქმედს პირსაც ისე ალაპარაკებს, როგორც უნდა და არც ძნელია, მეტადრე ამ ნაჩვენები ავტორების (გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის — შ. ჭ.) კომედიებში, სადაც ყოველი მოქმედი პირი ლაპარაკობს თავის ნაცნობს საგანსა და საჭიროებაებზედ და არ შედიან ისინი იმისთანა სჯაში, სადაც მართლაცდა, კაცს უჭირს ენის მოხმარება... ავტორის საქმე და გამოჩინება მაშინ არის, რომ თითონ შედიოდეს რომელიმე მძიმე საგნის სჯაში და იქ... სუმბუქათ ილაპარაკოს... არამთუ მძიმე რისამე სჯა, აიღეთ თქვენ თარგმანი თ. გ. ერისთავისა „ამალათ ბეგი". თქვენი რისხვა მქონდეს თუ თქვენ იქ რამ რიგიანათ გაიგოთ. მაშასადამე, ეს ავტორები ენის მოხმარების მაგალითათა და საჩვენებლათ არ გამოდგებიან".[208] უცნაური დასკვნაა. ჩიტორელიძე, ვისაც ა. ფურცელაძე ეკამათება, „გასაგონრობის მაგალითისათვის" ასახელებს არა „ამალათ ბეგს" (თუნდაც ეს ნაწარმოები ქართულად მართლაც ძნელი გასაგები იყოს), არამედ გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის მხოლოდ კომედიების ენას. მეორეც, როგორ შეიძლება სერიოზულად ვამტკიცოთ, თითქოს მარტო „დრამული პიესის" ავტორისათვის იყოს აუცილებელი, ისე ალაპარაკოს პერსონაჟები, როგორც სინამდვილეში ლაპარაკობენ; განა რომანებშიც ცოცხალი პირები არ მოქმედებენ და არ საუბრობენ, ამასთან აგრეთვე „თავის ნაცნობ საგანსა და საჭიროებაზედ?". ყველაფერი ეს შშვენივრად იცოდა ა. ფურცელაძემ, რასაც მოწმობს მისი სტატია „სურამის ციხეზე", მაგრამ თუ მაინც საწინააღმდეგოს ამტკიცებდა, იმიტომ, რომ გამსჭვალული იყო ნიჰილისტური განწყობილებით გ. ერისთავის მხატვრული მემკვიდრეობისადმი.

208 ქრესტომათია, I, გვ. 370.

ერთადერთი შენიშვნა, რომელიც ნაწილობრივ მაინც უნდა გავიზიაროთ, შეეხება „შეშლილის“ ხასიათებს. „ერისთავს, — წერს ა. ფურცელაძე, — არ უგდია ხასიათებისათვის ყური; ძლივს გაარჩევთ ამის „შეშლილში“ ერთმანეთისაგან მომქმედ პირთა. ყველა მოქმედი პირი უნდა იყვეს თავის ხასიათით, თავისი ავის თუ კარგის ზნით, თავისის აზრით, თავისის გცევით“:.. მართლაც, გარდა ბეგლარისა, ტასოსა და ანახანუმისა, რომელთა ხასიათები გამოკვეთილია მკაფიოდ, რელიეფურად, თითქმის ყველა სხვა მოქმედი პირი, განსაკუთრებით ანახანუმის რძლები, ძლიერ გვანან ერთმანეთს და მართლაც ძნელი გასარჩევია ერთმანეთისაგან. მაგრამ ეს სრულებითაც არ აძლევდა უფლებას კრიტიკოსს დაესკვნა, თითქოს „შეშლილი“ ერისთავისა ბევრით ვეღარ წაუვა რჩეულობის შეშლისა; ჩვენ ძალიან გვიკვირს, რაზედ იჭირვებენ საქმესა ზოგიერთა ძალათი-მწერლები? არ შეუძლიანთ რიგიანათ წერა, ჟურნალში მაინც ნუ აჭერინებენ თავის ყოვლითურთ უმნიშვნელოს და უნიჭო წერილებს ალაგსა. ამათ ალაგას ჟურნალს იქნება სხვა სასარგებლო რამ შემოეტანა“.[209] საბედნიეროდ, ა. ფურცელაძეს ბოლომდე არ გაჰყოლია ეს ახირებული და უმართებულო შეხედულება და, როგორც დავინახეთ, თვითონვე უარყო იგი.

დასასრულ შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ა. ფურცელაძის რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეას, რომელიც მან განავითარა „შეშლილის“ კრიტიკული განხილვისას: მოიწონა რა კომედია-პოემის თემა — „მშობლების მტარვალობა შვილებზე“, ა. ფურცელაძემ ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში ერთ-ერთმა პირველმა გადაჭრით გაილაშქრა ქალთა უუფლებობის წინააღმდეგ და მოითხოვა მათი სრული ემანსიპაცია, ე. ი. მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ გ. ერისთავთან შედარებით. „ჩვენ მშობლებს, — წერდა იგი, — ვინ არ იცის, რომ თავის შვილები ნივთივით მიაჩნიათ, მეტადრე საცოდავი ქალები დედებსა, რომელთაც ისინი აგრე რიგათ ვერ მორჩებიან და არიან იმათ დესპოტურს განვლინებაში“.

209 იქვე, გვ. 315.

* * *

ამით არ ამოიწურება ა. ფურცელაძის ძირითადი ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები, მიძღვნილი ცალკეული მწერლებისა ან ცალკეული მხატვრული ნაწარმოებებისადმი. მას ეკუთვნის აგრეთვე, გამოუქვეყნებელი ტრაქტატი „შექსპირი ჰამლეტში“, ალ. ყაზბეგის „მოძღვარის“ ვრცელი განხილვა. გარდა ამისა პოლემიკურ თუ სხვა ხასიათის წერილებში, ზოგჯერ მოთხრობებსა, პოემებსა და პუბლიცისტურ-თეორიულ ნაშრომებშიც კი გამოთქვა მეტად საგულისხმო შეხედულებები ლიტერატურასა და ქართველ, აგრეთვე რუს და საზღვარგარეთელ მწერლებზე, რომელთა შესახებ სხვა დროს ვისაუბრებთ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	3
ანტონ ფურცელაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა	6
ხელოვნების არსი და დანიშნულება	30
ხელოვნების რეალისტური თეორია	65
ანტონ ფურცელაძის ლიტერატურული კრიტიკა	123

Куридзе Шота Исидорович
ЛИТЕРАТУРНО-КРИТИЧЕСКОЕ НАСЛЕДСТВО
А. ПУРЦЕЛАДЗЕ
(На грузинском языке)
Издательство «Сабчота Аджара»
Батуми, Гогебашвили, 24
1976

რედაქტორი ლ. ბ ე ქ ა ნ ი ძ ე, მხატვ. რედაქტორი ჯ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ტექრედაქტორი ნ. ჭ უ ო ნ ი ა, კორექტორი ნ. ჯ ი ჯ ა ვ ა ძ ე. გამომშვები ჯ. ხ ო ფ ე რ ი ა.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.3.76, ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 11,97,საარრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,28, შეკვ. № 1305, ემ 00924, ტირაჟი 1.000

ფასი 1 მან. 28 კაპ.

გამომცემლობა „საჭოთა აჭარა“, ბათუმი, გოგებაშვილის, 24.

საქ .სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბათუმის სტამბა, ლუქსემბურგის, 20.

Батумская типография Госкомитета СМ Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, ул. Р. Люксембург, 20